

სისსლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილები

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადანაცვტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სისხლის სამართლის საქმეებზე
2015, №9-12

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Criminal Cases
(in Georgian)
2015, №9-12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Strafsachen
(in der georgischen Sprache)
2015, №9-12

Решения Верховного Суда Грузии
по уголовным делам
(на грузинском языке)
2015, №9-12

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **რუსუდან ჭანტურიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298 21 03; www.supremecourt.ge

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით**

ზოგადი ნაწილი

დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნისას დამატებით სასჯელუბზე შთანთქმის პრინციპით დანიშვნის წესის გავრცელების დაუშვებლობა

განჩინება საქართველოს სახელით

№75აგ-15

18 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი**

განიხილა მსჯავრდებულ ლ. ე-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივლისის განჩინებაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 18 მაისის განაჩენით ლ. ე-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2009 წლის 15 აგვისტოს ეპიზოდი), სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2009 წლის 4 სექტემბრის ეპიზოდი), სსკ-ის 19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2009 წლის 28 სექტემბრის ეპიზოდი) და მოსახდელად განესაზღვრა: სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (2009 წლის 15 აგვისტოს ეპიზოდი) – 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 3500 ლარი; სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (2009 წლის 4 სექტემბრის ეპიზოდი) – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 3500 ლარი; სსკ-ის 19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე

მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (2009 წლის 28 სექტემბრის ეპიზოდი) – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 3500 ლარი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენებით, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა ნაწილობრივ და საბოლოოდ ლ. ე-ს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა – 10 500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2009 წლის 29 სექტემბრიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 18 მაისის განაჩენი ლ. ე-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 10 მაისის განჩინებით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე, ლ. ე-ი გათავისუფლდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 7 ოქტომბრის განაჩენით სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა (2009 წლის 15 აგვისტოს ეპიზოდი) და სსკ-ის 19,180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2009 წლის 28 სექტემბრის ეპიზოდი) დანიშნული ძირითადი სასჯელებისაგან, მასვე ერთი მეოთხედით შეუმცირდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2009 წლის 4 სექტემბრის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი და საბოლოოდ განესაზღვრა 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლაც დაეწყო დაკავების დღიდან – 2009 წლის 29 სექტემბრიდან.

2015 წლის 10 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ლ. ე-ა, რომელმაც ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 310-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 7 ოქტომბრის განაჩენის გადასინჯვა და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენება. შუამდგომლობის ავტორი აღნიშნავს, რომ მას საბოლოო სასჯელი უნდა დაენიშნოს საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გათვალისწინებით, კერძოდ, ძირითადად სასჯელმა – 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთამ – უნდა შთანთქმას დამატებით დანიშნული სასჯელი – ჯარიმა – 10 500 ლარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივლისის განჩინებით მსჯავრდებულ ლ. ე-ს შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

მსჯავრდებული ლ. ე-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივლისის განჩინების გაუქმებასა და სააპელაციო სასამართლოსათვის იმის მითითებას, რომ მან განსახილველად დაუშვას ზემოაღნიშნული შუამდგომლობა იმავე მოტივებით, რაზეც მას მითითებული ჰქონდა შუამდგომლობაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშნვისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქმავს ნაკლებად მკაცრ სასჯელს.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ მსჯავრდებული ლ. ე-ი „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, გათავისუფლდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2009 წლის 15 აგვისტოს ეპიზოდი), ასევე სსკ-ის 19,180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2009 წლის 28 სექტემბრის ეპიზოდი) დანიშნული ძირითადი სასჯელებისგან და მოსახდელად დარჩა მხოლოდ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2009 წლის 4 სექტემბრის ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი – 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სასჯელთა შთანთქმის პრინციპი გულისხმობს რამდენიმე სასჯელის არსებობას. კონკრეტულ შემთხვევაში კი სახეზეა მხოლოდ ერთი სასჯელი (რომელიც უკვე მოხდილი აქვს). ამდენად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილება მოცემულ შემთხვევაში არ წარმოადგენს ახლად გამოვლენილ გარემოებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის შთანთქმის პრინციპით დანიშვნის წესი არ ვრცელდება დამატებით სასჯელებზე, ამდენად, ლ. ე-ს მოთხოვნა დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმისაგან გათავისუფლების შესახებ უსაფუძვლოა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძველი, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ლ. ე-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივლისის განჩინება მსჯავრდებულ ლ. ე-ს შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სასჯელის საკითხის გადაწყვეტისას
ბაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლოვის
მხედველობაში მიღების დაუშვებლობა**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№212აპ-15

2 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**
მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
გ. შავლიაშვილი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ დ. რ-ა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. მ-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 16 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 იანვრის განაჩენით დ. რ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად, 1 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა – 1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

2. დ. რ-ს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის ვადაში (მისი აღსასრულებლად მიქცევის შემთხვევაში) ჩაეთვალა დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2014 წლის 28 სექტემბრიდან იმავე წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით.

3. დ. რ-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა და განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში გირაოს შემტანს – მ. ა-ს უნდა დაუბრუნდეს სს „საქართველოს ბანკში“ 2014 წლის 1 ოქტომბერს 4000 ლარის ოდენობით შეტანილი საგირავნო თანხა.

4. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 3 ივლისის კანონის საფუძველზე 3 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მარ-

თვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარალის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების, საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლებები, ასევე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას.

5. განაჩენით მსჯავრდებულ დ. რ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 2 ივლისის დადგენილებით ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის (ასკ-ის 45-ე მუხლი) ადმინისტრაციულსახელდადეგბულმა დ. რ-მ კვლავ უკანონოდ ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი“, რაც დაუდგინდა 2014 წლის 22 სექტემბერს ქ. ბ-ი ჩატარებული ნარკოლოგიური გამოკვლევისას.

6. აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 16 მარტის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

დ. რ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხა მითითება დ. რ-ს დამატებითი სასჯელის – 1000 ლარის ოდენობით ჯარიმის დანიშვნის თაობაზე.

7. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 3 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარალის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფ-

ლებები.

8. დ. რ-ს სასჯელის ვადაში ჩაეთვალა დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2014 წლის 28 სექტემბრიდან იმავე წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით და სასჯელის მოხდა უნდა დაეწყოს დაკავების დღიდან.

9. გაუქმდა დ. რ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და გირაოს თანხის შემტანს – მ. ა-ს უნდა დაუბრუნდეს სს „საქართველოს ბანკში“ 2014 წლის 1 ოქტომბერს შეტანილი 4000 ლარის ოდენობის საგირავნო თანხა განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში.

10. მსჯავრდებული დ. რ-ა დააკავეს 2015 წლის 30 მარტს.

11. მსჯავრდებული დ. რ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 16 მარტის განაჩენში ცვლილების შეტანას იმ მიმართებით, რომ დანიშნული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა – საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალოს პირობით.

12. მსჯავრდებულ დ. რ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. მ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 16 მარტის განაჩენში ცვლილების შეტანას იმ მიმართებით, რომ დ. რ-ს მიმართ დანიშნული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა – საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალოს პირობით.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორების მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მსჯავრდებულ დ. რ-ს შემამსუბუქებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით შესაძლებელია, მის მიმართ დანიშნული სასჯელის პირობით მსჯავრდად ჩათვლა, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ჩადენილი დანაშაულისა და მსჯავრდებულის პიროვნების ურთიერთმომართების გათვალისწინებით, ვერ იქნება უზრუნველყოფილი სასჯელის მიზნები.

3. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ დ. რ-ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით – იგი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანა-

შაულს, ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი – დანიშნული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა – უნდა შეუმცირდეს და საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 7 თვით თავისუფლების აღკვეთა.

4. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობაზე, რომ სასჯელის დანიშვნის დროს სრულად გაითვალისწინეს მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლები, კერძოდ: დ. რ-ა წარსულში ნასამართლევი იყო სხვადასხვა დანაშაულების ჩადენისათვის, ხოლო არსებული ნასამართლობა დღეის მდგომარეობით შეწყალების აქტით აქვს მოხსნილი. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნულ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2015 წლის 25 თებერვლის №322აპ-14 განაჩენით დადგენილია პრაქტიკა, კერძოდ: ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების აღნიშნული მსჯელობა ეწინააღმდეგება საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნას, რომლის თანახმად, გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

5. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, აკრძალულია სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების, მათ შორის – სასჯელის ან მისი პირობითად ჩათვლის საკითხის გადაწყვეტისას, მხედველობაში იქნეს მიღებული გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა. შესაბამისად, დაუშვებელია მოსამართლემ რაიმე ფორმით განაჩენში ასახოს გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა, თუნდაც მსჯავრდებულის პიროვნებისა და მისი წარსული ცხოვრების ზოგადად შეფასების კონტექსტში, ვინაიდან იგი სწორედ სასჯელის საკითხის შეფასებას უკავშირდება და ამის შესახებ განაჩენში ხაზგასმა, თუნდაც ირიბად, სსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილს ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ დ. რ-ა და მისი ინტერესების დამცველის,

ადვოკატ ი. მ-ს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 16 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

მსჯავრდებულ დ. რ-ს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა – შეუმცირდეს და საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 7 თვით თავისუფლების აღკვეთა.

3. მსჯავრდებულ დ. რ-ს სასჯელის მოხდა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2015 წლის 30 მარტიდან. მასვე სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2014 წლის 28 სექტემბრიდან იმავე წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით.

4. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე 3 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში -საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

5. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ქვიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული
საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის
სასჯელის სახით დანიშნული ვადიანი
თავისუფლების აღკვეთის შეცვლა ჯარიმით**

**განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო**

№602აპ-15

24 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**
მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
გ. შავლიაშვილი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ ი. ბ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 7 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის განაჩენით ი. ბ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 სექტემბრის განაჩენით ი. ბ-ს მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი.

2. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა წინა, სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 სექტემბრის განაჩენით 4 წლით თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული მოუხდელი სასჯელის ნაწილი – 2 წელი და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. ი. ბ-ს სასჯელის მოხდა დაენციო 2015 წლის 28 მაისიდან. მასვე სასჯელის ვადაში ჩათვალა დაკავების დრო – 2015 წლის 13 მარტიდან იმავე წლის 17 მარტის ჩათვლით.

3. მასვე 3 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და

ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) და-
წესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმი-
ანობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შე-
ძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

4. ი. ბ.-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება - გი-
რაო გაუქმდა და გირაოს უზრუნველყოფის მიზნით ჯ. ჩ-ს (პ/ნ
....) სახელზე რიცხულ, ა-ს რაიონის სოფელ პ-ი მდებარე უძრავ
ქონებას, საკადასტრო კოდი №....., განაჩენის აღსრულებიდან
ერთი თვის ვადაში უნდა მოეხსნას სამტრედიის რაიონული სა-
სამართლოს 2015 წლის 17 მარტის განჩინებით დადებული ყა-
დალა.

5. განაჩენით ი. ბ.-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა
ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკა-
ნონოდ მოხმარება, ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხ-
მარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მი-
ერ, რაც გამოიხატა შემდეგში: ნარკოტიკული საშუალების უკა-
ნონოდ მოხმარებისათვის 2014 წლის 25 ივნისს ქუთაისის საქა-
ლაქო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულსახდელშეფარდე-
ბულმა ი. ბ-ა 2015 წლის 13 მარტს ექიმის დანიშნულების გარეშე
უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაპიდ-
როკანაზინოლი„ (მარისუანა).

6. აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 7 სექტემ-
ბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

7. მსჯავრდებულ ი. ბ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯე-
ლის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწ-
მა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამ-
დე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ
გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამარ-
თლომ ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსე-
ბული მტკიცებულებები, რის შედეგადაც მივიდა იმ დასკვნამ-
დე, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერ-
თობლიობით, კერძოდ: ი. ბ.-ს აღიარებითი ჩვენებით, ქუთაისის
საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 25 ივნისის ადმინისტრაცი-
ული სახდელის დადების შესახებ დადგენილებით, საქსაპერ-
ტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2015 წლის 13
მარტის №... დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებუ-

ლებებით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მის მიმართ ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

3. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ი. ბ-ს მიმართ სასჯელის სახით დანიშნული ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა შეიცვალოს და მას სასჯელის სახით უნდა დაენიშნოს ჯარიმა შემდეგ გარემოებათა გამო:

4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე – საქართველოს მოქალაქე ბ. წ-ი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ), საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სანქციით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის გამოყენება პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ შეძენა/შენახვისათვის.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილებით, მართალია, დადგინდა პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ შეძენა-შენახვისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების არაკონსტიტუციურობა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაკონსტიტუციურად არ უცვნიას სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი ქმედების ან/და სანქციის ნაწილში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ მუხლით პირის მსჯავრდებისას, მის მიმართ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრის დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთება და, შესაბამისად, ამ ქმედების ხასიათი და სიმძიმე, პირის მიერ გამოხატული მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი, მართლსაწინააღმდეგო შედეგი და პიროვნების მახასიათებელი კონკრეტული გარემოებები.

6. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ბრალდებულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს უნდა მოხდეს ინდივიდუალური მიდგომა, ინდივიდუალური ქმედებისა და ამ ქმედებიდან მომდინარე კონკრეტული საფრთხის გაანალიზება მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. თავისუფლების აღკვეთის საპირწონედ არის შეზღუდული თავისუფლება, რაც

შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა ეს უკიდურესად აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

7. ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრეს ფორმას, ამა თუ იმ ქმედებისათვის სასჯელის სახით პატიმრობის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია ქმედების სიმძიმის, მოსალოდნელი საფრთხეების, დანაშაულის ჩადენის კონკრეტული გარემოებების, დამნაშავის პიროვნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როდესაც თუ არა საზოგადოებისაგან პირის იზოლირება, შეუძლებელი იქნება მისგან პოტენციურად მომდინარე სხვა საფრთხეების განეიტრალება და სასჯელის მიზნების მიღწევა და თუ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის მიზნის მისაღწევად ობიექტურად საკმარისია პასუხისმგებლობის სხვა არასაპატიმრო ალტერნატივები.

8. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ცალსახად განიმარტა, რომ პირისათვის თავისუფლების აღკვეთა ისეთი ქმედების გამო, რომელიც მხოლოდ ამ ქმედების ჩამდენს უქმნის საფრთხეს, მის ჯანმრთელობას შეიძლება აყენებდეს ზიანს და არ არის მიმართული (არ შეიძლება იყოს მიმართული) სხვათა უფლებების დარღვევისკენ, უმიზნო და, შესაბამისად, გაუმართლებელია.

9. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშულ მსჯელობას და მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული ი. ბ-ი წარსულში ნასამართლევია და სახეზე გვაქვს დანაშაულის რეციდივი, მიაჩნია, რომ 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში, როდესაც პირი ნარკოტიკის მოხმარებით საკუთარ ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს და არ არღვევს სხვა პირთა უფლებებს, დანაშაული წარმოადგენს ნაკლებად მძიმე საშიშროების შემცველ ქმედებას, განსხვავებით სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილისაგან (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), რომელიც განეკუთვნებოდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიას და პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ შეძენა/შენახვისათვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ჩაითვალა კონსტიტუციის შეუსაბამო სასჯელად, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა ჩაითვალოს არაპროპორციულ სასჯელად და, შესაბამისად, მიზანშეწონილია, ამ დროს გამოყენებულ იქნეს სანქციის მეორე არასაპატიმრო ალტერნატიული სასჯელი – ჯარიმა.

10. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 7 სექტემბრის განაჩენში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება: ი. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, უნდა გაუქმდეს სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 სექტემბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 7 თვე და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 7 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით.

11. იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებული ი. ბ-ი სასჯელს იხდის 2015 წლის 28 მაისიდან, ხოლო სასჯელის ვადაში მოხდილად უნდა ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 13 მარტიდან იმავე წლის 17 მარტის ჩათვლით, იგი მთლიანად უნდა გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის – 7 თვით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან. საბოლოოდ ი. ბ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ი. ბ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 7 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

3. ი. ბ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

4. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გაუქმდეს სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2014

წლის 5 სექტემბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავ-
რი.

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბა-
მისად, ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატოს წინა განა-
ჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 7 თვე და
საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვროს 7 თვით თავი-
სუფლები ალკვეთა და ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით.

6. მსჯავრდებულ ი. ბ-ს სასჯელის მოხდა დაეწყოს 2015 წლის
28 მაისიდან. მასვე სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალოს
პატიმრობაში ყოფნის დრო – 2015 წლის 13 მარტიდან იმავე წლის
17 მარტის ჩათვლით.

7. მსჯავრდებული ი. ბ-ი პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვა-
ლისწინებით, მთლიანად გათავისუფლდეს დანიშნული სასჯე-
ლის – 7 თვით თავისუფლების ალკვეთის მოხდისაგან. საბოლოო-
ოდ ი. ბ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა –
1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

8. მასვე 3 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების
მართვის, საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთ-
ვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომად-
გენლობის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგან-
მანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და
ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) და-
წესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმი-
ანობის უფლება, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შე-
ძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

9. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ი. ბ-ს მიმართ გამოყენებუ-
ლი ალკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია. გირაოს უზ-
რუნველყოფის მიზნით ჯ. ჩ-ს (პ/ნ.....) სახელზე რიცხულ, ა-ს რა-
იონის სოფელ პ-ი მდებარე უძრავ ქონებას, საკადასტრო კოდი
№....., განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში მოეხსნას
სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 17 მარტის
განჩინებით დადებული ყადაღა.

10. მსჯავრდებული ი. ბ-ი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს
პატიმრობიდან.

11. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო ნაწილი

დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება სხვა დანაშაულის ჩადენის გააღვივების მიზნით

განაჩენი საქართველოს სახელით

№ 190აპ-15

15 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ დ. გ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების – ი. ა-ის, ნ. გ-ის, თ. გ-ის, ი. კ-სა და დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის პროკურორ დ. ს-ას საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 23 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 სექტემბრის განაჩენით დ. გ-ი, ნასამართლობის არმქონე, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა (ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობა) და 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში.

2. დ. გ-ისათვის ბრალად შერაცხული დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2013 წლის 19 დეკემბერს, დაახლოებით 10.30 საათზე, დ. გ-ი იმყოფებოდა ... რაიონის სოფელ ... მდებარე ავტონაწილების ბაზრობის წინამდებარე ტერიტორიაზე, კერძოდ, მოძრაობდა „ოპელ ზაფირას“ მარკის „...“ სახელმწიფო ნომრის ავტომანქანით, რა დროსაც გადაკვეთა საავტომობილო მაგისტრალის გამყოფი უწყვეტი ზოლი და სანინააღმდეგო მოძრაობის ზოლში, ქ-ის მიმართულებით ავტომანქანის შემობრუნებისას შეეჯახა

უკუსვლით მოძრავ „ბმე-525“ მარკის „...“ სახელმწიფო ნომრის ავტომანქანას, რომელსაც მართავდა ლ. კ-ი. აღნიშნული საგზაო ინციდენტის გამო დ. გ-სა და ლ. კ-ს შორის მოხდა სიტყვიერი შეკამათება. ინციდენტს შეესწრნენ ასევე „ბმე-525“ მარკის „...“ სახელმწიფო ნომრის ავტომანქანაში მსხდომი ზ. და მ. დ-ები. კამათი გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში უკვე დ. გ-სა და ზ. დ-ეს შორის, რა დროსაც დ. გ-ი განაწყენდა ზ. დ-ესა და მ. დ-ზე, რის გამოც შურისძიების მოტივით, თანაქონი გასაშლელი დანა ჯერ ძლიერად დაარტყა მ. დ-ეს და მიაყენა შემავალი ჭრილობა გულ-მკერდის უკანა, გვერდით ზედაპირზე, ხოლო შემდეგ იმავე დანით გულ-მკერდის მარცხენა ნახევარში შემავალი ჭრილობა მიაყენა ზ. დ-ეს. დ. გ-ის განზრახვა ზ. და მ. დ-ების სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებით ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო.

ზ. და მ. დ-ებისათვის მძიმე ჭრილობების მიყენების შემდეგ დ. გ-ს წინ გადაეღობა და მის შეჩერებას შეეცადა იქვე მდებარე ავტომალაზიიდან გამოსული ლ. ჯ-ა, რომლის ასეთ მოქმედებაზე განაწყენებულმა დ. გ-მა შურისძიების მოტივით, ამჯერად გადაწყვიტა მისი მოკვლა. ამ მიზნით მან ლ. ჯ-ას ხელში მომარჯვებული იმავე დანის დარტყმით გულ-მკერდის წინა ზედაპირზე, მარცხნივ მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა. მიუხედავად განუვლი ცადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა, ლ. ჯ-ა მიღებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა ... რეგიონალურ კლინიკურ საავადმყოფოში.

3. აღნიშნული ქმედებისათვის:

დ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 19,109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 17 წლით, ხოლო 108-ე მუხლით – 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, დ. გ-ს დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 17 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლაც დაენყო დაკავების დღიდან – 2013 წლის 19 დეკემბრიდან.

4. განაჩენი სააპელაციო ნესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ დ. გ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – ი. ა-ემ, ნ. გ-მა, თ. გ-მა და ი. კ-ემ, რომლებმაც სააპელაციო საჩივრით ითხოვეს დ. გ-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა. მოთხოვნას ასაბუთებდნენ იმ მოტივებით, რომ დ. გ-სა და ინციდენტში მონაწილე პირებს შორის მოხდა ჩხუბი, რა დროსაც დ. გ-ს რამდენიმე პირი მისდევდა, სცემდა და ეს უკანასკნელი,

მოქმედებდა რა აუცილებელი მოგერიებისათვის დამახასიათებელი პოზიტიური განზრახვით, თავდამსხმელთა მოსაგერიებლად იძულებული გახდა გამოეყენებინა დანა.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 სექტემბრის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება:

დ. გ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა იმავე კოდექსის 19, 108-ე მუხლზე (ზ. დ-ის ეპიზოდი) და 117-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე (მ. დ-ის ეპიზოდი).

დ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით (ლ. ჯ-ას ეპიზოდი) – 12 წლით; 19, 108-ე მუხლით (ზ. დ-ის ეპიზოდი) – 11 წლით, ხოლო 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (მ. დ-ის ეპიზოდი) – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, დ. გ-ს დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლაც დაენყო დაკავების დღიდან – 2013 წლის 19 დეკემბრიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

6. საკასაციო საჩივრის არსი:

სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ დ. გ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – ი. ა-ემ, ნ. გ-მა, თ. გ-მა, ი. კ-ემ და დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის პროკურორმა დ. ს-ამ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

დ. გ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა ითხოვეს უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულის გამართლება. ისინი აღნიშნავენ, რომ დაზარალებულთა მხრიდან ადგილი ჰქონდა არაპროპორციული ფიზიკური ძალით დაპირისპირებას, მოსაგერიებელი ძალადობის მაღალი ინტენსივობით.

პროკურორმა დ. ს-ამ საკასაციო საჩივრით ითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის განაჩენში მსჯავრდებულის საუარესო ცვლილების შეტანა და ზ. და მ. დ-ების დაჭრის ეპიზოდში დ. გ-ის ქმედების დაკვალიფიცირება სსკ-ის 19, 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელის განსაზღვრა ამ მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში. კასატორი აღნიშნავს, რომ დ. გ-ი მ. დ-ის მიმართ

მოქმედებდა პირდაპირი განზრახვით, რადგან დანაშაულის ჩადენის მომენტში, ინტელექტუალური და ნებელობითი ელემენტების გათვალისწინებით, მსჯავრდებულის ცნობიერებაში სრულად იყო ჩამოყალიბებული დანაშაულის კონკრეტული მიზანი – ზ. დ-ისა და მ. დ-ის მოკვლა დანის გამოყენებით, თუმცა მან განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით. სააპელაციო სასამართლოს არასწორმა კვალიფიკაციამ კი გამოიწვია მსჯავრდებულისათვის სასჯელის იმ მოცულობით შემცირება, რაც აშკარად არ შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და ხასიათს.

მსჯავრდებულმა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. ა-ემ შესაგებლებით ითხოვეს პროკურორის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და დ. გ-ის გამართლება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. გასაჩივრებული განაჩენის შეცვლის დასაბუთება:

საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ დ. გ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების – ი. ა-ის, ნ. გ-ის, თ. გ-ისა და ი. კ-ის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის პროკურორ დ. ს-ას მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას დაცვის მხარის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და აღნიშნავს, რომ სასამართლომ ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებები, შეაფასა თითოეული მათგანი საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის, დ. გ-ის დამნაშავედ ცნობისათვის საკმარისობის თვალსაზრისით, რის შედეგადაც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, დაზარალებულების – ზ. და მ. დ-ების, მოწმეების: ა. შ-ას, ი. ფ-ის, ლ. კ-ის, მ. ნ-ის, ჯ. ი-ის, ი. გ-ის, დ. ი-ის, ს. მ-ის ჩვენებებით, დაზარალებულის უფლებამონაცვლე ჯ. დ-ის ჩვენებით, ექსპერტების – გ. გ-ისა და ა. გ-ის ჩვენებებით, ბრალდებულის ბრალის აღიარებით გამოცხადების ოქმით, დაკავების, შემთხვევის ადგილის დათვალიერების, პირადი ჩხრეკის, ა/მანქანის დათვალიერების, სს „ტ-ის“ სამეთ-

ვალყურეო ვიდეოკამერის ჩანაწერების ამოღებისა და დათვალიერების ოქმებით, ჰაბიტოსკოპიური, სასამართლო-სამედიცინო, ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმის სხვა მასალებით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ დ. გ-ისათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებები დადასტურებულია.

3. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის პიროვნება, მისი ოჯახური მდგომარეობა, დ. გ-ის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რის საფუძველზეც მის ქმედებას მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება (გარდა მ. დ-ის ეპიზოდისა), რასაც პალატაც ეთანხმება.

4. პალატას ასევე დადგენილად მიაჩნია, რომ დ. გ-ი მოქმედებდა ზ. დ-ის მოკვლის განზრახვით, რადგან როგორც დაზარალებულების – მ. და ზ. დ-ების, აგრეთვე მონმეების – ლ. კ-ის, ა. შ-ის, ი. ფ-ის ჩვენებებით დადგენილია, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის ნიადაგზე წარმოშობილი შელაპარაკებისას, დ. გ-ის მთელი აგრესია მიმართული იყო ზ. დ-ის წინააღმდეგ და რომ ზ. დ-ესთან სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების გამო გაუჩინდა მას ამ უკანასკნელის მოკვლის განზრახვა, თუმცა განზრახვა ვერ მოიყვანა სისრულეში მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დ. გ-ის ქმედება ზ. დ-ის მიმართ განხორციელებული ქმედების ნაწილში სწორად დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით, როგორც განზრახ მკვლელობის მცდელობა.

5. საკასაციო პალატა ლ. ჯ-ას მიმართ განხორციელებული ქმედების ხასიათიდან, მიყენებული დაზიანების ლოკალიზაციიდან, ხარისხიდან და დამდგარი შედეგიდან გამომდინარე, სრულად ეთანხმება საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების დასკვნებს დ. გ-ის ქმედების განზრახ მკვლელობად დაკვალიფიცირებისა და დანიშნული სასჯელის ზომის განსაზღვრის ნაწილში.

6. ამასთან, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მაგრამ არ ეთანხმება გასაჩივრებული განაჩენის სამართლებრივ შეფასებას იმის თაობაზე, რომ დ. გ-ი მოქმედებდა მ. დ-ის მოკვლის განზრახვით შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მ. დ-ეს დ. გ-თან შელაპარაკებაში მონაწილეობა არ მიუღია. მ. დ-ე შუაში ჩაუდგა ზ. დ-ესა და დ. გ-ს, რათა განემუხტა სიტუაცია. როგორც მ. დ-ე განმარტავს თავის ჩვენებაში, დანის დარტყმა მას არც უგრძნია, სიტბო რომ ჩაეღვარა, ამით მიხვდა, რომ დ. გ-მა დანა დაარტყა.

ზ. დ-ის ჩვენებებით დადგენილია, რომ მას გაუჟკვირდა, როდესაც დ. გ-მა მ. დ-ეს ხელი დაარტყა, რადგან მ-ას არაფერი უთქვამს მისთვის.

7. იმის გათვალისწინებით, რომ დ. გ-სა და მ. დ-ეს შორის არც სიტყვიერ და არც ფიზიკურ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია, რომ მ. დ-ისათვის ერთი დარტყმის მიყენების შემდეგ დ. გ-მა შეწყვიტა მის მიმართ დანაშაულებრივი მოქმედება, რომ მისი აგრესია მიმართული იყო ზ. დ-ისკენ, სააპელაციო პალატას აძლევს დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ დ. გ-ს არ ჰქონია მ. დ-ის მოკვლის განზრახვა. იგი მოქმედებდა არაკონკრეტული პირდაპირი განზრახვით და სურდა სხეულის დაზიანების მიყენების გზით მოემორებინა მ. დ-ე, რათა სისრულეში მოეყვანა ზ. დ-ის მოკვლის განზრახვა. ასეთ შემთხვევაში დ. გ-ის პასუხისმგებლობა მ. დ-ის მიმართ განხორციელებული ქმედების ნაწილში უნდა დადგეს იმის მიხედვით, თუ რა ზიანი მიაღდა ამ უკანასკნელს. საქმეში არსებული ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ მ. დ-ისათვის მიყენებული დაზიანება მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს.

8. ამდენად, რადგან სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დ. გ-ი მ. დ-ის მიმართ მოქმედებდა არაკონკრეტული პირდაპირი განზრახვით (რასაც იზიარებს საკასაციო პალატაც), სურდა სხეულის დაზიანების მიყენების გზით მოემორებინა იგი, რათა სისრულეში მოეყვანა ზ. დ-ის მოკვლის განზრახვა, ცვლილება უნდა შევიდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის განაჩენში: ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს პროკურორ დ. ს-ას საჩივრის მოთხოვნა განაჩენში საუარესო ცვლილების შეტანის თაობაზე და დ. გ-ის ქმედება მ. დ-ის მიმართ განხორციელებული ქმედების ნაწილში უნდა დაკვალიფიცირდეს არა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის), არამედ – სსკ-ის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით) და ამ მუხლით სასჯელად უნდა განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

9. განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ დ. გ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების – ი. ა-ის, ნ. გ-ის, თ. გ-ისა და ი. კ-ისა საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის პროკურორ დ. ს-ას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 23 თებერვლის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

4. დ. გ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან (მ. დ-ის ეპიზოდი) გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტზე.

დ. გ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით (ლ. ჯ-ას ეპიზოდი) – 12 წლით; 19, 108-ე მუხლით (ზ. დ-ის ეპიზოდი) – 11 წლით, ხოლო 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით (მ. დ-ის ეპიზოდი) – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, დ. გ-ს დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

5. დ. გ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2013 წლის 19 დეკემბრიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება

განაჩენი საქართველოს სახელით

№322აპ-15

2 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

პ. სილაგაძე,

გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ ე. ს-ა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების – ჯ. მ-ა და გ. ნ-ს, რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ დავით მუხიაშვილის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 28 იანვრის განაჩენით ე. ს-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლით, გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე.

2. ე. ს-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2014 წლის 1 აგვისტოდან.

3. საქმეზე ამოღებული: ე. ს-ს, ლ. გ-ს, ნ. ბ-ს ტანსაცმელი დაუბრუნდეს მათ მფლობელებს, ხოლო სისხლის ნიმუშები და შემთხვევის ადგილიდან ამოღებული დანა – განადგურდეს.

4. მსჯავრდებულ ე. ს-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2014 წლის 1 აგვისტოს, დაახლოებით 4:00 საათზე, ქ. რ-ი, მ-ს გამზირის მე-2 გასასვლელის, ბინა №...-ში ე. ს-ა და ლ. გ-ს შორის მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების დროს, ე. ს-ა სამზარეულოს დანის გამოყენებით ლ. გ-ს მიაყენა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელიც სიცოცხლისათვის იყო სახიფათო.

5. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მაისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

6. მსჯავრდებულ ე. ს-ი და მისი ინტერესების დამცველი

ადვოკატები – ჯ. მ-ი და გ. ნ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მაისის განაჩენის გაუქმებასა და ე. ს-ს გამართლებას, მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

7. რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორი დავით მუხიაშვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მაისის განაჩენში ცვლილების შეტანას იმ მიმართებით, რომ მსჯავრდებულ ე. ს-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 19,108-ე მუხლზე და განესაზღვროს სამართლიანი სასჯელი.

8. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ ე. ს-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატებმა – გ. ნ-მ და ნ. ნ-ა ვრცლად მიმოიხილეს საქმის მასალები, მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლეს მისი დაკმაყოფილება, რასაც დაეთანხმა მსჯავრდებული ე. ს-ი.

9. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა დავით მუხიაშვილმა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები, მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ე. ს-ა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების – ჯ. მ-ა და გ. ნ-ს, ასევე რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ დავით მუხიაშვილის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს ე. ს-ს მიერ სამზარეულოს დანის გამოყენებით ლ. გ-ს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების მიყენების თაობაზე, რომელიც სიცოცხლისათვის იყო სახიფათო და მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდება ე. ს-ს შერაცხული ქმედების ჩადენა, რაც გამოიხატა იმაში, რომ 2014 წლის 1 აგვისტოს, დაახლოებით 4:00 საათზე, ქ. რ-ი, მ-ს გამზირის მე-2 გასასვლელის ბინა №...-ში ე. ს-ა და ლ. გ-ს შორის მომხდარი ფიზიკური დაპირისპირების დროს, ე. ს-ა სამ-

ზარეულოს დანის გამოყენებით ლ. გ-ს მიაყენა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელიც სიცოცხლისათვის იყო სა-ხიფათო, კერძოდ:

3. დაზარალებულ ლ. გ-ს ჩვენებით, იგი ნ. ბ-ნ შესახვედრად ს. ი-ა და ნ. თ-ნ ერთად ჩავიდა ქ. რ-ი. ნ. ბ-ს სურდა დედასთან, თ. მ-ნ მცირეწლოვანი შვილის დატოვება. ამ დროს სახლში იმყოფებოდა ე. ს-ი, რომელმაც დაპატიჟა ლუდის დასალევად. იგი შევიდა სახლში, გაიცნო იგი და დალიეს ლუდი. შემდეგ დაურეკეს მისმა მეგობრებმა, რომლებიც ელოდებოდნენ, გავიდა მათთან და ისევ დაბრუნდა. ამჯერად მეგობრებთან ერთად გააგრძელა ლუდის სმა. ე. ს-ნ საუბრობდა თ. მ-ა და ნ. ბ-ს დახმარებით. მოგვიანებით, ე. ს-ა უთხრა მათ, რომ ეძინებოდა და მეგობრებთან ერთად, ყოველგვარი კონფლიქტისა და უსიამოვნების გარეშე გამოვიდა სახლიდან, თუმცა მალევე მიბრუნდა, რადგან მობილური ტელეფონი დარჩა და დაინახა, რომ ე. ს-ი ურტყამდა თ. მ-ს, ნ. კი შველას სთხოვდა. იგი მივიდა მასთან, უთხრა, რას აკეთებო და რამდენჯერმე დაარტყა ხელი სახის არეში. ე. ს-ი დაეცა, შემდეგ ფეხით სცემა, მას წარბი გაუსკდა. როდესაც წასვლა დააპირა, კარი დაკეტილი იყო, ისევ უკან მოტრიალდა და ამ დროს ე-მ დანა დაარტყა მუცლის არეში, მან ხელი მოუქნია, დანა იატაკზე დავარდა და ამ დროს გამოიქცა კიდეც სახლიდან, გააჩერა ტაქსი და თავად მივიდა საავადმყოფოში. ე. ს-ს კიდე შეეძლო დანის დარტყმა, თუმცა ვერ მოახერხა, რადგან დანის დაგდების შემდეგ იგი კვლავ სამზარეულოსკენ წავიდა, თუმცა აიღო თუ არა რაიმე დანისმაგვარი საგანი, არ დაუნახავს. მიაჩნია, რომ ე-ს მისი მოკვლა სურდა. დაზიანება მიიღო ღვიძლსა და ფილტვებზე, დაკარგა დიდი რაოდენობით სისხლი.

4. მოწმე თ. მ-ს ჩვენებით, იგი ე. ს-ნ იმყოფება არარეგისტრირებულ ქორწინებაში და ცხოვრობს ქ. რ-ი, მ-ს გამზირზე. 2014 წლის 1 აგვისტოს დაურეკა შვილმა – ნ. ბ-ა და სთხოვა ბავშვის დატოვება. ნ. ლ. გ-ნ ერთად მივიდა და ე-ს თხოვნით ლ. ლუდის დასალევად დაპატიჟეს, შემდეგ ლ-ს მეგობრებიც შეუერთდნენ. მოგვიანებით ე-ა მოინდომა, რომ სტუმრები წასულიყვნენ, თუმცა მას სურდა, რომ ნ-ც წასულიყო და ამის გამო შეკამათდნენ. ე. დაარტყა სახის არეში. ნ. გაბრაზდა, რა უფლებით დაარტყი დედასო და დაუძახა ლ-ს. მან ე-ს უთხრა, ქალს ხელი როგორ დაარტყიო, შეაგინა და დაარტყა, ამას მოყვა ჩხუბი, ე-ი დაეცა. ლ-ი გამეტებით ურტყამდა ფეხებით სახის არეში. შემდეგ ე-ა მოახერხა წამოდგომა, უცბად მაგიდიდან დანა აიღო და ერთხელ დაარტყა ლ-ს მუცლის არეში. მან მისიური აი-

ნია, სისხლი წამოუვიდა, თქვა დამჭრაო, კარი გააღო და ჩქარა წავიდა. ე-ს კიდევ შეეძლო დანის დარტყმა, სურვილის შემთხვევაში დაენოდა კიდევ ლ-ს, მაგრამ მას მისი მოკვლა არ უნდოდა. მიაჩნია, რომ ე-ა ლ-ს დანა თავდაცვის მიზნით დაარტყა, რადგან ის გამეტებით ურტყამდა. ე-ა თავად დარეკა საპატრულო პოლიციაში და შეატყობინა მომხდარის შესახებ.

5. მოწმე ნ. ბ-ს გამოძიებაში მიცემული ჩვენებით, იგი 2014 წლის 31 ივლისს, დაახლოებით 22:00 საათზე, ლ. გ-ს და შეილთან ერთად მივიდა ქ. რ-ი, მ-ს მე-2 გასასვლელის №.....-ში, სადაც ცხოვრობს დედამისი – თ. მ-ი მეუღლე ე. ს-ს ერთად. ლ-ი სახლში დაპატიჟეს, სადაც დალიეს ლუდი. შემდეგ ლ-ი მის მეგობრებთან შესახვედრად გავიდა და მალევე მათთან ერთად დაბრუნდა. დაახლოებით 03:30 საათზე, ლ-ს მეგობრები წავიდნენ სახლიდან. ლ-ც გაჰყვა მათ და უთხრა, რომ დაელოდებოდა ეზოში. სახლში დარჩნენ ის, დედამისი და ე-ი. ერთად ყოფნის პერიოდში ე-ა თურქულად თქვა, რომ ისიც წასულიყო სახლიდან, რადგან ეძინებოდა. ამაზე დედამისი გაბრაზდა და მკაცრად უთხრა, რომ მისი შვილი იმდენ ხანს გაჩერდებოდა მასთან, რამდენ ხანსაც მოესურვებოდა. პასუხად ე-ა დედამისს ხელი გაართყა სახეში. იგი ამაზე ძალიან გაბრაზდა და ე-ს დაუნყო სიტყვიერი ჩხუბი და დაუძახა ლ-ს. როდესაც ლ-ი სახლში შევიდა, ე-ს შეაგინა, რის გამოც მათ შორის მოხდა ჩხუბი. ჩხუბის დროს, როგორც ლ-ა, ასევე ე-ა ერთმანეთს რამდენჯერმე გართყეს ხელი სახის არეში. ჩხუბი მიმდინარეობდა მცირე ხანს, რა დროსაც ე-ს სისხლი წამოუვიდა წარბიდან. იგი ცდილობდა, რომ გაეშველებინა ე-ი და ლ-ი, ხოლო დედამისი ცდილობდა ისიც გაეყვანა ჩხუბიდან, რადგან ეშინოდა შემთხვევით მუცელზე ხელი არ მოხვედროდა. ამ ჩხუბის დროს ე-ი მცირე მანძილით წამიერად მოშორდა ლ-ს და ნათლად დაინახა, თუ როგორ აიღო ე-ა მაგიდიდან იასამნისფერი საოჯახო დანა და ერთხელ მოუქნია ლ-ს. მოქნეული დანა ლ-ს მოხვდა მარცხენა მხარეს, ნეკნებთან. ლ-ა უკან დაიხია, თქვა დამჭრა ამ არაკაცმაო, აინია მისიური და დაინახა, თუ როგორ სდიოდა სისხლი ჭრილობიდან, ასევე დაინახა დარტყმის შემდგომ ხელში როგორ ეჭირა ე-ს დანა. ლ-ი სწრაფი ნაბიჯებით გავიდა სახლიდან ის, რომ მისთვის არაფერი უთქვამს და წავიდა მისთვის გაურკვეველი მიმართულებით. ლ-ს გასვლისთანავე ე-ა იატაკზე დააგდო დანა და გავიდა საპირფარეოში. ამ დროისათვის იგი მაშინვე ვერ გაეცა ლ-ს, რადგან მისმა შვილმა ხმაურზე გაიღვიძა და დაინყო ტირილი. როდესაც დააწყნარა ბავშვი, გავიდა ეზოში, სადაც ლ-ი ვერ ნახა. დაახლოებით 15-20 წუთში ლ-ა დაურეკა და უთხრა, რომ მი-

სულიყო მასთან აზოტის საავადმყოფოში. იგი მაშინვე ტაქსით მივიდა საავადმყოფოში, სადაც ლ-ი დახვდა მისაღებში და ექიმები უწვედნენ პირველად სამედიცინო დახმარებას.

6. 2014 წლის 1 აგვისტოს დათვალეირებულ იქნა ნ. ბ-ს მიერ წარმოდგენილი მაისური, რომელსაც მარჯვენა მკლავზე, წინა მხრიდან აღენიშნებოდა სხვადასხვა ფორმის და ზომის, უსწორ-მასწოროდ განლაგებული მონითალო ფერის ლაქები, ასევე მაისურს უკანა მხარეს მთლიანად ჰქონდა სხვადასხვა ფორმისა და ზომის მონითალო ფერის ლაქები.

7. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტ ბ. მ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ექსპერტიზაზე წარდგენილ იქნა გამოსაკვლევი პირის სამედიცინო დოკუმენტები, რომელთა თანახმად, ლ. გ-ი სტაციონარში მოთავსდა 2014 წლის 1 აგვისტოს და ექსპერტიზის ჩატარების პერიოდშიც აგრძელებდა მკურნალობას. ჩატარებული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ლ. გ-ს აღენიშნებოდა გულმკერდის მარცხენა ნახევარის წინა ზედაპირის ნაჩხვლეტი-ნაკვეთი ჭრილობა შემაგალი გულმკერდისა და მუცლის ღრუში, მარცხენა ფილტვისა და ღვიძლის დაზიანებით, რაც მიყენებულია რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის მოქმედებით. ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება საქმის გარემოებაში მითითებულ შემთხვევის თარიღს და მიეკუთვნება მიიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო. თვითდახმარება ასეთ შემთხვევაში გამორიცხულია და შესაძლებელი იყო დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვის გამო, დამდგარიყო სიკვდილი. ამიტომ არის დაზიანება სიცოცხლისთვის სახიფათო. სისხლდენა იყო ღვიძლიდან და ფილტივიდან. შინაგანი ორგანოებიდან სისხლდენა ყოველთვის ფასდება როგორც სიცოცხლისთვის სახიფათო. პაციენტი შეიძლება სტაციონარიდან გაინეროს დაზიანების მიღების დღესვე, თუმცა ეს არ ცვლის დაზიანების ხარისხს და მის სახიფათოობას. მან მოცემულ საქმეზე ასევე გასცა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა ე. ს-ს მიმართ. სამედიცინო დოკუმენტების გამოკვლევის საფუძველზე დაადგინა, რომ ე. ს-ა მიიღო მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად.

8. 2014 წლის 1 აგვისტოს გამოძიებულ გ. ჯ-ს მიერ მოწმე ე. ს-ა და თარჯიმან ი. ი-ს მონაწილეობით ე. ს-ს მიერ გამოძიებისათვის წარმოდგენილი ტანსაცმლის დათვალეირების ოქმის თანახმად, მუქი ფერის ჯინსის შარვლის უკანა, მარჯვენა ჯიბეზე იყო მოყავისფრო ლაქა, ამავე ჯიბის ქვემოთ – ორი მცირე ზომის მოყავისფრო ლაქა, „კოტონის“ ფირმის მუქი ლურჯი ფერის

მოკლემკლავიანი მაისური, რომელიც ელვაშესაკრავთან იყო დაზიანებული (ჩამოხეული), მაისურს საყელოს მარჯვენა მხარეს და მარჯვენა მხართან აღენიშნებოდა მუქი მოყავისფრო ლაქები, რუხი ფერის უმკლავებო შიდა ჩასაცმელ მაისურს დაზიანება და ლაქები არ აღენიშნებოდა.

9. 2014 წლის 1 აგვისტოს კლინიკა რ-ი, ექიმ-რენიმატორ, ანესთეზიოლოგ მ. გ-ს მიერ წარმოდგენილ იქნა პაციენტ ლ. გ-ს ტანსაცმელი, შავი ფერის მაისური, ქვედა მარცხენა მხარეს – 5 სმ სიგრძის დაზიანებით და მოწითალო ფერის ლაქებით, ღია ნაცრისფერი ბრიჯი დაუზიანებელ მდგომარეობაში, ასევე მოწითალო ფერის ლაქებით. აღნიშნული მაისური იმავე დღეს დათვალიერდა და დაილუქა.

10. 2014 წლის 2 აგვისტოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მოქალაქე ლ. გ-ი მოთავსდა სტაციონარში 2014 წლის 1 აგვისტოს და იმ დროისათვის აგრძელებდა მკურნალობას დიაგნოზით: გულმკერდის მარცხენა ნახევარის წინა ზედაპირის ნაჩხვლეტ-ნაკვეთი ჭრილობა შემავალი გულმკერდისა და მუცლის ღრუში, მარცხენა ფილტვისა და ღვიძლის დაზიანებით, რაც მიყენებულია რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი ზედაპირის მქონე საგნის მოქმედებით, ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება საქმის გარემოებაში მითითებულ შემთხვევის თარიღს და მიეკუთვნება მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო.

11. 2014 წლის 8 აგვისტოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ე. ს-ს ექსპერტიზაზე წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტის მიხედვით დაუდგინდა: ნაჭდევი თავის მიდამოში, სისხლჩაქცევები სახის მიდამოში, რაც მიყენებულია რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით, ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება საქმის გარემოებებში მითითებულ შემთხვევის თარიღს და მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად.

12. 2014 წლის 14 აგვისტოს ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ლ. გ-ს მაისურის ზედაპირზე არსებული გამჭოლი დაზიანება წარმოქმნილია რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი თვისებების მქონე საგნის ზემოქმედების შედეგად და შესაძლებელია მიყენებულიყო წარმოდგენილი დანით ან სხვა დანით, რომლის პირის სიგანის ერთ-ერთი მონაკვეთი შეადგენს 13 მმ. ლ. გ-ს მაისურის ზედაპირზე არსებული დაზიანებები, ნაკერის განარღვევის და გახევის სახით, წარმოქმნილია ფიზიკური ძალის ზემოქმედების შედეგად. ლ. გ-ს შორტის ზედაპირზე რაიმე სახის დაზიანების კვალი, გარდა ექსპლუატაციური ცვეთისა

არ აღინიშნება. ე. ს-ს მოკლესახელოიანი მაისური, ზედაპირზე არსებული დაზიანებები, ელვა შესაკრავის განცალკევების, ნაკერის განარღვევების და გახევის სახით წარმოქმნილია ფიზიკური ძალის ზემოქმედების შედეგად. ე. ს-ს მაისურისა და შარვლის ზედაპირზე რაიმე სახის დაზიანების კვალი, გარდა მისი ექსპლუატაციური ცვეთისა, არ აღინიშნება.

13. 2014 წლის 29 აგვისტოს ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ლ. გ-ს სისხლი მიეკუთვნება Oაბ/I/ ჯგუფს. ე. ს-ს სისხლი მიეკუთვნება Oაბ/I/ ჯგუფს. ლ. გ-ს მაისურსა და შორტზე აღმოჩნდა ადამიანის სისხლი, რომელიც მიეკუთვნება Oაბ/I/ ჯგუფს. ე. ს-ს შარვალსა და ლურჯ მაისურზე აღმოჩნდა ადამიანის სისხლი, რომელიც მიეკუთვნება Oაბ/I/ ჯგუფს. ნაცრისფერ მაისურზე სისხლის საეჭვო ლაქები არ აღმოჩნდა. ნ. ბ-ს მაისურზე აღმოჩნდა ადამიანის სისხლი, რომელიც მიეკუთვნება Oაბ/I/ ჯგუფს. გამოსაკვლევად წარმოდგენილ დანაზე აღმოჩნდა ადამიანის სისხლი, რომელიც მიეკუთვნება Oაბ/I/ ჯგუფს. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ანაწმენდებზე აღმოჩნდა ადამიანის სისხლი, რომელიც მიეკუთვნება Oაბ/I/ ჯგუფს. შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ანაფხეკი აღმოჩნდა ადამიანის სისხლი, რომელიც მიეკუთვნება Oაბ/I/ ჯგუფს. ლ. გ-ს და ე. ს-ს სისხლის და შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ანაწმენდებზე, ლ. გ-ს მაისურსა და შორტზე, ე. ს-ს შარვალსა და ლურჯ მაისურზე, ნ. ბ-ს მაისურზე და გამოსაკვლევად წარმოდგენილ დანაზე არსებული სისხლი და შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ანაფხეკი მიეკუთვნება Oაბ/I/ ჯგუფს.

14. საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სისხლისამართლებრივი დაცვის ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა. ობიექტური მხრივ, იგი გამოიხატება როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში. ამასთან, დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის აუცილებელია კანონით გათვალისწინებული მძიმე შედეგის ან კონკრეტული საფრთხის დადგომა, რომელიც მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს დამნაშავის ქმედებასთან. სუბიექტური მხრივ, ეს დანაშაული განზრახია. მისი ჩადენა შეიძლება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. სსკ-ის 117-ე მუხლს მკვლელობის მცდელობისაგან განზრახვის მიმართულება განასხვავებს, რომლის დასადგენად მნიშვნელოვანია ზოგადად დამნაშავისა და მსხვერპლის ურთიერთდამოკიდებულების სწორი შეფასება, დაზიანების მიყენების მომენტში თითოეულის ქმედება და შემდგომი ქცევა, ასევე, თვით საქმეში მონაწილე პირების ჩვენებები, მიყენებული დაზიანების ხასიათი და არაერთგზისობა.

15. მხარეთა შორის სადავო გარემოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ლ. გ-ა ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება, როგორც სიცოცხლისათვის სახიფათო, მიიღო 2014 წლის 1 აგვისტოს, ე. ს-ს მიერ დანის დარტყმით. გამოკვლეული მტკიცებულებების შეფასების შედეგად, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს არგუმენტაციას, რომ არ დასტურდება ე. ს-ს განზრახი ქმედება, მიმართული ლ. გ-ს სიცოცხლის მოსპობისაკენ და ხაზს უსვამს როგორც დაზარალებულის, ისე ბრალდებულის ქცევას კონფლიქტის წარმოშობის მომენტიდან დანაშაულის დამთავრებამდე. კერძოდ, ლ. გ-ა და ე. ს-ს შორის ფიზიკური დაპირისპირების ინიციატორი მხარე თავად დაზარალებულია. მან პირველმა დაარტყა ხელი ბრალდებულს და ამ დარტყმების შედეგად ე. ს-ი დაეცა, ხოლო ლ. გ-ა ფეხებით განაგრძო მისი ცემა. მოწმეების – თ. მ-ა და ნ. ბ-ს ჩვენებებით, დანის დარტყმის შემდეგ, ე-ს დანა ისევ ხელში ეჭირა და როდესაც ლ. გავიდა, მან დანა ძირს დააგდო. ე. ს-ს ჰქონდა შესაძლებლობა, რომ მეორედ დაერტყა მისთვის დანა. ამასთან, საკასაციო პალატა აანალიზებს რა ე. ს-ს მიერ საკასაციო პალატის სხდომაზე მიცემულ განმარტებას, მიაჩნია, რომ იმ დროს, როდესაც ნ. ბ-ი მათ აშველებდა, დაზარალებულს ხელი შეუშალა ე. ს-ს ცემაში და ცდილობდა მის შეჩერებას, ე. ს-ს შეძლო ადგომა მაგიდაზე დაყრდნობით. ასევე წამოდგა დაზარალებულიც, რომელმაც შეწყვიტა ე. ს-ს ცემა და იდგა მის პირისპირ მოკლე მანძილზე. ე. ს-ა, რომელიც ზურგით დადგა დაზარალებულისაკენ, მაგიდიდან აიღო დანა და, დაზარალებულზე გაბრაზებულმა, დანა მოუქნია არაკონკრეტიზებული განზრახვით, რათა მისთვის მიეყენებინა დაზიანება და არა მოეკლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრალდებულისთვის ხელი არაფერს შეუშლია, მეორედ დაერტყა დანა დაზარალებულისათვის ან სწრაფად ემოქმედა, დადევნებოდა დაჭრილ დაზარალებულს და თუნდაც სადარბაზოში ან მიმდებარე ტერიტორიაზე სისრულეში მოეყვანა თავისი განზრახვა, აღნიშნულზე ასევე მიუთითებს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაც, რომლის მიხედვით დაზარალებულისათვის დაზიანება მიყენებულია გულ-მკერდის მარცხენა ნახევარში.

16. საკასაციო პალატა ასევე ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ე. ს-ს ლ. გ-ს განზრახ მოკვლისათვის ფაქტობრივად არ გააჩნდა საბაზი. იგი შემთხვევის დღეს პირველად შეხვდა ლ. გ-ს. რომ არა ლ. გ-ს აქტიურობა, მომხდარ ინციდენტს ადგილიც არ ექნებოდა.

17. ამდენად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ბრალდე-

ბის მხარის პოზიციას ე. ს-ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 19,108-ე მუხლზე გადაკვალიფიცირების შესახებ, ვინაიდან მი-აჩნია, რომ მსჯავრდებულის ქმედება არ წარმოადგენს განზრახ მკვლელობის მცდელობას და არ შეიცავს ამ დანაშაულის შე-მადგენლობის ყველა ნიშანს. კერძოდ, როგორც უკვე აღინიშ-ნა, საქმეზე დაკითხული მოწმეების – თ. მ-ა და ნ. ბ-ს ჩვენებე-ბით, დანის ერთხელ დარტყმის შემდეგ, ე-ს დანა ისევ ხელში ეჭირა და როდესაც ლ. გავიდა, ძირს დააგდო. მსჯავრდებულის-თვის ხელი არაფერს შეუშლია, რომ მისი დანაშაულებრივი გან-ზრახვა, თუკი ასეთი არსებობდა, სისრულეში მოეყვანა. ამას-თან, გასათვალისწინებელია მომხდარ ინციდენტში ლ. გ-ს აქ-ტიურობა, მისთვის ჭრილობის მიყენების რაოდენობა და მსჯავ-რდებულის ქცევა ჩადენილი ქმედების შემდეგ. საკასაციო პა-ლატა ვერ გაიზიარებს სახელმწიფო ბრალდების არგუმენტა-ციას, რომ არ უნდა იქნეს გაზიარებული თ. მ-ა და ნ. ბ-ს ჩვენე-ბები და სარწმუნოდ უნდა იქნეს მიღებული დაზარალებულის ჩვენება იმ ნაწილში, რომ ე. ს-ს დანის დარტყმისთანავე დანიან ხელში ჩაარტყა ხელი და გააგდებინა დანა, რის შემდეგაც სანამ ე. ს-ი სამზარეულოში ეძებდა სხვა საშუალებას მისთვის დამა-ტებითი ზიანის მისაყენებლად, მოასწრო გაქცევა. მოწმეების – თ. მ-ა და ნ. ბ-ს ჩვენებებში აღწერილი ფაქტები არ ეწინააღ-მდეგება საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელ-თა სანდოობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს, ხო-ლო დაზარალებულ ლ. გ-ს ჩვენება იმავე გარემოებებთან და-კავშირებით ეწინააღმდეგება სწორედ ფაქტის თვითმხილველი მოწმეების ზემოაღნიშნულ ჩვენებებს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომე-ლიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გა-დანყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

18. საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს დაცვის მხა-რის პოზიციას, რომ ე. ს-ი მოქმედებდა აუცილებელი მოგერიე-ბის ფარგლებში და ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს არ-გუმენტაციას შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს სის-ხლის სამართლის კოდექსის მე-8 თავით დადგენილია მართლწი-ნააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები და 28-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქ-მედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩა-იდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. შესაბა-

მისად, უნდა დადგინდეს, რომ ხელყოფა არის მართლსაწინააღმდეგო, რაც იმავდროულად საფრთხეს უნდა უქმნიდეს სამართლით დაცულ სიკეთეს, ხელყოფა უნდა იყოს იმნუთიერი და თავდაცვა უნდა შეესაბამებოდეს თავდასხმას, (ხელყოფას). ანუ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის არსებობისათვის აუცილებელია ერთმანეთთან კავშირში მყოფი რამდენიმე გარემოების შეფასება, როგორცაა კონფლიქტის წარმოშობის საფუძველი და მიზეზი, გამოყენებულ საშუალებათა ურთიერთშესაბამისობა, როგორც ხელმყოფის საშიშროებასთან, ისე ინტენსივობასთან. ამ გარემოებათა დადგენის გარეშე მდგომარეობა ვერ ჩაითვლება აუცილებელ მოგერიებად.

19. მოცემულ შემთხვევაში თავად მსჯავრდებულისა და დაზარალებულის ჩვენებით დადგენილია, რომ ე. ს-ა მაშინ დაარტყა ლ. გ-ს დანა, როდესაც ეს უკანასკნელი ფაქტობრივად გაჩერებული იყო, თუმცა ჯერ კიდევ პირისპირ იდგა. მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითება, რომ ადგილი ჰქონდა ორმხრივ ჩხუბს და დაზიანებები აქვს მიღებული ე. ს-ც, არ შეიძლება გახდეს იმის საფუძველი, რომ ე. ს-ი აუცილებელი მოგერიების ფარგლებში იმყოფებოდა, მით უფრო, რომ ჩხუბი მათ შორის დამთავრებული იყო. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ე. ს-ს ქმედება – დანის დარტყმა არ არის შესაბამისი და პროპორციული დაზარალებულის ქმედებასთან.

20. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის არგუმენტაციას და ასევე ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს იმასთან დაკავშირებითაც, რომ საქმეზე დაზარალებულ ლ. გ-ს ჩვენებები არის ურთიერთსაწინააღმდეგო, ვინაიდან მიაჩნია, რომ დაზარალებულის ჩვენებებში მითითებული ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მტკიცების საგანთან დაკავშირებით, არ არის არსებით წინააღმდეგობაში არც ერთმანეთთან და არც საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან.

21. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

22. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას სრულად გაითვალისწინა მსჯავრდებულის პიროვნება, მას პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია, წარსულში ნასამართლევი არ არის, თავად შეატყობინა საპატრულო პოლიციას, კონფლიქტის ინიციატორი იყო დაზარალებული ლ. გ-ი, ჩადენილი დანაშაულის მოტივი, მიზანი, ქმედებაში გამოვლენ-

ნილი მართლსაწინააღმდეგო ნება, ქმედების განხორციელების ხერხი და ისე განუსაზღვრა სამართლიანი სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ე. ს-ა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების – ჯ. მ-ა და გ. ნ-ს, რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ დ. მ-ს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 11 მაისის განაჩენი დარჩეს უცვლელად, კერძოდ:

3. ე. ს-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯოს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყოს 2014 წლის 1 აგვისტოდან.

4. საქმეზე ამოღებული: ე. ს-ს, ლ. გ-ს, ნ. ბ-ს ტანსაცმელი დაუბრუნდეს მათ მფლობელებს, ხოლო სისხლის ნიმუშები და შემთხვევის ადგილიდან ამოღებული დანა – განადგურდეს.

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ

ადამიანის დევნა აზრის, მის საზოგადოებრივ და
პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით,
ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის გმუხარით

ბანაჩენი საქართველოს სახელით

№338აპ-15

2 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
პ. სილაგაძე

განიხილა მსჯავრდებულ ა. კ.-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 15 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 6 მარტის განაჩენით ა. კ.-ა, – ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ადამიანის დევნა აზრის, მის საზოგადოებრივ და პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2. 2014 წლის 22 ოქტომბერს, დაახლოებით 16.00 საათზე, თბილისში, ... გამზ. №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ა. კ.-მ ჩაიდინა ზ. დ.-ს დევნა მის მიერ წლების განმავლობაში გამოთქმულ აზრთან, განუღმ საზოგადოებრივ და პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით, კერძოდ, ა. კ.-მ დაზარალებულს მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა და დაემუქრა ჯანმრთელობის შემდგომი დაზიანებით.

3. აღნიშნული ქმედებისათვის ა. კ.-ს საქართველოს სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განესაზღვრა ჯარიმა – 3500 ლარი, რაც სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, შეუმსუბუქდა და 2014 წლის 23 ოქტომბრიდან იმავე

წლის 29 ოქტომბრის ჩათვლით, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით, საბოლოოდ განესაზღვრა 3000 ლარი ჯარი-მა; მასვე 1 წლით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლე-ბა. გაუქმდა ა. კ-სათვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში ყადა-ლა მოეხსნა ვ. კ-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას – რუს-თავში, მ-ს ქ. №...-ში მდებარე, 71,64კვ.მ. №12 საცხოვრებელ ბინას, საკადასტრო კოდი – ..., რომელიც დაყადაღებული იყო 5000 ლარის ფარგლებში.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თბილისის ვა-კე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორმა ლ. ჩ-მა და მსჯავრდებულმა ა. კ-მ.

5. პროკურორმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა მსჯავრდე-ბულისათვის უფრო მკაცრი სასჯელის განსაზღვრა, ხოლო მსჯავრდებულმა – თავისი ქმედების სწორად დაკვალიფიცი-რება.

6. მსჯავრდებულმა ა. კ-მ შესაგებლით ასევე ითხოვა პრო-კურორისათვის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 მაი-სის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

8. კასატორი – მსჯავრდებული ა. კ-ა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მან სცემა დაზარალებულ ზ. დ-ს, რასაც ინანი-ებს, და არ ჩაუდენია დევნა; აღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 15 მაისის განაჩენის გაუქმებას, გამართლებას სა-ქართველოს სსკ-ის 156-ე მუხლით გათვალისწინებული დანა-შაულის ჩადენაში და მისი ქმედების სწორად დაკვალიფიცირე-ბას.

9. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა ა. კ-მ ით-ხოვა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება, მას-ში მითითებული მოტივებით.

10. პროკურორი ი. ჩ-ი არ დაეთანხმა კასატორის პოზიციას და ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სა-მართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 15 მაისის განაჩენის უც-ვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწ-მა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავ-რდებულ ა. კ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს

შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე დაზარალებულმა ზ. დ-მ აჩვენა, რომ არის ჟურნალისტი და მუშაობს გაზეთ „...“ რედაქციაში. სტუდენტობიდან აქტიურადაა ჩართული საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. 2014 წლის 22 ოქტომბამდე დაახლოებით სამი კვირით ადრე მას ფიზიკურად გაუსწორდნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „...“ წევრები. აღნიშნული ორგანიზაციის წევრები მის მიმართ ასევე მუქარის ზარებს ახორციელებდნენ. 2014 წლის 22 ოქტომბერს ის იმყოფებოდა თბილისში, – გამზირის №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ავტობუსის გაჩერებასთან, რა დროსაც მან შეამჩნია მის გვერდით მყოფი მამაკაცი, რომელიც დაჟინებით უყურებდა. აღნიშნულმა პირმა, რამდენიმე წამის შემდეგ ჰკითხა, იყო თუ არა ზ. დ-ა, რაზეც მან დაუდასტურა, რომ ნამდვილად ზ. დ-ა იყო. ამის შემდეგ მამაკაცმა თავი ჩალუნა და შეერია ხალხს. დაახლოებით 5-6 წუთის შემდეგ, როდესაც დაზარალებული ავტობუსში ასვლას აპირებდა, ვილაცამ მოქაჩა ქურთუკზე. როდესაც შემობრუნდა, დაინახა იგივე მამაკაცი, რომელმაც რამდენიმე წუთის წინ დააზუსტა მისი ვინაობა. უცნობმა მამაკაცმა ჰკითხა, თუ რატომ თანამშრომლობდა რუსეთის უშიშროების სამსახურთან. ამ კითხვაზე ზ. დ-მ უპასუხა „შენ გიჟი ხომ არ ხარო“ (დაზარალებულის განმარტებით, ცოტა უფრო არაეთიკური გამონათქვამით), რის შემდეგაც უცნობმა მას ცხვირში დაარტყა. შემდეგ კიდევ რამდენჯერმე დაარტყა, თან უყვიროდა: „რით ველარ გაიგე, ქალაქში რომ არ უნდა გამოხვიდე, ყველა რუსეთის მიმდევარს ეს ბედი გელით, შე პუტინის მონა, შე პუტინის აგენტო.“

3. მსჯავრდებულმა ა. კ-მ სასამართლო სხდომაზე აჩვენა, რომ მუშაობს კერძო კომპანიაში პრომოუტორად. წარსულში იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „...“ და პოლიტიკური პარტია ... წევრი. ახალი სამსახურის გამო იქ ველარ ახერხებს სიარულს და ამ ეტაპზე მხოლოდ მათი მხარდაჭერით შემოიფარგლება. მან განმარტა, რომ ზ. დ-ს იცნობს მედიასამუშალებებიდან. მისთვის ცნობილია, რომ დაზარალებული მოსკოვში ოკუპანტი ერის წარმომადგენლისგან – ვ. ხ-სგან იღებს საჩუქრებს, რაც მისთვის მიუღებელია. აგრეთვე არსებობს სურათები, რომლებზეც ზ. დ-ა აღბეჭდილია ე.წ. „...“ ... მონაწილეებთან ერთად. აღნიშნული გარემოებები მას აძლევს საფუძველს ეჭვისთვის, რომ ზ. დ-ა თანამშრომლობს რუსეთის უშიშროების სამსახურთან. 2014 წლის 22 ოქტომბერს მან გაჩერებაზე დაინახა პიროვნება და დააზუსტა, ნამდვილად იყო თუ არა იგი ზ. დ-ა. ამის შემდეგ ა. კ-ა ნავიდა ბანკომატიდან ფულის ასაღებად. რამდენიმე წუთის

შემდეგ, გაჩერებაზე რომ დაბრუნდა, კვლავ დაინახა ზ. დ-ა, რომელიც საუბრობდა მობილური ტელეფონით. აცალა საუბრის დასრულება და შემდეგ ჰკითხა, რატომ თანამშრომლობდა რუსეთის უშიშროების სამსახურთან. ამის გაგონებაზე ზ. დ-მ მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაზეც ა. კ-მ დარტყმით უპასუხა. მოწმის განმარტებით, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა იყო ორმხრივი.

4. ლევან სამხარაულის სახელობის სამედიცინო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის № ... დასკვნით ზ. დ-ს დაუდგინდა ქალა-ტვინის დაზარალებული ტრავმა, თავის ტვინის შერყევა, დაზიანება მარცხენა თვალბუდის მიდამოში არსებული სისხლნაწლენთის სახით. დაზიანება განვითარებულია რაიმე მკვრივი-ბლავკი საგნის ზემოქმედებით და მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად.

5. შინაგან საქმეთა სამინისტროს ექსპერტიზის №...-/ტრ დასკვნით ზ. დ-სგან ამოღებული ჟილეტის ზედაპირზე არსებული დაზიანებები – გარღვევის და გახევის სახით წარმოქმნილია გამოგლეჯით, ფიზიკური ძალის ზემოქმედების შედეგად.

6. შინაგან საქმეთა სამინისტროს ექსპერტიზის №...-/სბ დასკვნით ზ. დ-ს სისხლის ნიმუში და ზ. დ-ს ჟილეტზე, ცხვირსახოცსა და შემთხვევის ადგილზე ამოღებულ ანანმენდებზე არსებული სისხლის ნიმუში მიეკუთვნება ერთსა და იმავე ჯგუფს.

7. CD დისკის დათვალიერების ოქმით დგინდება, რომ მასზე არსებულ ჩანაწერში ჩანს ... გამზირი, მინისქვეშა გადასასვლელის მიმდებარე ტერიტორია, კორპუსის თალი და ორი პიროვნება, რომელთაგან ერთი არის შედარებით მაღალი, ხოლო მეორე – დაბალი. დაბალი მაღალს მუშტებს ურტყამს ორივე ხელით, ხოლო გამვლელები ცდილობენ მათ გაშველებას.

8. ამოცნობის ოქმით დგინდება, რომ დაზარალებულ ზ. დ-ს წარედგინა ოთხი ფოტოსურათი; №3 ფოტოზე მან ამოიცნო ა. კ-ა და განმარტა, რომ 2014 წლის 22 ოქტომბერს სწორედ აღნიშნულმა პირმა მიაყენა სხეულის დაზიანება.

9. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ზ. დ-სთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს მსჯავრდებული ა. კ-ა არ უარყოფს. ამასთან, იგი არ ეთანხმება სასამართლოს მისი ქმედების სამართლებრივ შეფასებაში და მიაჩნია, რომ მას არ ჩაუდენია დევნა ზ. დ-ს მიმართ; მან ზ. დ-ს მხოლოდ მიყენებული სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო სცემა; შესაბამისად, მის ქმედებაში სახეზეა არა საქართველოს სსკ-ის 156-ე, არამედ – სსკ-ის 125-ე მუხლით გათვალისწინე-

ბული დანაშაულის ნიშნები.

10. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის აღნიშნულ განმარტებას და მიუთითებს, რომ საქართველოს სსკ-ის 156-ე მუხლი წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვის გარანტს და კრძალავს ადამიანის დევნას სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ასევე მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 156-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ქმედების შემადგენლობისთვის აუცილებელი არ არის ქმედებას ჰქონდეს მრავალჯერადი და განგრძობადი ხასიათი.

11. პალატას მიაჩნია, რომ დაზარალებულისა და თავად მსჯავრდებულ ა. კ.-ს ჩვენებებით დადასტურებულია, რომ ა. კ.-ს მხრიდან ზ. დ.-ს მიმართ გამოვლენილი აგრესიის მოტივი სწორედ ზ. დ.-ს საქმიანობა გახდა; მსჯავრდებულმა თავადვე განმარტა, რომ დაზარალებულის პიროვნება მიუღებელია მისთვის (ა. კ.-ს შეფასებით) რუსეთისადმი სიმპათიის გამო და რომ ზ. დ.-ს საზოგადოებრივი საქმიანობა მას უჩენდა ეჭვს, რომ იგი რუსეთის უშიშროების სამსახურთან თანამშრომლობდა. საკასაციო პალატას არაადაამჯერებლად მიაჩნია კასატორის განმარტება, რომ მას მხოლოდ დებატების გამართვა სურდა ზ. დ.-სთან, ვინაიდან პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ა. კ.-ს მიერ დასმული შეკითხვა თავისთავად იყო პროვოკაციული და ზ. დ.-ს მიმართ შემდგომი ძალადობრივი ქმედების განხორციელებისკენ იყო მიმართული, კერძოდ: ა. კ.-მ ზ. დ.-ს ის კი არ ჰკითხა, თანამშრომლობდა თუ არა ის რუსეთის სპეცსამსახურებთან, არამედ ის, თუ რატომ თანამშრომლობდა მათთან. შესაბამისად, ა. კ.-მ ფაქტობრივად ბრალი დასდო ზ. დ.-ს რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში და სწორედ ამ, მისთვის მიუღებელი საქციელის გამო მიაყენა მას ფიზიკური შეურაცხყოფა.

12. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულად მიაჩნია, რომ ა. კ.-მ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მისთვის ბრალდ შეურაცხული ქმედება, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის

301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. მსჯავრდებულ ა. კ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 15 მაისის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ

ქმედების გადაკვალიფიცირება სსვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისებიდან თაღლითობაზე

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

№339აპ-15

23 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**ზ. მეიშვილი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
მ. ოშხარელი**

განიხილა მსჯავრდებულ ფ. ს-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ პ. დ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 1 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების არსი:

1.1. 2012 წლის 16 ივლისს თვითმმართველ ქ. ფოთის საკრებულოსა და შპს „გ-ს“ შორის დაიდო №236 ხელშეკრულება ქ. ფოთში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესახებ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად ქ. ფოთის

ადგილობრივი ბიუჯეტიდან შპს „გ-ის“ ანგარიშზე შესრულებულ სამუშაოთა აქტების საფუძველზე გადაირიცხა თანხა, საიდანაც ფ. ს-ემ, როგორც შპს „გ-ის“ დირექტორმა, 2012 წლის 5 სექტემბრიდან 2012 წლის 11 ოქტომბრამდე პერიოდში ქ. ფოთში სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მიითვისა მის მართლზომიერ გამგებლობაში არსებული, თვითმმართველი ქ. ფოთის ადგილობრივი ბიუჯეტის კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხა – 19471,24 ლარი.

ფ. ს-ის აღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით.

1.2. 2012 წლის 12 სექტემბერს თვითმმართველ ქ. ფოთის საკრებულოსა და შპს „გ-ს“ შორის დაიდო №342 ხელშეკრულება ქ. ფოთში, – №-ში მდებარე სამხატვრო სკოლის სახურავის ლითონ-კრამიტის ფურცლებით კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესახებ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად ქ. ფოთის ადგილობრივი ბიუჯეტიდან შპს „გ-ის“ ანგარიშზე შესრულებულ სამუშაოთა აქტების საფუძველზე გადაირიცხა თანხა, საიდანაც ფ. ს-ემ, როგორც შპს „გ-ის“ დირექტორმა, 2012 წლის 12 ოქტომბერს ქ. ფოთში სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მიითვისა მის მართლზომიერ გამგებლობაში არსებული, თვითმმართველი ქ. ფოთის ადგილობრივი ბიუჯეტის კუთვნილი ფულადი თანხა – 391,32 ლარი, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ფ. ს-ის აღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით.

1.3. 2012 წლის 14 ნოემბერს თვითმმართველ ქ. ფოთის საკრებულოსა და შპს „გ-ს“ შორის დაიდო №394 ხელშეკრულება ქ. ფოთში საცხოვრებელი სახლების სახურავის ლითონ-კრამიტის ფურცლებით კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესახებ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად ქ. ფოთის ადგილობრივი ბიუჯეტიდან შპს „გ-ის“ ანგარიშზე შესრულებულ სამუშაოთა აქტების საფუძველზე გადაირიცხა თანხა, საიდანაც ფ. ს-ემ, როგორც შპს „გ-ის“ დირექტორმა, 2012 წლის 14 ნოემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მიითვისა მის მართლზომიერ გამგებლობაში არსებული, თვითმმართველი ქ. ფოთის ადგილობრივი ბიუჯეტის კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხა – 13466,59 ლარი.

ფ. ს-ის აღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირდა საქართვე-

ლოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით.

2. პირველი და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები:

2.1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 26 დეკემბრის განაჩენით ფ. ს-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებითა (ორი ეპიზოდი) და სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

საქმეზე არსებული ნივთმტკიცება – შპს „გ-ის“ საბუღალტრო დოკუმენტაცია (მოთავსებულიერთ ყუთში) უნდა დაუბრუნდეს ფ. ს-ეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

ფ. ს-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა. ასევე გაუქმდა საქართველოს სსსკ-ის 199-ე მუხლით გამოყენებული ღონისძიება და საქართველოს მოქალაქის პასპორტი უნდა დაუბრუნდეს ფ. ს-ეს.

2.2. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 26 დეკემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა, რომელმაც ითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და ფ. ს-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, (ორი ეპიზოდი) და სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

2.3. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 26 დეკემბრის განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 1 მაისის განაჩენით გაუქმდა. ფ. ს-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით – ჯარიმა 2000 ლარი; სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2012 წლის 5 სექტემბრიდან 2012 წლის 11 ოქტომბრამდე) – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2012 წლის 14 ნოემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე) – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ფ. ს-ეს შთანთქმის პრინციპის გამოყენებით სასჯელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ფ. ს-ეს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2014 წლის 21 მარტიდან 2014 წლის 16 აპრილის

ჩათვლით, ხოლო სასჯელის ვადა აეთვალა 2015 წლის 1 მაისიდან.

გაუქმდა ფ. ს-ის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაო და გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა – 10 000 ლარი – უნდა დაუბრუნდეს გირაოს შემტანს – ბ. შ-ეს განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში.

საქართველოს მოქალაქის პასპორტი საქმეზე საბოლოო განწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მსჯავრდებულ ფ. ს-ეს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

3. საკასაციო საჩივრის არსი:

3.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 1 მაისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ფ. ს-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა პ. დ-ემ, რომელიც საკასაციო საჩივარში უთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; იგი არ ეფუძნება გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ მტკიცებულებებს; არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ფ. ს-ის ქმედებებს და არასწორად დაკვალიფიცირდა ისინი სსკ-ის 182-ე მუხლით; სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საფინანსო-საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნა და მიიჩნია სარწმუნო მტკიცებულებად, იმ პირობებში, როდესაც ექსპერტიზის დასკვნის დანართში არის მთელი რიგი მნიშვნელოვანი უზუსტობები; სააპელაციო სასამართლომ ფ. ს-ის ქმედებას მისცა არასწორი სამართლებრივი შეფასება, აღნიშნული არ წარმოადგენს მითვისებას. ზემომითითებულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებას და ფ. ს-ის უდანაშაულოდ ცნობას ბრალდების სამივე ეპიზოდში.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ამასთან, ცვლილება უნდა შევიდეს გასაჩივრებულ განაჩენში, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია და სადავო არ არის, რომ ქ. ფოთის საკრებულოსა და შპს „გ-ს“ შორის დაიდო სამი ხელშეკრულება:

2012 წლის 16 ივლისის №236 ხელშეკრულება – ქ. ფოთში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის კაპიტალუ-

რი შეკეთების სამუშაოების შესახებ;

2012 წლის 12 სექტემბერის №342 ხელშეკრულება – ქ. ფოთში, – ქუჩის №-ში მდებარე სამხატვრო სკოლის სახურავის ლითონ-კრამიტის ფურცლებით კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესახებ;

2012 წლის 14 ნოემბერის №394 ხელშეკრულება – ქ. ფოთში საცხოვრებელი სახლების სახურავის ლითონ-კრამიტის ფურცლებით კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესახებ.

3. 2012 წლის 16 ივლისის №236, 2012 წლის 12 სექტემბერის №342 და 2012 წლის 14 ნოემბერის №394 ხელშეკრულებებით განისაზღვრა შესრულებული სამუშაოების დამკვეთისათვის ჩაბარებისა და ანგარიშსწორების პირობები, კერძოდ:

შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, შესრულებული სამუშაოს აქტი – ფორმა №2 და ფორმა №3) და სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;

ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად წარმოდგენილი სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების, სამუშაოს შესრულების ფორმების (ფორმა №2, ფორმა №3) საფუძველზე, აღნიშნული ფორმების შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ დამონმების შემდეგ 20 საბანკო დღის ვადაში, ხოლო საბოლოო გადახდა მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 საბანკო დღეში.

4. საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ შესრულებული სამუშაოს თაობაზე აქტების (ფორმა №2, ფორმა №3) დამკვეთისათვის წარდგენა ევალებოდა შემსრულებლის – შპს „გის“ დირექტორს ფ. ს-ეს და შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება უნდა მიეღო სწორედ ამ დოკუმენტებისა და ანგარიშ-ფაქტურების საფუძველზე. ფ. ს-ე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ფაქტობრივად ახორციელებდა და შესრულებული სამუშაოების თაობაზე დამკვეთს წარუდგენდა მის მიერ ხელმოწერილ შუალედურ აქტებს (ფორმა №2, ფორმა №3), რომელთა გადამოწმება (აზომვა) ევალებოდა დამკვეთის წარმომადგენელს ზედამხედველ – გ. მ-ას, თუმცა იგი გადამოწმებას ფაქტობრივად არ ახდენდა, რაც მან მოწმის სახით დაკითხვისასაც დაადასტურა. გ. მ-ამ განმარტა, რომ აზომვებს არ აწარმოებდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ფორმა №2-ში სწორი ინფორმაცია იყო შეტანილი და ამ ინფორმაციას აწვდიდა ფ. ს-ე.

5. სამშენებლო ტექნიკური საბუღალტრო ექსპერტიზის 04.02.2014 წლის №... დასკვნის თანახმად: №236 ხელშეკრულებით

ბის გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად შპს „გ-ის“ მიერ მოთხოვნილ იქნა 451627.80 ლარი. ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 432156.56 ლარი, ხოლო სხვაობამ – 19471.24 ლარი დღგ-ს ჩათვლით ნაკლებობით; №342 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად შპს „გ-ის“ მიერ მოთხოვნილ იქნა 24112.39 ლარი. ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 23721.07 ლარი, ხოლო სხვაობამ – 391.32 ლარი დღგ-ს ჩათვლით ნაკლებობით; №394 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად შპს „გ-ის“ მიერ მოთხოვნილ იქნა 147568.19 ლარი. ფაქტობრივად შესრულებულმა სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 134101.60 ლარი, ხოლო სხვაობამ – 13466.59 ლარი დღგ-ს ჩათვლით ნაკლებობით. სულ სხვაობამ ნაკლებობით დღგ-ს ჩათვლით შეადგინა 33329, 15 ლარი.

6. პირველი ინსტანციის სასამართლოში მონმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა ი. ბ-ემ სრულად დაადასტურა მის მიერ გაცემული დასკვნის სისწორე და განმარტა, რომ მან ჩაატარა დეტალური აზომვები, რათა გაეცა დასკვნა იმის თაობაზე, შეესაბამებოდა თუ არა ფორმა 2-ში შესრულებულად ნაჩვენები სამუშაოების მოცულობა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობას და ღირებულებას. აზომვების შედეგად დაადგინა, რომ ფორმა 2-ში გაზრდილი იყო ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობა. მონმემ განმარტა, რომ პირველი ექსპერტიზის დროს გაანგარიშებული არ ყოფილა ხარჯთაღრიცხვის ზევით – დამატებით შესრულებული სამუშაოები. მეორე ექსპერტიზის დროს აღნიშნული მონაცემები გათვალისწინებულ იქნა და ამიტომ გამოვლინდა პირველ ექსპერტიზასთან შედარებით ნაკლები სხვაობა.

7. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს კასატორის მითითებაზე, რომ ექსპერტიზის დასკვნა არ აკმაყოფილებს უტყუარობის სტანდარტს და ექსპერტიზის დასკვნის დანართში მითითებული მონაცემები არის საეჭვო, რის დასტურადაც უთითებს დასკვნის დანართის რამდენიმე გრაფაში არსებულ სავარაუდო უზუსტობას. პალატა, უპირველეს ყოვლისა, ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ მოცემულ საქმეზე შეუძლებელი იყო ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენა სათანადო დარგის ექსპერტის მონაწილეობის გარეშე, რის გამოც ჩატარდა შესაბამისი ექსპერტიზა. განმსაზღვრელია, რომ ექსპერტმა მონმის სახით დაკითხვისას დაადასტურა მის მიერ გაცემული დასკვნის სისწორე და განმარტა, რომ აზომვე-

ბი ჩაატარა 3-4 დღის განმავლობაში, შეადარა ფორმა №2-ში მითითებული მონაცემები ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოს, რითაც დაადგინა, რომ შესრულებულ სამუშაოებში რიგ შემთხვევებში მითითებული იყო მეტი შესრულება, ვიდრე რეალურად შესრულდა, რამაც, შესაბამისად, გამოიწვია ღირებულების გაზრდა. მან ასევე პასუხი გასცა აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნიდან გამომდინარე სადავო საკითხებზე წარმოშობილ შეკითხვებს. პალატას მიაჩნია, რომ არსებითი დარღვევა, რაც ექსპერტიზის დასკვნის სანდოობას ეჭვქვეშ დააყენებდა, მისი შინაარსიდან არ დასტურდება, ხოლო ამ საკითხზე კასატორის მხოლოდ მითითება ვერ გახდება სასამართლოს მიერ მის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი.

8. ამდენად, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ ფ. ს-ის მიერ ფორმა №2-სა და №3-ში არასწორი მონაცემების შეტანით – სამუშაოთა მოცულობების გაზრდით – მან №236 ხელშეკრულების ფარგლებში მიიღო 19471.24 ლარით მეტი, №342 ხელშეკრულებით – 391.32 ლარით მეტი, ხოლო №394 ხელშეკრულებით – 13466.59 ლარით მეტი თანხები, ვიდრე ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე, რეალურად ეკუთვნოდა.

9. საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას ქმედების კვალიფიკაციის თაობაზე და აღნიშნავს, რომ ქმედების მითვისებად დაკვალიფიცირებისათვის განმსაზღვრელია ის ფაქტი, რომ ქონება – ნივთი ან ქონებივი უფლება, რომლის მისაკუთრების მიზანიც აქვს დანაშაულის სუბიექტს, უნდა იმყოფებოდეს მის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში. აღნიშნულ ცნებაში მოიზრება, მაგალითად, ის ფაქტობრივი მდგომარეობა, როდესაც პირი სხვის თანხას ფლობს რაიმე კანონიერი საფუძველით ანუ სხვისი თანხა იმყოფება მის მართლზომიერ მფლობელობაში. მოცემულ შემთხვევაში ფ. ს-ის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში არ იმყოფებოდა თვითმმართველი ქ. ფოთის ბიუჯეტის კუთვნილი თანხები და მას (თანხას) სწორედ თავის მიერ წარდგენილი, ხელმოწერით დადასტურებული შუალედური აქტების (სამუშაოს შესრულების ფორმების – ფორმა №2, №3) საფუძველზე იღებდა. დადგენილია, რომ შესრულებული სამუშაოების მოცულობას ფაქტობრივად არ ამოწმებდა ზედამხედველი გ. მ-ა, რასაც ბოროტად იყენებდა ფ. ს-ე და აღნიშნულ აქტებში შეჰქონდა არასწორი (ყალბი) მონაცემები – გაზრდილი ჰქონდა შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა და ღირებულება. ფ. ს-ე დოკუმენტებში არასწორი მონაცემების შეტანით ფაქ-

ტობრივად,

მოტყუებით იღებდა იმაზე მეტ ანაზღაურებას, ვიდრე რეალურად ეკუთვნოდა. ამდენად, პალატას მიაჩნია, რომ სახეზე არ არის დანაშაულის – მითვისების შემადგენლობის ისეთი სავალდებულო ნიშანი, როგორცაა ნივთის ან ქონებრივი უფლების არსებობა მიმთვისებლის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში, რაც გამორიცხავს სამივე ეპიზოდში ფ. ს-ის ქმედებების დაკვალიფიცირებას სსკ-ის 182-ე მუხლით.

10. პალატა აღნიშნავს, რომ კანონმდებლის მიერ კრიმინალიზებულია თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით. აღნიშნული დანაშაული მითვისებისაგან იმით განსხვავდება, რომ თაღლითობის შემთხვევაში ქმედების განმასხვრცილებელი პირი სხვის ნივთს ეუფლება მოტყუებით ანუ ეს ნივთი სწორედ მოტყუების შედეგად გადადის დამნაშავის ხელში, განსხვავებით მითვისებისაგან, სადაც ნივთი უკვე იმყოფება მიმთვისებლის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში და იგი მართლსაწინააღმდეგოდ ითვისებს მას. თაღლითობის სპეციფიკა იმაში გამოიხატება, რომ ფაქტობრივად, ქონების გადაცემა დამნაშავისათვის ხდება ნებაყოფლობით, თვით მესაკუთრის მიერ, რომელიც შეცდომაშია შეყვანილი მოტყუებით – ქეშმარიტების განზრახ დამახინჯებით, არასწორი ინფორმაციის მიწოდებით. მოტყუება, თავის მხრივ, შეიძლება გამოიხატოს დოკუმენტში მცდარი (ყალბი) მონაცემების შეტანით და მისი მესაკუთრისათვის წარდგენით, რაც ერთი შეხედვით, ქმნის კანონიერ საფუძველს ქონების გადასაცემად, თუმცა რეალურად ემსახურება მისი მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების მიზანს. მოცემულ შემთხვევაში ფ. ს-ემ იცოდა, რომ ზედამხედველი არ ამონებდა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობას, ფორმა №2-სა და №3-ში არსებული ინფორმაციის სისწორეს, ბოროტად სარგებლობდა ამ გარემოებით და მოტყუებით – აღნიშნულ დოკუმენტებში არასწორი ინფორმაციის შეტანითა და დამკვეთისათვის წარდგენით – იღებდა თვითმმართველი ქ. ფოთის ბიუჯეტის კუთვნილ იმაზე მეტ თანხებს, რაც ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე, ეკუთვნოდა. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ფ. ს-ის ქმედება წარმოადგენს სხვისი – თვითმმართველი ქ. ფოთის ბიუჯეტის თანხების მოტყუებით მიღებას, რაც მან მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა – სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს (სამი ეპიზოდი), რამაც ერთ ეპიზოდში მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ხოლო ორ ეპიზოდში – დიდი ოდენობით თან-

ხის დაუფლება.

11. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 1 მაისის განაჩენი უნდა შეიცვალოს:

ფ. ს-ის ქმედება, დაკვალიფიცირებული სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, ხოლო ამ ეპიზოდში დანიშნული სასჯელი – ჯარიმა 2000 ლარი – უნდა დარჩეს უცვლელად. რაც შეეხება სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტს – ქმედების ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით – ვინაიდან მისი გადაკვალიფიცირება სსკ-ის 180-ე მუხლის შესაბამის პუნქტზე გამოინვევს ფ. ს-ის მსჯავრდების დამძიმებას, რაც მოცემულ შემთხვევაში დაუშვებელია, იგი ამ ნაწილში უნდა გამართლდეს.

ფ. ს-ის ქმედება, დაკვალიფიცირებული სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2012 წლის 5 სექტემბრიდან 2012 წლის 11 ოქტომბრამდე), უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე და ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების, მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, სასჯელად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით. რაც შეეხება სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტს – ქმედების ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ვინაიდან მისი გადაკვალიფიცირება სსკ-ის 180-ე მუხლის შესაბამის პუნქტზე გამოინვევს ფ. ს-ის მსჯავრდების დამძიმებას, რაც მოცემულ შემთხვევაში დაუშვებელია, იგი ამ ნაწილში უნდა გამართლდეს.

ფ. ს-ის ქმედება, დაკვალიფიცირებული სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2012 წლის 14 ნოემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე), უნდა გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე და ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების, მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით სასჯელად უნდა განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. რაც შეეხება სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტს – ქმედების ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით – ვინაიდან მისი გადაკვალიფიცირება სსკ-ის 180-ე მუხლის შესაბამის პუნქტზე გამოინვევს ფ. ს-ის მსჯავრდების დამძიმებას, რაც მოცემულ შემთხვევაში დაუშვებელია, იგი ამ ნაწილში უნდა გამართლდეს.

ფ. ს-ის დანაშაულთა ერთობლიობით, სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასჯელი უნდა განესაზღვროს შთანთქმის პრინციპის გამოყენებით და საბოლოო სასჯელად უნდა

განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

12. საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულება – შპს „გ-ის“ საბუღალტრო დოკუმენტაცია უნდა დაერთოს საქმეს და შენახულ იქნეს მისი შენახვის ვადით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ფ. ს-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ პ. დი-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ცვლილება შევიდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 1 მაისის განაჩენში:

– ფ. ს-ე გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნაწილში (სამი ეპიზოდი).

– ფ. სი-ის ქმედება, დაკვალიფიცირებული სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (სამხატვრო სკოლის ეპიზოდი), გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე. ამ ეპიზოდში დანიშნული სასჯელი – ჯარიმა 2000 ლარი – დარჩეს უცვლელად.

– ფ. ს-ის ქმედება, დაკვალიფიცირებული სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2012 წლის 5 სექტემბრიდან 2012 წლის 11 ოქტომბრამდე), გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, რისთვისაც სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით.

– ფ. ს-ის ქმედება, დაკვალიფიცირებული სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2012 წლის 14 ნოემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე), გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე, რისთვისაც სასჯელად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მძიმე სასჯელმა – 6 წლით თავისუფლების აღკვეთამ – შთანთქას სხვა, ნაკლებად მკაცრი სასჯელები და ფ. ს-ეს საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

3. ფ. ს-ეს სასჯელის ვადა აეთვალოს 2015 წლის 1 მაისიდან, ხოლო სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს პატიმრობაში ყოფ-

ნის დრო – 2014 წლის 6 აპრილიდან 2014 წლის 16 აპრილის ჩათვლით.

4. საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულება – შპს „გ-ს“ საბუღალტრო დოკუმენტაცია დაერთოს საქმეს და შენახულ იქნეს მისი შენახვის ვადით.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 1 მაისის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

დიდი ოლქით სსპის ნივთის ან ქონებრივი უზღავის მართლსაწინააღმდეგო მითვისება ან გაზღანგვა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და თაღლითობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოლქით

განაჩენი

№332აპ-15

18 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

პ. სილაგაძე,

ზ. მეიშვილი

განიხილა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორის – დავით ლეპერტის, მსჯავრდებულ ბ. ჭ-ა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. დ-ს, მსჯავრდებულების – ლ. ბ-ს, ზ. ჯ-ს, ნ. კ-ს, ბ. ჭ-ა და მათი ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. ხ-ს, მსჯავრდებულ ზ. ჯ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ტ. კ-ს, მსჯავრდებულ ნ. კ-ა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. კ-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 27 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. პირის ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით:

2. ზ. ჯ-ს ბრალი დაედო საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის

მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 25,341-ე მუხლით, რაც გამოიხატა შემდეგში:

3. 2010 წლის 21 ივნისს ზ. ჯ-ა დაინიშნა ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლად და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე – 6 მუხლის საფუძველზე წარმოადგენდა მოხელეს. 2010 წლის იანვარში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს საგამოძიებო ჯგუფის მიერ ი-ს რეგიონალური სატყეო სამმართველოს ხ-ს № 5 – 2 – 4 სატყეო უბანში ხე – ტყის უკანონოდ ჭრისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა ხ-ს რაიონის სოფელ გ-ი მცხოვრები ნ. კ-ე, ხოლო სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროდ შესრულებისათვის – ი-ს რეგიონალური სატყეო სამმართველოს ხ-ს № 5 – 2 – 4 სატყეო უბნის რეინჯერი მ. ლ-ე. მათვე დაეკისრათ გარემოსთვის მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება. 2010 წლის 26 ივლისს სსიპ „ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ №... ბრძანებით, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობას, მისივე შუამდგომლობის საფუძველზე, უსასყიდლოდ გადაეცა ხ-ს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (სოფლები – გ-ი და კ-ა) სხვადასხვა დროს უკანონოდ მოჭრილი და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული 28884.45 ლარის ღირებულების 213.662 მ3 სამასალე და საშეშე მერქანი; მათ შორის უშუალოდ ნ. კ-ს ჩამორთმეული – 69.417მ³. ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2010 წლის 9 აგვისტოს №499-ე და 27 სექტემბრის №556-ე ბრძანებებით, უსასყიდლოდ გადაცემული მერქანი აღებულ იქნა გამგეობის ბალანსზე, რითაც აღნიშნული ქონება მიექცა ზ. ჯ-ს მართლზომიერ გამგებლობაში. 2010 წლის 25 აგვისტოს ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს №29 განკარგულებით, ზ. ჯ-ს კომისიური წესით დაევალა სამასალე და საშეშე მერქნის ხ-ს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, სტიქიის შედეგად დაზარალებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი, მრავალშვილიანი და ეკონომიკურად უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის უსასყიდლოდ გადაცემა. 2010 წლის 3 სექტემბერს, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის ზ. ჯ-ს №532-ე ბრძანებით, სამასალე და საშეშე მერქნის მოქალაქეებისათვის გადაცემაზე გადანყვეტილების მიმღებ კომისიასთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი გამგებლის მოადგილის – ბ. ჭ-ს ხელმძღვანელობით, რომელსაც უშუალოდ დაევალა სამასალე და საშეშე მერქნის გაცემის ორგანიზება და ზუსტი აღრიცხვა, ხოლო ბრძანების შესრულებაზე კონტროლი კი პირადად დაევალა

ზ. ჯ-მ. ლ. ბ-ს ორგანიზებით, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებელ-
მა – ზ. ჯ-მ, მოადგილე – ბ. ჭ-ნ შეთანხმებით, ხ-ს რაიონის სო-
ფელ გ-ი მცხოვრები, ამავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
ხე – ტყის უკანონოდ ჭრისათვის სისხლის სამართლის პასუხის-
გებაში მიცემულ ნ. კ-ს მატერიალური სარგებლისა და უპირა-
ტესობის მისანიჭებლად, შეიმუშავა დანაშაულებრივი სქემა,
რომლის თანახმად, მათ მართლზომიერ გამგებლობაში არსე-
ბული მერქანი, ნაცვლად საკრებულოს დადგენილებით განსაზ-
ღვრული მოსახლეობისა, უსასყიდლოდ გადაეცემოდა ამავე მუ-
ნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ხის გადამამუშავებელ
საამქროებს, რომელთა ხელმძღვანელები მიღებული მერქნის
საბაზრო ღირებულების თანხას გადასცემდნენ ნ. კ-ს, რომე-
ლიც, თავის მხრივ, მიღებული თანხით შეძლებდა როგორც მი-
სი, ასევე მ. ლ-ს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად გარემოს-
თვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. დანაშაულის შენიღ-
ბვისა და კვალის დაფარვის მიზნით, უნდა შემდგარიყო ყალბი
დოკუმენტაცია, თითქოსდა ზემოაღნიშნული მერქნის გაჭირ-
ვებულ მოსახლეობაზე მიღება – ჩაბარების აქტებით გადაცე-
მისა და შემდგომში ამ მოქალაქეების მიერ მერქნის ხის გადა-
მამუშავებელ საამქროებზე მიყიდვის შესახებ. 2010 წლის 7, 23
სექტემბერსა და 13 ოქტომბერს ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგე-
ობამ მიიღო გადაწყვეტილება ეკონომიკურად გაჭირვებული 40
მოქალაქისათვის საშუამო და სამასალე მერქნის უსასყიდლოდ
გაცემის შესახებ, რომელთაგან მოქალაქეებს – 1. დ. ბ-ს; 2. გ. გ-
ს; 3. დ. ა-ს; 4. ე. ჩ-ს; 5. ნ. ჩ-ს; 6. დ. კ-ს; 7. ნ. მ-ს; 8. ს. უ-ს; 9. ზ. გ-
ს; 10. ა. თ-ს; 11. ო. ტ-ს; 12. ბ. ჩ-ს; 13. ნ. გ-ს; 14. ზ. ბ-ს; 15. ზ. ლ-ს;
16. გ. კ-ს; 17. ზ. ჩ-ს; 18. ჟ. უ-ს; 19. შ. კ-ს; 20. ე. კ-ს; 21. გ. ჯ-ს; 22.
დ. მ-ს; 23. მ. მ-ს; 24. ე. რ-ს; 25. ა. ქ-ს; 26. გ. დ-ს; 27. ლ. ჯ-ს; 28. ნ.
ქ-ა და 29. კ. ა-ს ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან არც საშუ-
ამო და არც სამასალე მერქანი არ მიუღიათ. ზ. ჯ-მ იცოდა რა,
რომ ზემოაღნიშნულ მოქალაქეებს რეალურად არ ჰქონდათ მი-
ღებული მერქანი და წინასწარი შეთანხმების შესაბამისად ვერც
მიიღებდნენ, ნ. კ-ს უკანონოდ გადაცემული მერქნის სახერხ
საამქროში ჩაბარების პროცესის გასაადვილებლად, ხელი მოა-
წერა 29 მოქალაქის სახელზე შედგენილ, არასწორი მონაცემე-
ბის შემცველ ოფიციალურ დოკუმენტს – ცნობებს, რომლებიც
მოქალაქეების ნაცვლად გადაეცა ნ. კ-ს. ზემოაღნიშნული ცნო-
ბებისა და მიღება – ჩაბარების აქტებით, ნ. კ-ე უკანონოდ დაე-
უფლა მოქალაქეებზე განერილ 149,299 მ³ საშუამო და სამასალე
მერქანს, რომელიც მან მიიტანა ხ-ი, ბ-ს №... – ში მდებარე ი/მ
„ხ. თ-ა“ და ხ-ს რაიონის სოფელ ი-ი მდებარე ი/მ „ვ. ქ-ს“ – სა-

ხერხ საამქროებში, რის სანაცვლოდ ნ. კ-მ ხელზე მიიღო მერქნის საბაზრო ღირებულების თანხა. ზ. ჯ-ს ზემოაღნიშნული მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, გაიფლანგა ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული დიდი ოდენობით – 20420,69 ლარის ქონება, რითაც არსებითად შეილახა როგორც მოქალაქეთა, ასევე სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი. ზ. ჯ-მ დანაშაულის შენიღბვისა და კვალის დაფარვის მიზნით, ლ. ბ-ს ორგანიზებით, წააქეზა და დაიყოლია სამასალე და საშეშე მერქნის მოქალაქისათვის გადაცემაზე გადანყვეტილების მიმღებ კომისიასთან არსებული სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი – გამგებლის მოადგილე ბ. ჭ-ე სამსახურებრივი სიყალბის ჩასადენად, კერძოდ: ზ. ჯ-ს დავალებით, ბ. ჭ-მ მოამზადა სამასალე და საშეშე მერქნის გაცემის დამადასტურებელი 30 ყალბი მიღება – ჩაბარების აქტი შემდეგი მოქალაქეების: – დ. ბ-ს – 07.09.2010წ., გ.გ-ს – 07.09.2010წ., დ. ა-ს – 23.09.2010წ., ე. ჩ-ს – 23.09.2010წ., ნ. ჩ-ს – 23.09.2010წ., დ. კ-ს – 13.10.2010წ., ნ. მ-ს – 23.09.2010წ., ს. უ-ს – 07.09.2010წ., ზ. გ-ს – 07.09.2010წ., ა. უ-ს – 13.10.2010წ., ო. ტ-ს 13.10.2010წ., ბ. ჩ-ს – 13.10.2010წ., ე. ლ-ს – 13.10.2010წ., ნ. გ-ს – 23.09.2010წ., ზ. ბ-ს – 23.09.2010წ., ზ. ლ-ს – 13.10.2010წ., გ. კ-ს 23.09.2010წ., ზ. ჩ-ს – 23.09.2010წ., ჟ. უ-ს – 13.10.2010წ., შ. კ-ს – 23.09.2010წ., ქ. კ-ს – 23.09.2010წ., გ. ჯ-ს – 23.09.2010წ., დ. მ-ს – 23.09.2010წ., მ. მ-ს – 07.09.2010წ., ე. რ-ს – 23.09.2010წ., ა. ქ-ს – 07.09.2010წ., გ. დ-ს – 23.09.2010წ., ლ. ჯ-ს – 07.09.2010წ., ნ. ქ-ა – 07.09.2010წ. და კ. ა-ს – 23.09.2010წ. სახელზე. აღნიშნულ აქტებში პირადი მოტივით ბ. ჭ-მ შეიტანა ასევე ყალბი მონაცემები, თითქოსდა მათზე სამასალე და საშეშე მერქნის გაცემის თაობაზე. ზემოაღნიშნული ყალბი მიღება – ჩაბარების აქტები სამასალე და საშეშე მერქნის მოქალაქეთათვის გადაცემაზე გადანყვეტილების მიმღებ კომისიასთან არსებული სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა ბ. ჭ-მ ხელმოწერებით დაადასტურებინა ამავე სამუშაო ჯგუფის წევრებს – დ. ბ-ს, ი. ჯ-ს, ზ. მ-ა და ლ. კ-ს.

4. ბ. ჭ-ს ბრალი დაედო საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 341-ე მუხლით, რაც გამოიხატა შემდეგში:

5. 2010 წლის 22 ივნისს ბ. ჭ-ე დაინიშნა ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე წარმოადგენდა მოხელეს. 2010 წლის იანვარში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საგამოძიე-

ბო დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს საგამოძიებო ჯგუფის მიერ ი-ს რეგიონალური სატყეო სამმართველოს ხ-ს № 5 - 2 - 4 სატყეო უბანში ხე - ტყის უკანონოდ ჭრისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა ხ-ს რაიონის სოფელ გ-ი მცხოვრები ნ. კ-ე, ხოლო სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისათვის - ი-ს რეგიონალური სატყეო სამმართველოს ხ-ს № 5 - 2 - 4 სატყეო უბნის რეინჯერი მ. ლ-ე. მათვე დაეკისრათ გარემოსთვის მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება. 2010 წლის 26 ივლისს სსიპ „ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ №... ბრძანებით, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობას, მისივე შუამდგომლობის საფუძველზე, უსასყიდლოდ გადაეცა ხ-ს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (სოფლები - გ-ი და კ-ა) სხვადასხვა დროს უკანონოდ მოჭრილი და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული 28884.45 ლარის ღირებულების 213,662 მ³ სამასალე და საშეშე მერქანი; მათ შორის უშუალოდ ნ. კ-ს ჩამორთმეული - 69.417მ³. ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2010 წლის 9 აგვისტოს №... და 27 სექტემბრის №... ბრძანებებით უსასყიდლოდ გადაცემული მერქანი აღებულ იქნა გამგეობის ბალანსზე. 2010 წლის 25 აგვისტოს ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს №... განკარგულებით, ზ. ჯ-ს კომისიური წესით დაევალა სამასალე და საშეშე მერქნის ხ-ს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, სტიქიის შედეგად დაზარალებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი, მრავალშვილიანი და ეკონომიკურად უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის უსასყიდლოდ გადაცემა. 2010 წლის 3 სექტემბერს ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის - ზ. ჯ-ს № 532-ე ბრძანებით სამასალე და საშეშე მერქნის მოქალაქეებისათვის გადაცემაზე გადაწყვეტილების მიმღებ კომისიასთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი გამგებლის მოადგილის - ბ. ჭ-ს ხელმძღვანელობით, რომელსაც უშუალოდ დაევალა სამასალე და საშეშე მერქნის გაცემის ორგანიზება და ზუსტი აღრიცხვა, ხოლო ბრძანების შესრულებაზე კონტროლი კი პირადად დაევალა ზ. ჯ-მ. ლ. ბ-ს ორგანიზებით, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ - ბ. ჭ-მ, გამგებელ ზ. ჯ-ს წინასწარი შეთანხმებით, ხ-ს რაიონის სოფელ გ-ი მცხოვრებ, ამავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხე - ტყის უკანონოდ ჭრისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ ნ. კ-ს მატერიალური სარგებლისა და უპირატესობის მისანიჭებლად, შეიმუშავა დანაშაულებრივი სქემა, რომლის თანახმად, მათ მართლზომიერ გამგებლობაში არსებული მერქანი, ნაცვლად საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული მოსახლეობისა, უსასყიდლოდ გადაეცემოდა

ამავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ხის გადამამუშავებელ საამქროებს, რომელთა ხელმძღვანელები მიღებული მერქნის საბაზრო ღირებულების თანხას გადასცემდნენ ნ. კ-ს, რომელიც, თავის მხრივ, მიღებული თანხით შეძლებდა როგორც მისი, ასევე მ. ლ-ს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. დანაშაულის შენიღბვისა და კვალის დაფარვის მიზნით, უნდა შემდგარიყო ყალბი დოკუმენტაცია, თითქოსდა ზემოაღნიშნული მერქნის გაჭირვებულ მოსახლეობაზე მიღება – ჩაბარების აქტებით გადაცემისა და შემდგომში ამ მოქალაქეების მიერ მერქნის ხის გადამამუშავებელი საამქროებისთვის მიყიდვის შესახებ. ასევე, 2010 წლის 7, 23 სექტემბერსა და 13 ოქტომბერს ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება ეკონომიკურად გაჭირვებული 40 მოქალაქისათვის საშუალო და სამასალე მერქნის უსასყიდლოდ გაცემის შესახებ, რომელთაგან მოქალაქეებს – 1. დ. ბ-ს; 2. გ. გ-ს; 3. დ. ა-ს; 4. ე. ჩ-ს; 5. ნ. ჩ-ს; 6. დ. კ-ს; 7. ნ. მ-ს; 8. ს. უ-ს; 9. ზ. გ-ს; 10. ა. უ-ს; 11. ო. ტ-ს; 12. ბ. ჩ-ს; 13. ნ. გ-ს; 14. ზ. ბ-ს; 15. ზ. ლ-ს; 16. გ. კ-ს; 17. ზ. ჩ-ს; 18. თ. უ-ს; 19. შ. კ-ს; 20. ქ. კ-ს; 21. გ. ჯ-ს; 22. დ. მ-ს; 23. მ. მ-ს; 24. ე. რ-ს; 25. ა. ქ-ს; 26. გ. დ-ს; 27. ლ. ჯ-ს; 28. ნ. ქ-ს და 29. კ. ა-ს ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან არც საშუალო და არც სამასალე მერქანი არ მიუღიათ. ზ. ჯ-მ იცოდა რა, რომ ზემოაღნიშნულ მოქალაქეებს რეალურად არ ჰქონდათ მიღებული მერქანი და წინასწარი შეთანხმების შესაბამისად ვერც მიიღებდნენ, ნ. კ-ს უკანონოდ გადაცემული მერქნის სახერხ საამქროში ჩაბარების პროცესის გასაადვილებლად ხელი მოაწერა 29 მოქალაქის სახელზე შედგენილ, არასწორი მონაცემების შემცველ ოფიციალურ დოკუმენტს – ცნობებს, რომლებიც მოქალაქეების ნაცვლად გადაეცა ნ. კ-ს. თავის მხრივ, ბ. ჭ-მ, როგორც დანაშაულებრივი ჯგუფის წევრმა, წინასწარ მოაწერინა ხელი მოქალაქეებს მერქნის მიღება – ჩაბარების აქტებზე. ზემოაღნიშნული ცნობებისა და მიღება – ჩაბარების აქტებით ნ. კ-ე უკანონოდ დაეუფლა მოქალაქეებზე განერიღ 149.299 მ3 საშუალო და სამასალე მერქანს, რომელიც მან მიიტანა ხ-ი, ბ-ს №...-ში მდებარე ი/მ „ხ. თ-ა“ და ხ-ს რაიონის სოფელ ი-ი მდებარე ი/მ „ვ. ქ-ს“ – სახერხ საამქროებში, რის სანაცვლოდ ნ. კ-მ ხელზე მიიღო მერქნის საბაზრო ღირებულების თანხა. ბ. ჭ-ს ზემოაღნიშნული მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გაიფლანგა ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული დიდი ოდენობით – 20420,69 ლარის ქონება, რითაც არსებითად შეილახა როგორც მოქალაქეთა, ასევე სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი. ბ. ჭ-მ დანაშაულის შენიღბვისა და

კვალის დაფარვის მიზნით, ზ. ჯ-ს დავალებითა და ლ. ბ-ს ორგანიზებით, ჩაიღინა სამსახურებრივი სიყალბე, კერძოდ: ბ. ჭ-ს მიერ მომზადდა სამასალე და საშუაშე მერქნის გაცემის დამადასტურებელი 30 ყალბი მიღება – ჩაბარების აქტი შემდეგი მოქალაქეების: – დ. ბ-ს – 07.09.2010წ., გ. გ-ს – 07.09.2010წ., დ. ა-ს – 23.09.2010წ., ე. ჩ-ს – 23.09.2010წ., ნ. ჩ-ს – 23.09.2010წ., დ. კ-ს – 13.10.2010წ., ნ. მ-ს – 23.09.2010წ., ს. უ-ს – 07.09.2010წ., ზ. გ-ს – 07.09.2010წ., ა. უ-ს – 13.10.2010წ., ო. ტ-ს 13.10.2010წ., ბ. ჩ-ს – 13.10.2010წ., ე. ლ-ს – 13.10.2010 წ., ნ. გ-ს – 23.09.2010წ., ზ. ბ-ს – 23.09.2010წ., ზ. ლ-ს – 13.10.2010წ., გ. კ-ს 23.09.2010წ., ზ. ჩ-ს – 23.09.2010წ., ჟ. უ-ს – 13.10.2010წ., შ. კ-ს – 23.09.2010წ., ქ. კ-ს – 23.09.2010წ., გ. ჯ-ს – 23.09.2010წ., დ. მ-ს – 23.09.2010წ., მ. მ-ს – 07.09.2010წ., ე. რ-ს – 23.09.2010წ., ა. ქ-ს – 07.09.2010წ., გ. დ-ს – 23.09.2010წ., ლ. ჯ-ს – 07.09.2010წ., ნ. ქ-ს – 07.09.2010წ. და კ. ა-ს – 23.09.2010წ. სახელზე. აღნიშნულ აქტებში პირადი მოტივით ბ. ჭ-მ შეიტანა ასევე ყალბი მონაცემები, თითქოსდა მათზე სამასალე და საშუაშე მერქნის გაცემის თაობაზე. ზემოაღნიშნული ყალბი მიღება – ჩაბარების აქტები – სამასალე და საშუაშე მერქნის მოქალაქეთათვის გადაცემაზე გადაწყვეტილების მიღებ კომისიასთან არსებული სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა ბ. ჭ-მ ხელმოწერებით დაადასტურებინა ამავე სამუშაო ჯგუფის წევრებს – დ. ბ-ს, ი.ჯ-ს, ზ. მ-ა და ლ. კ-ს.

6. ნ. კ-ს ბრალი დაედო საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 25,341-ე მუხლითა და 25,332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც გამოიხატა შემდეგში:

7. 2010 წლის იანვარში ი-ს რეგიონალური სატყეო სამმართველოს ხ-ს №5 – 2 – 4 სატყეო უბანში ხე – ტყის უკანონოდ ჭრისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა ხ-ს რაიონის სოფელ გ-ი მცხოვრები ნ. კ-ე, ხოლო სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროდ შესრულებისათვის – ი-ს რეგიონალური სატყეო სამმართველოს ხ-ს № 5 – 2 – 4 სატყეო უბნის რეინჯერი მ. ლ-ე; მათვე დაეკისრათ გარემოსთვის მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება. 2010 წლის 26 ივლისს ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობას, მისივე შუამდგომლობის საფუძველზე, უსასყიდლოდ გადაეცა ამავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (სოფლები – გ-ი და კ-ა) სხვადასხვა დროს უკანონოდ მოჭრილი და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული 28884.45 ლარის ღირებულების 213.662 მ3 სამასალე და საშუაშე მერქანი; მათ შორის უშუალოდ ნ. კ-ს ჩამორთმეული – 69.417 მ3. ნ. კ-ს დაკისრებული ჰქონდა რა გარემოსათვის მიყენებული ზიანის ანაზ-

ლაურება, განიზრახა, თაღლითურად დაუფლებოდა ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხულ, მათ შორის მისთვის სასამართლოს გადანყვეტილებით ჩამორთმეულ სამასალე და საშეშე მერქანს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ნ. კ-ე დაუკავშირდა ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს და ახლო მეგობარს – ლ. ბ-ს და თხოვა დახმარება ზემოაღნიშნული ქონების თაღლითურად დაუფლებაში, რაზედაც ეს უკანასკნელი დათანხმდა. ლ. ბ-მ, ნ. კ-ს მატერიალური სარგებლის მისაღებად, დაგეგმა და ორგანიზება გაუკეთა როგორც ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა მიერ სამასალე და საშეშე მერქნის გაფლანგვას, ასევე ნ. კ-ს მიერ მათ უკანონოდ დაუფლებას.

8. ნ. კ-ს ცნობილი იყო, რომ 2010 წლის 25 აგვისტოს ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს №... განკარგულების შესაბამისად, სამასალე და საშეშე მერქანი უსასყიდლოდ უნდა გადასცემოდა ხ-ს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, სტიქიის შედეგად დაზარალებულ, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ, მრავალშვილიან და ეკონომიკურად უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს, რის გამოც მერქნის თაღლითურად დასაუფლებლად ნ. კ-მ თავისი ახლობლებისა და ლ. ბ-ს უშუალო ხელშეწყობით შეაჩრია ის პირები, რომლებიც თავიანთი სოციალური სტატუსით მეტ – ნაკლებად შეესაბამებოდნენ მერქნის უსასყიდლოდ გაცემისათვის დადგენილ კრიტერიუმებს და რომლებზედაც მოხდა მერქნის ფიქტიური განერა, კერძოდ, მოქალაქეებს – 1. დ. ბ-ს; 2. გ. გ-ს; 3. დ. ა-ს; 4. ე. ჩ-ს; 5. ნ. ჩ-ს; 6. დ. კ-ს; 7. ნ. მ-ს; 8. ს. უ-ს; 9. ზ. გ-ს; 10. ა. უ-ს; 11. ო. ტ-ს; 12. ბ. ჩ-ს; 13. ნ. გ-ს; 14. ზ. ბ-ს; 15. ზ. ლ-ს; 16. გ. კ-ს; 17. ზ. ჩ-ს; 18. ჟ. უ-ს; 19. შ. კ-ს; 20. ქ. კ-ს; 21. გ. ჯ-ს, 22. დ. მ-ს, 23. მ. მ-ს, 24. ე. რ-ს, 25. ა. ქ-ს; 26. გ. დ-ს; 27. ლ. ჯ-ს; 28. ნ. ქ-ა და 29. კ. ა-ს არც სამასალე და არც საშეშე მერქანი არ მიუღიათ, ხოლო ზემოხსენებულ პირებზე განერილი მერქანი გადაეცა უშუალოდ ნ. კ-ს. ნ. კ-ს დანაშაულის ჩადენაში აქტიურად ეხმარებოდნენ კ-ს თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული – ი. ჯ-ი და გ-ს თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული – დ. ბ-ე. მათთან ნ. კ-ს ჰქონდა სატელეფონო კავშირი, რა დროსაც ერთმანეთთან აზუსტებდნენ ყალბი დოკუმენტაციის შედგენისა და მერქნის განკარგვასთან დაკავშირებულ საკითხებს. ნ. კ-ს თაღლითობაში დასახმარებლად და უკანონოდ დაუფლებული სამასალე და საშეშე მერქნის დაუბრკოლებლად რეალიზაციისათვის ლ. ბ-მ დაიბარა ხ-ს რაიონის სოფელ ი-ი მდებარე ხის გადამამუშავებელი საამქროს მესაკუთრე – ვ. ქ-ე და დაიყოლია, რათა მას ნ. კ-ნ

ყალბი დოკუმენტებით შეეცადა სამასალე და საშეშე მერქანი, რომლის საბაზრო ღირებულების თანხა, ნაცვლად გაყალბებულ დოკუმენტებში მითითებული შეჭირვებული მოქალაქეებისა, პირადად გადაეცა ნ. კ-ს. თავის მხრივ, ვ. ქ-მ ნ. კ-ს ყალბი დოკუმენტებით ხის დამამუშავებელ საამქროში მერქნის ჩაბარების გასაადვილებლად გამოუყო ამავე საამქროს თანამშრომელი ბ. ბ-ე. აღნიშნულის შემდეგ, ნ. კ-ე და ბ. ბ-ე მობილური ტელეფონის მეშვეობით სისტემატურად უკავშირდებოდნენ ერთმანეთს და ათანხმებდნენ მერქნის მიღებისათვის ფიქტიურად შერჩეულ მოქალაქეებს, განცხადების ტექსტს და სამართალდამცავ ორგანოთა მხრიდან კითხვების გაჩენის შემთხვევაში – დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებისათვის სასურველი პასუხების გასაცემად მოქალაქეთა წინასწარ გაფრთხილების მექანიზმს. ნ. კ-მ, ლ. ბ-ს დახმარებით, ვ. ქ-მ თანხმობის მიღების შემდეგ, უკანონოდ დაუფლებული მერქანი მიიტანა ხ-ი, ბ-ს №... – ში მდებარე ი/მ „ხ. თ-ა“ და ხ-ს რაიონის სოფელ ი-ი მდებარე ი/მ „ვ. ქ-ს“ სახერხ საამქროებში, რის სანაცვლოდ ნ. კ-მ ხელზე მიიღო მერქნის საბაზრო ღირებულების თანხა. მთლიანობაში ნ. კ-ე ყალბი მიღება – ჩაბარების აქტების გამოყენებით, თაღლითურად დაუფლდა ხ-ს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ, უკიდურესად შეჭირვებული მოქალაქეებისათვის განკუთვნილ 20420,69 ლარად ღირებულ 149.299 მ³ საშეშე და სამასალე მერქანს. ნ. კ-ს დანაშაულებრივი ქმედებით არსებითად შეილახა როგორც მოქალაქეთა, ასევე სახელმწიფოს კანონიერი ინტერესები. ნ. კ-მ, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მიზნით, ნააქეზა და დაიყოლია კ-ს თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული – ი. ჯ-ი და გ-ს თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული – დ. ბ-ე, კერძოდ, დ. ბ-ა და ი. ჯ-ს წინასწარ ცნობილი იყო, რომ ნ. კ-ს არ გააჩნდა სამასალე და საშეშე მერქნის დაუფლების კანონიერი საფუძველი. მიუხედავად აღნიშნულისა, ამ უკანასკნელს დ. ბ-ე და ი. ჯ-ი, სხვა მოქალაქეთა სახელზე გაცემული დოკუმენტების საფუძველზე, გადამოწმების გარეშე, გადასცემდნენ მათზე მიბარებულ სამასალე და საშეშე მერქანს, რითაც არსებითად შეილახა სახელმწიფოსა და ცალკეულ პირთა კანონიერი ინტერესები. ნ. კ-ე, დანაშაულის შენიღბვისა და კვალის დაფარვის მიზნით, დაეხმარა ბ. ჭ-ს სამსახურებრივი სიყალბის ჩადენაში, კერძოდ: ბ. ჭ-მ მოამზადა სამასალე და საშეშე მერქნის გაცემის დამადასტურებელი 30 ყალბი მიღება – ჩაბარების აქტი შემდეგი მოქალაქეების – დ. ბ-ს – 07.09.2010წ., გ. გ-ს – 07.09.2010წ., დ. ა-ს – 23.09.2010წ., ე. ჩ-ს – 23.09.2010წ., ნ. ჩ-ს – 23.09.2010წ., დ. კ-ს – 13.10.2010წ., ნ. მ-ს –

23.09.2010წ., ს. უ-ს – 07.09.2010წ., ზ.გ-ს – 07.09.2010წ., ა. უ-ს – 13.10.2010წ., ო. ტ-ს 13.10.2010წ., ბ. ჩ-ს – 13.10.2010წ., ე. ლ-ს – 13.10.2010წ., ნ.გ-ს – 23.09.2010წ., ზ. ბ-ს – 23.09.2010წ., ზ. ლ-ს – 13.10.2010წ., გ. კ-ს 23.09.2010წ., ზ. ჩ-ს – 23.09.2010წ., თ. უ-ს – 13.10.2010წ., შ. კ-ს – 23.09.2010წ., ქ. კ-ს – 23.09.2010წ., გ.ჯ-ს – 23.09.2010წ., დ. მ-ს – 23.09.2010წ., მ. მ-ს – 07.09.2010წ., ე.რ-ს – 23.09.2010წ., ა. ქ-ს – 07.09.2010წ., გ. დ-ს – 23.09.2010წ., ლ. ჯ-ს – 07.09.2010წ., ნ. ქ-ს – 07.09.2010წ. და კ. ა-ს – 23.09.2010წ. სახელზე. აღნიშნულ აქტებში პირადი მოტივით ბ. ჭ-მ შეიტანა ასევე ყალბი მონაცემები, თითქოსდა მათზე სამასალე და საშუაშე მერქნის გაცემის თაობაზე. ნ. კ-ე უშუალოდ იყო ჩართული ზემოაღნიშნული ყალბი მიღება – ჩაბარების აქტების შედგენაში. იგი პირადად ხვდებოდა ცალკეულ მოქალაქეებსა და კომისიის წევრებს, ხელს აწერიებდა ყალბ დოკუმენტებზე, რის შემდეგაც ხელმოწერილ გაყალბებულ აქტებს უბრუნებდა ბ. ჭ-ს.

9. ლ. ბ-ს ბრალი დაედო საქართველოს სსკ-ის 25,182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 25,332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25,341-ე მუხლით, 25,180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, რაც გამოიხატა შემდეგში:

10. 2010 წლის მაისში ლ. ბ-ე არჩეულ იქნა ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად. 2010 წლის იანვარში ი-ს რეგიონალური სატყეო სამმართველოს ხ-ს №5 – 2 – 4 სატყეო უბანში ხე – ტყის უკანონოდ ჭრისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიეცა ხ-ს რაიონის სოფელ გ-ი მცხოვრები ნ. კ-ე, ხოლო სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისათვის – ი-ს რეგიონალური სატყეო სამმართველოს ხ-ს №5 – 2 – 4 სატყეო უბნის რეინჯერი მ. ლ-ე; მათვე დაეკისრათ გარემოსთვის მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება. 2010 წლის 26 ივლისს ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობას მისივე შუამდგომლობის საფუძველზე უსასყიდლოდ გადაეცა ამავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (სოფლები – გ-ი და კ-ა) სხვადასხვა დროს უკანონოდ მოჭრილი და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული 28884.45 ლარის ღირებულების 213.662 მ³ სამასალე და საშუაშე მ-ი, მათ შორის უშუალოდ ნ. კ-ს ჩამორთმეული – 69.417 მ³. ნ. კ-ს დაკისრებული ჰქონდა რა გარემოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, განიზრახა, თაღლითურად დაუფლებოდა ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხულ, მათ შორის მისთვის სასამართლოს გადანყვევტილებით ჩამორთმეულ სამასალე და საშუაშე მერქანს. განზრახვის სისრულეში მოყ-

ვანის მიზნით, ნ. კ-ე დაუკავშირდა ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრსა და ახლო მეგობარს – ლ. ბ-ს და სთხოვა დახმარება ზემოაღნიშნული ქონების თაღლითურად დაუფლებაში. ლ. ბ-მ, ნ. კ-ს მატერიალური სარგებლის მისაღებად, დაგეგმა და ორგანიზება გაუკეთა როგორც ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და ყალბი დოკუმენტებით სამასალე და საშეშე მერქნის გაფლანგვას, ასევე ნ. კ-ს დასახმარებლად ზემოქმედება მოახდინა ხის გადამამუშავებელი საამქროს მესაკუთრე ვ. ქ-ე და დაიყოლია იგი, რომ ნ. კ-ს შეესყიდა მერქანი გაყალბებული დოკუმენტების საფუძველზე. ლ. ბ-ს მიერ ორგანიზებულ დანაშაულებრივ სქემაში ჩაერთნენ ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებელი – ზ. ჯ-ა და გამგებლის მოადგილე – ბ. ჭ-ე, რომლებსაც მათ მართლზომიერ გამგებლობაში არსებული მერქანი, ნაცვლად ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული გაჭირვებული მოსახლეობისა, უსასყიდლოდ უნდა გადაეცათ ნ. კ-ს, რომელიც შემდეგ მერქანს ცალკეული მოქალაქეების სახელზე შედგენილი ყალბი დოკუმენტების გამოყენებით ჩააბარებდა ამავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ხის გადამამუშავებელ საამქროებს. თავის მხრივ, ხის გადამამუშავებელი საამქროების ხელმძღვანელები, ლ. ბ-ს დავალების შესაბამისად, მიღებული მერქნის საბაზრო ღირებულების თანხას გადასცემდნენ ნ. კ-ს, რომელიც აღებული თანხით შეძლებდა როგორც მისი, ასევე მ. ლ-ს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ლ. ბ-ე, მოქმედებდა რა როგორც დანაშაულის ორგანიზატორი, პერიოდულად უკავშირდებოდა მუნიციპალიტეტის გამგებელს – ზ. ჯ-ა და ნ. კ-ს და მათგან იღებდა ინფორმაციას მის მიერვე ორგანიზებული დანაშაულის შესახებ. 2010 წლის 7 სექტემბერს ლ. ბ-ე მობილური ტელეფონით დაუკავშირდა ზ. ჯ-ს და დაავალა ნ. კ-ს გადასაცემი სამასალე და საშეშე მერქნის განკარგვასთან დაკავშირებით შესაბამისი კომისიის დაუყოვნებლივ მონვევა და გადანყვეტილების დროულად მიღება, ასევე შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება. 2010 წლის 8 სექტემბერს ნ. კ-ე მობილური ტელეფონით დაუკავშირდა ლ. ბ-ს და აცნობა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო და დანაშაულებრივი სქემით განსაზღვრულ საქმიანობას მეორე დღიდან დაიწყებდა. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი ბ. ჭ-ე მობილური ტელეფონის მეშვეობით პერიოდულად უკავშირდებოდა ნ. კ-ს და დანაშაულის შენიღბვის მიზნით ერთმანეთს უთანხმებდნენ სამასალე და საშეშე მერქნის ფიქტიურ განწერასთან

დაკავშირებულ დეტალებს. ლ. ბ-ნ მიღებული დავალების შესაბამისად, 2010 წლის 7, 23 სექტემბერსა და 13 ოქტომბერს ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება ეკონომიკურად შეჭირვებულ 40 მოქალაქეზე სამასალე და საშეშე მერქნის უსასყიდლოდ გაცემის შესახებ, რომელთაგან წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად, მოქალაქეებს – 1. დ. ბ-ს; 2. გ. გ-ს; 3. დ. ა-ს; 4. ე. ჩ-ს; 5. ნ. ჩ-ს; 6. დ. კ-ს; 7. ნ. მ-ს; 8. ს. უ-ს; 9. ზ. გ-ს; 10. ა. უ-ს; 11. ო. ტ-ს; 12. ბ. ჩ-ს; 13. ნ. გ-ს; 14. ზ. ბ-ს; 15. ზ. ლ-ს; 16. გ. კ-ს; 17. ზ. ჩ-ს; 18. ჟ. უ-ს; 19. შ. კ-ს; 20. ქ. კ-ს; 21. გ. ჯ-ს; 22. დ. მ-ს; 23. მ. მ-ს; 24. ე. რ-ს; 25. ა. ქ-ს; 26. გ. დ-ს; 27. ლ. ჯ-ს; 28. ნ. ქ-ს და 29. კ. ა-ს ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან არც საშეშე და არც სამასალე მერქანი არ მიუღიათ. დანაშაულის თანამონაწილე ზ. ჯ-მ იცოდა რა, რომ ზემოაღნიშნულ მოქალაქეებს რეალურად არ ჰქონდათ მიღებული მერქანი და წინასწარი შეთანხმების შესაბამისად ვერც მიიღებდნენ, ნ. კ-ს უკანონოდ გადაცემული მერქნის სახერხ საამქროში ჩაბარების პროცესის გასაადვილებლად ხელი მოაწერა 29 მოქალაქის სახელზე შედგენილ, არასწორი მონაცემების შემცველ ოფიციალურ დოკუმენტს – ცნობებს, რომლებიც მოქალაქეების ნაცვლად გადაეცა ნ. კ-ს. ლ. ბ-ს ორგანიზებით, ზ. ჯ-ა და ბ. ჭ-ს მიერ მომზადებული ყალბი ცნობებისა და მიღება – ჩაბარების აქტების გამოყენებით, ნ. კ-ე თაღლითურად დაეუფლა უკიდურესად შეჭირვებული მოქალაქეებისათვის განკუთვნილ სამასალე და საშეშე მერქანს, რითაც გაიფლანგა ხ-ს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დიდი ოდენობით – 149.299 მ³, 20420,69 ლარად ღირებული ქონება. ლ. ბ-მ, ნ. კ-ს თაღლითობაში დასახმარებლად და უკანონოდ დაუფლებული სამასალე და საშეშე მერქნის დაუბრკოლებლად რეალიზაციისათვის, დაიბარა ხ-ს რაიონის სოფელ ი-ი მდებარე ხის გადამამუშავებელი საამქროს მესაკუთრე ვ. ქ-ე და დაიყოლია, რათა მას ნ. კ-ს ყალბი დოკუმენტებით შეესყიდა სამასალე და საშეშე მერქანი, რომლის საბაზრო ღირებულების თანხა, ნაცვლად გაყალბებულ დოკუმენტებში მითითებული შეჭირვებული მოქალაქეებისა, პირადად გადაეცა ნ. კ-ს. თავის მხრივ, ვ. ქ-მ ნ. კ-ს ყალბი დოკუმენტებით ხის დამამუშავებელ საამქროში მერქნის ჩაბარების გასაადვილებლად გამოუყო ამავე საამქროს თანამშრომელი ბ. ბ-ე. აღნიშნულის შემდეგ ნ. კ-ე და ბ. ბ-ე მობილური ტელეფონის მეშვეობით სისტემატურად უკავშირდებოდნენ ერთმანეთს და ათანხმებდნენ მერქნის მიღებისათვის ფიქტიურად შერჩეულ მოქალაქეებს, განცხადების ტექსტს და სამართალდამცავ ორგანოთა მხრიდან კითხვების გაჩენის შემთხვევაში, დანაშაულებრივი ჯგუ-

ფის ნევრებისათვის სასურველი პასუხების გასაცემად მოქალაქეთა წინასწარი გაფრთხილების მექანიზმს. ნ. კ-მ, ლ. ბ-ს დახმარებით, ვ. ქ-ნ თანხმობის მიღების შემდეგ, უკანონოდ დაუფლებული მერქანი მიიტანა ხ-ი, ბ-ს №... – ში მდებარე ი/მ „ხ. თ-ს“ და ხ-ს რაიონის სოფელ ი-ი მდებარე ი/მ „ვ. ქ-ს“ სახერხ საამქროებში, რის სანაცვლოდ ნ. კ-მ ხელზე მიიღო მერქნის საბაზრო ღირებულების თანხა. აღნიშნული ქმედებით არსებითად შეილახა სახელმწიფოსა და მოქალაქეთა კანონიერი ინტერესები.

11. 2006 წელს ლ. ბ-მ ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობაში შეხვედრა მოაწყო ამავე მუნიციპალიტეტში დასაქმებულ საჯარო მოხელეებთან და განუცხადა, რომ ყველა საჯარო მოხელეს ყოველთვიურად აღებული ხელფასიდან უნდა დაედო გარკვეული რაოდენობის თანხა – პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სანევროს სახით, რომელიც, თითქოსდა უნდა მოხმარებოდა ხ-ი მცხოვრებ ამავე პარტიის დაუსაქმებელ აქტივისტებსა და რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობას, ხოლო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მოხელე დატოვებდა საჯარო სამსახურს. აღნიშნული დავალების შესაბამისად, 2006 წლიდან 2012 წლის შემოდგომამდე ხ-ს მუნიციპალიტეტში მომუშავე ყველა საჯარო მოხელე ხელფასიდან დებდა სახელფასო განაკვეთის დაახლოებით 10%-ს. საჯარო მოხელეთა ნაწილს მიაჩნდა, რომ ლ. ბ-ს მიერ აკრეფილი თანხა მოხმარდებოდა რაიონში მცხოვრებ გაჭირვებულ მოსახლეობას, ხოლო ნაწილი კი თანხას დებდა საჯარო სამსახურის დაკარგვის შიშით. ლ. ბ-ს დავალების შესაბამისად, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობაში თანხას კრეფდა მოლარე ე. რ-ე, რომელსაც დანაშაულის დაფარვის მიზნით, სახელფასო უწყისებში შეჰქონდა ყალბი ჩანაწერები, თითქოსდა მოხელეთა მიერ სახელფასო თანხის სრულად მიღების თაობაზე. თავის მხრივ, ე. რ-ე აკრეფილ თანხას ლ. ბ-ს მისაცემად ხელზე გადასცემდა ამავე მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის სპეციალისტს – მ. ი-ს, რომელთანაც ასევე თავს იყრიდა ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის გარდა, სხვა საჯარო სამსახურის თანამშრომელთაგან აკრეფილი თანხები. ლ. ბ-ე მოქმედებდა რა მუნიციპალიტეტის თანამშრომლეთა სახელფასო თანხების თაღლითურად დასაუფლებლად, პერიოდულად მობილური ტელეფონის საშუალებით უკავშირდებოდა დანაშაულის თანამონაწილეს მ. ი-ს და ადგენდა მონაცემებს თანხების სრულყოფილად აკრეფის შესახებ. საბოლოოდ, მთლიანად აკრეფილ თანხას ლ. ბ-ე განკარგავდა თავისი შეხედულებისამებრ. ზემოაღ-

ნიშნული ხერხითა და მეთოდით, ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით, ლ. ბ-ე თაღლითურად დაეუფლა ხ-ს მუნიციპალიტეტის 10 საჯარო მოხელის, კერძოდ: რ. დ-ს, ნ. ა-ს, მ. ქ-ს, მ. ჯ-ს, მ. ბ-ს, ს. ქ-ს, მ. გ-ს, ჯ. კ-ს, კ. უ-ა და ს. ნ-ს კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას – 23 524 ლარს, რითაც არსებითად შეილახა ზემოხსენებულ პირთა კანონიერი ინტერესები.

12. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 8 ნოემბრის განაჩენით:

13. ზ. ჯ-ა ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 25,341-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში.

14. ზ. ჯ-ს საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება ამოერიცხა, როგორც ზედმეტად წარდგენილი.

15. ზ. ჯ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

16. ზ. ჯ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 2 წლის ვადით ჩამოერთვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება. „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-12, მე-18 და 21-ე მუხლების საფუძველზე ზ. ჯ-ს გაუნახევრდა დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და 1 წლის ვადით ჩამოერთვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება. მას სასჯელის მოხდა დაენციო 2014 წლის 10 თებერვლიდან.

17. ბ. ქ-ს საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება ამოერიცხა, როგორც ზედმეტად წარდგენილი.

18. ბ. ქ-ს მიმართ 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

19. ბ. ქ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე 2 წლის ვადით ჩამოერთვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლე-

ბა, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-12, მე-18 და 21-ე მუხლების საფუძველზე გაუნახვერდა დანიშნული სასჯელები და მიესაჯა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და 1 წლის ვადით ჩამოერთვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშვნიით თანამდებობის დაკავების უფლება, 341-ე მუხლით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 და 21-ე მუხლების საფუძველზე ერთი მეოთხედით შეუმცირდა და მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და 1 წლის ვადით ჩამოერთვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშვნიით თანამდებობის დაკავების უფლება. ბ. ჭ-ს სასჯელის მოხდა დაენყო 2014 წლის 10 თებერვლიდან.

20. ნ. კ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 25,332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

21. ნ. კ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

22. ნ. კ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 და 21-ე მუხლების საფუძველზე ერთი მეოთხედით შეუმცირდა და მიესაჯა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 25,341-ე მუხლით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 და 21-ე მუხლების საფუძველზე ერთი მეოთხედით შეუმცირდა და მიესაჯა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ნ. კ-ს სასჯელის მოხდა დაენყო 2014 წლის 8 ნოემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2014 წლის 30 მარტიდან იმავე წლის 10 აპრილამდე.

23. ნ. კ-ს მიმართ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2014 წლის 10 აპრილის განჩინებით შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა და განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 24 აპრილის განჩინებით ნ. კ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების – გირაოს – 10000 ლარის უზრუნველსაყოფად, რ. ა-ს (პ/ნ.....), ნ. შ-ს (პ/ნ) და უ. შ-ს (პ/ნ) თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების – მდებარე ვ-ს რაიონის სოფელ დ-ი (საკადასტრო კოდით.....) – 10000 ლარის ღირებულების წილზე დადებული ყადაღა უნდა მოიხსნას.

24. ნ. კ-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად უნდა გაუქმდეს ბრალდებულის მიმართ გამოყენებული პასპორტისა და პირადობის მოწმობის საგამოძიებო ორგანოში ჩაბარების ვალდებულება.

25. ლ. ბ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

26. ლ. ბ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 25,341-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში.

27. ლ. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 25,332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება ამოერიცხა, როგორც ზედმეტად წარდგენილი.

28. ლ. ბ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 25,182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და 25,180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდებები გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 25,182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და 25,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

29. ლ. ბ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 25,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, 25,182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 2 წლის ვადით ჩამოერთვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშნვითი თანამდებობის დაკავების უფლება. „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-12, მე-18 და 21-ე მუხლების საფუძველზე მასვე გაუნახვერდა სსკ-ის 25,182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღ-

კვეთა და 1 წლის ვადით ჩამოერთვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება. ლ. ბ-ს სასჯელის მოხდა დაენყო 2014 წლის 8 ნოემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა დაკავება-სა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2014 წლის 28 მარტიდან იმავე წლის 2 აპრილამდე.

30. ლ. ბ-ს მიმართ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 30 მარტის განჩინებით შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა და განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 1 აპრილის განჩინებით ლ. ბ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების – გირაოს – 50000 ლარის უზრუნველსაყოფად, ა. ბ-ს (პ/ნ) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების – მდებარე თ-ი, დ. მ-ი, მე-... კვარტალი, კორპუსი №..., ბინა №.. (საკადასტრო კოდით) – 50000 ლარის ღირებულების წილზე დადებული ყადაღა უნდა მოიხსნას.

31. ლ. ბ-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად უნდა გაუქმდეს ბრალდებულის მიმართ გამოყენებული პასპორტისა და პირადობის მოწმობის საგამოძიებო ორგანოში ჩაბარების ვალდებულება.

32. განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის შემდეგ, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 3 აპრილის განჩინებით ლ. ბ-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – კერძოდ: ხ-ს რაიონის სოფელ გ-ი მდებარე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მქონე 600 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი); ხ-ს რაიონის სოფელ გ-ი მდებარე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მქონე 1000 კვ/მ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი) და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2014 წლის 10 აპრილის განჩინებით ლ. ბ-ს საკუთრებაში არსებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე: „ვაზ 2121“, სახ.№..., „ნისან ტერანო“ სახ., „უაზ 31514“ სახ.№..., „ოპელ ასტრა“ სახ.№.... – დადებული ყადაღა უნდა მოიხსნას. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სისხლის სამართლის საქმეზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული მასალები (14 ცალი CD დისკი) დალუქულ მდგომარეობაში, ერთად მოთავსებული 1 ცალ დალუქულ კონვერტში; 2013 წლის 11 დეკემბერს ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ამოღებული მასალების დედნები – მოთავსებული ერთ დალუქულ მუყაოს ყუთში; მონში ა. გ-ს მიერ წარმოდგენილი ხე-ტყის რეგისტრაციის ყურნალი (დედანი) – მოთავსებული 1 დალუქულ პაკეტში; ოპერატიულ-სამძებრო ღო-

ნისძიებების ამსახველი – გრიფით „საიდუმლო“ მასალები და მასალების გაცნობის ოქმები, მოთავსებული 1 დალუქულ პაკეტში; ხ-ს მუნიციპალიტეტში არსებულ აიპ-ებიდან თანხების აკრეფის ეპიზოდთან დაკავშირებით გადმოგზავნილი სახელფასო ცხრილები, ჩანერილი CD დისკებზე – სულ 3 CD დისკი, რომლებიც მოთავსებულია დალუქულ კონვერტებში და ჩაკრულია საქმეში, შესაბამის მომართვის წერილებთან ერთად, უნდა დაერთოს აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეს და შენახული იქნეს საქმის შენახვის ვადით.

33. მსჯავრდებულებს უნდა განემართოს მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ უფლების თაობაზე.

34. განაჩენით მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში: 2010 წლის იანვარში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს საგამოძიებო ჯგუფის მიერ ი-ს რეგიონალური სატყეო სამმართველოს ხ-ს №5 – 2 – 4 სატყეო უბანში ხე – ტყის უკანონოდ ჭრისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა ხ-ს რაიონის სოფელ გ-ი მცხოვრები ნ. კ-ე, ხოლო სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისათვის – ი-ს რეგიონალური სატყეო სამმართველოს ხ-ს №5 – 2 – 4 სატყეო უბნის რეინჯერი მ. ლ-ე. მათვე დაეკისრათ გარემოსთვის მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება. 2010 წლის მაისში ლ. ბ-ე არჩეულ იქნა ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად.

35. 2010 წლის 21 ივნისს ზ. ჯ-ა დაინიშნა ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლად, ხოლო 2010 წლის 22 ივნისს ბ. ჭ-ე დაინიშნა ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ და ისინი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე წარმოადგენდნენ მოხელეს. 2010 წლის 26 ივლისს სსიპ „ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ №... ბრძანებით, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობას, მისივე შუამდგომლობის საფუძველზე, უსასყიდლოდ გადაეცა ხ-ს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (სოფლები – გ-ი და კ-ა) სხვადასხვა დროს უკანონოდ მოჭრილი და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული 28884.45 ლარის ღირებულების 213.662 მ² სამასალე და საშეშე მერქანი; მათ შორის უშუალოდ ნ. კ-ს ჩამორთმეული – 69.417მ², რომლებიც 2010 წლის 27 ივლისისა და 16 აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტებით სსიპ „ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ წარმომადგენლისგან ჩაიბარა ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ – ბ. ჭ-მ. ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2010 წლის 9 აგვისტოს №... და 27 სექტემ-

ბრის №... ბრძანებებით, უსასყიდლოდ გადაცემული მერქანი აღებულ იქნა გამგეობის ბალანსზე.

36. 2010 წლის 25 აგვისტოს ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს №... განკარგულებით ზ. ჯ-ს კომისიური წესით დავალა სამასალე და საშუაშე მერქნის ხ-ს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, სტიქიის შედეგად დაზარალებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი, მრავალშვილიანი და ეკონომიკურად უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის უსასყიდლოდ გადაცემა.

37. 2010 წლის 3 სექტემბერს ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის – ზ. ჯ-ს №... ბრძანებით, სამასალე და საშუაშე მერქნის მოქალაქეებისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ დროებით კომისიასთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი გამგებლის მოადგილის – ბ. ჭ-ს ხელმძღვანელობით, რომელსაც უშუალოდ დავალა სამასალე და საშუაშე მერქნის გაცემის ორგანიზება და ზუსტი აღრიცხვა, ხოლო ბრძანების შესრულებაზე კონტროლი კი პირადად დაივალა ზ. ჯ-მ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მერქანი მოექცა ზ. ჯ-ა და ბ. ჭ-ს მართლზომიერ გამგებლობაში. ნ. კ-ს დაკისრებული ჰქონდა გარემოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მისთვის ცნობილი გახდა ზემოაღნიშნული გარემოებები და ასევე ისიც, რომ 2010 წლის 25 აგვისტოს ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს №... განკარგულების შესაბამისად, სამასალე და საშუაშე მერქანი უსასყიდლოდ უნდა გადასცემოდა ხ-ს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, სტიქიის შედეგად დაზარალებულ, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ, მრავალშვილიან და ეკონომიკურად უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს და განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაუფლებოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ – ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხულ, ხ-ს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, სტიქიის შედეგად დაზარალებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი, მრავალშვილიანი და ეკონომიკურად უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის უსასყიდლოდ გადასაცემად განკუთვნილ(მათ შორის მისთვის სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამორთმეულ) სამასალე და საშუაშე მერქანს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ნ. კ-ე დაუკავშირდა ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრსა და ახლო მეგობარს – ლ. ბ-ს და სთხოვა დახმარება ზემოაღნიშნული ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოტყუებით დაუფლებაში. ამ მიზნით ლ. ბ-მ ნააქეზა და დაიყოლია

ბ-ს მუნიციპალიტეტის გამგებელი ზ. ჯ-ა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული – ბ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული, ბ-ს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, სტიქიის შედეგად დაზარალებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი, მრავალშვილიანი და ეკონომიკურად უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის უსასყიდლოდ გადასაცემად განკუთვნილი და მის მართლზომიერ გამგებლობაში არსებული სამასალე და საშეშე მერქნის გაფლანგვაში, კერძოდ, რომ დაუყოვნებლივ მოეწვია სამასალე და საშეშე მერქნის განკარგვასთან დაკავშირებით დროებითი კომისია, რომელიც დააკმაყოფილებდა ნ. კ-ს მიერ წინასწარ შერჩეული პირების (რომლებიც თავიანთი სოციალური სტატუსით მეტ – ნაკლებად შეესაბამებოდნენ მერქნის უსასყიდლოდ გაცემისათვის დადგენილ კრიტერიუმებს) განცხადებებს და შესაბამისად, მათზე განერდა მერქანს, რითაც ნაცვლად ბ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული გაჭირვებული მოსახლეობისა, ზემოაღნიშნულ მერქანს უსასყიდლოდ მიიღებდა ნ. კ-ე, რომელიც შემდეგ ჩააბარებდა ამავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ხის გადამამუშავებელ საამქროებში. ასევე, ლ. ბ-მ ნ. კ-ს დასახმარებლად დაიბარა ხის გადამამუშავებელი საამქროს მესაკუთრე ვ. ქ-ე, რომელსაც უთხრა, რომ მისთვის გადაეცა 3000 ლარი და ნ. კ-ე აღნიშნულის სანაცვლოდ მიუტანდა სხვადასხვა მოქალაქის სახელზე განერილ საბუთთან მერქანს, ხოლო ვ. ქ-ს მიღებული მერქნის საბაზრო ღირებულების თანხა, ნაცვლად ამ მოქალაქეებისა, უნდა გადაეცა ნ. კ-ს. თავის მხრივ, ლ. ბ-ს ნაქეზებით, ბ-ს მუნიციპალიტეტის გამგებელი – ზ. ჯ-ა და მისი მოადგილე – ბ. ჭ-ე წინასწარ შეთანხმდნენ, რომ მათ მართლზომიერ გამგებლობაში არსებული და სამასალე და საშეშე მერქნის მოქალაქეებისათვის გადაცემაზე გადანყვეტილების მიმღები დროებითი კომისიის გადანყვეტილებით ნ. კ-ს მიერ წინასწარ შერჩეულ პირებზე (რომლებიც თავიანთი სოციალური სტატუსით მეტ – ნაკლებად შეესაბამებოდნენ მერქნის უსასყიდლოდ გაცემისათვის დადგენილ კრიტერიუმებს) განერილი მერქანი, ნაცვლად საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული მოსახლეობისა, უსასყიდლოდ უნდა გადასცემოდა ნ. კ-ს, რომელიც შემდეგ მერქანს ჩააბარებდა ამავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ხის გადამამუშავებელ საამქროებს და რომელიც, თავის მხრივ, მიღებული თანხით შეძლებდა როგორც მისი, ასევე მ. ლ-ს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. შე-

თანხმებისამებრ, ნ. კ-მ, თავისი ახლობლებისა და ლ. ბ-ს ხელშეწყობით, შეარჩია ის პირები, რომლებიც თავიანთი სოციალური სტატუსით მეტ – ნაკლებად შეესაბამებოდნენ მერქნის უსასყიდლოდ გაცემისათვის დადგენილ კრიტერიუმებს და რომლებზედაც მოხდა მერქნის ფიქტიური განწერა, კერძოდ: 2010 წლის 7, 23 სექტემბერსა და 13 ოქტომბერს ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება ეკონომიკურად გაჭირვებული 40 მოქალაქისათვის სამასალე და საშეშე მერქნის უსასყიდლოდ გაცემის შესახებ, რომელთაგან, როგორც დადგენილია, მოქალაქეებს – 1. დ. ბ-ს; 2. გ. გ-ს; 3. დ. ა-ს; 4. ე. ჩ-ს; 5. ნ. ჩ-ს; 6. დ. კ-ს; 7. ნ. მ-ს; 8. ს. უ-ს; 9. ზ. გ-ს; 10. ა. უ-ს; 11. ო. ტ-ს; 12. ბ. ჩ-ს; 13. ნ. გ-ს; 14. ზ. ბ-ს; 15. ზ. ლ-ს; 16. შ. კ-ს; 17. ქ. კ-ს; 18. გ. ჯ-ს; 19. დ. მ-ს; 20. მ. მ-ს და 21. ნ. ქ-ს ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მათზე განწერილი სამასალე მერქანი არ მიუღიათ, ხოლო ზემოხსენებულ მოქალაქეებზე განწერილი სამასალე მერქანი სხვადასხვა პირის დახმარებით გადაეცა უშუალოდ ნ. კ-ს, კერძოდ, ზ. ჯ-მ და ბ. ჭ-მ იცოდნენ რა, რომ ზემოაღნიშნულ მოქალაქეებს რეალურად არ ჰქონდათ მიღებული მერქანი და წინასწარი შეთანხმების შესაბამისად ვერც მიიღებდნენ, ზ. ჯ-მ გამოსცა ბრძანებები ზემოაღნიშნულ მოქალაქეებზე სამასალე მერქნის გაცემის თაობაზე და ხელი მოაწერა არასწორი მონაცემების შემცველ ოფიციალურ დოკუმენტებს – ცნობებს მათ სახელზე ბრძანებაში მითითებული ოდენობით სამასალე მერქნის გადაცემის თაობაზე, ხოლო სამასალე და საშეშე მერქნის მოქალაქეთათვის გადაცემაზე გადაწყვეტილების მიმღებ კომისიასთან არსებული სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა – გამგებლის მოადგილე ბ. ჭ-მ შეადგინა სამასალე მერქნის გადაცემის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები – 21 ცალი ყალბი მიღება-ჩაბარების აქტი შემდეგი მოქალაქეების: – დ. ბ-ს – 07.09.2010წ., გ. გ-ს – 07.09.2010წ., დ. ა-ს – 23.09.2010წ., ე. ჩ-ს – 23.09.2010წ., ნ. ჩ-ს – 23.09.2010წ., დ. კ-ს – 13.10.2010წ., ნ. მ-ს – 23.09.2010წ., ს. უ-ს – 07.09.2010წ., ზ. გ-ს – 07.09.2010წ., ა. უ-ს – 13.10.2010წ., ო. ტ-ს – 13.10.2010წ., ბ. ჩ-ს – 13.10.2010წ., ნ. გ-ს – 23.09.2010წ., ზ. ბ-ს – 23.09.2010წ., ზ. ლ-ს – 13.10.2010წ., შ. კ-ს – 23.09.2010წ., ქ. კ-ს – 23.09.2010წ., გ. ჯ-ს – 23.09.2010წ., დ. მ-ს – 23.09.2010წ., მ. მ-ს – 07.09.2010წ. და ნ. ქ-ს – 07.09.2010წ. სახელზე. აღნიშნულ აქტებში პირადი მოტივით ბ. ჭ-მ შეიტანა ყალბი მონაცემები, თითქოსდა მათზე სამასალე მერქნის გადაცემის თაობაზე, რაც ხელმოწერებით დადასტურეს ამავე სამუშაო ჯგუფის წევრებმა. ზემოაღნიშნული ცნობები და მიღება – ჩაბარების აქტები, ნაცვლად ზემომითითებული მოქალა-

ქეებისა, გადაეცა ნ. კ-ს, რომელიც უშუალოდ ეხმარებოდა ბ. ჭ-ს ყალბი მიღება-ჩაბარების აქტების შედგენაში, კერძოდ, ის უშუალოდ იყო ჩართული ზემოაღნიშნული ყალბი მიღება – ჩაბარების აქტების შედგენაში, იგი პირადად ხვდებოდა ცალკეულ მოქალაქეებსა და კომისიის წევრებს და ხელს აწერინებდა ყალბ დოკუმენტებზე. ზემოაღნიშნული მოქალაქეების სახელზე გაცემული ყალბი დოკუმენტების – ცნობებისა და მიღება – ჩაბარების აქტების საფუძველზე ამ მოქალაქეებზე ფიქტიურად განერილი, 15100,96 ლარად ღირებული, 106,299 მ³ სამასალე მერქანი გადაეცა ნ. კ-ს, რომელმაც უკანონოდ დაუფლებული მერქანი ჩააბარა სხვადასხვა სახერხ საამქროს, რის სანაცვლოდაც მან ხელზე მიიღო მერქნის საბაზრო ღირებულების თანხა. ამდენად, ლ. ბ-ს წაქეზებით, ზ. ჯ-ა და ბ. ჭ-ს ზემოაღნიშნული მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გაიფლანგა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული – ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული დიდი ოდენობით – 15100,96 ლარის ღირებულების ქონება; ხოლო ლ. ბ-ს დახმარებით, ნ. კ-ე, ზემოაღნიშნული ცნობებისა და მიღება – ჩაბარების აქტების გამოყენებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებით მიზნით, მოტყუებით დაუფლა ზემოაღნიშნულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ – ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხულ და უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქეებისათვის განკუთვნილ, დიდი ოდენობით – 15100,96 ლარად ღირებულ, 106,299 მ³ სამასალე მერქანს, რითაც არსებითად შეილახა სახელმწიფოსა და ცალკეულ პირთა კანონიერი ინტერესები.

38. აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 27 აპრილის განაჩენით დარჩა უცვლელად.

39. საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის 23 ივლისის განკარგულებით ლ. ბ-ე, მსჯავრდებული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 8 ნოემბრისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 27 აპრილის განაჩენებით საქართველოს სსკ-ის 25,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 25,182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

40. საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის 23 ივლისის განკარგულებით ნ. კ-ე, მსჯავრდებული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 8 ნოემბრისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის

27 აპრილის განაჩენებით საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, 25,341-ე მუხლით, შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

41. საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის 23 ივლისის განკარგულებით ზ. ჯ-ა, მსჯავრდებული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 8 ნოემბრისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 27 აპრილის განაჩენებით საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

42. საქართველოს პრეზიდენტის 2015 წლის 23 ივლისის განკარგულებით ბ. ჭ-ე, მსჯავრდებული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 8 ნოემბრისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 27 აპრილის განაჩენებით საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, 341-ე მუხლით, შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან.

43. დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორი დავით ლეპერტი საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 27 აპრილის განაჩენში ცვლილებების შეტანას იმ მიმართებით, რომ ცნობილ იქნენ დამნაშავედ: ზ. ჯ-ა – საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 25,341-ე მუხლით; ბ. ჭ-ე – სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით; ნ. კ-ე – სსკ-ის 25,332-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით; ლ. ბ-ე – სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 25,341-ე მუხლით, 25,332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25,182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 25,180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მათ დაენიშნოთ უფრო მკაცრი სასჯელები.

44. მსჯავრდებული ბ. ჭ-ე და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. დ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 27 აპრილის განაჩენის გაუქმებასა და ბ. ჭ-ს გამართლებას.

45. მსჯავრდებულები – ლ. ბ-ე, ზ. ჯ-ა, ნ. კ-ე, ბ. ჭ-ე და მათი

ინტერესების დამცველი, ადვოკატი რ. ხ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 27 აპრილის განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

46. მსჯავრდებულ ზ. ჯ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ტ. კ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 27 აპრილის განაჩენის გაუქმებასა და ზ. ჯ-ს გამართლებას.

47. მსჯავრდებული ნ. კ-ე და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ვ. კ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 27 აპრილის განაჩენის გაუქმებასა და ნ. კ-ს გამართლებას.

48. საკასაციო პალატის სხდომაზე დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის უფროსმა პროკურორმა – დავით ლეპერტმა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები, მან მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

49. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულების – ლ. ბ-ს, ზ. ჯ-ს, ნ. კ-ა და ბ. ჭ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა რ. ხ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები, მან მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება, რასაც დაეთანხმნენ თავად მსჯავრდებულები – ლ. ბ-ე, ზ. ჯ-ა, ნ. კ-ე და ბ. ჭ-ე.

50. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ ზ. ჯ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ტ. კ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები, მან მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება, რასაც დაეთანხმა თავად მსჯავრდებული ზ. ჯ-ა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა მოსაზრებები, გააანალიზა საჩივრების მოტივების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორის – დავით ლეპერტის, მსჯავრდებულების – ბ. ჭ-ს, ნ. კ-ს, ლ. ბ-ა და მათი ინტერესების დამცველი ადვოკატების – გ. დ-ს, ვ. კ-ა და რ. ხ-ს საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მსჯავრდებულ ზ. ჯ-ა და მისი ადვოკატების – ტ. კ-ა და რ. ხ-ს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქმეში წარმოდგენილი და საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა შემდეგი გარემოებები:

3. 2010 წლის იანვარში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს საგამოძიებო ჯგუფის მიერ ი-ს რეგიონალური სატყეო სამმართველოს ხ-ს №... სატყეო უბანში ხე-ტყის უკანონოდ ჭრისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მიეცა ხ-ს რაიონის სოფელ გ-ი მცხოვრები ნ. კ-ე, ხოლო სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებისათვის – ი-ს რეგიონალური სატყეო სამმართველოს ხ-ს №... სატყეო უბნის რეინჯერი – მ. ლ-ე. მათვე დაეკისრათ გარემოსათვის მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება.

4. 2010 წლის მაისში ლ. ბ-ე აირჩიეს ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად.

5. 2010 წლის 21 ივნისს ზ. ჯ-ა დაინიშნა ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლად, ხოლო 2010 წლის 22 ივნისს ბ. ჭ-ე დაინიშნა ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ და ისინი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე წარმოდგენდნენ მოხელეს.

2010 წლის 26 ივლისს სსიპ „ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ №... ბრძანებით, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობას, მისივე შუამდგომლობის საფუძველზე, უსასყიდლოდ გადაეცა ხ-ს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (სოფლები – გ-ი და კ-ა) სხვადასხვა დროს უკანონოდ მოჭრილი და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული 28884.45 ლარის ღირებულების 213.662 მ³ სამასალე და საშეშე მერქანი; მათ შორის უშუალოდ ნ. კ-ს ჩამორთმეული – 69.417მ³, რომლებიც 2010 წლის 27 ივლისის და 16 აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტებით სსიპ „ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ წარმომადგენლისგან ჩაიბარა ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ბ. ჭ-მ.

6. ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2010 წლის 9 აგვისტოს №... და 27 სექტემბრის №... ბრძანებებით უსასყიდლოდ გადაცემული მერქანი აღებულ იქნა გამგეობის ბალანსზე.

7. 2010 წლის 25 აგვისტოს ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს №... განკარგულებით, ზ. ჯ-ს კომისიური წესით დაევალა სამასალე და საშეშე მერქნის ხ-ს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, სტიქიის შედეგად დაზარალებულ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მრავალშვილიან და ეკონომიურად უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე უსასყიდლოდ გადაცემა.

8. 2010 წლის 3 სექტემბერს ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის – ზ. ჯ-ს №... ბრძანებით, სამასალე და საშეშე მერქნის მოქალაქეებისათვის გადაცემაზე გადაწყვეტილების მიმღებ დროებით კომისიასთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი გამგებლის მოადგილის – ბ. ჭ-ს ხელმძღვანელობით, რომელსაც უშუალოდ დაევალა სამასალე და საშეშე მერქნის გაცემის ორგანიზება და ზუსტი აღრიცხვა, ხოლო ბრძანების შესრულებაზე კონტროლი კი პირადად დაივალა ზ. ჯ-მ.

9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მერქანი მოექცა ზ. ჯ-ა და ბ. ჭ-ს მართლზომიერ გამგებლობაში.

10. ნ. კ-ს დაკისრებული ჰქონდა რა გარემოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება და მისთვის ცნობილი გახდა ზემოაღნიშნული გარემოებები და ასევე ის, რომ 2010 წლის 25 აგვისტოს ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს №... განკარგულების შესაბამისად, სამასალე და საშეშე მერქანი უსასყიდლოდ უნდა გადასცემოდა ხ-ს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, სტიქიის შედეგად დაზარალებულ, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ, მრავალშვილიან და ეკონომიურად უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს, განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოტყუებით დაუფლებოდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ – ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხულ ხ-ს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, სტიქიის შედეგად დაზარალებულ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ, მრავალშვილიან და ეკონომიურად უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე უსასყიდლოდ გადასაცემად განკუთვნილ (მათ შორის მისთვის სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამორთმეულ) სამასალე და საშეშე მერქანს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ნ. კ-ე დაუკავშირდა ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრსა და ახლო მეგობარს – ლ. ბ-ს და სთხოვა დახმარება ზემოაღნიშნული ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მოტყუებით დაუფლებაში. აღნიშნული მიზნით ლ. ბ-ე დაუკავშირდა ზ. ჯ-ს, რათა მას ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხულ ხ-ს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, სტიქიის შედეგად დაზარალებულ, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ, მრავალშვილიან და ეკონომიურად უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე უსასყიდლოდ გადასაცემად განკუთვნილი და მის მართლზომიერ გამგებლობაში არსებული სამასალე და საშეშე მერქნის განკარგვასთან დაკავშირებით დროულად მოეწვია დროებითი კომისია. ზ. ჯ-ს უცნობი იყო ლ. ბ-ს განზრახვა იმის თაობაზე, რომ

სამასალე და საშეშე მერქანი ზ. ჯ-ს მოადგილესთან – ბ. ქ-ნ შეთანხმებით, ამ უკანასკნელის სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, უნდა მომხდარიყო ნ. კ-ს მიერ წინასწარ შერჩეული პირების, რომლებიც თავიანთი სოციალური სტატუსით მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდნენ მერქნის უსასყიდლოდ გაცემისათვის დადგენილ კრიტერიუმებს, განცხადებების დაკმაყოფილება და, შესაბამისად, მათზე მერქნის განერა, რითაც ნაცვლად ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრული გაჭირვებული მოსახლეობისა, ზემოაღნიშნულ მერქანს უსასყიდლოდ მიიღებდა ნ. კ-ე, რომელიც შემდეგ ჩააბარებდა ამავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ხის გადამამუშავებელ საამქროებში, რითაც ნ. კ-ე შეძლებდა დანაშაულებრივი ქმედების შედეგად გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

11. ასევე ლ. ბ-მ ნ. კ-ს დასახმარებლად დაიბარა ხის გადამამუშავებელი საამქროს მესაკუთრე ვ. ქ-ე, რომელსაც უთხრა, რომ მისთვის გადაეცა 3000 ლარი და ნ. კ-ე აღნიშნულის სანაცვლოდ მიუტანდა სხვადასხვა მოქალაქის სახელზე განერილ საბუთიან მერქანს, ხოლო ვ. ქ-ს მიღებული მერქნის საბაზრო ღირებულების თანხა, ნაცვლად ამ მოქალაქეებისა, უნდა გადაეცა ნ. კ-ს.

12. შეთანხმებისამებრ, ნ. კ-მ ახლობლებისა და ლ. ბ-ს ხელშეწყობით შეარჩია ის პირები, რომლებიც თავიანთი სოციალური სტატუსით მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდნენ მერქნის უსასყიდლოდ გაცემისათვის დადგენილ კრიტერიუმებს და რომლებზედაც მოხდა მერქნის ფიქტიური განერა, კერძოდ, 2010 წლის 7 და 23 სექტემბერსა და 13 ოქტომბერს, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ეკონომიკურად შეჭირვებულ 40 მოქალაქეზე სამასალე და საშეშე მერქნის უსასყიდლოდ გაცემის შესახებ, რომელთაგან, როგორც დადგენილია, მოქალაქეებს – 1. დ. ბ-ს; 2. გ. გ-ს; 3. დ. ა-ს; 4. ე. ჩ-ს; 5. ნ. ჩ-ს; 6. დ. კ-ს; 7. ნ. მ-ს; 8. ს. უ-ს; 9. ზ. გ-ს; 10. ა. უ-ს; 11. ო. ტ-ს; 12. ბ. ჩ-ს; 13. ნ. გ-ს; 14. ზ. ბ-ს; 15. ზ. ლ-ს; 16. შ. კ-ს; 17. ქ. კ-ს; 18. გ. ჯ-ს; 19. დ. მ-ს; 20. მ. მ-ს და 21. ნ. ქ-ს ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მათზე განერილი სამასალე მერქანი არ მიუღიათ, ხოლო ზემოხსენებულ მოქალაქეებზე განერილი სამასალე მერქანი სხვადასხვა პირის დახმარებით გადაეცა უშუალოდ ნ. კ-ს. ზ. ჯ-მ გამოსცა ბრძანებები ზემოაღნიშნულ მოქალაქეებზე სამასალე მერქნის გაცემის თაობაზე და ხელი მოაწერა არასწორი მონაცემების შემცველ ოფიციალურ დოკუმენტებს – ცნობებს მათ სახელზე ბრძანებაში მითითებული ოდენობით

სამასალე მერქნის გადაცემის თაობაზე, რა დროსაც მისთვის უცნობი იყო ლ. ბ-ს, ბ. ჭ-ა და ნ. კ-ს განზრახვის თაობაზე. ხოლო სამასალე და საშეშე მერქნის მოქალაქისათვის გადაცემაზე გადაწყვეტილების მიმღებ კომისიასთან არსებული სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა – გამგებლის მოადგილე ბ. ჭ-მ შეადგინა სამასალე მერქნის გადაცემის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები – 21 ცალი ყალბი მიღება-ჩაბარების აქტი შემდეგი მოქალაქეების: – დ. ბ-ს – 07.09.2010წ., გ. გ-ს – 07.09.2010წ., დ. ა-ს – 23.09.2010წ., ე. ჩ-ს – 23.09.2010წ., ნ. ჩ-ს – 23.09.2010წ., დ. კ-ს – 13.10.2010წ., ნ. მ-ს – 23.09.2010წ., ს. უ-ს – 07.09.2010წ., ზ. გ-ს – 07.09.2010 წ., ა. უ-ს – 13.10.2010წ., ო. ტ-ს 13.10.2010წ., ბ. ჩ-ს – 13.10.2010წ., ნ. გ-ს – 23.09.2010წ., ზ. ბ-ს – 23.09.2010წ., ზ. ლ-ს – 13.10.2010წ., შ. კ-ს – 23.09.2010., ქ. კ-ს – 23.09.2010., გ. ჯ-ს – 23.09.2010წ., დ. მ-ს – 23.09.2010წ., მ. მ-ს – 07.09.2010წ. და ნ. ქ-ს- 07.09.2010წ. სახელზე, რომელშიც პირადი მოტივით ბ. ჭ-მ შეიტანა ყალბი მონაცემები, თითქოსდა მათზე სამასალე მერქნის გადაცემის თაობაზე, რაც ხელმოწერებით დაადასტურეს ამავე სამუშაო ჯგუფის წევრებმა. ზემოაღნიშნული ცნობები და მიღება – ჩაბარების აქტები, ნაცვლად ზემოაღნიშნული მოქალაქეებისა, გადაეცა ნ. კ-ს, რომელიც უშუალოდ ეხმარებოდა ბ. ჭ-ს ყალბი მიღება-ჩაბარების აქტების შედგენაში, კერძოდ, ის უშუალოდ იყო ჩართული ზემოაღნიშნული ყალბი მიღება – ჩაბარების აქტების შედგენაში, იგი პირადად ხვდებოდა ცალკეულ მოქალაქეებსა და კომისიის წევრებს, ხელს აწერიებდა ყალბ დოკუმენტებზე.

13. ზემოაღნიშნული მოქალაქეების სახელზე გაცემული ყალბი დოკუმენტების – ცნობების და მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე ამ მოქალაქეებზე ფიქტიურად განერილი 15100,96 ლარად ღირებული 106,299 მ³ სამასალე მერქანი გადაეცა ნ. კ-ს, რომელმაც უკანონოდ დაუფლებული მერქანი ჩააბარა სხვადასხვა სახერხ საამქროებში, რის სანაცვლოდ მან ხელზე მიიღო მერქნის საბაზრო ღირებულების თანხა.

14. ამდენად, ლ. ბ-ს ნაქეზებით, ბ. ჭ-ს მიერ და ზ. ჯ-ს დაუდევრობით გაიფლანგა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული – ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული დიდი ოდენობით – 15100,96 ლარის ღირებულების ქონება; ხოლო ლ. ბ-ს დახმარებით, ნ. კ-ე ზემოაღნიშნული ცნობებისა და მიღება-ჩაბარების აქტების გამოყენებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებით მიზნით, მოტყუებით დაეუფლა ზემოაღნიშნულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ – ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხულ და უკიდურესად გაჭირვებული

მოქალაქეებისათვის განკუთვნილ დიდი ოდენობით – 15100,96 ლარად ღირებულ 106,299 მ³ სამასალე მერქანს, რითაც არსებითად შეილახა სახელმწიფოსა და ცალკეულ პირთა კანონიერი ინტერესი.

15. ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა დასტურდება საქმეზე შეკრებილი აშკარა, დამაჯერებელი და უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით.

16. სასამართლო, პირველ რიგში, ყურადღებას მიაპყრობს დაზარალებულების ჩვენებებს, კერძოდ, დ. ბ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ცხოვრობს ხ-ს რაიონის სოფ. ი-ი და მუშაობს ავეჯის საამქროში დაახლოებით 5-6 წელია. 2010 წლის ზაფხულის პერიოდში მისთვის ცნობილი გახდა, რომ გამგეობის მიერ უსასყიდლოდ გადაეცემოდა საჭიროების შემთხვევაში სამასალე მორი, რის გამოც ის მივიდა გამგეობაში და დაწერა განცხადება ხე-ტყეისთან დაკავშირებით, რომელიც ჩააბარა კანცელარიაში, თუმცა აღნიშნულ განცხადებაზე არავითარი რეაგირება არ მომხდარა. ამის შემდეგ, მალევე მისმა უფროსმა ვ. ქ-მ, რომელიც ამავე დროს მისი ნათესავია, სთხოვა ხელმეორედ დაეწერა განცხადება, მან სამსახურშივე დააწერინა განცხადება, რაზედაც მოუწერა ხელი, თუმცა მას რაიმე სამასალე მორი, ან სხვა რაიმე არ მიუღია და არ უნახავს საერთოდ. დაზარალებულს წარედგინა საქმეში წარმოდგენილი 2010 წლის 29 ივლისით დათარიღებული განცხადება, ფოტოსურათები და ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის ზ. ჯ-ს მიერ გაცემული, 2010 წლის 7 სექტემბრით დათარიღებული ცნობა, ასევე 2010 წლის 7 სექტემბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტი, რაზედაც მოწმემ განმარტა, რომ აღნიშნული განცხადება დაწერა ვ. ქ-ს თხოვნით ავეჯის საამქროში, მასთან იყვნენ მისულები ვილაც ორი პიროვნება, რომლებსაც არ იცნობს და რომლებმაც სურათები გადაუღეს მის სახლს, მაგრამ 2010 წლის 7 სექტემბრის ცნობა, 2010 წლის 7 სექტემბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტი და მათში მითითებული 4 მ³ ნიფლის სამასალე მერქანი მას არ გადასცემია. ზემოაღნიშნულ მიღება-ჩაბარების აქტზე მისი ხელმოწერაა, მაგრამ არ ახსოვს, როდის და რა ვითარებაში მოაწერა ხელი, ალბათ ვინმემ სთხოვა ხელის მოწერა. ის იცნობს ბ. ჭ-ს, რადგან ერთად მუშაობდნენ, თუმცა მას ბ. ჭ-ს მიღება-ჩაბარების აქტის შედგენასთან დაკავშირებით შეხება არ ჰქონია. ასევე მოწმეს წარედგინა საქმეში არსებული 2010 წლის 12 სექტემბრით დათარიღებული შესყიდვის აქტი, რასთან დაკავშირებითაც განმარტა, რომ შესყიდვის აქტზე მისი ხელმოწერაა, მაგრამ მასში მითითებული მასალა მას არ მიუღია და, შესაბამის-

სად, არც გაუყიდა, რაიმე თანხა მას არ გადასცემია.

17. დაზარალებულ გ. გ-ს ჩვენებით დასტურდება, რომ ცხოვრობს ქ. თ-ი, ხ-ი იშვიათად ჩადის. მისი ოჯახი არ არის რეგისტრირებული სოციალურად დაუცველთა მონაცემების ბაზაში. როდესაც სახლი იყიდა ი-ი, განცხადება დაწერა, რათა დახმარებოდნენ, ვინაიდან სახლი იყო გადასახური. განცხადებაში არ მიუთითებია, კონკრეტულად თუ რა დახმარება უნდოდა, მერე წავიდა თ-ი და აღარაფერი იცის. ამ განცხადების საფუძველზე რაიმე დახმარება არ მიუღია. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნულზე მისი ხელმოწერა არ არის, მას არ მიუღია არაფერი, ხოლო განცხადებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მისი დაწერილი არ არის და არც ხელი მოუწერია.

18. დაზარალებულ დ. კ-ს ჩვენებით დასტურდება, რომ ცხოვრობს ხ-ს რაიონი სოფ. ნ-ი და მისი ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე, ლებულობს სახელმწიფოსაგან სოციალურ დახმარებას. მას ხ-ს გამგეობისათვის ხე-ტყესთან დაკავშირებით განცხადებით არ მიუმართავს და არც რაიმე ხე-ტყე მიუღია. დაზარალებულს წარედგინა საქმეში წარმოდგენილი 2010 წლის 4 ოქტომბრით დათარიღებული განცხადება, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის – ზ. ჯ-ს მიერ გაცემული 2010 წლის 13 ოქტომბრით დათარიღებული ცნობა, ასევე 2010 წლის 13 ოქტომბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტი, რაზედაც განმარტა, რომ აღნიშნული განცხადება მისი დაწერილი არ არის და არაფერი იცის ამ განცხადებასთან დაკავშირებით; არც ზემოაღნიშნული ცნობა და მიღება-ჩაბარების აქტი და მათში მითითებული 6 მ³ სოჭის სამასალე მერქანი მას არ გადასცემია და არ მიუღია. მიღება-ჩაბარების აქტზე მისი სახელითა და გვარით შესრულებული ხელმოწერა ეკუთვნის მას, კერძოდ, მასთან მისული იყო ლ. კ-ე და „ბ-ი“ (იგივე ნ. კ-ე) და მოაწერინეს ხელი ისე, რომ მას მიღება-ჩაბარების აქტი არ წაუკითხავს. მ. ლ-ე არის მისი ნათესავი და მან იცოდა, რომ ის დაჭერილი იყო და რაღაც თანხა ჰქონდა გადასახდელი სახელმწიფოს სასარგებლოდ, რაშიც ის მ. ლ-ს არ დახმარებია; მასთან მისული იყო ლ. კ-ე, რომელმაც მხოლოდ აუხსნა ის, რომ მისი სახელით დაინერგებოდა განცხადება გამგეობის სახელზე და როდესაც ის მიიღებდა ხე-ტყეს განცხადების საფუძველზე, ამ ხე-ტყით მ. ლ-ს დაეხმარებოდნენ, თუმცა ამის შემდეგ რა მოხდა, მან არ იცის და არ იცის ვინ დაწერა განცხადება, მას ხელიც არ მოუწერია.

19. დაზარალებულ ნ. მ-ს ჩვენებით დასტურდება, რომ ის ცხოვრობს ოჯახთან ერთად ქ. ხ-ი, ჭ-ს მე-... შესახვევის №.....-

ში. მას 2010 წელს რაიმე ხე-ტყე არ მიუღია. დაზარალებულს წარედგინა საქმეში წარმოდგენილი, 2010 წლის 17 სექტემბრით დათარიღებული განცხადება, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის – ზ. ჯ-ს მიერ გაცემული 2010 წლის 23 სექტემბრით დათარიღებული ცნობა, ასევე 2010 წლის 23 სექტემბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტი, რაზედაც განმარტა, რომ ზემოაღნიშნული განცხადება მას არ დაუწერია და არც ხელი მოუწერია, მას რაიმე დახმარება არ მოუთხოვია; მას არც აღნიშნული ცნობა და მიღება-ჩაბარების აქტი და არც მათში მითითებული 6 მ³ ნიფლის სამასალე მერქანი არ გადასცემია; ასევე მიღება-ჩაბარების აქტზე მისი ხელმოწერა არ არის.

20. დაზარალებულ ზ. გ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ის ცხოვრობს ქ. ხ-ი, გ-ს ქ. №...-ში. მას ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის ხე-ტყის მორების გადაცემასთან დაკავშირებით არ მიუმართავს და არც მიუღია. დაზარალებულს წარედგინა საქმეში წარმოდგენილი 2010 წლის 29 ივლისით დათარიღებული განცხადება, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის – ზ. ჯ-ს მიერ გაცემული 2010 წლის 7 სექტემბრით დათარიღებული ცნობა, ასევე 2010 წლის 7 სექტემბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტი, რაზედაც მოწმემ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული განცხადება მას არ დაუწერია და მასზე არც მისი ხელმოწერაა, განცხადება ვის მიერ არის დაწერილი, მან არ იცის; მას არც აღნიშნული ცნობა და მიღება-ჩაბარების აქტი და არც მათში მითითებული 5 მ³ ნიფლის სამასალე მერქანი არ გადასცემია; ასევე მიღება-ჩაბარების აქტი მას საერთოდ არ უნახავს და მასზე მისი ხელმოწერა არ არის. დაზარალებულის განმარტებით, ის ადრე გაფორმებული იყო ხის საამქროში, შპს „ი-1“-ში; ის ბ. ჭ-ს იცნობს და მან არ იცის, ის მისული იყო თუ არა ცეხში 2010 წელს. მას არ უნახავს, რომ ბ. ჭ-ს მისთვის ეთქვას მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერასთან დაკავშირებით; მისთვის უცნობია რაიმე ხე-ტყესთან დაკავშირებით, მას არც შესყიდვის აქტზე არ აქვს ხელი მოწერილი.

21. დაზარალებულ ა. უ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ის ცხოვრობს ხ-ს რაიონის სოფ. კ-ი და ისინი 2010 წელში რეგისტრირებული იყვნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. მისთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ მისი პასპორტის მონაცემებით დაწერილი იყო განცხადება ხ-ს გამგებლის სახელზე და გამოწერილი იყო მის სახელზე, როგორც მან იცის, 5 მ³ სამასალე მერქანი. ვინ დაწერა აღნიშნული განცხადება, მან არ იცის. ისინი ყოველ წელიწადს ყიდულობენ საშემე მორებს და 2010 წლის აგვისტოს თვეში მისმა მამამთილ-

მა იყიდა ერთი მანქანა საშეშე მორი, რომლებიც ჩახერხილი იყო და როგორც მას მამამთილმა აუხსნა, იმიტომ იყო ჩახერხილი, რომ სამასალედ არ გაყიდულიყო. მათ საშეშე მორები მიუტანა სამმა პირმა, რომლებსაც მისმა მამამთილმა აღნიშნულ საშეშე მორებში გადაუხადა 200 ლარი. მან არ იცის, ვინ იყო აღნიშნული სამი პიროვნება. აღნიშნულიდან დაახლოებით თვენახევარი – ორი თვის შემდეგ მამამთილმა მას უთხრა, რომ მას ეძებდა „ბ-ი“, იგივე ნ. კ-ე, მაგრამ არ იცოდა, თუ რისთვის ეძებდა. აღნიშნულის შემდეგ ნ. კ-მ მანქანით მიაკითხა სახლთან მას და რაღაც საბუთზე მოაწერინა ხელი, თან უთხრა, რომ აღნიშნული საბუთი იყო იმის მიღება-ჩაბარების აქტი, შეუა რომ მიუტანა. ნ. კ-ს თან ახლდა ვიღაც მძღოლი, რომელიც მანქანიდან არ გადასულა. ის „ბ-ს“ იცნობდა ოჯახის წევრებიდან გამომდინარე. დაზარალებულს წარედგინა საქმეში წარმოდგენილი 2010 წლის 4 ოქტომბრით დათარიღებული განცხადება, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის – ზ. ჯ-ს მიერ გაცემული 2010 წლის 13 ოქტომბრით დათარიღებული ცნობა, ასევე 2010 წლის 13 ოქტომბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტი, რაზედაც განმარტა: ზემოაღნიშნული განცხადება მას არ დაუწერია და მასზე არც მისი ხელმოწერაა, განცხადება ვის მიერ არის დაწერილი, მან არ იცის; მას არც აღნიშნული ცნობა და მიღება-ჩაბარების აქტი და არც მათში მითითებული 5, 269 მ³ ნიფლის სამასალე მერქანი არ გადასცემია; მიღება-ჩაბარების აქტზე კი მისი ხელმოწერაა, აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტზე ხელი მოაწერინა ნ. კ-მ, მაგრამ მას არ ახსოვს, თუ რა ეწერა მასში. ასევე დაზარალებულის განმარტებით, მ. ლ-ე არის მისი ნათესავი, მან იცოდა, რომ მის მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე და მას დაეხმარა მისი ოჯახი გარკვეული თანხით, თუმცა აღნიშნულთან კავშირი არ ჰქონია ხე-ტყის საკითხს; გარეგნულად ის იცნობს ბ. ჭ-ს, თუმცა მასთან პირადად რაიმე საქმესთან დაკავშირებით ურთიერთობა არ ჰქონია.

22. დაზარალებულ ო. ტ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ცხოვრობს ქ. ხ-ი, ი.ა-ს ქ. №...-ში. 2010 წელს გაიგო, რომ ხ-ს გამგეობის მიერ უსასყიდლოდ რიგდებოდა ხის მასალა და ვინაიდან დასამთავრებელი ჰქონდა სამზარეულო, შესაბამისად ესაჭიროებოდა, რის გამოც მან განცხადებით მიმართა გამგეობას და მოითხოვა ხის მასალა, მაგრამ აღნიშნულ განცხადებას რაიმე რეაგირება არ მოჰყოლია. ის განცხადების დაწერის შემდეგ აღარ მისულა გამგეობაში, რადგან გამგეობიდან არავინ შეხმიანებია და მან ჩათვალა, რომ მისი განცხადება არ დაკმაყოფილდა. განცხადების ტექსტი გამგეობაში მას სხვა პიროვნებამ დააწერი-

ნა, რომელიც გამგეობაში იმყოფებოდა, შემდეგ განცხადებაზე მან მოაწერა ხელი და ჩააბარა კანცელარიაში, თუმცა მას არც ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის ზ. ჯ-ს მიერ გაცემული ცნობა – მისთვის 6 მ³ სოჭის მასალის გადაცემის თაობაზე და არც მასში მითითებული ხის მასალა არ მიუღია, მას არც 2010 წლის 13 ოქტომბრით დათარიღებულ მიღება-ჩაბარების აქტი ჩაჰბარებია და არც აღნიშნულ აქტზე მოუწერია ხელი, მან არ იცის, თუ რა მოხდა და სად წავიდა მის სახელზე გამოწერილი სამასალე მორი.

23. დაზარალებულ ს. უ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ცხოვრობს ხ-ს რაიონის სოფ. ნ-ი და მას აქვს მძიმე ოჯახური მდგომარეობა, სახლი ენგრევა. ის სახელმწიფოსაგან ლეზულობს დახმარებას. მას რაიმე ხე-ტყე არ მიუღია. დაზარალებულს წარედგინა საქმეში წარმოდგენილი 2010 წლის 7 სექტემბრით დათარიღებული განცხადება, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის – ზ. ჯ-ს მიერ გაცემული 2010 წლის 7 სექტემბრით დათარიღებული ცნობა, ასევე 2010 წლის 7 სექტემბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტი, რაზედაც განმარტა, რომ ზემოაღნიშნული განცხადება მას არ დაუწერია; მას არც აღნიშნული ცნობა და მიღება-ჩაბარების აქტი და არც მათში მითითებული 5 მ³ ნიფლის სამასალე მერქანი არ გადაცემია; მიღება-ჩაბარების აქტზე არ არის მისი ხელმოწერა; მასთან არავინ მისულა და არ უთხოვია, რომ განცხადებას დაწერდა მისი სახელით.

24. დაზარალებულ დ. მ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ცხოვრობს ქ. ხ-ი, ს. მ-ს №...-ში. 2010 წელში ის იყო სოციალურად დაუცველი და ჰქონდა დახმარება, მაგრამ დაახლოებით 2011 წელს მას მოეხსნა დახმარება. 2010 წელს, თვე და რიცხვი არ ახსოვს, შემოდგომის პერიოდი იყო, მასთან სახლში მივიდა ვ. ქ-ე, მას ახლდა თუ არა ვინმე, არ იცის. ვ. ქ-მ მას სთხოვა, რომ ხის მასალასთან დაკავშირებით სჭირდებოდა განცხადება, რაზედაც მან ვ. ქ-ს უარი ვერ უთხრა, რადგან მას ბევრჯერ დახმარებია გაჭირვებაში, რის გამოც დათანხმდა. ვ. ქ-მ მას ტექსტი უკარნახა და დაწერინა განცხადება გამგებლის სახელზე, რომ როგორც ახსოვს, ვინაიდან ახალი შექმნილი ჰქონდა სახლი, ითხოვდა მასალით დახმარებას. აღნიშნულ განცხადებას მან მოაწერა ხელი და წაიღო ვ. ქ-მ, თან გაატანა პირადობის მოწმობის ასლი, რადგან თვითონ ვ-მ უთხრა, რომ დასჭირდებოდა. შემდეგ რა მოხდა, მან არ იცის, რადგან აღარ უკითხავს. საქმეში მოთავსებული ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის – ზ. ჯ-ს მიერ გაცემული 2010 წლის 23 სექტემბრით დათარიღებული ცნობა და არც მასში მითითებული 5 მ³ ნიფლის სამასალე მერქანი მას არ გა-

დასცემია, 2010 წლის 23 სექტემბრით დათარიღებულ მიღება-ჩაბარების აქტზე მისი ხელმოწერაა, მაგრამ ვინ იყო მისული და რა ვითარებაში მოაწერა ხელი, არ ახსოვს; მას მიღება-ჩაბარების აქტი მითითებული 5 მ³ წიფლის სამასალე მერქანი არ მიუღია. მან არ იცის მის სახელზე გაფორმებული ხე-ტყე ჩაჰბარდა თუ არა ვ. ქ-ს საამქროში, ხოლო როდესაც ის გასულ წელს დაიბარეს პოლიციაში, აღნიშნულის შესახებ უთხრა ვ. ქ-ს, რომელმაც მას განუმარტა, რომ მის სახელზე გაფორმებული ხე-ტყე მას საერთოდ არ მიუღია.

25. დაზარალებულ მ. მ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ცხოვრობს ხ-ს რაიონის სოფელ ი-ი, ძმის ოჯახში, მას საკუთარი სახლი არ გააჩნია. რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ლეზულობს დახმარებას. როგორც იცის, მის სახელზე გამოწერილ იქნა გარკვეული ხე-მორი, რაც მას პირადად არ გამოუწერია და არ მიუღია. მან 2008 წელს დაიწყო სახლის მშენებლობა, მაგრამ რადგან მას აღარ ჰყოფნიდა საშუალება, დახმარების სათხოვნელად მივიდა მეზობელ ვ. ქ-ს, რომელიც მას ხშირად დახმარებია უსასყიდლოდ გარკვეული მასალით. ვ. ქ-ც გაუწია დახმარება, თან ურჩია, რომ მისულიყო გამგეობაში და დაეწერა განცხადება, მაგრამ ის არ მისულა და არ დაუწერია განცხადება, მას არ მოუთხოვია რაიმე დახმარება, რადგან გარკვეული პირებიდან ჰქონდა ინფორმაცია, რომ არ არსებობდა ამის საშუალება. გარკვეული პერიოდის შემდეგ ვ. ქ-მ მას სთხოვა, რომ რაღაც საბუთზე მოეწერა ხელი და ვინაიდან ის მას ხშირად დახმარებია, უარი ვერ უთხრა, რის გამოც ის მივიდა ვ. ქ-ს საამქროში, სადაც ვ-ს ერთად მას დახვდა ბ. ბ-ე და კიდევ მისთვის უცნობი ორი პიროვნება, რომლებსაც ჰქონდათ გარკვეული საქალაქო და რაღაც ქალაქდებიც ეწყობ, სხვა მათ გარდა იქ არავინ იმყოფებოდა. მას იქ უთხრეს, რომ განცხადება იყო დასაწერი და უკარნახეს განცხადების ტექსტი 6 მ³ სამასალე მერქანთან დაკავშირებით, რაც მას ნამდვილად სჭირდებოდა. განცხადება მან დაწერა ხელით და მოაწერა ხელი; ასევე სავარაუდოდ მიღება-ჩაბარების აქტზეც მაშინ მოაწერა ხელი, რადგან მას არ ახსოვს შემდეგ მისულიყო ვინმე ხელის მოსაწერად. მას არ ნაუკითხავს აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტი, ისე მოაწერა ხელი. 2010 წლის 29 ივლისით დათარიღებული განცხადება მისი დაწერილია და ასევე 2010 წლის 7 სექტემბრით დათარიღებულ მიღება-ჩაბარების აქტზე მისი ხელმოწერაა, მაგრამ მას ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის – ზ. ჯ-ს მიერ გაცემული 2010 წლის 7 სექტემბრით დათარიღებული ცნობა, ასევე 2010 წლის 7 სექ-

ტემპრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტი არ გადას-
ცემია, არც მათში მითითებული 6 მ³ წიფლის სამასალე მერქანი
არ მიუღია, არც გაუსხვისებია და არც ვინმესთვის დაუთმია;
შესყიდვის აქტზე ასევე არის მისი ხელმოწერა, მაგრამ მას აქ-
ტში მითითებული სამასალე მორი არ მიუღია და არც ა. გ-ს მიუ-
ყიდა, არც თანხა გადასცემია მას; მას ვ. ქ-ნ არავითარი შეთან-
ხმება არ ჰქონია, რომ ის მიიღებდა ხე-ტყეის და ვ-ს გადასცემ-
და; მას ზემოაღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ბ. ჭ-ე არ უნა-
ხავს; მან არ იცის, თუ ვინ და როდის გადაუღო მის სახლს სურა-
თები, რადგან იქ არ ცხოვრობს.

26. დაზარალებულ შ. კ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ის
ცხოვრობს ქ. ხ-ი, ნ-ს ქ. №....-ში. მას ხე-ტყესთან დაკავშირებით
არც განცხადება დაუწერია და არც მიუღია რაიმე ხე-ტყე. რო-
გორც ახსოვს, 2010 წელს მასთან სახლში მისული იყო მისთვის
უცნობი ორი ახალგაზრდა პიროვნება, რომლებმაც რაღაც ფურ-
ცელზე მოაწერინეს ხელი. იმის შემდეგ რა მოხდა, მან არ იცის.
მას რაიმე დახმარება არ მიუღია გამგეობიდან. დაზარალებულს
წარედგინა საქმეში წარმოდგენილი 2010 წლის 17 სექტემბრით
დათარიღებული განცხადება, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობ-
ლის – ზ. ჯ-ს მიერ გაცემული 2010 წლის 23 სექტემბრით დათა-
რიღებული ცნობა, ასევე 2010 წლის 23 სექტემბრით დათარი-
ღებული მიღება-ჩაბარების აქტი, რაზედაც განმარტა, რომ ზე-
მოაღნიშნული განცხადება მას არ დაუწერია; მას არც აღნიშ-
ნული ცნობა და მიღება-ჩაბარების აქტი არ გადასცემია და არც
მათში მითითებული 5 მ³ წიფლის სამასალე მერქანი მიუღია.

27. დაზარალებულ ე. ჩ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ცხოვ-
რობს ხ-ს რაიონის სოფ. მ-ი. რამდენიმე წლის წინ სურვილი ჰქონ-
და მიეღო ხე-ტყე, რის გამოც სიტყვიერად მიმართა ხ-ს გამგე-
ობას, განცხადება არ დაუწერია, თუმცა შემდეგ ვერ მოიკითხა
ჯანმრთელობის გამო აღნიშნული საკითხი და არც მიუღია რაი-
მე. ის იცნობს ნ. კ-ს, რომელსაც „ბ-ს“ ეძახიან და რომელიც რამ-
დენიმე წლის უკან მივიდა მასთან სახლში, წარუდგინა რაღაც
დოკუმენტი ხე-ტყესთან დაკავშირებით და უთხრა, რომ მოე-
წერა ხელი, კერძოდ, მას უთხრა, რომ ხე-ტყე უნდა გადაცემუ-
ლიყო საჩუქრის სახით, მაგრამ ამის შემდეგ მას ნ. კ-ე არ უნა-
ხავს. არ იცის აღნიშნული ხე-ტყე, რომელიც მისთვის იყო გამო-
ყოფილი, გადაეცა თუ არა ვინმეს. მისთვის გამოძიებაში გახდა
ცნობილი მიღება-ჩაბარების აქტთან დაკავშირებით და ასევე
ის, რომ განცხადება იყო დაწერილი მისი სახელითა და გვართ.

28. დაზარალებულ ნ. ჩ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ცხოვ-
რობს ხ-ს რაიონის სოფელ მ-ი. მისთვის გამოძიებაში გახდა ცნო-

ბილი, რომ განცხადება იყო დაწერილი მისი სახელით, რომ თითქოსდა ის ითხოვდა ხის მასალას, რომელიც მას სინამდვილეში არც მოუთხოვია და არც განცხადება დაუწერია. მან არ იცოდა, რომ გამგეობა უსასყიდლოდ გასცემდა ხე-ტყეს, რადგან მაშინ რაიონიდან იყო გასული სამუშაოდ. მას არც მიღება-ჩაბარების აქტი არ უნახავს და არც ხელი მოუწერია. როდესაც გამოძიებაში გააცნეს საქმე, იქიდან ახსოვს, რომ მიღება-ჩაბარების აქტი ეწერა დაახლოებით 5 მ³ ხის მასალა, რაც მას არ მიუღია და არ გადასცემია. მასთან ვინმე აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით მისული არ ყოფილა და მან არ იცის, თუ საიდან აღმოჩნდა მისი სახელით დაწერილი განცხადება გამგეობაში.

29. დაზარალებულ ზ. ბ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ცხოვრობს ქ. ხ-ი, ჭ-ს მე-... შეს. №...-ში. იცნობს ნ. კ-ს როგორც „ბ-ს“, რომელიც არის მისი მეზობლის ნ. გ-ს ბიძაშვილი. დაახლოებით სამი-ოთხი წლის წინ მას ხე-ტყესთან დაკავშირებით ნ. გ-მ სთხოვა განცხადების დაწერა, ვინაიდან დახმარება სჭირდებოდა მის ბიძაშვილ „ბ-ს“, ხოლო რისთვის სჭირდებოდა აღნიშნული ხის მასალა „ბ-ს“, სხვა დეტალები არ უთქვამს ნ. გ-ს მისთვის. მანაც დაწერა განცხადება გამგეობის სახელზე და მოაწერა ხელი, რაც წაიღო ნ. გ-მ, მაგრამ მას არაავითარი ხე-ტყე არ მიუღია. მას საქმეში წარმოდგენილ 2010 წლის 23 სექტემბრით დათარიღებულ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელი არ მოუწერია, მასზე მისი ხელმოწერა არ არის და არც მასში მითითებული 6 მ³ წიფლის ჯიშის სამასალე მორები მიუღია.

30. დაზარალებულ ქ. კ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ცხოვრობს ხ-ს რაიონის სოფელ გ-ი. ნ. კ-ე არის მისი ნათესავი და მეზობელი. მას მისმა შვილმა ნ. გ-მ 2010 წლის სექტემბრის თვეში უთხრა, რომ რაღაც საქმეზე სჭირდებოდა ნ. კ-ს („ბ-ს“) განცხადების დაწერა, რის გამოც განცხადება დაწერა ნ. გ-მ გამგეობის სახელზე ხე-ტყის მიღებასთან დაკავშირებით და მან მოაწერა ხელი, რის შემდეგაც მან არაფერი არ იცის აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით. მას რაიმე ხე-ტყე არ მიუღია. განცხადება დაწერა ნ. გ-ს სახლში. მას საქმეში წარმოდგენილი 2010 წლის 23 სექტემბრით დათარიღებულ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული 6 მ³ წიფლის ჯიშის სამასალე მორები არ მიუღია და არც აღნიშნულ მიღება-ჩაბარების აქტზე მოუწერია ხელი, არც არავის მიუტანია იგი მისთვის.

31. დაზარალებულ ნ. ქ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ცხოვრობს ხ-ს რაიონის სოფ. ი-ი, დასთან ს. ქ-ე-გ-ნ ერთად და არის პირველი ჯგუფის ინვალიდი, ასევე უსინათლო. 2010 წელს ხე-ტყის თემასთან დაკავშირებით მას მისმა ძმამ უთხრა, რომ თუ

არ ცდება, მან აღნიშნული ვ. ქ-ნ გაიგო, რომელიც არის მათი მეზობელი და ახლობელი. მან, როგორც ახსოვს, რაღაც განცხადებაზე მოაწერინა ხელი, რომელიც ხე-ტყეც ეხებოდა. ვინაიდან მას იმ პერიოდში და დღესაც ეკონომიკურად უჭირს, იყო შესაძლებლობა, რომ გამგეობას დაეკმაყოფილებინა მისი განცხადება ხის გამოყოფის თაობაზე. ვ. ქ-ე მათ შეპირდა, რომ ხის გამოყოფის შემთხვევაში თვითონ დახერხავდა მას სახერხში და მასალით მასაც დაეხმარებოდა. როგორც ახსოვს, ვ-მ მის ოჯახს რაღაც მასალა აშკარად მოუტანა, რომელიც დღემდე ვერ გამოიყენეს დანიშნულებისამებრ, ვინაიდან არ ჰქონდა შესაძლებლობა. რაც შეეხება გამგეობის თანამშრომლებს, არ ახსოვს, რომ მათ რაიმე მასალა გამოეყოთ ან მიეტანოთ. არც ისეთი შემთხვევა ახსოვს, რომ გამგეობის თანამშრომლებს მისთვის რაიმე დოკუმენტი დაეტოვებინათ, რომლითაც ის ხე-ტყეც მიიღებდა. რაც შეეხება მიღება-ჩაბარების აქტს ან რაიმე მსგავსი შინაარსის დოკუმენტს, ასეთზე ხელმოწერის ფაქტს ვერ იხსენებს.

32. დაზარალებულ დ. ა-ს ჩვენებით დასტურდება, რომ ცხოვრობს ხ-ს რაიონის სოფელ დ. კ-ი, შვილთან რ. გ-ნ ერთად. მის ოჯახს არასოდეს დახმარებისთვის არ მიუმართავს ხ-ს გამგეობისათვის. მხოლოდ ერთხელ მიმართა, რათა სოციალურად დაუცველთა ერთიან მონაცემთა ბაზაში ჩაესვათ, მაგრამ ქულების უკმარისობის გამო ვერ მოხვდა ბაზაში. როგორც მისთვის გახდა ცნობილი, თითქოს მან 2010 წელს სექტემბრის თვეში მიმართა განცხადებით ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობას ხე-მასალის გამოყოფის თხოვნით, რაც სიმართლეს არ შეესაბამება და თუ საიდან მოხვდა მისი სახელით დაწერილი განცხადება ხ-ს გამგეობაში, მისთვის უცნობია, ხელმოწერაც არ ემთხვევა მის ხელნაწერს. მას დარწმუნებით შეუძლია იმის თქმა, რომ არც თავად და არც მის ვაჟიშვილს დახმარების თხოვნით არ მიუმართავს ხე-მასალის გამოყოფის თხოვნით ხ-ს გამგეობისათვის. როგორც მისთვის წარდგენილ დოკუმენტებში ჩანს, თითქოს მან მიიღო ხ-ს გამგეობიდან 5 მ³ წიფლის ჯიშის სამასალე მერქანი, მაგრამ მის ოჯახს არ მიუღია ზემოაღნიშნული ხე-მასალა. ამასთან, მის ოჯახს ხე-მასალის სანაცვლოდ რაიმე სახის ფულადი თანხაც არ მიუღია. როგორც ახსოვს, ხ-ს რაიონის სოფელ ი-ი მდებარე სახერხის მეპატრონე ვ. ქ-ს სახელით მივიდნენ მასთან და სთხოვეს რაღაც დოკუმენტზე ხელმოწერა, კერძოდ, როგორც ახსოვს, განცხადება იყო ხე-ტყის თაობაზე. ვ-ნ სახერხში მუშაობს მისი შვილი რ. გ-ი, რომლისგანაც იცნობდა ვ-ს. ამდენად, მისი ხათრით უარი არ უთქვამს დოკუმენტის ხელ-

მონერაზე. საბოლოოდ მას არც მორები მიუღია და არც გამგეობაში ყოფილა ცნობის ასაღებად. როგორც მისთვის ცნობილია, მორები მიიტანეს ვ. ქ-ს სახერხში. მისთვის დაკითხვისას წარდგენილ ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე მისი სახელით შედგენილ განცხადებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული განცხადება არ არის მისი ხელით დაწერილი, მასზე არ არის მისი ხელმოწერა. მისთვის უცნობია, თუ ვის შეიძლება დაენერა აღნიშნული მისი სახელით. ასეთი შინაარსის განცხადებით გამგეობისთვის არც მას და არც მის ოჯახს არასდროს მიუმართავთ. ხის მასალა არასდროს დასჭირვებია, ხოლო შემთ არასდროს დახმარებია გამგეობა; ასევე, 2010 წლის 3 ოქტომბრის შესყიდვის აქტთან დაკავშირებით და 2013 წლის 23 სექტემბრით დათარიღებულ ცნობასთან და მიღება-ჩაბარების აქტთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ შესყიდვის აქტის შინაარსს გაეცნო და არ გამოიციხავს, რომ მის სახელზე გამოწერილი ხე-ტყე მიტანილი იყო სწორედ ვ. ქ-ს სახერხში, მას ნამდვილად ახსოვს, რომ ვ-ნ მოუტანეს რაღაც ხელმოსაწერი დოკუმენტი, რაზედაც დასვა ხელმოწერა, თუმცა შესყიდვის აქტზე იმჟამად არსებული ხელმოწერა არ ჰგავს მისას; რაც შეეხება მიღება-ჩაბარების აქტს, მასზე დასმული ხელმოწერა ჰგავს მისას და არ გამოიციხავს, რომ იყოს მისი, რადგან იდენტურია მისი ხელმოწერის და შესაძლებლად მიიჩნევს იყოს მისი ხელმოწერა; ხოლო ფაქტი, რაც დაფიქსირებულია აქტში, არასდროს მომხდარა, მას წიფლის სამასალე მორი არასდროს მიუღია. კატეგორიულად გამოიციხავს, შესყიდვის აქტში მითითებული 750 ლარის მორების ფაქტსაც. მხოლოდ იხსენებს იმ ფაქტს, რომ აღნიშნულ პერიოდში ვ. ქ-მ მის ვაჟს სახლში გამოატანა ცოტაოდენი საშუაზე მერქანი, რაც გამოიყენეს ბუხრისთვის გათბობის მიზნით. ასევე განმარტა, რომ 2010 წელს ხე-ტყის თემასთან დაკავშირებით მის სახლში ნამდვილად იმყოფებოდა დაახლოებით 2-3 პირი, რომელთა ვინაობა არ იცის, არც თვითონ განუმარტავთ და არც მას უკითხავს. მათ ეზოში დაიძახეს მისი სახელი და როცა მან განუმარტა თავისი ვინაობა, ხელი მოაწერინეს რაღაც ფურცელზე, რომლის შინაარსიც არ წაუკითხავს. როგორც ახსენდება, უთხრეს, რომ ვ-ს სახერხიდან მოდიოდნენ. დოკუმენტები მისთვის არ დაუტოვებიათ და ვერ ამბობს, როგორ აღმოჩნდა იგი სახერხში და ვინ მიიტანა. აგრეთვე, მისთვის უცნობია, თუ ვინ და რა მიზნით გამოიყენა სამასალე მორი და ასევე უცნობია, ვინ აიღო თანხა, მას არც ერთი და არც მეორე არ მიუღია.

33. მოწმე ც. გ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ცხოვრობს ქ.

ბ-ი, ჩ-ს ქ. №....-ში დედასთან – გ. ჯ-ნ და შვილებთან ერთად. მან იცის ხე-ტყესთან დაკავშირებით, რომ მის ოჯახს არაფერი მიუღია. 2010 წელს მათთან მივიდა მათი მეზობელი ნ. გ-ე, რომელმაც დედამისს გ. ჯ-ს სთხოვა განცხადების დაწერა და თან სთხოვა პირადობის მოწმობა, რომ მის ბიძაშვილს ხე-ტყე კანონიერი წესით გამოეტანა, რის გამოც დედამისმა გ. ჯ-მ დაწერა განცხადება ხე-ტყის მოთხოვნასთან დაკავშირებით. განცხადება წაიღო ნ. გ-მ. საქმეში წარმოდგენილი 2010 წლის 23 სექტემბრით დათარიღებულ მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული 6 მ³ ნიფლის ჯიშის სამასალე მორები მის ოჯახს არ მიუღია და დედამისს არც მიღება-ჩაბარების აქტი ჩაბარებია და არც მასზე მოუწერია ხელი. აღნიშნულთან დაკავშირებით არავინ მისულა მათთან, ხოლო დედამისი მისი ჯანმრთელობის გამო გარეთ ვერ გადიოდა. როგორც მან იცის, ანალოგიურად, ნ. გ-ს თხოვნით დაწერეს განცხადება მისმა მეზობლებმა – ზ. ბ-მ და ე. რ-ა. მათ არ იცოდნენ, რომ გამგეობა არიგებდა ხე-ტყეს, ნ. გ-ს რომ არ ეთქვა.

34. მონმე ნ. გ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ცხოვრობს ქ. ხ-ი, ჭ-ს ქ. მე-.... შესახვევის №...-ში. ნ. კ-ე არის მისი ბიძაშვილი, რომელმაც სთხოვა განცხადების დაწერა, რადგან მას უნდოდა ხე-ტყის მასალის გამოტანა ტყიდან და უფრო იოლად გამოიტანდა, ხოლო ხე-ტყე მისთვის არ უთხოვია. მან 2010 წლის სექტემბრის თვეში დაწერა განცხადება და მიმართა გამგეობას ხე-ტყის მიღებასთან დაკავშირებით, რომ მისთვის გამოეყოთ 5 მ³ სამასალე მორი, რაც მას არ მიუღია. მას არ ახსოვს განცხადება თვითონ მიიტანა, თუ სხვას გაატანა. რადგან ის იყო სოციალურად დაუცველი, თუ მიიღებდა მორს, გამოიყენებდა საჭიროებისამებრ, სარემონტო სახლი ჰქონდა. მან ასევე ნ. კ-ს დედამისს ქ. კ-ს და მეზობლებს – ზ. ბ-ს, ე. რ-ს, გ. ჯ-ს, რომელიც ამჟამად ჩანოლილია, ასევე სთხოვა განცხადების დაწერა და როგორც მან იცის, არც მათ მიუღიათ რაიმე ხე-ტყე და არც მიღება-ჩაბარების აქტზე მოუწერიათ ხელი. მას საქმეში წარმოდგენილი 2010 წლის 23 სექტემბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტი არ უნახავს და მასზე ხელი არ მოუწერია, არც აღნიშნულ აქტში მითითებული 5 მ³ მასალა არ მიუღია. ის ბ. ჭ-ს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ შეხვედრია.

35. მონმე გ. გ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ცხოვრობს ქ. ხ-ი, ა-ს ქუჩა №....-ში. მას ჰყავდა ბებია ბ. ჩ-ე, რომელიც გარდაიცვალა 2013 წლის მარტის თვეში და რომელიც ცხოვრობდა ზემოაღნიშნულ მისამართზე ზაფხულობით, სადაც ისინი თითქმის კვირაში რამდენჯერმე ჩადიოდნენ, ხოლო 2010 წელს გ. გ-ე

ცხოვრობდა ხ-ს რაიონის სოფელ გ-ი და ზამთრობით მასთან რჩებოდა ბებიათა მისი. ბებიათა მისი სახელზე გამოწერილ ხე-ტყესთან დაკავშირებით არაფერი უხსენებია, მაშინ როდესაც ყველაფრის საქმის კურსში აყენებდა მათ. საქმეში წარმოდგენილი, ბ. ჩ-ს სახელზე შესრულებული 2010 წლის 11 ოქტომბრით დათარიღებული განცხადება ვის მიერ არის დაწერილი, მან არ იცის. ასევე საქმეში წარმოდგენილი 2010 წლის 13 ოქტომბრით დათარიღებულ ცნობაში და მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული 4,3 მ³ სოჭის მასალა მათ არ მიუღიათ და არც ბებიათა მისის უთქვამს მისთვის სხვა რაიმე.

36. დაზარალებულ, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლის – კ. კ-ს ჩვენებით დასტურდება, რომ 2014 წლის 8 სექტემბრიდან მუშაობს ხ-ს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ სამსახურში, მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. მას გამგებლის – ჯ. მ-ს ბრძანების საფუძველზე დაევალია წარმომადგენლობა განხორციელება სასამართლოში. ის გაეცნო საქმის მასალებს, გამგეობა დაზარალებულია ხე-ტყის მასალის არამიზნობრივად გაფლანგვის გამო. აღნიშნული ხე-ტყე ჯერ კიდევ იმყოფება ხ-ს რაიონის გამგეობის ბალანსზე, თუმცა რეაღიარად არ არის, რომლის ღირებულებაც საქმეში წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნების მიხედვით შეფასებულია 20 420 ლარის ფარგლებში, რის ანაზღაურებასაც ითხოვენ, რადგან აღნიშნული ხე-ტყე აყვანილი იყო გამგეობის ბალანსზე იმ მიზნით, რომ დარიგებოდა სტიქიით დაზარალებულებს, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ, უკიდურესად გაჭირვებულ და მრავალშვილიან ოჯახებს, თუმცა საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ხე-ტყე გამოყენებულ იქნა არამიზნობრივად და არ მიუღიათ ზემოაღნიშნული კატეგორიის მოქალაქეებს.

37. მოწმე ა. გ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ის ცხოვრობს ხ-ს რაიონის სოფ. ი-ი და არის ინდ. მენარმე. ნ. კ-ს იცნობს, ვინაიდან მას საამქროში შეჰქონდა ხე-ტყე, კერძოდ 2009 წელს ის დარეგისტრირდა როგორც ინდ. მენარმე, თუმცა მან გარკვეული პრობლემების გამო ვერ დაიწყო შრომითი საქმიანობა, რის გამოც მუშაობდა ვ. ქ-ს სახერხ საამქროში. 2010 წელს ის და ვ. ქ-ე შეთანხმდნენ, რომ პასუხისმგებელი პირი და ხელმძღვანელი საამქროში იქნებოდა ა. გ-ი, რადგან ვ. ქ-ე თავისი ოჯახური პრობლემების გამო ვერ იყო ხშირად სამსახურში, თუმცა ის მაინც აყენებდა საქმის კურსში ვ. ქ-ს, რადგან მისი საწარმო იყო. მათი საამქრო ძირითადად ამუშავებდა ხე-ტყეს. 2010 წლის ზაფხული-შემოდგომის პირზე, მათ შემოაკლდათ ხე-ტყე და ვინაიდან ა. გ-ი არ იცნობდა იმ პირებს, ვისაც მასალის შეტანა შეეძ-

ლოთ, აღნიშნულის შესახებ მან უთხრა ვ. ქ-ს, რომელმაც რამდენიმე დღის შემდეგ მას განუმარტა, რომ შეიძლებოდა ხე-ტყის შემოტანა, რადგან რაიონში იყო ხე-ტყე, რომელიც შეიძლებოდა გაცემულიყო მოსახლეობაზე და ამ მოსახლეობიდან შეიძლებოდა ხე-ტყის შესყიდვა. ამის შემდეგ რამდენიმე პიროვნება, მათ შორის დ. ბ-მ და კ. ლ-ა, ვ. ქ-ს თხოვნით დაწერეს განცხადება გამგეობის სახელზე იმ მიზნით, რომ თუკი ისინი შეუტანდნენ სამასალე მორს, მათგან შეისყიდინდნენ და თანხას მათ მისცემდნენ, თუმცა აღნიშნულიდან რამდენიმე ხანში ვ. ქ-მ მათ განუცხადა, რომ ამ პიროვნებებს მასალას არავინ მიცემდა და აღნიშნულ მასალას საამქროში მათ მიუტანდა სხვა პიროვნება, კერძოდ, განცხადებები უნდა დაწერილიყო, მაგრამ ამ განცხადებების საფუძველზე სხვა პიროვნება მიუტანდა ხე-ტყეს და თანხა მისთვის უნდა გადაეცათ. ვ. ქ-მ მას გააცნო ნ. კ-ე, რომელიც მათ საამქროში იყო მისული და რომელმაც მას უთხრა, რომ თუკი განცხადებები იქნებოდა დაწერილი, ის ამ განცხადებების საფუძველზე მიუტანდა მათ ხე-ტყეს და ანგარიშსწორება მასთან უნდა მომხდარიყო. ა. გ-ს განმარტებით, მან იცოდა, რომ ნ. კ-ს და ვ. ქ-ს მანამდე არ ჰქონდათ სასურველი ურთიერთობა, მაგრამ რადგანაც მის კომპეტენციაში არ შედიოდა, არ დაინტერესებულა აღნიშნულით. ამის შემდეგ ნ. კ-ს მათ საამქროში შეჰქონდა მასალა და თანხას ხელზე აძლევდნენ. აღნიშნულ მასალასთან ერთად ნ. კ-ს მიჰქონდა მასალის წარმოშობის დამადასტურებელი ორი დოკუმენტი – ერთი იყო ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის ზ. ჯ-ს მიერ გაცემული და მის მიერ ხელმოწერილი ცნობა და მეორე-მიღება-ჩაბარების აქტი, რომლებიც შედგენილი იყო სხვადასხვა პიროვნების სახელზე და რომლებსაც, როგორც მან დარწმუნებით იცის აღნიშნული პიროვნებებისაგან, არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდათ ნ. კ-ს და მისთვის არ უჩუქებიათ მასალა, ხოლო ვინაიდან ამ პიროვნებებმა მათი თხოვნით დაწერეს განცხადება, მათ თვითონ ჩათვალეს თავი ვალდებულიად და რითაც შეეძლოთ გარკვეული ანგარიში გაუსწორეს მათაც, ვინაიდან მათ სახელზე გამოწერილი ხე-ტყე მათთან მიჰქონდა ნ. კ-ს და მასალის ღირებულების თანხასაც მას აძლევდნენ. ამასთან ერთად მან ვ. ქ-ს გადმოცემით იცოდა, რომ მას ავალდებულებდნენ აღნიშნული მასალის მიღებას. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე ხდებოდა მათთან ადგილზე შესყიდვის აქტების შედგენა და შეტანილი მასალის გატარება სატყეოს სარეგისტრაციო ჟურნალში. შესყიდვის აქტის ტექსტს ადგენდა ბ. ბ-ე, რომელიც მათთან მუშაობდა ამ პერიოდში. ნ. კ-მ მათ საამქროში შეიტანა დაახლოებით 10-11 მანქა-

ნა მასალა, ძირითადად მიჰქონდა „ზილის“ მარკის სატვირთო მანქანით, რომელსაც მართავდა ნ. კ-ს მძღოლი ბ. კ-ე და ერთხელ იყო შემთხვევა, როდესაც მასალა მიიტანა „კამაზის“ მარკის დიდი სატვირთო მანქანით, რომელსაც მართავდა მძღოლი დ. მე-ე, მეტსახელად „მა-ა“. მონმის განმარტებით, ანგარიშსწორება ნ. კ-ს მიერ საამქროში შეტანილ მასალასთან დაკავშირებით ხდებოდა შემდეგნაირად: როდესაც თვითონ ახლდა ნ. კ-ე მასალას, პირადად მას აძლევდა ა გ-ი ფულს, თუმცა იყო შემთხვევა, რომ მარტო მისი მძღოლი ბ. კ-ე იყო მისული და მან ნ. კ-ს სატელეფონო გასაუბრების შემდეგ, მასთან შეთანხმებით, თანხა გაატანა ბ. კ-ს, მაგრამ თანხის გადაცემას არავინ დასწრებია. მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, რომ ნ. კ-მ მას სთხოვა 3000 ლარი, რაც მან მოიტანა სახლიდან და ვ. ქ-ს თანდასწრებით გადასცა. ისინი 1მ3 მასალაში ნ. კ-ს უხდიდნენ 160 ლარს; ისინი საამქროში ამზადებდნენ ავეჯს, რის გამოც აუცილებელი იყო ნიფლის ხის მასალა, რისთვისაც შეიძინეს აღნიშნული მასალა; იყო შემთხვევები, რომ ნ. კ-ს მიერ მიტანილ ნიფლის ჯიშის მასალას ზოგჯერ რაიმე დეფექტი არ ჰქონია, ზოგჯერ ჰქონდა დეფექტი, 10-15 სანტიმეტრით თავები ჰქონდა მორს გაფუჭებული და მათი აზომვა ხდებოდა ნ. კ-ს თანდასწრებით და დოკუმენტებში ფიქსირდებოდა ის რაოდენობა, რომელიც იყო ვარგისიანი და, შესაბამისად, აღნიშნულს გათვალისწინებით ეძლეოდა ნ. კ-ს მასალის ღირებულებაც. ასევე მონმემ მის მიერ გამოძიებაში წარდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, კერძოდ მოქალაქეების: კ. ა-ს, დ. ა-ს, გ. დ-ს, ლ. ჯ-ს, მ. მ-ს, ნ. ქ-ს, დ. ბ-ს და ა. ქ-ს სახელზე შევსებულ შესყიდვის აქტებთან, გამგებლის ზ. ჯ-ს მიერ გაცემულ ცნობებთან და მიღება-ჩაბარების აქტებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ცნობები და მიღება-ჩაბარების აქტები და მათში მითითებული მასალა საამქროში მიიტანა ნ. კ-მ და შესყიდვის აქტებში მითითებული თანხები გადაეცა მას; შესყიდვის აქტებზე ხელმოწერები ა. გ-ს სახელით და გვართ შესრულებულია პირადად მის მიერ და ასევე შესყიდვის აქტები ხელმოწერილია მასში მითითებული მოქალაქეების მიერ, თუმცა მასში მითითებული თანხა გადაცემული არის ნ. კ-ე, ხოლო მოქალაქეებს შეძლებისდაგვარად, რაც შეეძლოთ მათ, მათი დაპირების სანაცვლოდ, გაუწიეს გარკვეული დახმარება; აღნიშნულ პიროვნებებთან გარკვეული ურთიერთობა აქვთ, ზოგიერთი მათი თანამშრომელი იყო საამქროში, ზოგიერთი კი სამეზობლო; ის ასევე იცნობს ბ. ჭ-ს, რომელიც მათთან საამქროში ჰყავს ნანახი ვ. ქ-ნ ერთად, მაგრამ რაიმე საქმიანი ურთიერთობა მასთან არ ჰქონ

ნია, მისი თანდასწრებით რაიმე დოკუმენტი, არც მიღება-ჩაბარების აქტი არ შემდგარა; ხოლო რაც შეეხება ლ. ბ-ს, მას პირადად ამ საქმესთან დაკავშირებით არ უნახავს, უბრალოდ ვ. ქ-მ რამდენჯერმე ახსენა მასთან პირადი საუბრების დროს აღნიშნული მასალის შეტანასთან დაკავშირებით, მაგრამ მან არ იცის დეტალები, თუ რა ურთიერთობა და რა საუბარი ჰქონდათ ლ. ბ-ს და ვ. ქ-ს ერთმანეთთან; ასევე მან არ იცის მისი დის გ. გ-ს მიღება-ჩაბარების აქტზე ვინ მოაწერა ხელი და მას მის პირადობის მოწმობასთან შეხება არ ჰქონია. მან ბ. ჭ-ს მხოლოდ მისი დის სახლი ასწავლა, მაგრამ იმ დროს მისი და თბილისში იყო.

38. მოწმე ვ. ქ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ის ცხოვრობს ხ-ს რაიონის სოფ. ი-ი. იცნობს ბ. ჭ-ს, რომელთანაც ამ საქმესთან დაკავშირებით ჰქონდა რაღაც შეხვედრები, ხოლო ნ. კ-ს დიდი ხანია იცნობს, რადგან მასთან მიჰქონდა მასალა; ლ. ბ-ე კი მისი მეუღლის მეზობელია. მას სოფელ ი-ი აქვს სახერხი საამქრო, სადაც ამზადებს ხის ავეჯს. მან აღნიშნული ხის საამქრო 2010 წელს მისი ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე, რადგან დრო არ რჩებოდა მიეხედა საწარმოსათვის, მმართველობაში გადასცა ა. გ-ს, მაგრამ ისიც ეხმარებოდა საწარმოს მართვაში, თუ რაიმე პრობლემა იყო, აგებინებდა მას. 2010 წელს ხე-ტყის მასალასთან დაკავშირებით იყო პრობლემები, რის გამოც ა. გ-ა მას სთხოვა დახმარება მასალის შეძენაში. ამ დროს მისთვის ცნობილი გახდა, რომ გამგეობას შეეძლო უსასყიდლოდ დაერიგებინა ხალხისთვის ხის მასალა, ძირითადად წიფელა, რის გამოც დაინტერესდა. მან ა. გ-ს უთხრა, რომ შეიძლებოდა გაჭირვებულ ხალხს, რომელთაც დახმარება სჭირდებოდათ, მიეღო გამგეობიდან უსასყიდლოდ წიფლის ხე-ტყე და ისინი შეიძენდნენ შემდეგ ამ ხალხისაგან აღნიშნულ მასალას. ამის შემდეგ მათ ნახეს ასეთი ადამიანები, რომლებიდანაც ზოგიერთი იყო ნათესავი, ზოგიერთი მეზობელი და აუხსნეს, რომ დაენერათ განცხადებები, შეეტანათ გამგეობაში და თუ მიიღებდნენ მასალას, ისინი შეისყიდინენ მათგან და მათ გადაუხდიდნენ თანხას, რადგან იყო წიფლის მასალა და სხვა რამეში ვერ გამოიყენებდნენ, ხოლო ისინი სამეწარმეოდ გამოიყენებდნენ. მართლაც, რამდენიმე პიროვნებამ, მათ შორის ვინც ახსოვს იყვნენ დ. ბ-ე და კ. ლ-ი, სხვისი სახელი და გვარი არ ახსოვს, შეიტანეს განცხადებები გამგეობაში, მაგრამ აღნიშნულის შემდეგ რამდენიმე დღეში მას დაუკავშირდა ვიღაც ახალგაზრდა გოგო და უთხრა, რომ ლ. ბ-ე იბარებდა ამჟამინდელ გამგეობის შენობაში. ის იმავე დღეს წავიდა მასთან და სანამ ოთახში შევიდოდა, მან დაინახა ნ. კ-ე, რომელიც გარეთ იდგა და რომელთანაც მას

არ ჰქონდა კარგი ურთიერთობა. ის შევიდა ლ. ბ-ნ ოთახში, სადაც მათ ჯერ ერთმანეთი მოიკითხეს, ხოლო შემდეგ ლ. ბ-მ მას უთხრა, რომ ნ. კ-ს (ბ-ს) ჰქონდა პრობლემები, შეიძლება დაეჭირათ და სთხოვა დახმარება, კერძოდ უთხრა, რომ მას მიეცა ნ. კ-ს 3000 ლარი და ის მას მიუტანდა საბუთიან მასალას, ასევე მას ეტაპობრივად მიეცა რაც დასჭირდებოდა თანხა და ექნებოდა საბუთიანი ხის მასალა, რომელსაც შეუტანდა მას ნ. კ-ე, კერძოდ საუბარში განუმარტა, რომ ნ. კ-ს ჩამორთმეული ჰქონდა მასალა, რომელიც უნდა დარიგებოდა ხალხს, სულ 220 მ³-ზე მეტი იყო, მაგრამ ამ მასალას ვერავის მისცემდნენ. მას დაავალა, რომ მოეძებნა ხალხი, რომლებიც დაწერდნენ განცხადებებს, აღნიშნულ მასალაზე გაკეთდებოდა კანონიერი საბუთები, რაზედაც პასუხისმგებელი ის იქნებოდა, მას მასალას მიუტანდა ნ. კ-ე და თანხას ნ-ს გადაუხდიდნენ. აღნიშნულზე ვ. ქ-მ მას განუცხადა, რომ ნ. კ-ს არ სურდა არანაირი ურთიერთობა, რადგან ბევრჯერ ჰქონდა გართულება მასთან საქმესთან დაკავშირებით, თუმცა ლ. ბ-მ უთხრა, რომ პასუხისმგებელი ის იქნებოდა, რომ რაიმე პრობლემა არ შეექმნებოდა, რის გამოც ისიც დათანხმდა. აღნიშნულის შემდეგ ლ. ბ-მ დაურეკა ნ. კ-ს და ისიც შევიდა ოთახში და შეთანხმდნენ, რომ თუ ნ. კ-ე მიუტანდა კანონიერი საბუთით მასალას, შეისყიდოდა და თანხას გადაუხდიდა მას. აღნიშნული საუბრის დროს ვ. ქ-მ ლ. ბ-ს ასევე განუცხადა, რომ ხალხს უკვე დაწერილი ჰქონდა განცხადებები, რომლებთანაც შეთანხმებული იყო და თუ ისინი მიიღებდნენ მასალას, მათგანაც უნდა შეესყიდა, რაზედაც ლ. ბ-მ მას განუცხადა, რომ ვერავინ ვერაფერს მიიღებდა, ამ ხალხის საბუთით ნ. კ-ე მიუტანდა მასალას და ის თანხას ნ-ს გადაუხდიდა, ხოლო ამ ხალხთან მას გაერკვია ურთიერთობა. ამის შემდეგ ვ. ქ-მ უთხრა ა. გ-ს, რომ ნ. კ-ე მათ მიუტანდა მასალას ზემოაღნიშნული პირების საბუთით და თანხას მას მისცემდნენ, ხოლო იმ ხალხს, ვინაიდან ისინი დაპირდნენ, რალაციით ეცათ პატივი. მათ დაიანგარიშეს და აღნიშნული მასალა 300 ლარზე არ უჯდებოდა. ამის შემდგომ მასთან საამქროში მივიდა ნ. კ-ე, რომელსაც, როგორც მას განუმარტეს, 3000 ლარი ჰქონდა შესატანი სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად და ვინაიდან ა. გ-ს ჰქონდა საამქროს თანხები, მან გადასცა მისი თანდასწრებით ნ. კ-ს 3000 ლარი. ამის შემდეგ ნ. კ-მ მათ მიუტანა აღნიშნული 3000 ლარის მასალა საბუთებთან ერთად და ასევე კიდევ რამდენიმე საბუთით შეიტანა მათთან მასალა, რომლის თანხაც მას გადაეცა. ასევე მას წინასწარ ჰქონდა 4700 ლარამდე მიცემული ნ. კ-ს მასალის თანხა, თუმცა მასალა აღარ მიუტანია მის-

თვის. მათთან მიტანილი მასალის საბუთები შედგენილი იყო იმ ადამიანების სახელზე, ვისაც მათ უთხრეს, რომ განცხადებები დაენერათ და შეიძლება მიეღოთ მასალა. ნ. კ-ს მიერ მიტანილი საბუთები იყო გამგებლის – ზ. ჯ-ს მიერ გაცემული ცნობა და მიღება-ჩაბარების აქტი კომისიის წევრების ხელმოწერებით. მოწმის განმარტებით, ნ. კ-ს აღნიშნულ პიროვნებებთან, რომელთა სახელზეც იყო გაცემული საბუთები, არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია. როდესაც აღნიშნულ საქმეზე დაიწყო გამოძიება და დაკითხეს ის პიროვნებები, რომელთა სახელზეც იყო მასალა და საბუთები მასთან ინახებოდა, ის მივიდა ლ. ბ-ნ სახლში – სოფელ გ-ი აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით სალაპარაკოდ, სადაც მას დახვდა ასევე დ. ბ-ე, რომელიც იყო სოფელ გ-ს რწმუნებული და ვინაიდან მასაც ჰქონდა ხელი მოწერილი საბუთებზე, ერთად ისაუბრეს ამ თემასთან დაკავშირებით, თუ რა ხდებოდა და რატომ დაიწყო გამოძიება. პასუხისმგებელი ყველაფერზე იყო ლ. ბ-ე. თავიდან მას ლ. ბ-მ წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა შემდეგ მან დაურეკა ნ. კ-ს, რომელიც მივიდა მათთან და მათ შორის კამათიც მოხდა, რადგან აღნიშნული პიროვნებები დაკითხვის დროს ამბობდნენ, რომ ვ. ქ-მ უთხრა განცხადებებთან დაკავშირებით. ვ. ქ-მ მათ უთხრა, რომ ისინი იყვნენ პასუხისმგებლები და როგორც უნდოდათ, გაერკვიათ ეს საკითხი, რაზედაც ლ. ბ-მ მას განუმარტა, რომ შეიძლებოდა ამ საქმის მოგვარება, თუ ეს ხალხი იტყოდა, რომ მათ მიიღეს მასალა და მიუტანეს ვ. ქ-ს, მაგრამ ეს ხალხი ყველა დაკითხული იყო უკვე და ყველას ნათქვამი ჰქონდა, რომ მათ განცხადება დაწერილი ჰქონდათ და არაფერი არ მიუღიათ. ამის შემდეგ, ლ. ბ-ე მას აღარ შეხმია ნება; მოწმის განმარტებით, მან იცოდა, რომ აღნიშნული მასალა ჩამორთმეული იყო ნ. კ-ე; მასალა საამქროში ხან ნ. კ-ს მიჰქონდა, ხან აგზავნიდა მანქანით, ტელეფონზე უკავშირდებოდნენ ა. გ-ა და ბ. ბ-ს, რომ მასალას აგზავნიდა, შემდეგ კი მიდიოდა და ხდებოდა მასალის აზომვა და თანხის მასზე გადაცემა, თუ წინასწარ ჰქონდა მიცემული, აკლებდა აღნიშნულ თანხას; ისინი 1 მ³ მასალაში იხდიდნენ 150-170 ლარამდე შეთანხმებით; მასალის შემონმება და აზომვა ხდებოდა ნ. კ-ნ ერთად, რა დროსაც ზოგჯერ აკლდებოდა მასალას 10-15% იმ ნაწილისათვის, რაც დაზიანებული იქნებოდა. დაზიანებული მასალა ზომში არ შედიოდა. ნ. კ-ს მიერ საამქროში მიტანილი მორები გამოიყენეს სამასალედ; ნ. კ-ნ მათ სულ ჯამში შესყიდული აქვთ დაახლოებით 50-60 მ³ წიფლის ჯიშის მასალა, რაშიც გადახდილი აქვთ მისთვის დაახლოებით 10000 ლარი; ისინი მიტანილ მასალასთან დაკავშირებით ადგენდნენ

შესყიდვის აქტებს იმ ადამიანების სახელზე, ვის სახელზეც იყო მასალა და ცნობა განერილი, რადგან ნ. კ-ს სახელზე არ იყო არცერთი საბუთი; შესყიდვის აქტებს ადგენდა ბ. ბ-ე. მოწმე ა. გ-ს მიერ გამოძიებაში წარდგენილ ათი მოქალაქის – კ. ა-ს, დ. ა-ს, გ. დ-ს, ლ. ჯ-ს, მ. მ-ს, ნ. ქ-ს, დ. ბ-ს და ა. ქ-ს სახელზე გაცემულ ცნობებთან, მიღება-ჩაბარების აქტებთან და შესყიდვის აქტებთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნულ დოკუმენტებში მითითებული თანხები გადაეცა ნ. კ-ს; ასევე მოწმის განმარტებით, ბ. ჭ-ე ერთხელ იყო მისული მასთან საამქროში ამ საქმესთან დაკავშირებით და უთხრა, რომ იმ პიროვნებების ნახვა უნდოდა, ვისი განცხადებებიც იყო, ხელმოწერების გასაკეთებლად, მაგრამ მას არ ეცალა და თან უთხრა, რომ რაც მისი გასაკეთებელი იყო, მან გააკეთა, დანარჩენი საბუთები მათი მოსაგვარებელი იყო და როგორც უნდოდათ, ისე მოეგვარებინათ, რის გამოც ის არ ნაწყოლია მას და მან არ იცის, ამ პირებმა მოაწერეს თუ არა ხელი მიღება-ჩაბარების აქტს და თუ მოაწერეს, სად მოხდა ეს.

39. მოწმე ბ. ბ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ცხოვრობს ქ. ხ-ი, ს. მე-....-ის ქუჩა №...-ში. მან ნ. კ-ე გაიცნო ვ. ქ-ს მეშვეობით ავეჯის საამქროში, სოფელ ი-ი. ის 2007 წლიდან 2013 წლამდე მუშაობდა ვ. ქ-ს ავეჯის საამქროში, სოფელ ი-ი, მასთან ერთად მუშაობდა ა. გ-ი. საამქროში მისი ძირითადი მოვალეობა იყო პროდუქციის რეალიზაცია, საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა ვ. ქ-ე, ხოლო მასალის აზომვა, მიღება და ა.შ. ევალებოდა ა. გ-ს. გარდა ამისა, ბ. ბ-ე ავსებდა შემოსულ მასალასთან დაკავშირებით სპეციალურ ჟურნალს, კერძოდ, როდესაც ის სამსახურში მივიდოდა, მას ახვედრებდნენ მასალას ან ზოგჯერ ესწრებოდა მასალის მიღებას და ის ჟურნალში ატარებდა მასალის წარმომავლობას და თუ როდის მიიღეს ეს მასალა. დაახლოებით 2010 წლის სექტემბრის თვე იქნებოდა, საამქროში მასალის პრობლემა ჰქონდათ, რის გამოც მას და ა. გ-ს ვ. ქ-მ უთხრა, რომ იყო საშუალება მიეღოთ მასალა, რომლის დამუშავებითაც შეძლებდნენ ავეჯის წარმოებას, კერძოდ, მათ უნდა შეერჩიათ პიროვნებები, რომლებიც განცხადებას დაწერდნენ, გამოიყოფოდა ამ პიროვნებებზე სამასალე მორი და ისინი მათგან შეისყიდინდნენ მასალას. ვ. ქ-მ და ა. გ-ა თვითონ შეარჩიეს შემდეგ პიროვნებები, რომელთაგან ნაწილი მეზობლები იყვნენ, ნაწილი – ნათესავები, რომელთა განცხადებები, როგორც მან იცის, მოხვდა გამგეობაში და მათზე შესაბამისად გამოიყო მასალა. როგორც მან იცის ზემოაღნიშნული პირების განცხადებები დაკმაყოფილდა, მაგრამ აღნიშნული პირების სახელზე გამოწერი-

ლი მასალა საბუთებთან ერთად მათთან მიჰქონდა ნ. კ-ს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს, რომელთანაც ანგარიშსწორებას ახდენდა ზოგჯერ ვ. ქ-ე, ზოგჯერ – ა. გ-ი, კერძოდ, ისინი თანხას აძლევდნენ ნ. კ-ს, როგორც მან იცის, ხან მის მძღოლს; ხოლო იმ პიროვნებებს, რომელთაც დაწერეს განცხადებები, მათ გარკვეულ პატივს სცემდა ვ. ქ-ე, ზოგს სკამით, ზოგს მასალით, ზოგს შეშით და ასე შემდეგ, ზუსტად მან არ იცის, თუ ვის რა მისცა; მან არ იცის კონკრეტულად, თუ რამდენი მანქანა მასალა მიიტანა ნ. კ-მ; როგორც მისთვის ცნობილია, ნ. კ-ს მიერ მიტანილ მასალას თან ახლდა საბუთები – გამგებლის მიერ გაცემული ცნობები და მიღება-ჩაბარების აქტები, რომლებიც გაცემული იყო იმ პიროვნებების სახელზე, რომელთა განცხადებებიც იყო დაწერილი; აღნიშნული მასალით მზადდებოდა ავეჯი; მოწმის განმარტებით, მას როგორც ახსოვს, გარკვეული სატელეფონო საუბრები ჰქონდა ნ. კ-ს განცხადებების თაობაზე, ასევე მასალის თანხასთან დაკავშირებით, ვინაიდან ვ. ქ-ს არ ჰქონდა ტელეფონი, ხოლო ა. გ-ი თავად ერიდებოდა ნ-ს სატელეფონო საუბარს. სატელეფონო საუბრის დროს მას ნ. კ-მ უხსენა ზ. ჯ-ა და კიდევ სხვა პირები, რომ მათ იცოდნენ ამ საქმის თაობაზე. მოწმეს წარედგინა საქმეში წარმოდგენილი „დოკუმენტის ხე-ტყის მოძრაობისა და სისტემატიზაციის ჟურნალი“, რასთან დაკავშირებითაც მან განმარტა, რომ აღნიშნულ საქმესთან მიმართებით დაახლოებით 10-მდე ფაქტი გაატარა მან აღნიშნულ ჟურნალში ხე-ტყის მიღების თაობაზე, სადაც მითითებულია, რა მანქანითაა და როდის მიტანილი ნ. კ-ს მიერ მასალა და ასევე არის მძღოლის ხელმოწერა; ასევე საქმეში არსებული შესყიდვის აქტები მის მიერ არის შედგენილი, ხელმოწერების გარდა.

40. მოწმე დ. მ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ცხოვრობს ხ-ს რაიონის სოფ. ი-ი. მას მეტსახელად „მ-ს“ ეძახიან. ის მუშაობს მძღოლად, კერძოდ, „კამაზის“ მარკის სატვირთო ავტომანქანით ემსახურება კლიენტებს. ის იცნობს ნ. კ-ს, იგივე „ბ-ს“, ვინაიდან ის ერთხელ იყო მასთან მისული და სთხოვა სამასალე მორების გადმოტანა სოფელ გ-ს ვ. ქ-ს საამქროში, რაზედაც ის დათანხმდა. ის ავიდა სოფელ გ-ი, სადაც ხელით დატვირთეს მისი მანქანა. ამ დროს ნ. კ-ე წასული იყო საბუთის მოსატანად, სალამოს მას ნ. კ-მ მიუტანა მასალის საბუთები, რაც ორი ფურცელი იქნებოდა და მანაც აღნიშნული სამასალე მორები საბუთებთან ერთად მიიტანა სოფელ ი-ი ვ. ქ-ს საამქროში, სადაც ჩამოცალეს ხის მორები და საბუთებიც იქ დაუტოვა, რაშიც მას გადაუხადეს ორასი ლარი.

41. მოწმე ხ. თ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ის ცხოვრობს

ქ. ხ-ი, ბ-ს ქ. №-ში, სადაც მას ასევე ჰქონდა ავეჯის საამქრო და ის იყო ინდ.მენარმე. ის იცნობს ბ. ჭ-ს, ვინაიდან ერთად მუშაობდნენ სატყეოში, ხოლო ნ. კ-ს იცნობს, ვინაიდან მისგან ყიდულობდა ხე-ტყეოს. 2010 წელს მასთან მივიდა საამქროში ნ. კ-ე და უთხრა, რომ მას ჰქონდა საბუთიანი მასალა გამგებლის ხელმოწერით, რომლის 1მ³ ღირდა 150 ლარი, მანაც ნახა საბუთები, რომ იყო გაცემული გამგებლის – ზ. ჯ-ს მიერ ოფიციალურად სხვადასხვა პირზე. ისინი შეთანხმდნენ და მას ნ. კ-მ მიუტანა 10-14 რეისი მასალა, რაშიც ის მას უხდიდა 1 მ³-ში 150 ლარს ეტაპობრივად. ნ. კ-ე თავისი მანქანით უგზავნიდა ხე-ტყეოს და თანხას შემდეგ აძლევდა თვითონ ნ. კ-ს, საერთო ჯამში მას დაახლოებით 10 000 ლარი აქვს მიცემული მისთვის. მის მიერ მიტანილი მასალა იყო ძველი, მაგრამ ზოგიერთს შეიძლებოდა ოდნავ თავები ჰქონოდა დაზიანებული, რომელსაც არ ანგარიშობდნენ აზომვის დროს. თუმცა როდესაც დახერხავდა, აღმოჩნდებოდა, რომ არ იყო გაფუჭებული. ის აღნიშნულ ხე-ტყეოს ღებულობდა სამასალედ და ხმარობდა ასევე სამასალედ. გამოძიებაში წარდგენილი შესყიდვის აქტები შედგენილია მის მიერ, მაგრამ მასზე არ არის მეორე მხარის ხელმოწერები, რადგან ნ. კ-ს მასთან არ მიუყვანია საბუთებში მითითებული პიროვნებები, რის გამოც მარტო მისი ხელმოწერებია, ხოლო შესყიდვის აქტში მითითებული თანხები მან გადასცა ნ. კ-ს, რომელსაც „ბ-დ“ იცნობს. მასთან მასალის საბუთები მიჰქონდა ნ. კ-ს მასალის მიტანის დროს ეტაპობრივად, რასაც ის იტოვებდა, ხოლო დაახლოებით ორი-სამი ცალი კი უკან წაიღო ნ. კ-მ. ნ. კ-მ მას დაახლოებით მიუტანა თხუთმეტზე მეტი საბუთი, რომლის ნაწილიც, დაახლოებით სამი-ოთხი ცალი, გატარებული აქვს მას ყურნალში, ნაწილი არ გაუტარებია, რადგან როგორც მას ეუბნებოდა, რალაც გასარკვევი ჰქონდა და უკან მიჰქონდა, შემდეგ კი ისევ უბრუნებდა.

42. მოწმე ლ. მ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობაში ადმინისტრაციულ სამსახურში საქმის წარმოების განყოფილების უფროსად. ადრე ის მუშაობდა ხ-ს გამგეობაში სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის – კანცელარიაში მთავარ სპეციალისტად, რა დროსაც მასთან ერთად მუშაობდა ნ. მ-ე, რომლის ფუნქციაც იყო წერილებისა და განცხადებების რეგისტრაცია, ანუ გამგეობაში შესული ყველა დოკუმენტის რეგისტრაცია ყურნალში. იმ პერიოდში, როდესაც ის მუშაობდა კანცელარიაში, მისი მობილური ტელეფონის ნომერი იყო და დღესაც აქვს 595- კანცელარიაში მუშაობის დროს კანცელარიის უფროსი იყო ს. ჯ-ა, რომლის ტელეფონის

ნომერი იმ პერიოდში იყო 595- 2010 წლის სექტემბერში, ვინაიდან მისი თანამშრომელი ნ. მ-ე იყო შვეტულუბაში, ის ასრულებდა მის მოვალეობას განცხადებების მიღებასთან დაკავშირებით, რომელსაც არეგისტრირებდა შესაბამის ჟურნალში. რეგისტრაციის ჟურნალში არსებული ჩანაწერები 2727-დან 2798-ნომრის ჩათვლით. რაც შეეხება იმ განცხადებების რეგისტრაციას, რომლებიც დანერილი იყო გამგებლის სახელზე ცალკეული მოქალაქეების მიერ გარკვეული რაოდენობის ნიფლის სამასალე მორებით დახმარებასთან დაკავშირებით და სადაც რეგისტრირებულია დაახლოებით 20 განცხადება, მის მიერ არის შესრულებული, მაგრამ მას ზუსტად არ ახსოვს, თუ ვინ მიიტანა აღნიშნული განცხადებები, შეიძლება „ბ-ც“ ყოფილიყო. ასევე, როგორც მისთვის არის ცნობილი, 2010 წელს ხ-ს მუნიციპალიტეტის ბალანსზე გადავიდა ხე-ტყის მასალა, რასთან დაკავშირებითაც გამგეობაში შექმნილი იყო კომისია და კომისიაში იყვნენ მათი სამსახურის რამდენიმე თანამშრომელი, მათ შორის – მისი უფროსიც ს. ჯ-ა.

43. მონმე ს. ჯ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ის ამჟამად არის ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, მანამდე ის მუშაობდა გამგეობის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსად. მას მეორე სახელი ზ-ს ეძახიან. 2010 წელში, თვე და რიცხვი არ ახსოვს, გამგებლის კაბინეტში ზ. ჯ-ს მიერ, სადაც ასევე იმყოფებოდა ი. ბ-ე, მას დაევალა ხე-მასალის მოსახლეობისთვის გადაცემის შესახებ საკრებულოს განკარგულების შესაბამისად გაეკეთებინა დროებითი კომისიის შექმნის შესახებ ბრძანების პროექტი. იქვე შეთანხმდა კომისიის შემადგენლობა და მანაც გააკეთა აღნიშნული ბრძანების პროექტი. შეიქმნა დროებითი კომისია, რომელსაც უნდა განეკარგა ხე-ტყე დადგენილი წესის მიხედვით. კომისიის თავმჯდომარე იყო ი. ბ-ე, კომისიის მდივანი – გ. კ-ე, ასევე კომისიის წევრები იყვნენ თვითონ ს. ჯ-ა, ბ. ჭ-ე, მ. ე-ა, ფ. ჩ-ე. კომისიასთან ერთად ასევე შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფი ბ. ჭ-ს ხელმძღვანელობით, რომლის წევრებიც იყვნენ ლ. კ-ი, ზ. მ-ი, გ-ს რწმუნებული დ. ბ-ე და კ-ს რწმუნებული ი. ჯ-ი, რომელსაც ევალებოდა ზემოაღნიშნული ბრძანებიდან გამომდინარე ის, რომ როდესაც ძირითადი კომისია გაანაწილებდა ამ მასალას შესაბამის პიროვნებებზე, სამუშაო ჯგუფის წევრებს უშუალოდ უნდა გადაეცათ აღნიშნული პირებისთვის ხე-ტყე, ხოლო ამ პროცესებსა და ზემოაღნიშნული ბრძანების შესრულებაზე კონტროლი ამ ბრძანებიდან გამომდინარე, პირადად დაივალა გამგებელმა ზ. ჯ-მ. მართალია, ისიც იყო კომისიის წევრი, მაგრამ მას ამ პერიოდში მისი ოჯახური პრობლემების გამო

კომისიის მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღია. ამ პერიოდში ასევე მასთან ხ-ს გამგეობაში იყო მისული ნ. კ-ე აღნიშნული-ხე-ტყის გაცემასთან დაკავშირებით, რომელსაც აინტერესებდა ბენეფიციართა შესახებ ინფორმაცია, თუ რომელ კატეგორიას შეეძლო მიეღო აღნიშნული ხე-ტყე და როგორ უნდა დაწერილიყო განცხადებები ამ ბენეფიციართა მიერ და მანაც აუხსნა, თუ რომელ კატეგორიას ეკუთვნოდა და როგორ უნდა დაწერილიყო განცხადებები, რომელსაც თან უნდა დართოდა ფოტოსურათები, ვისაც სახლი ჰქონდა დანგრეული და ა.შ. მან არ იცის, ვისი დავალებით მივიდა ნ. კ-ე მასთან, ეს შეიძლება ყოფილიყო კომისიის თავმჯდომარე, შეიძლება გამგებელი. კანცელარიაში მასთან მუშაობდა ლ. მ-ი, რომელიც ამ პერიოდში ასრულებდა სხვა პირის მოვალეობას, ვინაიდან იმყოფებოდა შვებულებაში და ლ. მ-ი ახდენდა კორექტივების მიღებას და გატარებას რეგისტრაციაში. ვინაიდან თვითონ ოჯახური პრობლემების გამო ხშირად ვერ დადიოდა სამსახურში, მას როგორც ახსოვს, ლ. მ-ა დაურეკა და უთხრა, რომ ვილაც ადამიანი იყო მისული, მიტანილი ჰქონდა რამდენიმე განცხადება ერთად ხე-ტყესთან დაკავშირებით და როგორ მოქცეულიყო, რაზედაც მან განუცხადა, რომ თუ წესრიგში იყო საბუთები, მიეღო განცხადებები და შემდეგ დანარჩენს კომისია გაარკვევდა – ამ განცხადებების იდენტიფიკაცია იქნებოდა, კვლევა იქნებოდა თუ საქმის წარმოებაში მიღება. განცხადებების მიღების შემდეგ უნდა მომხდარიყო მათი იდენტიფიკაცია, შესწავლა და გადამოწმება. მან არ იცის, თუ სად და რა ვითარებაში დგებოდა კომისიის სხდომის ოქმები, რადგან მას კომისიის მუშაობაში არანაირი მონაწილეობა არ მიუღია, არც კომისიის სხდომას დასწრებია. ბუნებრივია, კომისიის სხდომის ოქმი უნდა შეედგინა კომისიის მდივანს გ. კ-ს და მას კომისიის მდივანი შეხვდა ორჯერ და უთხრა, რომ მოენერა ხელი კომისიის სხდომის ოქმზე, რადგან ჩატარდა კომისიის სხდომა, რის გამოც მანაც მოაწერა ხელი. მას ხელი მოწერილი აქვს ორ კომისიის სხდომის ოქმზე, მესამეზე არ აქვს ხელი მოწერილი, მაგრამ არ ახსოვს, თუ რატომ არ აქვს ხელი მოწერილი.

44. მოწმე მ. ე-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მას, როგორც ახსოვს, 2004 წლის 1 იანვრიდან თუ 1 თებერვლიდან მუშაობდა ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსად 2014 წლის 4 აგვისტოს ჩათვლით. 2010 წელს ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსაგან გადაეცა ხე-ტყე, რომელიც ბრძანებით აყვანილ იქნა გამგეობის ბალანსზე და დღესაც აღნიშნული ხე-ტყე იმყო-

ფება გამგეობის ბალანსზე, ჩამოწერა არ მოხდა, ვინაიდან როგორც მან იცის, აღნიშნულ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობდა 2010 წელშიც, რის გამოც არ იყო მომდევნო ბრძანება გამოცემული მისი ჩამოწერის შესახებ. აღნიშნულ ხე-ტყესთან დაკავშირებით ის იყო განცხადებების განმხილველი კომისიის წევრი. როდესაც მათთან შედიოდა განცხადებები, იკრიბებოდნენ კომისიის თავმჯდომარესთან და ზოგადად ხდებოდა აღნიშნული განცხადებების განხილვა, როგორც კომისიის თავმჯდომარე იტყოდა, ძირითადად გავლილი იყო ეს თემა, რომ აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნებს და ისიც ეთანხმებოდა. როგორც მას ახსოვს, განცხადებები შესული იყო მხოლოდ ორი სოფლიდან და ქალაქის ტერიტორიიდან. მათ ზოგად ინფორმაციას კომისიის თავმჯდომარე აწვდიდა. სხვა მას ხე-ტყესთან არავითარი შეხება არ ჰქონდა და შემდეგ რა ხდებოდა, მან არ იცის.

45. მოწმე ლ. კ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს ხ-ს მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსად. 2007 წელს დაინიშნა ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის მთავარ სპეციალისტად და 2010 წელსაც მუშაობდა აღნიშნულ თანამდებობაზე. 2010 წელს შემოდგომის პერიოდი იქნებოდა, როდესაც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი ნ. მ-ე მივიდა მასთან სამუშაო ოთახში და მიუტანა გამგებლის ბრძანება, რომელსაც ის გაეცნო და რომლის თანახმადაც იმ მიზნით, რომ გაჭირვებულ მოსახლეობაზე უსასყიდლოდ გადაცემულიყო სამასალე და საშეშე მერქანი, შექმნილი იყო ორი სამუშაო ჯგუფი – ერთი იყო სამასალე და საშეშე მერქნის გაცემასთან დაკავშირებით განცხადებების განმხილველი და მეორე – ზემოაღნიშნული მერქნის გამცემი კომისია. ლ. კ-ი იყო მერქნის გამცემი ჯგუფის წევრი, რომელსაც ევალეზობდა გაჭირვებულ მოსახლეობაზე უსასყიდლოდ სამასალე და საშეშე მერქნის გადაცემა. ჯგუფს ხელმძღვანელობდა ბ. ჭ-ე, მათთან ერთად იყვნენ ასევე კომისიაში დ. ბ-ე, ზ. მ-ი და ი. ჯ-ი. აღნიშნულიდან გარკვეული დღეების შემდეგ მას დაუძახა ბ. ჭ-მ თავის ოთახში, სადაც მათ გარდა არავინ იყო და ბ. ჭ-მ უთხრა, რომ ხელი იყო მოსაწერი მიღება-ჩაბარების აქტებზე და რომ ყველაფერი წესრიგში იყო. მან ნახა ოცდაათზე მეტი მიღება-ჩაბარების აქტი, რომლებსაც თან ახლდა მოქალაქეთა პირადობის ასლები, მათზე უკვე ყველა ხელმოწერა იყო გაკეთებული, მხოლოდ მისი აკლდა და მანაც მოაწერა ხელი. აღნიშნულის გარდა, მას სხვა რაიმე მოქმედება არ განუხორციელებია, ის კომისიის სხდომებზე არ ყოფილა და პირადად არ გადაუმოწმებია აღნიშნულ მოქალაქეებს მიღებული

ჰქონდათ თუ არა ხე-ტყე. საქმეში არსებულ მიღება-ჩაბარების აქტებთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნულ მიღება-ჩაბარების აქტებზე მისი სახელის და გვარის გასწვრივ არის მისი ხელმოწერები. მიუხედავად იმისა, რომ მიღება-ჩაბარების აქტები დათარიღებულია 2010 წლის 7 სექტემბრით, 23 სექტემბრითა და 13 ოქტომბრით, მან ყველას ერთად მოაწერა ხელი ოცდაათზე მეტ მიღება-ჩაბარების აქტზე, ხოლო მათში მითითებული მოქალაქეებს ის არ შეხვედრია. ზემოაღნიშნულ ბრძანებას ხელს აწერდა ზ. ჯ-ა და ამ ბრძანების შესრულებასა და კომისიის მუშაობაზე კონტროლი ევალებოდა მასვე.

46. მოწმე ზ. ძ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ის 2010 წელს მუშაობდა ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში დასავლეთ საქართველოს რეგიონალური სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე; ამ პერიოდში ეს სამსახური საქმიანობდა, როგორც სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების აღმრიცხველი ან გამყიდველი ორგანო და დაწესებულება. დასავლეთ საქართველოში მიქცეული ყველა მოძრავი ქონება გადაეცემოდა ამ სამმართველოს და შემდგომში ხდებოდა მათი აღრიცხვა და მომზადება შემდგომი პროცედურებისათვის. აღრიცხვის პროცედურა მოიცავდა ისეთი მოქმედების ჩატარებას, როგორცაა მიქცეული ქონების დათვალიერება, შესაბამისად, აქტის შედგენა. მათთან სამსახურში მიდიოდა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რაც ადასტურებდა კონკრეტული ქონების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის ფაქტს. ამის შემდეგ ეს გადაწყვეტილებები ტარდებოდა მომსახურების სააგენტოს ერთიან რეესტრში და იწყებოდა ქონების განკარგვის პროცედურები. კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში შევიდა გამგებლის აპარატიდან წერილობითი მომართვა, მაგრამ წერილობით მომართვას წინ უძღვოდა სატელეფონო ზარები, თუ როგორი იყო პროცედურები ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, კონკრეტულად მერქნული რესურსების გადაცემასთან დაკავშირებით. მერქნული რესურსების და სხვა ქონების უსასყიდლოდ გადაცემისათვის შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირი მიმართავდა გუბერნატორს წერილობითი შუამდგომლობით, ამის შემდეგ გადაიგზავნებოდა გუბერნატორის და ვიცე გუბერნატორის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი ფინანსთა მინისტრის მოადგილესთან, შემდგომში გენერალური დირექტორი შეუთანხმებდა გადაცემის პროცედურას ფინანსთა მინისტრს და თანხმობის მიღების შემთხვევაში გენერალური დირექტორი გამოს-

ცემდა ბრძანებას კონკრეტული ქონების უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე, რაც განხორციელდა მოცემულ შემთხვევაშიც, როდესაც მიქცეული მერქნული რესურსის გადაცემა შეთანხმდა ფინანსთა მინისტრთან, შედგა რეესტრი და შემდგომში მათთან გადაიგზავნა ეს დოკუმენტი შესასრულებლად; მომსახურების სააგენტომ თავის მხრივ აღნიშნული ბრძანება დანართით, რომელშიც მითითებული იყო მერქნის კონკრეტული რაოდენობა, სახეობა და ექსპერტიზის მიერ განსაზღვრული ფასი, გადასცა ხ-ს გამგეობას, რომ შეემონმეზინათ მასში მითითებული ქონება და თუ რაიმე პრეტენზია ჰქონდათ, ეცნობინებინათ მათთვის, რადგან მიღებაზე პასუხისმგებელი იყო გამგეობა, თუმცა მათი მხრიდან აღნიშნული მერქნის გადაცემის მომენტში რაიმე შენიშვნა და პრეტენზია არ გამოთქმულა. სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ქონების მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება განხორციელდა ხ-ს გამგეობის ნდობით აღჭურვილ პირთან ბ. ჭ-ს, რაც დადასტურდა ბ. ძ-ს და ბ. ჭ-ს ხელმოწერებით, რითაც დასრულდა მიღება-ჩაბარების პროცედურა კონკრეტულ შემთხვევაში. მერქნული რესურსის გადაცემასთან დაკავშირებით ინიციატივა წამოვიდა ხ-ს გამგეობიდან, აღნიშნული მერქანი ინახებოდა ხ-ს რაიონში სხვადასხვა ადგილზე, სხვადასხვა პირის პასუხისმგებლობის ქვეშ და კონკრეტულად. მათ გუბერნატორის აპარატში ზ. კ-ს გაიარეს საკითხი, რეალურად იყო თუ არა ხ-ს ტერიტორიაზე მიქცეული იმ ოდენობის მერქნული რესურსი, რომელსაც ითხოვდა გამგეობა და ესეც დაზუსტდა შემდგომში. მოცემულ შემთხვევაშიც მან შეამონმა და დაათვალიერა სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული, ხ-ს ტერიტორიაზე განთავსებული მერქნული რესურსი, რომელიც ჯერ უნდა მიეღო ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს და რომელიც მიბარებული იყო კონკრეტულ პასუხისმგებელ პირებზე, კერძოდ, აღნიშნული პირების დასრებით და სატყეო სამსახურის თანამშრომლების მონაწილეობით დადგინდა ხეტყის მოცულობა, სახეობა და სხვა პარამეტრები, რომელიც იყო მითითებული სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რაც დადასტურდა დათვალიერების აქტებით. საქმეში წარმოდგენილ მომსახურების სააგენტოდან გადაგზავნილ მასალებთან – სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მერქნული რესურსის დათვალიერების დოკუმენტებთან დაკავშირებით, კერძოდ, 2010 წლის 3 ივლისს შედგენილი „სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების, ნივთის ადგილზე დაფიქსირების“ ოქმებთან დაკავშირებით, რომლებიც ხელმოწერილია ზ. ძ-ს მიერ, განმარტა, რომ აღნიშნული ოქმები შედგენილია ხ-ს რაიონის სოფ. გ-ა

და კ-ი, სადაც სხვადასხვა შემთხვევაში ხდებოდა ხ-ს სატყეო უბნის რეინჯერების – ა. კ-ს და თ. ფ-ს, ასევე ხ-ს სატყეო უბნის უფროსის ვ. ჭ-ს და ბ. კ-ს მიერ ადგილზე მერქნის აზომვითი და შემონმებითი სამუშაოები, რაც აღინერა ოქმებში. ოქმების შედგენას ესწრებოდნენ მასში მითითებული პირები – ა. კ-ი, თ. ფ-ა, დ. უ-ა, ვ. ჭ-ე და ბ. კ-ე, რომლებიც ხელმოწერებით ადასტურებდნენ ოქმებში მითითებულ გარემოებებს და ისინი იღებდნენ პასუხისმგებლობას აღნიშნული ქონების შენახვასთან დაკავშირებით. ვინაიდან მათ სამსახურს არ ჰყავდა სპეციალისტები, სამასალე მორების მოცულობას და სახეობას ყოველი დათვალიერების პროცესში და საერთოდ აღრიცხვის პროცესში ადასტურებდნენ სატყეო სამსახურის თანამშრომლები, აღრიცხვის პროცესში ისინი აზუსტებდნენ ფაქტს, იყო თუ არა სამასალე მერქანი და ხომ არ იყო შეცვლილი მას შემდეგ, რაც სასამართლო გადაწყვეტილება იქნა მიღებული და იმ მოცულობის იყო თუ არა, რა მოცულობაც იყო მიქცეული სასამართლოს გადაწყვეტილებით სახელმწიფო საკუთრებაში, რის შესახებაც არის მითითებული ოქმებში. იმ შემთხვევაში, თუ რეინჯერი არ დაეთანხმებოდა მერქნის სახეობას – სამასალე იყო თუ საშუალო, აღნიშნულის შესახებ აღინიშნებოდა შესაბამის ოქმებში, მაგრამ ხ-ნ მიმართებით, რა დროსაც მერქნის სახეობას და ზომას განსაზღვრავდნენ ა. კ-ი, თ. ფ-ა და ვ. ჭ-ე, რაიმე პრობლემა არ ყოფილა, ანუ რაიმე შენიშვნა არ ყოფილა გამოთქმული აღნიშნულთან დაკავშირებით. თუ იქნებოდა, ისინი ვალდებული იყვნენ დაეფიქსირებინათ და როდესაც იყო ასეთი შემთხვევები, აკეთებდნენ საპირისპირო განცხადებებს, არც ხელს აწერდნენ შესაბამისად ოქმებს და უარს აცხადებდნენ დათვალიერების პროცესში მონაწილეობაზე. ზემოაღნიშნულ ოქმებშიც აღწერილია ის, რაც რეალურად იყო. ქონების ღირებულების დასადგენად მომსახურების სააგენტოს ცენტრალური აპარატის მიმართვის საფუძველზე ინიშნებოდა ექსპერტიზა, რომელსაც ეგზავნებოდა სასამართლოს გადაწყვეტილება, ადგილზე დათვალიერების და დაფიქსირების ოქმები, აგრეთვე თუ კი აკლდა მასალებს ქონების ჩამორთმევის ოქმი, როდესაც ქონება ამოიღო კონკრეტულმა სამართალდამცავმა უწყებამ ამოღების ოქმით.

47. მოწმე ზ. კ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ის 2010 წელს მუშაობდა ი-ს მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის სამეურნეო-საფინანსო სამსახურის უფროსად. დაახლოებით 2010 წლის ივნისის ბოლოს და ივლისის დასაწყისში, მას დაუკავშირდა ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან ზ. ძ-ე და სთხოვა, რომ მოეხდინა გუ-

ბერნიიდან მომსახურების სააგენტოში გადაგზავნილი წერილის კორექტირება, კერძოდ, როგორც მას ახსოვს, წერილში დასაკორექტირებელი იყო ხე-ტყის მასალის მონაცემები, მას სატელეფონო საუბრით ჩაანერინეს მონაცემები და თან განუმარტეს, რომ წერილის ჩასწორება საჭირო იყო, რადგან ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო ვერ გამოსცემდა შესაბამის ბრძანებას, რომ ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის გადაეცათ წერილში მითითებული საშეშე და სამასალე მერქანი. ამის თაობაზე მან საქმის კურსში ჩააყენა გუბერნატორის მოადგილე, რომელმაც მას დაავალა აღნიშნული წერილის ამოღება კანცელარიიდან და გასწორება შესაბამისი მონაცემებით, რაც შემდეგ ისევ გადააგზავნეს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში. ამ პერიოდში, როგორც მისთვის ცნობილია, მომსახურების სააგენტოდან გამგეობისათვის ქონების გადაცემის მიზნით გამგეობა აყენებდა ინიციატივას გუბერნიის წინაშე, გუბერნატორის ან გუბერნატორის მოადგილის სახელზე დაინერებოდა წერილი და ამ ინიციატივას შემდეგ უკვე გუბერნიის ადმინისტრაცია უკეთებდა შუამდგომლობას და ამის საფუძველზე გადაეცემოდა გამგეობას ქონება, თუ მომსახურების სააგენტო ამის საჭიროებას დაინახავდა.

48. მოწმე ვ. ჭ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ის 2007 წლიდან 2010 წლის აგვისტომდე მუშაობდა ი-ს სატყეო სამმართველოს ხ-ს სატყეო უბნის უფროსად. ხ-ს სატყეო უბანი დაყოფილი იყო შვიდ სარეინჯეროდ და მას ევალეობდა ტყის მცველების კონტროლი, უკანონო ჭრების აღმოფხვრა. 2009 წლის ბოლოს, დეკემბრის თვე იქნებოდა, მას დაუკავშირდნენ მათი სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლები და უთხრეს, რომ მათ ტერიტორიაზე ნაპოვნი იყო სამასალე მორები. აიყვანეს ისინი სოფელ გ-ი, სადაც მას თან ახლდნენ ტყის მცველები და სადაც მოხდა აღნიშნული ხეების აღწერა მათ მიერ საგამოძიებო სამსახურის და გარემოს დაცვის ინსპექციის თანამშრომლებთან ერთად და ჩააბარეს მიღება-ჩაბარების აქტით. მაშინ აღნიშნულთან დაკავშირებით პასუხისგებაში მიეცნენ მ. ლ-ე, რომელიც იყო ტყის მცველი, სადაც აღნიშნული ხე-ტყე იქნა მოპოვებული, კერძოდ კ-ი და ასევე ნ. კ-ე. როდესაც მათ ჩაიბარეს აღნიშნული ხე-ტყე, მას შემდეგ, თვე და რიცხვი არ ახსოვს, მას დაუკავშირდა ფინანსთა სამინისტროს სამსახური, საიდანაც მივიდა წარმომადგენელი და მათ ერთად აზომეს აღნიშნული მორები, რომლებიც იყო განთავსებული სოფელ გ-ი და კ-ი, კერძოდ – ნაწილი იყო სოფელში, ნაწილი – სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე და ტყეში-კ-ი. აღნიშნული მორები იყო

სამასალე, ფერი არ ჰქონდა შეცვლილი და არ აღენიშნებოდა სიდაპლე. მოწმის განმარტებით, როდესაც მორს აღენიშნება ღრუ და აღენიშნება ფაუტის ნიშანი, არის საშეშე, ხოლო სამასალეა, რომელიც საღია და მეტრზე ზევით არის სიგრძე. ზემოაღნიშნული მორებიც იყო სამასალე კატეგორიის, ხოლო რომელიც იყო საშეშე, ისიც ჩანერეს აქტებში. აღწერის პროცესში, როგორც ახსოვს, იყვნენ სატყეოს თანამშრომლები თ. ფ-ა, რ. ფ-ა და ა. კ-ი. ამ დროს საფინანსო სააგენტოს თანამშრომელი ადგენდა ჩვეულებრივად მიღება-ჩაბარების აქტებს, ისინი აღნიშნულ ხე-ტყეს ზომავდნენ და მოცულობით აბარებდნენ ისევ საფინანსო სააგენტოს. ისინი პასუხისმგებლები იყვნენ ჩაბარებიდან გადაბარებამდე, გადაბარების შემდეგ თუ რა ბედი ენია აღნიშნულ მორებს, მან არ იცის, რადგან მალევე წამოვიდა სამსახურიდან. საქმეში წარმოდგენილი 2010 წლის 3 ივლისით დათარიღებულ ოქმებთან დაკავშირებით, რომლებზედაც მისი ხელმოწერა ფიქსირდებოდა, განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმებზე მისი სახელისა და გვარის გასწვრივ ხელმოწერები არის მის მიერ შესრულებული. ამ ოქმების შედგენა განხორციელდა იქ, სადაც დასაწყობებული იყო მასში აღნიშნული ხე-ტყე. მათ შეამოწმეს როგორც ხე-ტყის მოცულობა, ისე მისი კატეგორია, სამასალე იყო თუ საშეშე და აღწერილ იქნა შესაბამის ოქმებში, რომლის შინაარსის სისწორეს ადასტურებს.

49. მოწმე თ. ფ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ის მუშაობს ი-ს სატყეო სამსახურის, ხ-ს სატყეო უბნის ტყის მცველად. ის 2010 წელს მუშაობდა ხ-ს სატყეო უბნის, გ-ს სატყეო უბნის ტყის მცველად. ის მისი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, კარგად ერკვევა ხე-ტყის ჯიშებსა და სახეობებში, სამასალე არის თუ საშეშე. როგორც მისთვის ცნობილი გახდა, 2009 წელს კ-ს სატყეო უბანში, სოფელ გ-ს მიმდებარე ტერიტორიაზე, მოხდა ხე-ტყის უკანონო ჭრა, რის გამოც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული იყო ნ. კ-ე. რაც მან იცის, აღნიშნული ხე-ტყე დასაწყობებული იყო სოფელ გ-ს მიმდებარე ტერიტორიაზე. წარმოდგენილი 2010 წლის 3 ივლისით დათარიღებული სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების ადგილზე დაფიქსირების ოქმებთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნულ ოქმებზე მისი სახელისა და გვარის გასწვრივ შესრულებული ხელმოწერები ეკუთვნის მას და ის ადასტურებს აღნიშნულ ოქმებში მითითებული გარემოებების სისწორეს. ასევე 2010 წლის 3 ივლისს მათთან მივიდა საფინანსო სააგენტოდან წარმომადგენელი და მათ ერთად აღწერეს და აზომეს მისთვის დროებით შენახვის მიზნით ჩაბარებული ხე-ტყე, რაზე-

დაც შედგა ზემოაღნიშნული ოქმები საფინანსო სააგენტოს წარმომადგენლის ზ. ძ-ს მიერ და რაზედაც მოანერა ხელი. აქტში მითითებული მორების სახეობა-სამასალე იყო თუ საშუაზე, განისაზღვრა მისი ხარისხის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული მორები არ იყო დამპალი, „ფაუტი“ არ აღნიშნებოდა, ღრუ არ ჰქონდა და არ იყო გაფუჭებული. ისინი არ იყო ჩახერხილი ერთ მეტრ დიამეტრზე, ჩახერხილი რომ ყოფილიყო, მომსახურების სააგენტო არ გადაიბარებდა როგორც სამასალეს. ამის შემდეგ თუ რა ბედი ენია ამ მორებს, მისთვის არ არის ცნობილი.

50. მონმეების – ზ. ძ-ს, ვ. ჭ-ა და თ. ფ-ს მიერ ჩვენებაში მითითებული გარემოებები დადასტურებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილის 2014 წლის 1 მაისის №... მომართვით გადმოგზავნილი მასალებით, კერძოდ: სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2010 წლის 13 ივლისის №... წერილითა და მისი დანართით, აგერთვე, სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მერქნული რესურსის დათვალიერებისა და ადგილზე დაფიქსირების 2010 წლის 3 ივლისის ოქმებით, სადაც აღწერილია სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული სამასალე და საშუაზე მერქნის რაოდენობა და კატეგორია, რომლებიც დასაწყობებული იყო ხ-ს რაიონის სოფელ კ-ა და გ-ი.

51. საქმეში წარმოდგენილი, სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ გენერალური დირექტორის 2010 წლის 26 ივლისის №... ბრძანების და თანდართული დანართის თანახმად, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობას უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული დანართ №1-ში მითითებული (174, 269 კბმ – 24 397.66 ლარის ღირებულების ნიფლის, 34,030 კბმ – 3743,3 ლარის ღირებულების სოჭის, 3,833 კბმ – 689,94 ლარის ღირებულების ნაბლის სამასალე და 1,530 კბმ – 53,55 ლარის ღირებულების თხმელის საშუაზე მერქანი) საერთო ჯამში – 28 884, 45 ლარის ღირებულების სამასალე და საშუაზე მერქანი. ამავე ბრძანებით დასავლეთ საქართველოს რეგიონალური სამმართველოს უფროსს – ზ. ძ-ს დაევალა ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება.

52. საქმეში წარმოდგენილი, სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მერქნის რესურსის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ 2010 წლის 27 ივლისის და 2010 წლის 16 აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად, სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ დასავლეთ საქართველოს

რეგიონალური სამმართველოს უფროსის მოადგილე ზ. ძ-მ სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ გენერალური დირექტორის 2010 წლის 26 ივლისის №... ბრძანების საფუძველზე ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის მინდობილ პირს – გამგებლის მოადგილე ბ. ჭ-ს 2010 წლის 26 ივლისის და 2010 წლის 16 აგვისტოს გადასცა ზემოაღნიშნულ ბრძანებაში მითითებული ოდენობის და ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს 2010 წლის 21 ივლისის დასკვნით განსაზღვრული საბაზრო ღირებულების (174, 269 კბმ – 24 397,66 ლარის ღირებულების ნიფლის, 34,030 კბმ – 3743,3 ლარის ღირებულების სოჭის, 3,833 კბმ – 689,94 ლარის ღირებულების ნაბლის სამასალე და 1,530 კბმ – 53,55 ლარის ღირებულების თხმელის საშუაშე მერქანი) საშუაშე და სამასალე მორები, რომლებც განთავსებული იყო ქ. ხ-ი, ქ. ს-ი, ხ-ს რაიონის სოფელ გ-ა და კ-ი. ამასთან, მიღება-ჩაბარების აქტებში რაიმე სახის შენიშვნა არ დაფიქსირებულა და აქტები ხელმოწერილია ერთი მხრივ, ზ. ძ-ა და მეორე მხრივ, ბ. ჭ-ს მიერ.

53. საქმეში წარმოდგენილი ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის – ზ. ჯ-ს 2010 წლის 9 აგვისტოს №... და 2010 წლის 27 სექტემბრის №... ბრძანებების და თანდართული დანართის თანახმად, ზემოაღნიშნული ბრძანებებით ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე აღებულ იქნა სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ მიერ გადაცემული (174, 269 კბმ – 24 397,66 ლარის ღირებულების ნიფლის, 34,030 კბმ – 3743,3 ლარის ღირებულების სოჭის, 3,833 კბმ – 689,94 ლარის ღირებულების ნაბლის სამასალე და 1,530 კბმ – 53,55 ლარის ღირებულების თხმელის საშუაშე მერქანი) საერთო ჯამში – 28 884, 45 ლარის ღირებულების სამასალე და საშუაშე მერქანი.

54. საქმეში წარმოდგენილი, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის – ზ. ჯ-ს 2010 წლის 3 სექტემბრის №... ბრძანების თანახმად, სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ გენერალური დირექტორის 2010 წლის 26 ივლისის №... ბრძანებით ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის უსასყიდლოდ გადაცემული 28194,51 ლარის ღირებულების სამასალე და საშუაშე მერქნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ სტიქიის შედეგად დაზარალებულ და ეკონომიკურად უკიდურესად გაჭირვებულ მოსახლეობაზე უსასყიდლოდ გაცემის შესახებ“ ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 აგვისტოს №... განკარგულების საფუძველზე ზემოაღნიშნული ბრძანებით ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული 28194,51 ლარის ღირებულების სამასალე და საშუაშე

მერქნის უსასყიდლოდ გაცემის მიზნით შეიქმნა დროებითი კომისია – ი. ბ-ს (კომისიის თავმჯდომარე), ბ. ჭ-ს, ს. ჯ-ს, გ. კ-ს, მ. ე-ს და ფ. ჩ-ს შემადგენლობით, რომელსაც დაევალა, რომ უზრუნველყოს სამასალე და საშეშე მერქნის უსასყიდლოდ განაწილების თაობაზე რეგისტრირებული განცხადებების განხილვა, შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება – გაფორმება შესაბამისი ოქმით ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 აგვისტოს №... განკარგულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში; ასევე, ამავე ბრძანებით კომისიის გადამწყვეტილების შედეგად სამასალე და საშეშე მერქნის გაცემის ორგანიზების და ზუსტი აღრიცხვის მიზნით კომისიასთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი – ბ. ჭ-ს (ჯგუფის ხელმძღვანელი), დ. ბ-ს, ი. ჯ-ს, ზ. მ-ს და ლ. კ-ს შემადგენლობით; ამავე ბრძანების თანახმად, კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალა გამგებელს – ზ. ჯ-ს.

55. საქმეში წარმოდგენილი, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2010 წლის 3 სექტემბრის №... ბრძანებით შექმნილი, ხ-ს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ სტიქიის შედეგად დაზარალებულ და ეკონომიკურად უკიდურესად გაჭირვებულ მოსახლეობაზე სამასალე და საშეშე მერქნის უსასყიდლოდ გაცემა დროებითი კომისიის სხდომის 2010 წლის 7 სექტემბრის №1 ოქმის თანახმად, 2010 წლის 7 სექტემბერს ზემოაღნიშნულმა კომისიამ განიხილა მოქალაქეების – ნ. ქ-ს, მ. მ-ს, ა. ქ-ს, გ. გ-ს, დ. ბ-ს, ზ. გ-ს, ლ. ჯ-ს 2010 წლის 29 ივლისის და ს. უ-ს 2010 წლის 7 სექტემბრის განცხადებები, მათთვის ნიფელის სამასალე მერქნის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე. კომისიამ დაადგინა, რომ ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის შესაბამისი ბრძანებით ზემოაღნიშნულ მოქალაქეებზე უსასყიდლოდ გაცემა ნიფელის სამასალე მერქანი, კერძოდ: მ. მ-ე – 6 კბმ, ნ. ქ-ე – 6 კბმ, ა. ქ-ე – 5 კბმ, გ. გ-ე – 5 კბმ, ს. უ-ე – 5 კბმ, დ. ბ-ე – 4კბმ, ზ. გ-ე – 5 კბმ, ლ. ჯ-ე – 5 კბმ.; ხოლო სამუშაო ჯგუფს (ბ. ჭ-ე) დაევალა ზემოაღნიშნულ პირებზე კომისიის მერ დადგენილი ოდენობით ნიფელის სამასალე მერქნის გაცემა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება. ოქმი ხელმოწერილია კომისიის თავმჯდომარის და წევრების: ბ. ჭ-ს, ს. ჯ-ს, გ. კ-ს, ფ. ჩ-ს და მ. ე-ს მიერ.

56. საქმეში წარმოდგენილი, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის – ზ. ჯ-ს 2010 წლის 7 სექტემბრის №... ბრძანების თანახმად, ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 აგვისტოს №... განკარგულებისა და დროებითი კომისიის 2010 წლის 7 სექტემბრის №... ოქმის საფუძველზე გაცემულ იქნა ზემოაღ-

ნიშნული ბრძანება, მასზე რომ უსასყიდლოდ გაიცეს ნიფლის სამასალე მერქანი ფიზიკურ პირებზე: მ. მ-ე – 6 კბმ, ნ. ქ-ე – 6 კბმ, ა. ქ-ე – 5 კბმ, გ. გ-ე – 5 კბმ, ს. უ-ე – 5 კბმ, დ. ბ-ე – 4კბმ , ზ. გ-ე – 5 კბმ, ლ. ჯ-ე – 5 კბმ. ამავე ბრძანებით ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2010 წლის 3 სექტემბრის №532 ბრძანებით შექმნილ დროებით კომისიასთან არსებულ საქმეშაო ჯგუფს (ბ. ჭ-ე) დაევალა უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ფიზიკური პირებისათვის ნიფლის სამასალე მერქნის გაცემა დადგენილი წესით.

57. საქმეში წარმოდგენილი, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის – ზ. ჯ-ს მიერ გაცემული 2010 წლის 7 სექტემბრით დათარიღებული №№... (სულ 8 ცნობა) ცნობების თანახმად, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2010 წლის 7 სექტემბრის №... ბრძანებით უსასყიდლოდ გადაეცათ ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის კუთვნილი ნიფლის სამასალე მერქანი, კერძოდ: ს. უ-ს – 5 კბმ, დ. ბ-ს – 4 კბმ, გ. გ-ს – 5 კბმ, ა. ქ-ს – 5 კბმ, ლ. ჯ-ს – 5 კბმ, ნ. ქ-ს – 6 კბმ, მ. მ-ს – 6 კბმ, ზ. გ-ს – 5 კბმ.

58. საქმეში წარმოდგენილი, 2010 წლის 7 სექტემბრით დათარიღებული მიღება – ჩაბარების აქტების თანახმად, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის №... ბრძანებით კომისიასთან შექმნილი მუშა ჯგუფის მიერ (ბ. ჭ-ს ხელმძღვანელობით) ნ-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ს. უ-ს გადაეცა – 5 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორი; ი-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს დ. ბ-ს გადაეცა – 4 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორი; ი-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს გ. გ-ს – გადაეცა 5 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორი; ი-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ა. ქ-ს გადაეცა – 5 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორი; ხ-ს ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ლ. ჯ-ს გადაეცა – 5 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორი; ი-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ნ. ქ-ს გადაეცა 6 კბმ სამასალე მორი; ი-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს მ. მ-ს გადაეცა 6 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორი; ხ-ს ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ზ. გ-ს გადაეცა 5 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორი; გამცემის მხრიდან აქტებზე ხელმოწერები შესრულებულია ბ. ჭ-ს, დ. ბ-ს, ი. ჯ-ს, ზ. მ-ს და ლ. კ-ს სახელით და გვარებით, ხოლო მიმღების მხრიდან – ზემოაღნიშნული მოქალაქეების სახელით და გვარით.

59. საქმეში წარმოდგენილი, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2010 წლის 3 სექტემბრის №... ბრძანებით შექმნილი ხ-ს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ სტიქიის შედეგად დაზარალებულ და ეკონომიკურად უკიდურესად გაჭირვებულ

მოსახლეობაზე სამასალე და საშეშე მერქნის უსასყიდლოდ გამცემი დროებითი კომისიის სხდომის 2010 წლის 22 სექტემბრის №... ოქმის თანახმად, 2010 წლის 22 სექტემბერს ზემოაღნიშნულმა კომისიამ განიხილა მოქალაქეების – შ. კ-ს, კ. ა-ს, დ. მ-ს, ზ. ბ-ს, ნ. მ-ს, ბ-ს ყ-ს, გ. ჯ-ს, ზ. ჩ-ს, ნ. გ-ს, ნ. ჩ-ს, ქ. კ-ს, ა. გ-ს, გ. კ-ს, ვ. ჩ-ს, გ. კ-ს, ე. ფ-ს, დ. ა-ს, გ. დ-ს, ე. ჩ-ს, ნ. ჩ-ა და ე. რ-ს 2010 წლის 17 სექტემბრის განცხადებები, მათთვის ნიფლის სამასალე მერქნის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე და კომისიამ დაადგინა, რომ ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის შესაბამისი ბრძანებით ზემოაღნიშნულ მოქალაქეებზე უსასყიდლოდ გაიცეს ნიფლის სამასალე მერქანი, კერძოდ: შ. კ-ე – 5 კბმ; კ. ა-ე – 5 კბმ; დ. მ-ე – 5 კბმ; ზ. ბ-ე – 6 კბმ; ნ. მ-ე – 6 კბმ; ბ. ყ-ე – 6 კბმ; გ. ჯ-ე – 6 კბმ; ზ. ჩ-ე – 6 კბმ; ნ. გ-ე – 5 კბმ; ნ. ჩ-ე – 5 კბმ; ქ. კ-ე – 6 კბმ; ა. გ-ე – 6 კბმ; გ. კ-ე – 5 კბმ; ვ. ჩ-ე – 5 კბმ; გ. კ-ე – 6 კბმ; ე. ფ-ე – 5 კბმ; დ. ა-ე – 5 კბმ; გ. დ-ე – 5 კბმ; ე. ჩ-ე – 5 კბმ; ნ. ჩ-ე – 5 კბმ და ე. რ-ე – 6 კბმ.; ხოლო სამუშაო ჯგუფს (ბ. ქ-ე) დაევალა ზემოაღნიშნულ პირებზე კომისიის მიერ დადგენილი ოდენობით ნიფლის სამასალე მერქნის გაცემა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება. ოქმი ხელმოწერილია კომისიის თავმჯდომარისა და წევრების: ბ. ქ-ს, ს. ჯ-ს, გ. კ-ს, ფ. ჩ-ს და მ. ე-ს მიერ.

60. საქმეში წარმოდგენილი, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის – ზ. ჯ-ს 2010 წლის 23 სექტემბრის №... ბრძანების თანახმად, ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 აგვისტოს №... განკარგულებისა და დროებითი კომისიის 2010 წლის 22 სექტემბრის №... ოქმის საფუძველზე გაიცა ზემოაღნიშნული ბრძანება მასზე, რომ უსასყიდლოდ გაიცეს ნიფლის სამასალე მერქანი ფიზიკურ პირებზე: შ. კ-ე – 5 კბმ; კ. ა-ე – 5 კბმ; დ. მ-ე – 5 კბმ; ზ. ბ-ე – 6 კბმ; ნ. მ-ე – 6 კბმ; ბ-ს ყ-ე – 6 კბმ; გ. ჯ-ე – 6 კბმ; ზ. ჩ-ე – 6 კბმ; ნ. გ-ე – 5 კბმ; ნ. ჩ-ე – 5 კბმ; ქ. კ-ე – 6 კბმ; ა. გ-ე – 6 კბმ; გ. კ-ე – 5 კბმ; ვ. ჩ-ე – 5 კბმ; გ. კ-ე – 6 კბმ; ე. ფ-ე – 5 კბმ; დ. ა-ე – 5 კბმ; გ. დ-ე – 5 კბმ; ე. ჩ-ე – 5 კბმ; ნ. ჩ-ე – 5 კბმ და ე. რ-ე – 6 კბმ. ამავე ბრძანებით ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2010 წლის 3 სექტემბრის №... ბრძანებით შექმნილ დროებით კომისიასთან არსებულ სამუშაო ჯგუფს (ბ. ქ-ე) დაევალა უზრუნველყო ზემოაღნიშნული ფიზიკური პირებისათვის ნიფლის სამასალე მერქნის გაცემა დადგენილი წესით.

61. საქმეში წარმოდგენილი, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის – ზ. ჯ-ს მიერ გაცემული, 2010 წლის 23 სექტემბრით დათარიღებული №№... (სულ 21 ცნობა) ცნობების თანახმად, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2010 წლის 23 სექტემბრის №...

ბრძანებით უსასყიდლოდ გადაეცათ ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის კუთვნილი ნიფლის სამასალე მერქანი, კერძოდ: ე. ლ-ს – 6 კბმ, ე. ჩ-ს – 5 კბმ, ე. ფ-ს – 5 კბმ, გ. დ-ს – 5 კბმ, დ. ა-ს – 5 კბმ, გ. კ-ს – 5 კბმ, ვ. ჩ-ს – 5 კბმ, ქ. კ-ს – 6 კბმ, ა. გ-ს – 6 კბმ, ზ. ჩ-ს – 6 კბმ, ნ. ჩ-ს – 5 კბმ, ნ. გ-ს – 5 კბმ, გ. ჯ-ს – 6 კბმ, ბ. ყ-ს – 6 კბმ, ნ. მ-ს – 6 კბმ, ზ. ბ-ს – 6 კბმ, დ. მ-ს – 5 კბმ, კ. ა-ს – 5 კბმ, შ. კ-ს – 5 კბმ, ნ. ჩ-ს – 5 კბმ, გ. კ-ს – 6 კბმ.

62. საქმეში წარმოდგენილი 2010 წლის 23 სექტემბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის №... ბრძანებით კომისიასთან შექმნილმა მუშა ჯგუფმა (ბ. ჭ-ს ხელმძღვანელობით) ხ-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ე. ლ-ს გადასცა 6 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორები; გ-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ე. ჩ-ს გადაეცა 5 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორები; გ-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ე. ფ-ს გადაეცა – 5 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორები; კუხის თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს გ. დ-ს გადაეცა – 5 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორები; კ-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს დ. ა-ს – გადაეცა 5 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორები; გ-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს გ. კ-ს გადაეცა – 5 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორები; გ-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ქ. კ-ს გადაეცა – 6 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორები; გ-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ა. გ-ს გადაეცა – 6 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორები; გ-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ნ. ჩ-ს გადაეცა – 5 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორები; ხ-ს ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ნ. გ-ს გადაეცა – 6 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორები; ხ-ს ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს გ. ჯ-ს გადაეცა – 6 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორები; ხ-ს ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ბ. ყ-ს გადაეცა – 6 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორები; ხ-ს ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ნ. მ-ს გადაეცა – 6 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორები; ხ-ს ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ზ. ბ-ს – გადაეცა 6 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორები; ხ-ს ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს დ. მ-ს გადაეცა – 5 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორები; ხ-ს ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს კ. ა-ს გადაეცა – 5 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორები; კ-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს შ. კ-ს გადაეცა – 5 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორები; მ-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ნ. ჩ-ს გადაეცა – 5 მკბ ნიფლის ჯიშის სამასალე მორები; ნ-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს გ. კ-ს – გადაეცა 6 კბმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორე-

ბი; ს-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ზ. ჩ-ს გადაეცა – 6 კმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორები; გ-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ე. ჩ-ს გადაეცა – 5 კმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორები; გამცემის მხრიდან აქტებზე ხელმოწერები შესრულებულია ბ. ჭ-ს, დ. ბ-ს, ი. ჯ-ს, ზ. მ-ა და ლ. კ-ს სახელით და გვარებით, ხოლო მიმღების მხრიდან ზემოაღნიშნული მოქალაქეების სახელით და გვარით.

63. საქმეში წარმოდგენილი, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2010 წლის 3 სექტემბრის №... ბრძანებით შექმნილი ხ-ს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ სტიქიის შედეგად დაზარალებულ და ეკონომიკურად უკიდურესად გაჭირვებულ მოსახლეობაზე სამასალე და საშეშე მერქნის უსასყიდლოდ გამცემი დროებითი კომისიის სხდომის 2010 წლის 12 ოქტომბრის №3 ოქმის თანახმად, 2010 წლის 12 ოქტომბერს ზემოაღნიშნულმა კომისიამ განიხილა მოქალაქეების – გ. ჩ-ს, ე. ლ-ს, ყ. უ-ს, ი. ბ-ს, ბ. კ-ს, ზ. ლ-ს, ა. უ-ს, დ. კ-ს, მ. კ-ს – 2010 წლის 4 ოქტომბრისა და ო. ტ-ს, ბ. ჩ-ს – 2010 წლის 11 ოქტომბრის განცხადებები, მათთვის სამასალე და საშეშე მერქნის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე და კომისიამ დაადგინა, რომ ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის შესაბამისი ბრძანებით ზემოაღნიშნულ მოქალაქეებზე უსასყიდლოდ გაიცეს სამასალე და საშეშე მერქანი, კერძოდ: გ. ჩ-ე – 1,530 კმ თხმელა და 3,833 კმ ნაბლი; ე. ლ-ე – 4 კმ ნიფელა; ყ. უ-ე – 5 კმ ნიფელა, ი. ბ-ე – 6 კმ სოჭი, ბ. კ-ე – 6 კმ სოჭი; ზ. ლ-ე – 5 კმ ნიფელა, ა. უ-ე – 5,269 კმ ნიფელა, დ. კ-ე – 6 კმ სოჭი, მ. კ-ე – 6 კმ სოჭი ო. ტ-ე – 6 კმ სოჭი ბ. ჩ-ე – 4,030 კმ სოჭი, ხოლო სამუშაო ჯგუფს (ბ. ჭ-ე) დაევალა ზემოაღნიშნულ პირებზე კომისიის მერ დადგენილი ოდენობით სამასალე და საშეშე მერქნის გაცემა და შესაბამისი მიღებარჩაბარების აქტების გაფორმება. ოქმი ხელმოწერილია კომისიის თავმჯდომარის და წევრების: ბ. ჭ-ს, გ. კ-ს, ფ. ჩ-ა და მ. ე-ს მიერ.

64. საქმეში წარმოდგენილი, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის – ზ. ჯ-ს 2010 წლის 13 ოქტომბრის №... ბრძანების თანახმად, ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 აგვისტოს №... განკარგულებისა და დროებითი კომისიის 2010 წლის 12 ოქტომბრის №... ოქმის საფუძველზე გაიცა ზემოაღნიშნული ბრძანება მასზე, რომ უსასყიდლოდ გაიცეს სამასალე და საშეშე მერქანი ფიზიკურ პირებზე: გ. ჩ-ე – 1,530 კმ თხმელა და 3,833 კმ ნაბლი; ე. ლ-ე – 4 კმ ნიფელა; ყ. უ-ე – 5 კმ ნიფელა, ი. ბ-ე – 6 კმ სოჭი, ბ. კ-ე – 6 კმ სოჭი; ზ. ლ-ე – 5 კმ ნიფელა, ა. უ-ე – 5,269 კმ ნიფელა, დ. კ-ე – 6 კმ სოჭი, მ. კ-ე – 6 კმ სოჭი; ო. ტ-ე – 6 კმ სოჭი; ბ. ჩ-ე – 4,030 კმ სოჭი. ამავე ბრძანებით ხ-

ს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2010 წლის 3 სექტემბრის №... ბრძანებით შექმნილ დროებით კომისიასთან არსებულ სამუშაო ჯგუფს (ბ. ჭ-ე) დაევალა უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ფიზიკური პირებისათვის სამასალე და საშემე მერქნის გაცემა დადგენილი წესით.

65. საქმეში წარმოდგენილი, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის – ზ. ჯ-ს მიერ გაცემული, 2010 წლის 13 ოქტომბრით დათარიღებული №... (სულ 11 ცნობა), ცნობების თანახმად, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2010 წლის 13 ოქტომბრის №... ბრძანებით უსასყიდლოდ გადაეცათ ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის კუთვნილი სამასალე მერქანი, კერძოდ: ო. ტ-ს – 6 კმ სოჭი; ბ. კ-ს – 6 კმ სოჭი; დ. კ-ს – 6 კმ სოჭი, ი. ბ-ს – 6 კმ სოჭი; ყ. უ-ს – 5 კმ ნიფელა, ე. ლ-ს – 4 კმ ნიფელა; ბ. რ-ს – 4,030 კმ სოჭი; ზ. ლ-ს – 5 კმ ნიფელა; მ. კ-ს – 6 კმ სოჭი; ა. უ-ს – 5,269 კმ ნიფელა; გ. რ-ს – 1,530 კმ თხმელა და 3,833 კმ ნაბლი;

66. საქმეში წარმოდგენილი – 2010 წლის 13 ოქტომბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტების თანახმად, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის №... ბრძანებით კომისიასთან შექმნილმა მუშა ჯგუფმა (ბ. ჭ-ს ხელმძღვანელობით) ხ-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ო. ტ-ს გადასცა 6 კმ სოჭის ჯიშის სამასალე მერქანი; გ-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ბ. კ-ს გადაეცა – 6 კმ სოჭის ჯიშის სამასალე მერქანი; ნ-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს დ. კ-ს გადაეცა – 6 კმ სოჭის ჯიშის სამასალე მერქანი; გ-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ი. ბ-ს გადაეცა – 6 კმ სოჭის ჯიშის სამასალე მერქანი; გ-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ყ. უ-ს გადაეცა – 5 კმ ნიფლის ჯიშის სამასალე მერქანი; ხ-ს ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ე. ლ-ს გადაეცა – 4 კმ ნიფლის ჯიშის სამასალე მერქანი; ხ-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ბ. რ-ს გადაეცა – 4,300 კმ სოჭის ჯიშის სამასალე მერქანი; ქ. ხ-ს ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს ზ. ლ-ს გადაეცა – 5 კმ ნიფლის ჯიშის სამასალე მორები; ხ-ს ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს მ. კ-ს გადაეცა – 6 კმ სოჭის ჯიშის სამასალე მერქანი; ნ-ს თემის სოფელ კ-ს მკვიდრს ა. უ-ს გადაეცა – 5,269 კმ ნიფლის ჯიშის სამასალე მერქანი; ი-ს თემის ტერიტორიული ორგანოს მკვიდრს გ. რ-ს გადაეცა საშემე მერქანი – თხმელა 1,530 კმ და სამასალე ნაბლი – 3,833 კმ. გამცემის მხრიდან აქტებზე ხელმოწერები შესრულებულია ბ. ჭ-ს, დ. ბ-ს, ი. ჯ-ს, ზ. მ-ს და ლ. კ-ს სახელით და გვარებით, ხოლო მიმღების მხრიდან – ზემოაღნიშნული მოქალაქეების სახელით და გვარით.

67. საქმეში წარმოდგენილი ზ. ლ-ს (რეგ. ხ-ს რაიონი სოფელი გ-ი) გარდაცვალების სააქტო ჩანაწერის მიხედვით გარდაცვალების თარიღია 1992 წელი.

68. საქმეში წარმოდგენილი, სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ გენერალური დირექტორის მოადგილის 2013 წლის 18 დეკემბრის მომართვის და მასზე თანდართული მასალების, სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორის 2014 წლის 29 იანვრის №... მომართვის და მასზე თანდართული დანართის (1. 2010 წლის 11 მაისის ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ი. ბ-ს №... წერილი; 2. ზ. კ-ს მოხსენებითი ბარათის ასლი), ასევე ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის 2014 წლის 6 თებერვლის №... წერილის თანახმად, 2010 წლის 1 იანვრიდან 31 მაისის ჩათვლით ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის კანცელარიაში დარეგისტრირებულია შემდეგი მოქალაქეების განცხადებები ხე-მასალით დახმარებასთან დაკავშირებით: ე. ბ-ე (რეგ. №1001; 12/04/2010); ო. მ-ე (რეგ. №967; 06/04/2010); შ. მ-ე (რეგ. №913; 30/04/2010); ნ. ნ-ა (რეგ. №925; 30/03/2010); მ. ნ-ა (რეგ. №882; 29/03/2010); ჯ. კ-ი (რეგ. №864; 29/03/2010); ლ. ფ-ა (რეგ. №863; 29/03/2010); ი. ა-ე (რეგ. №862; 29/03/2010); ა. ჩ-ე (რეგ. №861; 29/03/2010); ა. ჩ-ე (რეგ. №788; 24/03/2010); ნ. ც-ა (რეგ. №710; 19/03/2010); ლ. ჭ-ე (რეგ. №663; 16/03/2010); ნ. კ-ი (რეგ. №631; 12/03/2010); ხოლო ამავე მიმართვის თანახმად, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2010 წლის 11 მაისის №... შუამდგომლობის წერილით მიემართა ი-ს გუბერნიის ადმინისტრაციას, რათა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკანონო ქრების გამო ჩამორთმეული სამასალე ხე-ტყე სტიქიის (გრიგალის) შედეგად დაზარალებულ და ეკონომიკურად გაჭირვებულ ოჯახებზე დახმარების განევის მიზნით უსასყიდლოდ გადასცემოდა ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობას, თუმცა საქმეში წარმოდგენილი 2010 წლის 7 სექტემბრის, 22 სექტემბრის და 12 ოქტომბრის კომისიის სხდომის ოქმებით და ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის შესაბამისი ბრძანებების თანახმად ირკვევა, რომ ზემოაღნიშნული მოქალაქეების განცხადებები არ განხილულა და მათზე არ განხორციელებულა ზემოაღნიშნული მიზით სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ გენერალური დირექტორის 2010 წლის 26 ივლისის №... ბრძანებით ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის უსასყიდლოდ გადაცემული სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული სამასალე და საშუავე მერქნით დახმარება.

69. საქმეში წარმოდგენილი, 2013 წლის 14 დეკემბრის დათვალეერების ოქმისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის თანახმად, 2013 წლის 14 დეკემბერს ინდ. მენარმე კ. ბ-მ ნებაყოფლობით წარადგინა ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ ე. ჩ-ს და ვ. ჩ-ს სახელზე გაცემული 2010 წლის 23 სექტემბრით დათარიღებული №... და №... ცნობები, ასევე 2010 წლის 4 ნოემბრით და 15 ნოემბრით დათარიღებული შესყიდვის აქტები, რომლის თანახმადაც ი/მ „კ. ბ-მ“ შეისყიდა ე. ჩ-ს (პ/ნ....) 1000 ლარად – 5 მ³ სამასალე ხე-მორი და ვ. ჩ-ს 800 ლარად – 5 მ³ სამასალე ხე-მორი. შესყიდვის აქტები ხელმოწერილია მათი სახელით და გვართ. ოქმი ხელმოწერილია დათვალეერებაში მონაწილე პირთა მიერ.

70. საქმეში წარმოდგენილ 2013 წლის 14 დეკემბრის დათვალეერების ოქმისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის თანახმად, 2013 წლის 14 დეკემბერს განხორციელდა ა. გ-ს მიერ გამოძიებაში წარდგენილი დოკუმენტაციის დათვალეერება გამომძიებლის – ა. ქ-ა და ა. გ-ს მონაწილეობით. კერძოდ, ა. გ-ს მიერ წარდგენილ იქნა მოქალაქეების: კ. ა-ს, დ. ა-ს; გ. დ-ს; ლ. ჯ-ს; მ. მ-ს; ნ. ქ-ს; დ. ბ-ს და ა. ქ-ს პირადობის მონმობის ასლები; ასევე დ. ა-ს; დ. ბ-ს; გ. გ-ს; კ. ა-ს ; ბ. კ-ს; გ. დ-ს; ა. ქ-ს; მ. მ-ს; ნ. ქ-ს და ლ. ჯ-ს სახელზე შედგენილი 10 ცალი შესყიდვის აქტის დედანი დათარიღებული 2010 წლის 3 ოქტომბრით, 2010 წლის 12 სექტემბრით, 2010 წლის 21 სექტემბრით, 2010 წლის 15 ოქტომბრით, 2010 წლის 1 ნოემბრით, 2010 წლის 30 სექტემბრით, 2010 წლის 11 სექტემბრით, 2010 წლის 12 სექტემბრით, 2010 წლის 12 სექტემბრით, 2010 წლის 19 სექტემბრით; ასევე 10 ცალი ცნობის დედანი, გაცემული ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ და 10 ცალი მიღება-ჩაბარების აქტის დედანი ზემოხსენებულ მოქალაქეებზე; ასევე დათვალეერების საგანს წარმოადგენდა ი/მ „ვ. ქ-ს“ სახელზე ნაწარმოები ხე-ტყის მოძრაობის აღრიცხვა-სისტემატიზაციის შურნალი, რომელიც გადანომრილია 25 ფურცლად, ბოლო გვერდის უკანა მხარეს კი ზონარ-გაყრილი და დალუქულია; შურნალს უკანა ყდაზე მიმაგრებული აქვს დოკუმენტების ასლები, კერძოდ, ვ. ქ-ს დაბადების მონმობის, ი/მ საბუთი და გადამხდელის მონმობის ასლები; შურნალის მე-4 გვერდზე მითითებულია სექტემბრის თვეში ნაწარმოები ჩანაწერები, რომლის თანახმად, წიფლის ჯიშის სამასალე ხე-ტყე სახერხში შეტანილია ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ცნობებით, ასეთივე ჩანაწერებია მე-5 და მე-6 გვერდებზე, სულ – 10 ჩანაწერი. ოქმი ხელმოწერილია დათვალეერებაში მონაწილე პირთა მიერ.

71. საქმეში წარმოდგენილი, 2014 წლის 8 იანვრის დათვალიერების ოქმისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის თანახმად, 2014 წლის 8 იანვარს განხორციელდა ხ. თ-ს მიერ გამოძიებაში წარდგენილი დოკუმენტაციის დათვალიერება გამომძიებლის – ა. ქ-ა და ხ. თ-ს მონაწილეობით. კერძოდ, ხ. თ-მ წარადგინა 10 ცალი ცნობა, 10 ცალი შესყიდვის აქტი და ერთი ცალი რეგისტრაციის ყურნალი. ცნობები დაბეჭდილია თაბახის 10 გვერდზე შემდეგი შინაარსით: 1. 2010 წლის 23 სექტემბრით დათარიღებული ცნობა გაცემული გ. კ-ს სახელზე, ხელმოწერილი ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ. გატარების ნომრით №..., 2. 2010 წლის 7 სექტემბრით დათარიღებული ცნობა გაცემული ს. უ-ს სახელზე, ხელმოწერილი ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ. გატარების ნომრით №..., 3. 2010 წლის 23 სექტემბრით დათარიღებული ცნობა გაცემული ე. ლ-ს სახელზე, ხელმოწერილი ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ. გატარების ნომრით №..., 4. 2010 წლის 13 ოქტომბრით დათარიღებული ცნობა გაცემული მ. კ-ს სახელზე, ხელმოწერილი ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ. გატარების ნომრით №..., 5. 2010 წლის 23 სექტემბრით დათარიღებული ცნობა გაცემული ნ. მ-ს სახელზე, ხელმოწერილი ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ. გატარების ნომრით №..., 6. 2010 წლის 13 ოქტომბრით დათარიღებული ცნობა გაცემული ი. ბ-ს სახელზე, ხელმოწერილი ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ. გატარების ნომრით №..., 7. 2010 წლის 23 სექტემბრით დათარიღებული ცნობა გაცემული ე. ფ-ს სახელზე, ხელმოწერილი ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ. გატარების ნომრით №..., 8. 2010 წლის 23 სექტემბრით დათარიღებული ცნობა გაცემული გ. კ-ს სახელზე, ხელმოწერილი ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ. გატარების ნომრით №..., 9. 2010 წლის 23 სექტემბრით დათარიღებული ცნობა გაცემული ნ. გ-ს სახელზე, ხელმოწერილი ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ. გატარების ნომრით №..., 10. 2010 წლის 23 სექტემბრით დათარიღებული ცნობა გაცემული ზ. ბ-ს სახელზე, ხელმოწერილი ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ. გატარების ნომრით №...; შესყიდვის აქტები წარმოადგენს 10 ცალ მცირე ზომის მოყვითალო ფერის ფურცელზე დატანილ მზა ბლანკებს, რომლებიც შევსებულია ხელით, ზემოხსენებულ მოქალაქეებზე ლურჯი ფერის მელნიანი კალმით. შესყიდვის აქტებზე ფიქსირდება მხოლოდ ერთი მხარის ხელმოწერა. ხ. თ-ს განმარტებით, ყველა შესყიდვის აქტი შევსებულია მის მიერ მისივე ხელით. ხოლო რეგისტრაციის ყურნალი წარმოადგენს ერთ ცალ ზონარგაყრილ და დალუქულ ყურნალს,

რომელიც ტექნიკურად გადანომრილია 100 გვერდზე. დათარიღებული 2010 წლით და შევსებული მხოლოდ 2 გვერდზე. ჟურნალის პირველი გვერდი შეიცავს შემდეგი სახის მონაცემებს – „21.10.2010 წელი“ ი/მ „ბ. თ-ე“, საწარმოს მფლობელი ხ. თ-ე. საიდენტიფიკაციო ნომერი N...., ტელეფონის ნომერი 851-..... საწარმოს მისამართი ხ-ი, ბ-ს ქ. №, სახერხი დანადგარების მონაცემები – ლენტა სახერხი 1ც ცირკული ხერხი 1.ც.“. ჟურნალის პირველივე გვერდზე არსებული ჩანაწერის მიხედვით ჟურნალის პირველ გრაფაში და მის გასწვრივ გრაფებში შეტანილია შემდეგი მონაცემები: 2010 წლის 29 ოქტომბერი 11 საათზე, მიღებულია ნიფლის ჯიშის ხე-ტყე, 6 მეტრკუბი მოცულობის, სატრანსპორტო საშუალებით „ზილ 31“, შემომტანი ბ. კ-ე, გადამუშავების თარიღი 1 ნოემბერი 2010 წელი, დოკუმენტის ნომერი, რომლითაც მიტანილია ხე-ტყე №... . ამავე გვერდზე, რიგით მესამე ჩანაწერის მიხედვით, 2010 წლის 20 დეკემბერს 5 საათზე, მიღებულია ნიფლის ჯიშის ხე-ტყე, 6 მეტრკუბი მოცულობის, სატრანსპორტო საშუალებით „ზილ 31“, შემომტანი ნ. მ-ა, გადამუშავების თარიღი 20 დეკემბერი 2010 წელი, დოკუმენტის ნომერი, რომლითაც მიტანილია ხე-ტყე №... . ამავე გვერდზე, რიგით მეშვიდე ჩანაწერის მიხედვით, 2010 წლის 31 დეკემბერს 7 საათზე, მიღებულია სოჭის ჯიშის ხე-ტყე, 6 მეტრკუბი მოცულობის, სატრანსპორტო საშუალებით „ზილ 31“ შემომტანი ი. ბ-ე, გადამუშავების თარიღი 31 დეკემბერი 2010 წელი, დოკუმენტის ნომერი, რომლითაც მიტანილია ხე-ტყე №... . აღნიშნულით დათვალიერება დასრულდა. დათვალიერების შემდეგ ცნობები და შესყიდვის აქტები დაერთო დათვალიერების ოქმს, ხოლო ჟურნალიდან გაკეთდა ქსეროასლები და ჟურნალი დაუბრუნდა მის კანონიერ მფლობელს – ხ. თ-ს. ოქმი ხელმოწერილია დათვალიერებაში მონაწილე პირთა მიერ.

72. საქმეში წარმოდგენილი, 2013 წლის 18 დეკემბრის დათვალიერების ოქმისა და მასზე თანდართული ჟურნალის ასლის თანახმად, 2013 წლის 18 დეკემბერს გამომძიებულ ა. ქ-ს მიერ განხორციელდა ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ამოღებული „გასული და შემოსული დოკუმენტების რეგისტრაციის ჟურნალების“ დათვალიერება. დათვალიერების საგანს წარმოადგენდა 4 ცალი აკინძული ჟურნალი. მათ შორის პირველ მათგანში 50-ე გვერდიდან იწყება ჩანაწერები 29.07.2010 წ. დან: ამ რიცხვში ნომრით №2561 – რეგისტრირებულია მოქ. ზ. გ-ს განცხადება, მცხოვრების გ-ს ქ. ...-ში, შინაარსით „ითხოვს ხის მასალას“; რიგითი ნომრით №2562 ჟურნალში რეგისტრირებულია განცხადება იმავე თარიღით, მოქალაქე მ. მ-ს სახელზე, სოფ. ი-

ი, შინაარსით „ითხოვს 6 მ კბ.მ. მასალას“; რიგით ნომრად №2563 გატარებულია მოქალაქე დ. ბ-ს განცხადება, სოფ. ი-ი, „ითხოვს 4 მ კბ.მ. ხის მასალას“; ამგვარი ჩანაწერები 29.07.2010-ში გაკეთებულია კიდეც 4 მოქალაქეზე, კერძოდ: ლ. ჯ-ე, ნ. ქ-ე, ა. ქ-ე, გ. გ-ე. გრაფების ბოლოს მითითებულია შენიშვნა – დაკმაყოფილდა. შემდეგი ყურნალი ინყება თარიღით 20.08.2010 და სრულდება თარიღით 21.09. 2010 წელი, რომლის მე-8 გვერდზე არსებული ჩანაწერის მიხედვით რიგით 2727, თარიღით 07.09.2010 რეგისტრირებულია მოქალაქე ს. უ-ს განცხადება, სოფ. ნ-ი, ითხოვს 5 კბ. მ. სამასალე მორით დახმარებას სახლის შესაკეთებლად და იგი დაკმაყოფილდა; მე-17 გვერდზე 17 სექტემბერს რიგითი ნომრით 2778-დან 2798-ჩათვლით რეგისტრირებულია მოქალაქეების: ნ. ჩ-ს, ვ. ჩ-ს, ე. ფ-ს, ე. ჩ-ს, დ. ა-ს, ნ. ჩ-ს, გ. კ-ს, ა. გ-ს, შ. კ-ს, კ. ა-ს, დ. მ-ს, გ. დ-ს, ქ. კ-ს, ნ. გ-ს, ზ. ბ-ს, ე. რ-ს, ნ. მ-ს, გ. ჯ-ს, ზ. ჩ-ს, გ. კ-ს, ბ. ყ-ს განცხადებები, რომლებიც ითხოვენ სხვადასხვა მოცულობის ხე-ტყის გამოყოფას და ისინი დაკმაყოფილდა. შემდეგი ყურნალი ინყება 21.09.2010-ის ჩანაწერებით რიგითი ნომრით 2808 და სრულდება 45-ე გვერდზე 31.XII რიგითი ნომრით 3252; მე-7 გვერდზე არსებული ჩანაწერის მიხედვით რიგით 2852, თარიღით 04.10.2010 გატარებულია მოქალაქე გ. ჩ-ს განცხადება, ი-ი, შინაარსით ითხოვს სამასალე მორის გამოყოფას, არის გაჭირვებული; მსგავსი განცხადებები რეგისტრირებულია ამავე თარიღში 2860 რიგით ნომრის ჩათვლით შემდეგ მოქალაქეებზე: ბ. კ-ე, მ. კ-ე, დ. კ-ი, ა. უ-ა, ი. ბ-ე, ნ. ლ-ე, ე. ლ-ე და ჟ. უ-ა და ყველა მათგანი დაკმაყოფილდა; ისინი მოთავსებულ იქნა საქმეში ნომრით 01-20; მე-9 გვერდზე არსებული ჩანაწერის მიხედვით, რიგით 2873 და რიგით 2874, რომელიც გატარებულია 11.10.2010წ. შეეხება მოქალაქეების ო. ტ-ა და ბ. ჩ-ს განცხადებებს და რომლებიც ითხოვენ სამასალე მორის გამოყოფას, ორივე მათგანი დაკმაყოფილდა. შემდეგი ყურნალი არის ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გასული დოკუმენტების რეგისტრაციის ყურნალი, რომლის 77-ე გვერდიდან არსებული ჩანაწერების მიხედვით 2010 წლის 7 სექტემბერს რიგითი ნომრით 640, რეგისტრირებულია ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებელ – ზ. ჯ-ს ცნობა, მოქალაქე ს. უ-ს სახელზე; შემდეგი ჩანაწერი გაკეთებულია რიგით 641, სადაც რეგისტრირებულია ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებელ – ზ. ჯ-ს ცნობა, მოქალაქე დ. ბ-ს სახელზე წიფლის სამასალე მერქნის 4 კბ. მეტრის გაცემის შესახებ; ამგვარი შინაარსის ცნობები რეგისტრირებულია კიდეც 6 ცნობა შემდეგ მოქალაქეებზე – გ. გ-ი, ა. ქ-ე, ლ. ჯ-ი, ნ. ქ-ე, მ. მ-ი, ზ. გ-ე; ამავე ყურნალის 88-ე გვერდზე, რიგითი ნომ-

რით 709, თარიღით 23.09.2010. რეგისტრირებულია ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გაცემული ცნობა, მოქალაქე ე. რ-ს სახელზე ნიფლის სამასალე მერქნის 6 კბ. მეტრის გადაცემის თაობაზე. გრაფის ბოლოს მიწერია სახელის ინიციალი გ. და გვა-რი კ-ე; ამგვარი ცნობები გატარებულია 729 რიგითი ნომრის ჩათვლით შემდეგ მოქალაქეებზე: ე. ჩ-ე, ე. ფ-ა, გ. დ-ე, დ. ა-ე, გ. კ-ე, ვ. ჩ-ი, ქ. კ-ე, ა. გ-ე, ზ. ჩ-ე, ნ. ჩ-ე, ნ. გ-ე, გ. ჯ-ე, ბ. ყ-ი, ნ. მ-ა, ზ. ბ-ე, დ. მ-ე, კ. ა-ე, შ. კ-ი, ნ. ჩ-ე და გ. კ-ე; ჟურნალის 99-ე გვერდზე რიგით ნომრით 787, თარიღით 13. X.2010, რეგისტრირებულია ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გაცემულ ცნობა მოქალაქე ე. ლ-ს სახელზე, რომელსაც მიეცა 4 კბ. მ. სამასალე მერქანი, დოკუმენტის გაგზავნის შესახებ ჩანაწერი არ არის; მსგავსი ცნობები 797 რიგითი ნომრის ჩათვლით, ამავე თარიღში გატარებულია შემდეგი მოქალაქეების სახელზე: მ. კ-ს, ო. ტ-ს, გ. ჩ-ს, ბ. ჩ-ს, ყ. უ-ს, ი. ბ-ს, ბ. კ-ს, ზ. ლ-ს, ა. უ-ს და დ. კ-ს. ჟურნალში ჩანერილი რიგითი ნომრები, 787-დან 796-ის ჩათვლით, ყველა რიგითი ნომრით პირველი რიცხვი გადასწორებულია. დოკუმენტების ამსახველი ჟურნალების ზემოაღნიშნული გვერდების ას-ლები დაერთო ოქმს, ხოლო დოკუმენტის დედნები კვლავ შეი-ნახა საქმესთან ერთად. ოქმი ხელმოწერილია დათვალეიერება-ში მონაწილე პირთა მიერ.

73. საქმეში წარმოდგენილი, 2014 წლის 5 თებერვლის დათვალეიერების ოქმისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის თანახმად, 2014 წლის 5 თებერვალს განხორციელდა ვ. ქ-ს მიერ გამოძიებაში წარდგენილი დოკუმენტაციის დათვალეიერება გა-მოძიებლის – ა. ქ-ა და ვ. ქ-ს მონაწილეობით. კერძოდ, ვ. ქ-ს მიერ წარდგენილ იქნა დოკუმენტები, მათ შორის შესყიდვის აქ-ტი, რომელიც დათარიღებულია 2010 წლის 8 ოქტომბრით და შევსებულია ი.მ. „ა. გ-ს სახელით“ მოქალაქე შ. კ-ე 5 კბ.მ. მოცუ-ლობის ნიფლის სამასალე მორის 750 ლარად შესყიდვის შესა-ხებ; მეორე დოკუმენტს წარმოადგენს ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებელ – ზ. ჯ-ს მიერ შ. კ-ს სახელზე გაცემული 2010 წლის 23 სექტემბრით დათარიღებული ნომერი №... ცნობა შ. კ-ს სახელ-ზე უსასყიდლოდ 5 კბ.მ. მოცულობის ხე-ტყის გაცემის შესახებ; მესამე დოკუმენტი 2010 წლის 23 სექტემბრით დათარიღებუ-ლი მიღება – ჩაბარების აქტი შ. კ-ს სახელზე და მეოთხე დოკუ-მენტი – მოქალაქე შ. კ-ს პირადობის დამადასტურებელი დო-კუმენტის ასლი. ოქმი ხელმოწერილია დათვალეიერებაში მონა-წილე პირთა მიერ.

74. საქმეში წარმოდგენილი, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებ-ლის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 17 თებერვლის №...

ცნობის თანახმად, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2010 წლის 9 აგვისტოს №... და 2010 წლის 27 სექტემბრის №556 ბრძანებების საფუძველზე გამგეობის ბალანსზე სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ მიერ გადაცემული ხე-მასალა 2014 წლის 17 თებერვლის მდგომარეობით ხ-ს მუნიციპალიტეტის ბალანსზეა და მისი საბალანსო ღირებულება შეადგენს 28 845 ლარს.

75. საქმეში წარმოდგენილი 2010 წლის 21 ივლისის №... ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, რაც ასევე დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას ექსპერტმა ქ. მ-ა, ექსპერტიზაზე წარდგენილი რაოდენობების მიხედვით, ი-ს რეგიონში, სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული საშეშე და სამასალე მერქნული რესურსის საბაზრო ღირებულებამ 2010 წლის ივლისის თვის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგინა 28884,45 ლარი. (ცხრილი №1 ის თანახმად: წიფლის სამასალე 174,269 კბ.მ. – 24397,66 ლარი; თხმელის საშეშე 1,53 კბ.მ. – 53,55 ლარი; სოჭის სამასალე – 34,03 კბ.მ – 3743.3 ლარი; წაბლის სამასალე 3,833 კბ.მ. – 689,94 ლარი. სულ 213,662 კბ.მ.=28884,45 ლარი).

76. საქმეში წარმოდგენილი 2013 წლის 23 დეკემბრის სასამართლო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, რაც ასევე დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას ექსპერტმა ქ. მ-ა, ექსპერტიზაზე წარდგენილი რაოდენობის მიხედვით, ი-ს რეგიონში, დადგენილებაში მითითებულ მოქალაქეებზე განერილი სამასალე მერქნული რესურსის საბაზრო ღირებულება 2010 წლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგენდა 7960,96 ლარს (დანართი №1-ის მიხედვით – ს. უ-ე განერილი 5კბ.მ სამასალე წიფლის ღირებულებამ შეადგინა – 700 ლარი; დ. ბ-ე განერილი 4კბ.მ სამასალე წიფლის ღირებულებამ შეადგინა – 560 ლარი; გ. გ-ე განერილი 5 კბ.მ სამასალე წიფლის ღირებულებამ შეადგინა – 700 ლარი; ზ. გ-ე განერილი 5 კბ.მ სამასალე წიფლის ღირებულებამ შეადგინა – 700 ლარი; დ. ა-ე განერილი 5 კბ.მ სამასალე წიფლის ღირებულებამ შეადგინა – 700 ლარი; ნ. მ-ე განერილი 6კბ.მ სამასალე წიფლის ღირებულებამ შეადგინა – 840 ლარი; ნ. ჩ-ე განერილი 5 კბ.მ სამასალე წიფლის ღირებულებამ შეადგინა – 700 ლარი; ე. ლ-ე განერილი 4 კბ.მ სამასალე წიფლის ღირებულებამ შეადგინა – 560 ლარი; ბ. ჩ-ე განერილი 4,030 კბ.მ სამასალე სოჭის ღირებულებამ შეადგინა – 443.3 ლარი; დ. კ-ე განერილი 6 კბ.მ სამასალე სოჭის ღირებულებამ შეადგინა – 660 ლარი; ა. უ-ე განერილი 5,269 კბ.მ სამასალე წიფლის ღირებულებამ შეადგინა – 737,66 ლარი; ო.

ტ-ე განერილი 6 კბ.მ სამასალე სოჭის ღირებულებამ შეადგინა – 660 ლარი.

77. საქმეში წარმოდგენილი 2014 წლის 31 იანვრის სასაქონლო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, რაც ასევე დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას ექსპერტმა დ. ლ-მ, ექსპერტიზაზე წარდგენილი რაოდენობის მიხედვით, ი-ს რეგიონში, დადგენილებაში მითითებულ მოქალაქეებზე რაოდენობების მიხედვით განერილი ნიფლის ჯიშის სამასალე მერქნული რესურსის საერთო საბაზრო ღირებულება 2010 წლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგენდა 4620 ლარს (დანართი №1-ის მიხედვით: ნ. გ-ე განერილი 5კბ.მ სამასალე ნიფლის ღირებულებამ შეადგინა – 700 ლარი; ზ. ბ-ე განერილი 6კბ.მ სამასალე ნიფლის ღირებულებამ შეადგინა – 840 ლარი; ზ. ლ-ე განერილი 5 კბ.მ სამასალე ნიფლის ღირებულებამ შეადგინა – 700 ლარი; გ. კ-ე განერილი 6 კბ.მ სამასალე ნიფლის ღირებულებამ შეადგინა – 840 ლარი; ზ. ჩ-ე განერილი 6 კბ.მ სამასალე ნიფლის ღირებულებამ შეადგინა – 840 ლარი; ჟ. უ-ე განერილი 5 კბ.მ სამასალე ნიფლის ღირებულებამ შეადგინა – 700 ლარი).

78. საქმეში წარმოდგენილი 2014 წლის 5 მაისის სასაქონლო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, რაც ასევე დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას ექსპერტმა რ. მ-მ, ექსპერტიზაზე წარდგენილი დადგენილებაში მითითებულ მოქალაქეებზე რაოდენობის მიხედვით განერილი ნიფლის ჯიშის სამასალე მერქნული რესურსის საერთო საბაზრო ღირებულება 2010 წლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგენდა 6160 ლარს (დანართი №1-ის მიხედვით: ე. ჩ-ე (ჩ-ე) განერილი – 5კბ.მ სამასალე ნიფლის ღირებულებამ შეადგინა – 700 ლარი; შ. კ-ე განერილი – 5კბ.მ სამასალე ნიფლის ღირებულებამ შეადგინა – 700 ლარი; ქ. კ-ე განერილი – 6 კბ.მ სამასალე ნიფლის ღირებულებამ შეადგინა – 840 ლარი; გ. ჯ-ე განერილი 6 კბ.მ სამასალე ნიფლის ღირებულებამ შეადგინა – 840 ლარი; დ. მ-ე განერილი 5 კბ.მ სამასალე ნიფლის ღირებულებამ შეადგინა – 700 ლარი; მ. მ-ე განერილი 6 კბ.მ სამასალე ნიფლის ღირებულებამ შეადგინა – 840 ლარი; ე. რ-ე(ლ-ე) განერილი 6 კბ.მ სამასალე ნიფლის ღირებულებამ შეადგინა – 840 ლარი; ა. ქ-ე განერილი – 5 კბ.მ სამასალე ნიფლის ღირებულებამ შეადგინა – 700 ლარი.

79. საქმეში წარმოდგენილი 2014 წლის 23 მაისის სასაქონლო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, რაც ასევე დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას ექსპერ-

ტმა ა. ბ-ა, ექსპერტიზაზე წარდგენილი დადგენილებაში მითითებულ მოქალაქეებზე რაოდენობის მიხედვით განერილი 21 კბ.მ ნიფლის ჯიშის სამასალე მერქნული რესურსის საერთო საბაზრო ღირებულება 2010 წლის მდგომარეობით, საორიენტაციოდ შეადგენდა 2940 ლარს (დანართი №1-ის მიხედვით: კ. ა-ე განერილი 5კბ.მ სამასალე ნიფლის ღირებულებამ შეადგინა – 700 ლარი; გ. დ-ე განერილი 5კბ.მ სამასალე ნიფლის ღირებულებამ შეადგინა – 700 ლარი; ლ. ჯ-ე განერილი 5 კბ.მ სამასალე ნიფლის ღირებულებამ შეადგინა – 700 ლარი; ნ. ქ-ე განერილი 6 კბ.მ სამასალე ნიფლის ღირებულებამ შეადგინა – 840 ლარი.

80. საქმეში წარმოდგენილი 2014 წლის 19 ივნისის ხელწერილის ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, რაც ასევე დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას ექსპერტმა მ. ვ-მ – 1. ხელნაწერი ტექსტი, განლაგებული ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის ზ. ჯ-ს სახელზე შედგენილ განცხადებაზე, 17.09.10 წლის თარიღით, სავარაუდოა, რომ შესრულებულია არა ნ. ჩ-ს, არამედ სხვა პირის მიერ. კატეგორიული ფორმით პასუხის გაცემა ვერ მოხერხდა, ნიმუშების სიმცირის გამო (შედარებითი კვლევისათვის არ იყო წარდგენილი ნ. ჩ-ს ხელნაწერების თავისუფალი ნიმუშები). 2. ხელმოწერა, ნ. ჩ-ს სახელით (ტექსტის სახით), განლაგებული: მიღება-ჩაბარების აქტზე, 23.09.10 წლის თარიღით მარჯვენა ქვედა მხარეს, გრაფაში: „მიმღები:“, რიგით (ზევიდან) მეორე ხელმოწერა, სავარაუდოა, რომ შესრულებულია არა ნ. ჩ-ს, არამედ სხვა პირის მიერ. კატეგორიული ფორმით პასუხის გაცემა ვერ მოხერხდა, ნიმუშების სიმცირის გამო შედარებითი კვლევისთვის არ იყო წარდგენილი ნ. ჩ-ს ხელნაწერისა და ხელმოწერის თავისუფალი ნიმუშები). გადაწყვეტა საკითხისა ხელმოწერა, ნ. ჩ-ს სახელით (ტექსტის სახით) განლაგებული: მიღება-ჩაბარების აქტზე, 23.09.10 წლის თარიღით. მარჯვენა ქვედა მხარეს, გრაფაში: „მიმღები:“, რიგით (ზედა) პირველი ხელმოწერა, შესრულებულია თუ არა ნ. ჩ-ს მიერ, შეუძლებელია გამოსაკვლევი ხელმოწერის მარტივი აგებულებისა და ნიმუშების სიმცირის გამო (შედარებითი კვლევისათვის არ იყო წარდგენილი ნ. ჩ-ს ხელნაწერისა და ხელმოწერის თავისუფალი ნიმუშები).

81. საქმეში წარმოდგენილი 2014 წლის 19 ივნისის ხელწერილის ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, რაც ასევე დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას ექსპერტმა ს. ჩ-ა – ხელნაწერი ტექსტი, განლაგებული განცხადებაზე №2781, 2010 წლის 17 სექტემბრის თარიღით შესრულებულია არა ე. ჩ-ს, არამედ სხვა პირის მიერ.

82. საქმეში წარმოდგენილი 2014 წლის 19 ივნისის ხელწერის ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, რაც ასევე დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას ექსპერტებმა ც. ზ-მ და ს. ჩ-ა – 1. ხელნაწერი ტექსტი, განლაგებული: განცხადებაზე, 2010 წლის 17 სექტემბრის თარიღით, შესრულებულია არა ნ. მ-ს, არამედ სხვა პირის მიერ. 2. ხელმოწერა, ნ. მ-ს სახელით განლაგებული: მიღება-ჩაბარების აქტზე, 2010 წლის 23 სექტემბრის თარიღით, მარჯვენა მხარეს, გრაფაში: „მიმღები“, რიგით პირველი ხელმოწერა, სავარაუდოა, რომ შესრულებულია არა ნ. მ-ს, არამედ სხვა პირის მიერ. კატეგორიული ფორმით პასუხის გაცემა ვერ მოხერხდა, ხელმოწერის მარტივი აგებულების და ნიმუშების სიმციროს გამო, არ იქნა წარდგენილი ნ. მ-ს ხელმოწერის თავისუფალი ნიმუშები. 2. გადანყვეტა საკითხისა ხელმოწერა ნ. მ-ს სახელით განლაგებული: მიღება-ჩაბარების აქტზე, 2010 წლის 23 სექტემბრის თარიღით. მარჯვენა მხარეს, გრაფაში: „მიმღები“, რიგით მეორე ხელმოწერა, შესრულებულია თუ არა ნ. მ-ს მიერ, შეუძლებელია გამოსაკვლევი ხელმოწერის მარტივი აგებულების, გამოვლენილი ინფორმაციული ნიშნებისა და ნიმუშების სიმციროს გამო (არ იყო წარდგენილი ნ. მ-ს ხელმოწერის თავისუფალი ნიმუშები).

83. საქმეში ასევე წარმოდგენილია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 23 აგვისტოს №..., 2010 წლის 10 სექტემბრის №..., 2010 წლის 27 ნოემბრის №... და 2010 წლის 14 დეკემბრის №... ბრძანებების საფუძველზე განხორციელებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების – სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული კრებსები, რომელთა თანახმადაც დგინდება შემდეგი: ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრებსის თანახმად 2010 წლის 4 აგვისტოს 08:54 საათზე 855-.. .. სააბონენტო ნომრის მფლობელი „ბ-ა“ (როგორც დადგენილია იგივე ნ. კ-ე) ესაუბრება 899-..... სააბონენტო ნომრის მფლობელ ი. ჯ-ს, სადაც საუბარში „ბ-ა“ ეკითხება მას, რომ „თათბრი ხომ არ არის დღეს“, რაზედაც ის პასუხობს, რომ „არის“; შემდეგ „ბ-ა“ ეკითხება ისევ – „რაიმე ხომ არ გაუგია ამის შესახებ, რადგან უკვე ელაპარაკნენ და აუხსნეს ზ-ს, თუ როგორ უნდა გაიცეს, ბ. ჭ-მ და სხვებმა ასევე იციან, თუ როგორ უნდა განიკარგოს და ვინაიდან მას ერიდება, სთხოვს ი. ჯ-ს პირველ რიგში ჰკითხოს ბ. ჭ-ს, რომელმაც ყველაფერი იცის და გაურკვევოს რა ხდება“; რაზედაც ი. ჯ-ი პასუხობს, რომ „მისთვის არაფერი არ უთქვიათ, იკითხავს და დაურეკავს“.

84. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრების თანახმად, 2010 წლის 4 აგვისტოს 08:58 საათზე 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი „ბ-ა“ (ნ. კ-ე) ესაუბრება 895-... .. სააბონენტო ნომრის მფლობელ „დ-ს“ (დ. ბ-ს), სადაც საუბარში „ბ-ა“ ეუბნება მას, რომ „მასალის ამბავი არ გაირკვა, არ გაირკვა საბუთები, მან დაურეკა ი-ს და უთხრა, ასევე კ-მ დაურეკა და აუხსნა გამგებელს თავიდან ბოლომდე რა როგორაა და სთხოვს დ. ბ-ს კიდევ ჰკითხოს მას, განკარგვა როგორ იქნება, რადგან ის უკვე სამჯერ იყო და რცხვინია ყოველ წამში იქ სიარული. ი-ც, ბ. ჭ-ც იციან აღნიშნულის შესახებ, უკვე ფუჭდება და გადასაყრელი გახდება“, რაზედაც დ. ბ-ე თანხმდება.

85. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №11774 კრების თანახმად, 2010 წლის 4 აგვისტოს 10:51 საათზე 855... სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 899 სააბონენტო ნომრის მფლობელ ი. ჯ-ს, სადაც საუბარში ნ. კ-ე უხსნის ი. ჯ-ს, რომ „მან ნახა ბ-ო, რომელმაც უთხრა რომ ამ საქმეზე ზ-ა მუშაობდა, შემდეგ ნახა ზ-ც, რომელმაც როგორც მას უთხრა, საქმე ამნაირ ფაზაშია – ჯერ პირველმა უნდა უთხრას მას და აიყვანენ ბალანსზე, შემდეგ გადადის ეს საკრებულოს განხილვის საგნად, გამგეობა აიყვანს ბალანსზე, მოუმზადებს განსახილველად საკრებულოს და მერე საკრებულო განიხილავს და გადაწყვეტს განკარგვის საკითხს, რისთვისაც საჭიროა კიდევ სატელეფონო ზარი“; რაზედაც ი. ჯ-ი პასუხობს – „ზ-ე უკვე რამოდენიმეჯერ არის ნათქვამი და ისიც კიდევ ეტყვის ლ-ს და დაარეკინებს, ასევე თვითონაც მივა“.

86. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრების თანახმად, 2010 წლის 5 აგვისტოს 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 855 სააბონენტო ნომრის მფლობელ ბ. ბ-ს, სადაც ნ. კ-ე ატყობინებს მას, რომ „მოგვარდა ყველაფერი, საბუთები ორშაბათს იქნება, მაგრამ სანახავია ადგილზე, დაათვალიერონ რომელი რა არის და ის წამოიღებს იქ ადგილზე და ორშაბათს შეეძლება წამოღება უკვე, სანახავია რომელი რაა და დანარჩენს მერე დახერხავდა კიდევ“.

87. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრების თანახმად, 2010 წლის 4 სექტემბერს 855

.. სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 891 სააბონენტო ნომრის მფლობელ ვინემ „ა-ს“, სადაც ნ. კ-ე მას განუმარტავს, რომ „გუშინ კომისია უკვე გამოყვეს, გააკეთეს ყველაფერი, როგორც უთხრეს. დღეს შაბათ-კვირაა, ორშაბათს გამოუწერენ საბუთს და ორშაბათიდან დაინყებს წამოღებას, ასე უთხრეს, თორემ დღეს დატვირთავდა“.

88. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრების თანახმად, 2010 წლის 4 სექტემბერს 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი – ნ. კ-ე ესაუბრება 855 სააბონენტო ნომრის მფლობელ ბ. ბ-ს. საუბარში „ბ-ი“ ეკითხება – „ორშაბათს ჩამოჰქონდა თუ არა მასალა“, რაზეც ნ. კ-ე პასუხობს – „ჩამოაქვს, რადგან გადანყდა პარასკევს კომისია და ყველაფერი, როგორც უთხრეს, ორშაბათს შეძლებდა წაღებას, შეიმუშავებდნენ თუ როგორი საბუთი მიეცათ მისთვის“; „ბ-ი“ ეკითხება – „მათი განცხადებების გარდა, ახალი განცხადებები ხომ არ მიუმატებია და იცოდა თუ არა, რამდენი გამოყვეს თითოეულ ოჯახზე“, რაზეც ნ. კ-ე პასუხობს – „ახალი გ-ი არ ჰქონდა; როდესაც შეიქმნება კომისია, თუ რამდენი უნდა გაცემულიყო, ზ. ჯ-მ თქვა რაღაც... მან კი უთხრა, რომ მინიმუმ ხუთი“; რაზედაც „ბ-ი“ აღნიშნავს, რომ „ზოგში ექვსი წერია, ზოგში ოთხი და ზოგში ხუთი“; აღნიშნულზე კი ნ. კ-ე აცხადებს: „ენეროს, არა აქვს მნიშვნელობა, კომისია ხომ იცის ვინაა, იგენი, მათი იგენი“. ასევე ნ. კ-ე განუმარტავს, მას – „აქ სულ შვიდი განცხადება არის და კიდევ სჭირდებათ განცხადებები“; რაზედაც ბ-ი ეკითხება: „განცხადებები თუ უნდა ნახონ კიდევ, იგივე პროცედურა და იგივე სურათები ხომ არ უნდა“; ხოლო ნ. კ-ე პასუხობს, რომ „სულ არ სჭირდება“; ასევე, ნ. კ-ე უხსნის ბ-ს, რომ „როდესაც საბუთები ექნება, მორების წამოღებას არავითარი აზომვა არ სჭირდება, ისე წამოიღებს, ხოლო რაც შეეხება მორებს, ვარგა სამასალედ 5-6 მეტრიანი არის და ფასზე შეთანხმდებიან“.

89. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრების თანახმად, 2010 წლის 6 სექტემბერს, 12:09 საათზე 855-... .. სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 855. სააბონენტო ნომრის მფლობელ ბ. ბ-ს. საუბარში ნ. კ-ე ატყობინებს ბ-ს, რომ „ეხლა იყო იქ ლ-ნ ერთად (გამგეობაში) და გაიგო, რომ კომისიის თავმჯდომარე ი. ბ-ე ყოფილა, რომელიც თ-ი იყო წასული, სალამოს ჩამოვიდოდა და დილას მისცემდნენ საბუთებს, ყველაფერი გაკეთებულია და თ-ი, რომ

არ ყოფილიყო ის წასული, დღესაც შეძლებდა წამოღებას, ხოლო მორის ფასი საბუთიანის იქნება ორასი“.

90. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრების თანახმად, 2010 წლის 6 სექტემბერს, 14:07 საათზე 8 95 სააბონენტო ნომრის მფლობელი ი. ბ-ე ესაუბრება 895 სააბონენტო ნომრის მფლობელ ზ-ა (ს-ო) ჯ-ს, სადაც საუბარში ზ-ა ეკითხება ი-ს „თუ სად არის, ვინაიდან მასთან მოსული იყო „ბ-ი“ და განცხადების ტექსტები უნდოდა იმ ხე-ტყესთან დაკავშირებით“. მოსაუბრეები თანხმდებიან, რომ „ის განცხადებები ჩვეულებრივი ტექსტით უნდა დაწეროს“; ამასთან, ზ-ა ეუბნება მას, რომ „როგორც მას ელაპარაკა, ისე ხვალ სხდომა უნდა ჩატაროს“; ხოლო ი-ი პასუხობს, რომ „ის იმყოფება თ-ი, სადამოს ჩამოვა, ნახავს, დაელაპარაკება რამდენია განცხადება და ვინ არის რეალური და როგორ არის“. საუბრის დასასრულს ზ-ა ეუბნება, რომ „ნახოს ერთი, მიხედოს ამ საქმეს და ხვალ ის მივიდოდა“.

91. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრების თანახმად, 2010 წლის 7 სექტემბერს, 10:23 საათზე 895 სააბონენტო ნომრის მფლობელი ზ. ჯ-ა ესაუბრება 895 სააბონენტო ნომრის მფლობელ ვინმე „თ-ს“, სადაც საუბარში თ-ე ეკითხება ზ-ს – „შემასთან დაკავშირებით საკრებულოზე, რომ იყო 28 ათასის, მასთან დაკავშირებით კომისია შეიქმნა თუ არა და თავმჯდომარე ვინ იქნებოდა, ვინაიდან ერთი 2-3 სოციალურად დაუცველი კაცი მისი უზნიდანაც არის“, რაზედაც ზ-ი პასუხობს, რომ „აპირებენ კომისიის გახსნას, თავმჯდომარე ი-ი იქნებოდა“, მაგრამ ასევე ეუბნება - „დაანებოს თავი თვითონ, რადგან სხვა სიტუაციაა და შეეშვას“. აღნიშნული საუბრის შემდეგ 895 სააბონენტო ნომრის მფლობელი ზ. ჯ-ა იმავე დღეს, 12:38 საათზე ესაუბრება 895 სააბონენტო ნომრის მფლობელ ლ. ბ-ს, რა დროსაც ლ-ი მიმართავს ზ-ს: „თუ ყველაფერი გაკეთებული იყო ამ ხე-ტყესთან დაკავშირებით, ვერ გაიგო რად უნდა დღის ბოლო და ხვალის ბოლო, რა მნიშვნელობა აქვს“; აღნიშნულზე ზ-ი პასუხობს, რომ „კომისია უნდა შეიკრიბოს და საბუთი აკლია იმას, იმათ მოტანილზე, დარეკილია და უნდა მოიტანოს საბუთები“; აღნიშნულ დროს ლ. ბ-ე ტელეფონს მიღმა ეკითხება სხვა პიროვნებას – „რადაც საბუთები აკლიაო და რას აკლია საბუთები, რა საბუთი უნდათ, რა გითხრეს“, ხოლო პასუხად ისმის – „არავის არაფერი არ უთქვიაო“; ასევე ლ. ბ-ე ზ-ს ეუბნება: „შეკრიბონ მერე კომისია,

ვერ გაიგო, ვინმეს რა მოსაწვევები უნდა?!“, რაზედაც ზ-ი მას ეუბნება, რომ „დაურეკონ თვითონ, მოიტანს იმ შუამდგომლობას, კომისიას მოიწვევენ და მისცემენ საბუთს, მასთან არ იყო ის მისული, თორემ აუხსნიდა მასე, რომ მისულიყო, აკლია მაგის დოკუმენტებს საბუთი და უნდა შეავსონ, ი-ნ არის განცხადებები შესული, რწმუნებულზე აქვს დარეკილი უკვე, მივა და ადგილზე გააკეთებინებს ამ საბუთებს“; აღნიშნულზე ლ. ბ-ე ეუბნება მას, რომ „კი არ ეჩხუბება, უბრალოდ მოუსმინოს რას ეუბნება... იმ კაცის არის, წკიპზე, რომ შეინარჩუნეს ამდენ ხანს ეს გაჭირვებული და თუ დარეკილი აქვს, რატომ არ მივიდა“; რაზედაც ზ. ჯ-ა პასუხობს, რომ „სადაცაა მივიდოდა და ყველაფერს გაუკეთებდნენ“. საუბრის დასასრულს ზ-ი ეუბნება ლ-ს, რომ „უთხრას, მივიდეს ის მასთან და ყველაფერს გააკეთებდა“.

92. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრების თანახმად, 2010 წლის 8 სექტემბრის 16:58 საათზე 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 899 სააბონენტო ნომრის მფლობელ ლ. ბ-ს და ატყობინებს, რომ „ამ წუთში იყო იქ, ნახა და ელაპარაკა, ყველაფერი გადანყვიტეს და ხვალ დილიდან დაინყებდა იმას...დანარჩენს შემდგომ ეტყოდა ყველაფერს“.

93. საქმეში წარმოდგენილი დროებითი კომისიის სხდომის 2010 წლის 7 სექტემბრის №1 ოქმის თანახმად, კი 2010 წლის 7 სექტემბერს ზემოაღნიშნულმა კომისიამ განიხილა მოქალაქეების – ნ. ქ-ს, მ. მ-ს, ა. ქ-ს, გ. გ-ს, დ. ბ-ს, ზ. გ-ს, ლ. ჯ-ს 2010 წლის 29 ივლისისა და ს. უ-ს 2010 წლის 7 სექტემბრის განცხადებები, მათთვის წიფლის სამასალე მერქნის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.

94. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრების თანახმად, 2010 წლის 7 სექტემბერს, 21:13 საათზე 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 855 სააბონენტო ნომრის მფლობელ ბ. ბ-ს. საუბარში ნ. კ-ე ეუბნება მას, რომ „დღეს გაარკვია, დღეს გაკეთდა და გადაეცა უკვე მიღება-ჩაბარების აქტები ბ. ბ-ს ხალხზე, ყველაზე და ხვალდან შეუძლია უკვე წამოღება“.

95. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრების თანახმად, 2010 წლის 8 სექტემბერს, 16:19 საათზე 895 სააბონენტო ნომრის მფლობელი ბ. ქ-ე ესაუბრება დ. ბ-ს 895 სააბონენტო ნომერზე „ბ-ს“, რა დროსაც ბ-ო

ეუბნება მას, რომ „გამზადებულია თითქმის ყველაფერი, მისუ-
ლიყო მასთან, მაგრამ პიროვნებები ჭირდებოდა აუცილებლად,
თან რალაც დალაპარაკება უნდათ მასთან, რომ წესიერად და
კარგად გაკეთდეს, გარკვეული რაოდენობაა ჯერ, ყველა არ
არის...; რაზედაც ბ-ი პასუხობს, რომ „ხვალ მიიყვანდა ყველას,
რადგან ყველა იცის, სურათებია და სახლებშიც ნამყოფი არის“.

96. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო სა-
უბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღე-
ბული №... კრებსის თანახმად, 2010 წლის 8 სექტემბერს, 16:35
საათზე 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბ-
რება 855 სააბონენტო ნომრის მფლობელ ბ. ბ-ს. საუბარში
ნ. კ-ე ეუბნება ბ-ს, რომ „ხვალ დილას მას რომ ყავს ჩანერილი,
ყველა ისინი ვინც არის, დილით უნდა მიიყვანონ იქ, სადაც თვი-
თონაც იქნება, როგორც ბ. ჭ-მ უთხრა ყველაფერი გაკეთებული
არის და ხვალიდან ნამოიღებს მ-ს მანქანით, ვინაიდან ბევრი
მოაქვს“. ამ საუბრის დროს ბ. ბ-ე მას პასუხობს, რომ „რადგან
მას არ ახსოვს სახელი და გვარები, ამოუწეროს, ნაწილი ადგილ-
ზეა, ნაწილი ქ-ი, ზოგი ზ-ი, ზოგი სად და ზოგი სად, ვისაც ნა-
ხავს იმას მიიყვანს“. აღნიშნულზე კი ნ-ი ეუბნება, რომ „დილას
ამოუწერს ყველა სახელს და გვარს და მივიდოდა ი-ი“.

97. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო სა-
უბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღე-
ბული №... კრებსის თანახმად, 2010 წლის 8 სექტემბერს, 20:32
საათზე 855 სააბონენტო ნომრის მფლობელ ნ. კ-ს ესაუბ-
რება 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი ბ. ბ-ე, რომელიც
საუბარში ეკითხება, თუ რომელ საათამდე უნდა იყოს ის ხალხი
ცეხში თუ სახლში; რადგან ზოგი თ-ა, ზოგი ყანაშია და ზოგი სად
არის, არ იცის“; აღნიშნულზე ნ. კ-ე პასუხობს, რომ „როგორც
იმან უთხრა, პირველ ეტაპზე მოეყვანა ვინც იქნებოდა მაინც,
ხოლო რომელიც არ იქნებოდა, თავად მოაწერდა იმას ხელს“.

98. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო სა-
უბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღე-
ბული №... კრებსის თანახმად, 2010 წლის 9 სექტემბერს 855
.. სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 897
სააბონენტო ნომრის მფლობელ ვინმე „გ-ს“. საუბრიდან ირკვე-
ვა, რომ ნ-ი ეძებს დიდ მანქანას, ვინაიდან გ-ნ ხ-ი ჩამოსატანი
აქვს 100 კუბამეტრზე მეტი მორი.

99. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო სა-
უბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღე-
ბული №... კრებსის თანახმად, 2010 წლის 9 სექტემბერს, 12:21
საათზე 899 სააბონენტო ნომრის მფლობელი ზ. ჯ-ა ესაუბ-

რება 895 სააბონენტო ნომრის მფლობელ ე. კ-ს (სოფელ კ-ს რწმუნებულს), სადაც საუბარში ე-ა ეკითხება ზ-ს: „სტიქიით დაზარალებულებზე უსასყიდლოდ გადასაცემი სამასალე და საშემე ის თუ არის დარჩენილი“; რაზედაც ზ-ი პასუხობს, რომ „ის უკვე ამონურულია“.

100. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრების თანახმად, 2010 წლის 9 სექტემბერს 12:21 საათზე 8 95 სააბონენტო ნომრის მფლობელი გ. კ-ე ესაუბრება 895 სააბონენტო ნომრის მფლობელ ე. კ-ს (სოფელ კ-ს რწმუნებულს), სადაც საუბარში ე-ა ეკითხება მას: „სამასალე და საშემე... ამონურულია თუ არა“; რაზედაც გ. კ-ე პასუხობს: „გაჩერდეს, არ განაცხადოს ეგ საერთოდ, არ იცის, რომ ეგ ისე გაკეთდა, არ მისცეს ვინმეს, არ დაუნეროს, თორემ შარს აიკიდებს და გაანებოს თავი“.

101. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... და №... კრებების თანახმად, 2010 წლის 9 სექტემბერს, 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 899 სააბონენტო ნომრის მფლობელ ი. ჯ-ს და 895 სააბონენტო ნომრის მფლობელ დ. ბ-ს, სადაც ნ-ი ეუბნება მათ, რომ „რადგან კომისიაში არიან, ხელის მონერა უნდოდა კომისიის იმაზე, რადგან ყველას აქვს მონერული მათ გარდა“.

102. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... და №... კრების თანახმად, 2010 წლის 10 სექტემბერს 585 სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 855 სააბონენტო ნომრის მფლობელ ბ. ბ-ს, სადაც ნ. კ-ე მას ეუბნება, რომ „მ-ს“ მანქანით აგზავნის მასთან მორებს, ის ეტყვის იმათ სახელს და გვარებს, რომელთა საბუთებიც სახლში აქვს... საბუთებს ჩაუწყობს მანქანაში მძღოლებს, მათ შორის არის ა. ქ-ს (5 კბმ.), ნ. ქ-ს (6 კბმ); მ. მ-ს (6 კბმ.) და დ. ბ-ს (4კბმ), საბუთები არის 2010 წლის 7 სექტემბერის მიღება-ჩაბარების აქტები და გამგებლის – ზ. ჯ-ს მიერ ხელმონერული ცნობები“.

103. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრების თანახმად, 2010 წლის 12 სექტემბერს, 15:20 საათზე 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 855 სააბონენტო ნომრის მფლობელ ბ. ბ-ს, სადაც საუბარში ნ. კ-ე ეუბნება ბ-ს – „განცხადებები რომ არის გასაკე-

თებელი, ხვალ – ორშაბათს უნდა დაამთავრონ, სურათები არ უნდა, მარტო განცხადებები ჭირდება, თვითონ უკვე ერთი 10 ცალი გააკეთა, მაგრამ ყველა გ-ე რომ გააკეთოს არ გამოვა, მან ი-ე აღარ უნდა გააკეთოს, ეხლა უნდა გააკეთოს ხ-ე მარტო განცხადებები, არც სურათი და სხვა არაფერი არ უნდა, დღესვე გააკეთოს, ვილაც მეზობელი ეყოლება, ვისაც დანგრეული სახლი აქვს ან თუ უნდა არ ჰქონდეს მთლად დანგრეული, მაგას არავინ არ ამონებს და მარტო განცხადება დაანერინოს ერთი ათი ცალი კიდევ, მათ შორის ერთი ცალი წინვოვანზე, თუ უნდა ორი ცალი... ტექსტს თვითონ უკარნახებს... მას ზ. ჯ-მ უთხრა, რომ ხვალ დილას-ორშაბათს უნდა დააბალანსოს თორემ, შეჭამა ხალხმა – მიდიან და თხოვენ, ხოლო როდესაც დაბალანსდებოდა და დამთავრდებოდა ეს საქმე, მერე მოცილებული ექნებოდა და ეტყოდა ხალხს, რომ უკვე ამონურული იყო, თორემ არ აყენებდნენ...“; აღნიშნულზე ბ-ი პასუხობს, რომ „რალაცას მოახერხებს, დღეს ვერა, მაგრამ ორშაბათს, 9 საათზე არ იქნება, 12 საათამდე მოუყრის თავს“; ხოლო №... კრების თანახმად, 2010 წლის 12 სექტემბერს 15:24 საათზე ბ. ბ-ე ესაუბრება ა. გ-ს და ვ. ქ-ს 6. კ-ს მიერ მორების მიტანასთან და ზემოაღნიშნულ განცხადებების დანერასთან დაკავშირებით; ხოლო ვ-ი ბ-ს ეუბნება – „საკრებულოდან მიუტანეს მას ამბავი, რომ რალაც ეგ საქმე (ჩამორთმეული ხე-ტყის განაწილებასთან დაკავშირებით) ვერაა მთლად იმ დონეზე გაკეთებული და თუ რამე აქვს უსაბუთო (ხის მასალა) უნდა მოიცილოს იქედან... მარტო იმას დაეყრდნონ, რაც მიუტანეს და შეისყიდეს“.

104. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრების თანახმად, 2010 წლის 13 სექტემბერს, 12:37 საათზე 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 855 სააბონენტო ნომრის მფლობელ ბ. ბ-ს, სადაც საუბარში ნ. კ-ე ეუბნება ბ-ს, რომ „საშიში არაფერი არ არის, რადგან დოკუმენტი აქვს, მთავარია, რასაც ეხლა ჩაუტანს, რაც დოკუმენტი აქვს, ის გააფორმოს“; რაზედაც ბ-ი პასუხობს – „მაგას კი გააფორმებს, მაგრამ ფაქტია, რომ ვინმე მოყვება ამას უკან“; აღნიშნულზე კი ნ-ი პასუხობს, რომ „ამას არავინ არ მოყვება უკან და მან გააფორმოს ოფიციალურად, რაც აქვს, დღეს წინვოვანზეა წასული, რის თაობაზეც ესაუბრა ვ-ს...“; ასევე განმარტა, რომ „ჯერ არაა დამთავრებული დოკუმენტები, გამგობაშია თვითონ და აკეთებინებს ეხლა, ხ-ე და გ-ე, ხუთი აქვს სულ, დანარჩენი მან გააკეთოს, მარტო განცხადება უნდა, მეტი არაფერი, დაახლოებით 20 კაცი მაინც უნდა კიდევ, ორ წინ-

ვოვანს და იმას და კიდევ ნაბლიც შედის შიგნით... ამას აკლებს იმას, რაც თვითონ აქვს გაკეთებული, მაგრამ ხუთზე და ექვსზე მეტს ვერ წერს და ის არის 200-ზე მეტი, რისთვისაც ჭირდება კიდევ, თვითონ არ მიუთითოს ნაბლი თუ სხვა, ამას თვითონ მიუთითებს“; ასევე, №... და №... კრებსების თანახმად, ნ. კ-ე ბ. ბ-ნ აგზავნის მორს გ. გ-ს საბუთით, რომელშიც ნიფელა არის განერილი; ასევე, №... კრებსის თანახმად, 2010 წლის 14 სექტემბერს ნ. კ-ე ესაუბრება ბ. ბ-ც, სადაც საუბარში ნ. კ-ე მას სთხოვს, რომ „ერთი 5-6 ცალი (განცხადება) კიდევ გააკეთოს, რიცხვი არ დაანეროს და ამას თვითონ გადაანაწილებდა; ცოტა უფრო „გაამხატვროს“, რადგან ხვალ ყველა ერთად უნდა შეუტანოს, გაიტანებენ და გადაწყდება, ამით დამთავრდება“.

105. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრებსის თანახმად, 2010 წლის 14 სექტემბერს 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 855 სააბონენტო ნომრის მფლობელ ბ. ბ-ს, სადაც ნ-ი ბ-ს ეკითხება, რომ „ვ-ს უკვე უთხრა, რომ ერთი სამიათასი ლარი უნდოდა, რადგან შესატანი ჰქონდა ფული და ხვალისთვის ხომ არ იქნებოდა“; რაზედაც ბ-მ განუცხადა, რომ „ვ-ი ამ წუთას არ არის, ეტყოდა“; ასევე მას თხოვა, რომ „სანამ განცხადებებს შეიტანდა, მათთან მისულებით, რალაცის დაზუსტება უნდოდათ დოკუმენტებთან დაკავშირებით“. ასევე №... კრებსის თანახმად, მათ შორის საუბარია სამიათას ლართან დაკავშირებით 2010 წლის 15 სექტემბერს მათ შორის განხორციელებულ სატელეფონო საუბრისას; ხოლო საქმეში წარმოდგენილი ქვითრების მიხედვით, ნ. კ-ს მიერ 2010 წლის 16 სექტემბერს გადახდილია – 3000 ლარი.

106. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრებსის თანახმად, 2010 წლის 15 სექტემბერს 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 898 სააბონენტო ნომრის მფლობელ „ლ-ს“, (ლ. კ-ე), სადაც ნ-ი ლ-ს განუმარტავს, რომ „მან გამოიტანა ისინი“ და ეკითხება – „ხელი მან მოანერა თუ იმგენმა“; რაზედაც ლ-ა განუმარტავს – „მან მოანერა“; შემდეგ ნ-ი ეუბნება, რომ „ხომ ჰყავს მანაც გაფრთხილებულები, რომ მათ წაიღეს, რომ რამე..., თვითონ არის ხ-ი და კიდევ აწერიანებს, გადაყვა ამათ წერას“; რაზედაც ლ-ა პასუხობს – „კი“.

107. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრებსების თანახმად, 2010 წლის 15 სექტემბერს 855

... .. სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 898 სააბონენტო ნომრის მფლობელ ნ. გ-ს, სადაც საუბარში ნ-ა ეუბნება ნ. კ-ს, რომ „6 დაანერინა თავის ნომრებით, მართლა შელანძღული სახლები, რომ აქვთ იმისთანებს დაანერინა... ხვალ მოახერხებს და გაუგზავნის, სადგურში დატოვებს სალაროში, მაგრამ პასუხისმგებელი ის იყო, მან კი ამ ხალხს უთხრა, რომ თუ ვინმე მოუტანდა მორს, კი დაეყარათ ჭიკპართან და თუ არა არ მოეკითხათ“; რაზეც „ნ. კ-მ განუმარტა, რომ „პასპორტის ნომრები არ ჩაენერა შიგნით... მათ არავინ არ მიაკითხავდათ“. მომდევნო საუბრებში ნ-ა ურეკავს ნ. კ-ს და ატყობინებს, რომ „4 აქვს და რამდენი უნდა კიდევ“, რაზეც ნ. კ-ე პასუხობს, რომ „3 მაინც გაეკეთებინა კიდევ, თუ მეტი იქნებოდა კარგია და ხომ იცოდა რანაირები უნდა ყოფილიყო და ხელი მათ უნდა მოეწერათ აუცილებლად, ასევე ვინმესთან რამე არ ეთქვა, არ იყო სალაპარაკო“; ხოლო შემდეგ საუბარში ნ-ა ეკითხება: „5 კუბამეტრი დაანერინოს თუ სამი და ნიფელა მიუთითოს თუ არა“; რაზედაც ნ-ი პასუხობს, რომ „ხუთი დანეროს, ზოგში 6 და ნიფელა“.

108. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრებსის თანახმად, 2010 წლის 17 სექტემბერს 895 სააბონენტო ნომრის მფლობელ ზ-ს (ს-ო) ჯ-ს ესაუბრება 895 სააბონენტო ნომრის მფლობელი ლ. მ-ი, სადაც საუბარში ლ-ა ეკითხება ზ-ს, რომ „ის კაცია მისული ხე-ტყეზე რომ დადის და 20 განცხადება აქვს მიტანილი და რა უყოს ამ განცხადებებს?!“; რაზეც ზ-ა პასუხობს, რომ „ვალდებული იყო დაეტოვებინა და გაეტარებინა“. ხოლო საქმეში წარმოდგენილი ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ამოღებული „გასული და შემოსული დოკუმენტების რეგისტრაციის ყურნალების“ 2013 წლის 18 დეკემბრის დათვალიერების ოქმის და მასზე თანდართული ყურნალის ასლის თანახმად, 2010 წლის 17 სექტემბერს გამგეობაში შესულია მოქალაქეების: შ. კ-ს, კ. ა-ს, დ. მ-ს, ზ. ბ-ს, ნ. მ-ს, ბ. ყ-ს, გ. ჯ-ს, ზ. ჩ-ს, ნ. გ-ს, ნ. ჩ-ს, ქ. კ-ს, ა. გ-ს, გ. კ-ს, ვ. ჩ-ს, გ. კ-ს, ე. ფ-ს, დ. ა-ს, გ. დ-ს, ე. ჩ-ს, ნ. ჩ-ს და ე. რ-ს განცხადებები, მათთვის ნიფლის სამასალე მერქნის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.

109. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრებსის თანახმად, 2010 წლის 20 სექტემბერს 895 სააბონენტო ნომრის მფლობელ ბ. ჭ-ს ესაუბრება 895 სააბონენტო ნომრის მფლობელი ვინმე „პ-ა“, რომელიც საუბარ-

ში ბ-ს განუმარტავს, რომ „ბ-მ თქვა – ყველაფერი გაკეთებული აქვს და კანცელარიაში აქვს მიტანილი“; რაზედაც ბ. ჭ-ე განუმარტავს, რომ „აღნიშნული შევა ზ-ნ, ზ-ო დაანერდა ი-ს, ი-ნ შემდეგ მან უნდა გააკეთოს, როდესაც მასთან მივა, ის უცებ შემოვიღის ყველას, აღნიშნულის შესახებ ის ზ-ნ ნალაპარაკები არის“.

110. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრების თანახმად, 2010 წლის 21 სექტემბერს 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 898 სააბონენტო ნომრის მფლობელ ლ. კ-ს, სადაც საუბარში ნ. კ-ე ეკითხება მას, „თუ სად არის ა. ლ-ე, იქნებ დაუკავშირდეს, რადგან თვითონ ვერ უკავშირდება, მან კიდევ უნდა გააკეთოს, რადაც ახალი საბუთები კეთდება კიდევ და ლ-ა მას უთხრა, რომ გაუკეთებდა...ხომ იცოდა, რომ ხალხზე იყო გამოყოფილი...“.

111. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრების თანახმად, 2010 წლის 23 სექტემბერს 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 851 სააბონენტო ნომრის მფლობელ ხ. თ-ს, სადაც საუბარში ნ. კ-ე ეუბნება ხ-ს, რომ „მან გაუშვა ერთი რეისი საბუთიანი მასალა ს. უ-ს სახელზე და თუ ვინმე რაიმეს შეეკითხება, მან უნდა თქვას რომ კლიენტისაა, გამგობამ გადასცა უსასყიდლოდ და ის მხოლოდ უხერხავს, ხოლო თვითონ დილას ჩავიდოდა და გააფორმებდნენ ყველაფერს“; ამავე კრების თანახმად, ნ. კ-ს ესაუბრება ვინმე „გ-ა“, რომელიც მას ეუბნება, რომ „მას აქვს პირადობა... პირად ნომერს და მონმობის ნომერს დაუმესიჯებს...“; ამ დროს ნ. კ-ე მას განუმარტავს, რომ „ჩამოვლაზე რომ იქნებიან, ნახავენ იმ ბიჭს და ხელი უნდა მოაწეროს და უნდა თქვას, რომ სინამდვილეში მიიღო“; ამავე დროს ნ. კ-ს მობილურ ტელეფონზე მესიჯის სახით მიღებულია შეტყობინება „550....-პ/ნ, დ....- პირადობის მონმობის ნომერი“. ხოლო როგორც საქმეში წარმოდგენილი მასალებით დგინდება, აღნიშნული ნომერი ეკუთვნის ს. უ-ს.

112. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრების თანახმად, 2010 წლის 25 სექტემბერს 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 855 სააბონენტო ნომრის მფლობელ „ბ-ს“, სადაც მათ შორის საუბარია შ. კ-ნ, დ. მ-ნ და ზ. გ-ნ დაკავშირებით და სადაც ასევე ნ. კ-ე განმარტავს, რომ „ბ-ს 21 ცალიდან მხოლოდ სამი გამოართვა,

ყველა არ გამოურთმევიან, რადგან ბოლომდე არ იყო, გუშინ ბ-მ მისცა მას, რადგან ვერ გადაარჩია... მან მაინც უნდა ჩამოუაროს ამ ხალხს, რა მნიშვნელობა ჰქონდა“; აღნიშნულზე ბ. ბ-ე მას განუმარტავს, რომ „მისთვის აქვს მნიშვნელობა ამ საბუთებს, რადგან ვისაც იცნობს და ვისზეც დანალაპარაკებია, ის მიეტანა მისთვის და შეეცვალა ეს საბუთები, რადგან თავს იზღვევდა და მისი ახლობლები უფრო ერჩივნა“; აღნიშნულზე ნ. კ-ე მას პასუხობს, რომ „მნიშვნელობა არ ჰქონდა, ბ-მ მაინც უნდა ნახოს ეს ხალხი და უთხრას, რომ შენ მიიღე ეს მასალა და ესეც იგივე თავის დაზღვევა იყო“.

113. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრების თანახმად, 2010 წლის 26 სექტემბერს 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 851 სააბონენტო ნომრის მფლობელ ხ. თ-ს, სადაც საუბარში ნ. კ-ე ეუბნება ხ-ს, რომ „საბუთები ხვალ დილას იქნება ყველაფერი, ბ. ჭ-ს მიიყვანს იქ, ხელს მოაწერიან და თავიდან ბოლომდე ყველას გააკეთებს“.

114. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრების თანახმად, 2010 წლის 27 სექტემბერს 16:46 საათზე, 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 895 სააბონენტო ნომრის მფლობელ ბ. ჭ-ს, სადაც ნ. კ-ე მას განუმარტავს რომ „ი-ს პრობლემა გადაწყვეტილია, ვ-მ მოთხრასო და ვეტყვიო...“ თან ნ-ი მას ეკითხება – „ერთი პარტია ის, ვინც ხალხი უნდა ენახა, არ არის სახლში, თბილისშია და რა ქნას“, რაზედაც ბ-ო პასუხობს, რომ „გავიდოდა ქალაქში და ნახავს მას“.

115. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრების თანახმად, 2010 წლის 29 სექტემბერს, 14:32 საათზე, 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 851 სააბონენტო ნომრის მფლობელ ხ. თ-ს, სადაც ნ. კ-ე მას განუმარტავს, რომ „საბუთები მას აქვს და კომისიის წევრებს უნდა მოაწერიოს ხელი, გამგებელთანაა, სალამოს მიუტანს მას ყველას... ისინი, რომელიც აქვს, ჰქონდეს, ეხლა ის მოაწერიან კომისიის წევრებს და სალამოს მიუტანს, დღეს გააკეთებს ყველაფერს თავიდან ბოლომდე“; ამის შემდეგ, №... კრების თანახმად, 2010 წლის 29 სექტემბერს 14:34 საათზე, 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 895 სააბონენტო ნომრის მფლობელ ბ. ჭ-ს, სადაც ნ. კ-ე მას

განუმარტავს, რომ „კომისიის ისინი უნდა მისცეს მას, ი-ი ნახა, მისულია ქვევით, მაგრამ რომ არ იყო, დაურეკა...“; ხოლო ბ. ჭ-ე პასუხობს, რომ „მიღებაზე არის, გავიდოდა ერთ ნუთში და ის ასულიყო ზევით“; ასევე ამავე კრების თანახმად, 2010 წლის 29 სექტემბერს 15:31 საათზე, 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 851 სააბონენტო ნომრის მფლობელ ხ. თ-ს, სადაც ნ. კ-ე მას განუმარტავს, რომ „ თვითონ აქვს მისთვის ექვსი თუ შვიდი ცალი, ერთი კი მას აქვს და მათზე მან უნდა განეროს ყველაზე შესყიდვების ის, ორ ასლად, ერთი მასთან დარჩება და ერთი პატრონს უნდა მისცეს, რადგან რომ რამე, თუ მიაკითხავენ და ეტყვიან მივყიდეო“.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრების თანახმად, 2010 წლის 3 ოქტომბერს 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 855 სააბონენტო ნომრის მფლობელ, ბ. ბ-ს, რა დროსაც მათ შორის საუბარია, რომ ნ. კ-ე მას უგზავნის 11 კუბამეტრის საბუთით ძველ მორებს.

116. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრების თანახმად, 2010 წლის 5 ოქტომბერს, 15:03 საათზე 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 855 სააბონენტო ნომრის მფლობელ, ბ. ბ-ს, რა დროსაც ნ. კ-ე ბ-ს ეკითხება „ თუ არის მისი გ. ჯ-ე და შ. კ-ი, კ. ა-ე, ასევე ბ-ნ აქვს დატოვებული გ. დ-ს და თუ იყო მისი, დაუტოვებდა ცოლოურობას და წაელო“, რაზედაც ბ. ბ-ე მას განუმარტავს, რომ „ გ. ჯ-ე მისი არ არის... ასევე მას აქვს ზ. გ-ს განცხადება და წაელო მას“; ამავე კრების თანახმად, მათ შორის 2010 წლის 5 ოქტომბერს, 16:51 საათზე, განხორციელებული მომდევნო საუბრიდან დგინდება, რომ ბ-ი მას ეუბნება – „შ. კ-ს, კ. ა-ს, ზ. გ-ს, დ. მ-ს ცნობები აკლდა“; რაზეც ნ-ი განუმარტავს, რომ „ეს ცნობები ყველა სახლში აქვს, გარდა დ. მ-ა, რომლის მიღება-ჩაბარების აქტი აქვს მარტო, ცნობა არა, რომელიც შესაძლოა ბ-ნ ყოფილიყო, ყველა მისცა მას ბ-მ, ასევე შეიძლება ხ-ნ იყოს დარჩენილი“; ამავე კრების თანახმად კი 2010 წლის 5 ოქტომბერს, 17:56 საათზე, განხორციელდა საუბარი ნ. კ-ა და 851 სააბონენტო ნომრის მფლობელ ხ. თ-ს შორის, რა დროსაც ნ. კ-ე მას განუმარტავს, რომ „მასთან გააგზავნა კარგი მორები და საბუთებიც გაატანა...“; ასევე სთხოვს მას, რომ „მას რო აქვს ბ-ს დარჩენილი შესაცვლელი საბუთები, ის მისცეს ბ-ს და ამ მორების საბუთები კი გააგზავნა მასთან“.

117. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრების თანახმად, 2010 წლის 15 ოქტომბერს, 09:24 საათზე 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 898 სააბონენტო ნომრის მფლობელს, ლ. კ-ს, სადაც საუბარში ნ. კ-ე სთხოვს მას რომ „დაურეკოს ა. ლ-ს, რადგან პასპორტის ისინი მოუტანოს, შეავსებს თვითონ და წაიღებს, თუ არა ბ-ო ურეკავს“; ასევე №... კრების თანახმად, 2010 წლის 15 ოქტომბერს, 09:42 საათზე მათ შორის ისევ განხორციელდა სატელეფონო საუბარი, სადაც ნ. კ-ე მას სთხოვს, რომ „გაუგოს დ. კ-ს და ა. უ-ს პასპორტის ის...“, ხოლო №... კრების თანახმად, 2010 წლის 15 ოქტომბერს, 09:52 საათზე ნ. კ-ს მოზილურ ტელეფონზე მესიჯის სახით მიღებულია შეტყობინება „550 როგორც საქმეში წარმოდგენილი მასალებით დგინდება, აღნიშნული პირადი ნომერი ეკუთვნის დ. კ-ს.

118. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრების თანახმად, 2010 წლის 22 ოქტომბერს 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 895 სააბონენტო ნომრის მფლობელს, ბ. ჭ-ს, რა დროსაც ნ-ი მას განუმარტავს, რომ „ის აწერიანებს აგერ, დადის, ყველას მოაწერიანებს, მალე მივიდოდა და თუ იყო ის გამგეობაში“; რაზედაც ბ. ჭ-ე მას პასუხობს, რომ „ის არ იქნება დღეს გამგეობაში, დატოვოს იქ და მიხედავს შემდეგ თვითონ“.

119. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული №... კრების თანახმად, 2010 წლის 25 ოქტომბერს 855 სააბონენტო ნომრის მფლობელი ნ. კ-ე ესაუბრება 899 სააბონენტო ნომრის მფლობელს, რა დროსაც ნ. კ-ე განმარტავს, რომ „მას აქვს 4 მეტრიანი მორები, რომელიც გაფუჭებული არ არის, კარგია და კუბამეტრს ყიდის 200 ლარად“.

120. საქმეში აგრეთვე წარმოდგენილია ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩანერის შედეგად მიღებული კრებები, რომელთა თანახმად, 2010 წლის 24 ნოემბრიდან 17 დეკემბრის ჩათვლით განხორციელებულია სატელეფონო საუბრები ნ. კ-ს, ხ. თ-ს, ბ. ბ-ს, ნ. გ-ს, ბ. ჭ-ს, ლ. ბ-ა და სხვებს შორის, რომელთა საუბრებიც ეხება იმ გარემოებას, რომ „უნდა გააფრთხილონ ხალხი (მათ შორის საუბარია ო. ტ-ე, ბ. ჩ-ე, ა. უ-ე, გ. ჯ-ე) თუ რა პასუხები უნდა გასცენ გამოძიებას აღნიშნულ მორებთან დაკავშირებით და უნდა თქვან, რომ მათ მიიღეს მასალა“.

121. საქმეს თან ერთვის ასევე ბ. ჩ-ს (დაბადებული აგვისტოს) გარდაცვალების სააქტო ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, ის გარდაიცვალა 2013 წლის 10 მარტს; გ. ჯ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 10 დეკემბრის განჩინება ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახურებიდან დოკუმენტების ამოღების შესახებ და ამოღების ოქმი; ი-ს, რ-ა და ქ. ს-ს სააღსრულებო ბიუროს მომართვა თანდართულ მასალებთან ერთად (ჯარიმის გადახდის ქვითარი; სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 2 სექტემბრის №... დაუსრულებელი გადაწყვეტილება; სააღსრულებო ფურცელი ნ. კ-ს მიმართ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის განაჩენით დაკისრებული ჯარიმის გადახდის თაობაზე და ასევე ნ. კ-ს მიმართ დაკისრებული გარემოსთვის მიყენებული ზიანის 68 739 ლარის ანაზღაურებასთან დაკავშირებით); ხ-ს რაიონული სასამართლოს 2010 წლის 14 ივნისის (მ. ლ-ს მიმართ) და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის (ნ. კ-ს მიმართ) განაჩენი; ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ვ. ქ-ს მიმართ; ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ა. გ-ს მიმართ; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 9 სექტემბრის №16-22, 2010 წლის 16 თებერვლის №16-5 და 2010 წლის 3 მარტის №16-7 დადგენილებები ნივთიერი მტკიცებულების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შესახებ; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს ხ-ს რაიონული განყოფილების“ უფროსის მიერ გადმოგზავნილი ინფორმაცია ხ-ს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების შესახებ, რომლებიც იყვნენ რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში 2010 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის დეკემბრამდე; ხელმოწერის და ხელწერის ნიმუშის აღების ოქმები; ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ხ. თ-ს მიმართ; სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორის 2014 წლის 29 იანვრის მომართვა №... დანართით (1. 2010 წლის 11 მაისის ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ი. ბ-ს №... წერილი; 2. ზ. კ-ს მოხსენებითი ბარათის ასლი); ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2010 წლის 21 ივნისის №... ბრძანება ზ. ჯ-ს ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლად დანიშნის შესახებ და ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2010 წლის 22 ივნისის №... ბრძანება ბ. ჭ-ს ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ დანიშნის შესახებ; ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელ-

თა მონაცემები; ნ. კ-ს სისხლის სამართლის საქმიდან ზარალის ანაზღაურების დამადასტურებელი ქვეთრების ქსეროასლები, რომელთა თანახმად, ნ. კ-ს მიერ სხვადასხვა საბანკო დაწესებულებაში გადახდილია შემდეგი რაოდენობის თანხები: 2010 წლის 12 იანვარს – 8000 ლარი; 2010 წლის 7 ივლისს – 3000 ლარი; 2010 წლის 3 სექტემბერს – 2000 ლარი; 2010 წლის 16 სექტემბერს – 3000 ლარი; 2010 წლის 30 სექტემბერს – 6500 ლარი; 2010 წლის 18 ოქტომბერს – 6100 ლარი; 2010 წლის 1 ნოემბერს – 2000 ლარი; 2011 წლის 14 მარტს – 2500 ლარი; ლ. ბ-ს დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი, რა დროსაც ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა მისი კუთვნილი სამსუხგის ფირმის ტელეფონი ორი ცალი სიმბარათით და ლ. ბ-ს ტელეფონის დათვალიერების ოქმი; ხ-ს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 17 ივნისის №... განკარგულება თანდართულ სიასთან ერთად, რომლის თანახმადაც, ლ. ბ-ე 2010 წლის მაისის თვიდან არჩეულ იქნა საკრებულოს წევრად; ცნობა პრობაციის ბიუროდან და საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 30 აგვისტოს განკარგულება შეწყალების შესახებ ნ. კ-ს მიმართ; ნ. კ-ს სისხლის სამართლის საქმიდან გადმოგზავნილი დოკუმენტების ასლები, კერძოდ: 2009 წლის ბოლოსა და 2010 წლის დასაწყისში ხ-ს რაიონის სოფელ გ-ა და კ-ი ხე-ტყის ამოღების და დათვალიერების ოქმები ფოტოილუსტრაციით; ინფორმაციის შემცველი სიდი-დისკების 2014 წლის 10 მაისის დათვალიერების ოქმი.

122. 1-ლი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეულ იქნა მათ მიერ სადავოდ გამხდარი ნივთიერი მტკიცებულებები – ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული მასალები (14 ცალი CD დისკი); 2013 წლის 11 დეკემბერს ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ამოღებული მასალების დედნები; მონმე ა. გ-ს მიერ წარმოდგენილი ხე-ტყის რეგისტრაციის ყურნალი (დედანი); ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებების ამსახველი – გრიფით „საიდუმლო“ მასალები და მასალების გაცნობის ოქმები, რომლებიც შეესაბამება სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ ზემოაღნიშნულ წერილობით მტკიცებულებებს.

123. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს ჯგუფური დანაშაულის ერთ-ერთი თანამონაწილის – ბ. ჭ-ს მრავალჯერად სატელეფონო საუბრებს ამავე დანაშაულებრივი ჯგუფის მეორე თანამონაწილე ნ. კ-ს ხე-ტყის განცხადებების შედგენისა და მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელმოწერის შესახებ, მაშინ, როცა პირადად ნ. კ-ს არავითარი განცხადებით არ ჰქონდა მიმართული გამგეობისათვის ხე-ტყის უშუალოდ მისთვის გადაცემას-

თან დაკავშირებით.

124. 2010 წლის 8 სექტემბერს ბ. ჭ-ე მობილური ტელეფონით გ-ს თემის რწმუნებულის მეშვეობით ესაუბრება ნ. კ-ს (ბ-ს), რომელსაც ატყობინებს, რომ თითქმის ყველაფერი გამზადებული აქვს, მაგრამ წესიერად და კარგად რომ გაკეთდეს, სთხოვს პიროვნებების მიყვანას.

125. გამგეობის ბალანსზე არსებული ხე-ტყის განკარგვის დოკუმენტები ნ. კ-ს სწორედ რომ ბ. ჭ-ს აღმოჩნდა. აღნიშნულს ადასტურებს ნ. კ-ა და ბ. ბ-ს შორის 2010 წლის 25 სექტემბერს, 12.09 საათზე განხორციელებული საუბარი, სადაც ნ. კ-ე ბ. ბ-ს ეუბნება, რომ ბ-ს 21 აქტი ჰქონდა გადმოწყობილი და სამი გამოატანა, დანარჩენი ჯერ არ იყო წესრიგში.

126. ბ. ჭ-ე რომ დანაშაულებრივი ქმედებების საქმის კურსში იყო ჯერ კიდევ 2010 წლის 4 აგვისტოს, მაშინ, როდესაც ხე-ტყე გამგეობის ბალანსზე არ იყო აყვანილი, ამას ადასტურებს ნ. კ-ა და კ-ს თემის რწმუნებულ ი. ჯ-ს შორის 2010 წლის 4 აგვისტოს განხორციელებული სატელეფონო საუბარი, სადაც ნ. კ-ე ი. ჯ-ს განუმარტავს, რომ „ბ-ა ჭ-მ და იმგენმა იციან, რაფერ უნდა განიკარგოს“.

127. 2010 წლის 15 დეკემბერს ბ. ჭ-ე ინტენსიურად უკავშირდება ნ. კ-ს და აფრთხილებს, რომ მოსახლეობა გაფრთხილებული უნდა იყოს და „მზად უნდა ვიყოთ ყველანაირად“.

128. ასევე აღსანიშნავია 2010 წლის 29 სექტემბრის საუბარი ნ. კ-ა და მენარმე ხ. თ-ს შორის, როდესაც ნ. კ-ე ხ-ს ჰპირდება, რომ სალამოს მიუტანს დანარჩენ დოკუმენტებს, მას შემდეგ, რაც კომისიის წევრებს მოაწერინებს ხელს.

129. ნ. კ-ე რომ პირადად აგვარებს მიღება-ჩაბარების აქტებზე კომისიის წევრთა ხელმოწერის საკითხებს, ეს ჯერ კიდევ 2010 წლის 9 სექტემბერს ჩანს კ-ა და გ-ს თემის რწმუნებულებთან სატელეფონო საუბრის დროს. როგორც საქმის მასალებით ცნობილია, ისინი ხე-ტყის გამცემი კომისიის წევრები არიან, ხოლო ნ. კ-ე ზემოსხენებულ საუბრებში სთხოვს მათ დოკუმენტებზე ხელმოწერას.

130. ასევე, ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებაზე მიუთითებს გამგეობის თანამშრომლების – ს-ო იმავე ზ. ჯ-ს სატელეფონო საუბარი კანცელარიის სპეციალისტ ლ. მ-ნ 2010 წლის 17 სექტემბერს, რომლითაც ირკვევა, რომ პირადად ნ.კ-მ 21 განცხადება მიიტანა გამგეობის კანცელარიაში. აღნიშნული კი, თავის მხრივ, დადასტურებულია გამგეობიდან ამოღებული განცხადებების შემოსავლისა და გასავლის ჟურნალების დათვალიერების ოქმით, რომლითაც ირკვევა, რომ ჟურნალში მე-17

გვერდზე, მარცხენა მხარეს, 2010 წლის 17 სექტემბერს, რიგითი ნომრით 2778-დან 2798-ის ჩათვლით რეგისტრირებულია მოქალაქეების – ნ. ჩ-ს, ვ. ჩ-ს, ე. ფ-ს, ე. ჩ-ს, დ. ა-ს, ნ. ჩ-ს, გ. კ-ს, ა. გ-ს, შ. კ-ს, კ. ა-ს, დ. მ-ს, გ. დ-ს, ქ. კ-ს, ნ. გ-ს, ზ. ბ-ს, ე. რ-ს, ნ. მ-ს, გ. ჯ-ს, ზ. ჩ-ს, გ. კ-ა და ბ. ყ-ს (სულ 21 პირი) განცხადება, რომლებიც ითხოვენ სხვადასხვა მოცულობის ხე-ტყის გამოყოფას.

131. ყალბი დოკუმენტების დამზადებასა და ამ გზით ქონების დაუფლებას ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს 2010 წლის 15 სექტემბერს ნ. კ-ა და ნ. გ-ს შორის სატელეფონო საუბარი, რომლითაც ირკვევა, თუ როგორ ათანხმებენ მოქალაქეების სახელით შესადგენი განცხადების ტექსტებს. ნ. გ-მ მართლაც მოუძებნა ექვსი პირი, რომელთა სახელზე განერილ მერქანსაც თაღლითურად დაეუფლა ნ. კ-ე.

132. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურ დანაშაულსა და სამსახურებრივ სიყალბეში ნ. კ-ს უშუალო ჩართულობაზე ასევე პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე დაკითხული მონწე ა. უ-ა, რომლის ჩვენებით ირკვევა, რომ მიღება – ჩაბარების აქტში მითითებული სამასალე ხე-ტყე მას არ მიუღია. მიღება-ჩაბარების აქტი სახლში ხელმოსანერად მიუტანა პირადად ნ. კ-მ და ამ უკანასკნელის თხოვნით მოანერა მას ხელი.

133. მიღება-ჩაბარების აქტების პირადად ბ. ჭ-ს მიერ შევსებისა და მომზადების თაობაზე. გარდა სატელეფონო კრებებისა, პირდაპირ მიუთითებს კომისიის ერთ-ერთი წევრი ლ. კ-ი, რომელმაც უჩვენა, რომ ბ. ჭ-მ დაიბარა თავისავე კაბინეტში და მიღება-ჩაბარების აქტებზე მოანერინა ხელი.

134. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ამსახველ ჩანაწერებში მრავლად არის ისეთი საუბრები, საიდანაც უდავოდ ირკვევა, რომ ბ. ჭ-ს მიერ ნ. კ-ს გადაცემული მიღება-ჩაბარების აქტები ყალბია და მათზე მოქალაქეთა ხელმოწერები დასმულია მოგვიანებით.

135. ქონების გაფლანგვასა და ბენეფიციარების მიერ მათ მიუღებლობას, გარდა სასამართლო პროცესზე მონწილეს სახით დაკითხული დაზარალებულების ჩვენებებისა, რომლებმაც კატეგორიულად უარყვეს მასალის მიღების ფაქტი (მათ შორის ერთ-ერთი ს. უ-ა), პირდაპირ ადასტურებს 2010 წლის 23 სექტემბერს ნ. კ-ს მობილურზე მესიჯით გამოგზავნილი ს. უ-ს პირადი და პირადობის მოწმობის ნომერი 550 . . . და, მაშინ, როცა მიღება-ჩაბარების აქტი ს. უ-ს სახელზე დათარიღებულია 2010 წლის 7 სექტემბრით და მასში შეტანილია ამ უკანასკნელის პირადობის მოწმობის მონაცემები. მონწილეს სახით და-

კითხვისას კი ნ. კ-მ საერთოდ უარყო ს.უ-ნ ნაცნობობის ფაქტი.

136. ანალოგიურად, ნ. კ-ს მობილურზე 2010 წლის 15 ოქტომბერს შემოსულია მესიჯი – დ. კ-ს პირადი ნომერი 550, მაშინ, როცა მიღება-ჩაბარების აქტი დ. კ-ს დათარიღებულია 2010 წლის 13 ოქტომბრით.

137. ბ. ჭ-ს მიერ 2010 წლის 23 სექტემბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტი ე. ჩ-ს შედგენილია ე. ჩ-ს სახელით, პირადი ნომრის მითითების გარეშე, ასეთი პიროვნება კი არ არსებობს. ნ. ლ-ს 13 ოქტომბრის მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ზ. ლ-ს სახელით, რომელიც გარდაცვლილია ჯერ კიდევ 1992 წელს, ხოლო ე. რ-ს ბ. ჭ-ს მიერ მიღება-ჩაბარების აქტი შედგა ე. ლ-ს სახელით, პირადი ნომრით. ასეთი პიროვნებაც არ არსებობს. აღნიშნული კიდევ ერთხელ მიუთითებს მიღება-ჩაბარების აქტების სიყალბეზე. ბ. ჭ-მ მოწმის სახით დაკითხვისას ზემოაღნიშნული მექანიკური შეცდომით ახსნა, რასაც საკაცაციო პალატა ვერ გაიზიარებს იმ მოტივით, რომ ხე-ტყის მიღების გრაფაში ხელმოწერა ასევე შესრულებულია არა მოქალაქეების ნამდვილი სახელითა და გვარით, არამედ ბ. ჭ-ს მიერ დაფიქსირებული მონაცემებით. გამოდის, რომ თავად ხე-ტყის მიმღებ მოქალაქეებს ხელმოწერისას ზუსტად ისევე შეეშალათ საკუთარი ვინაობა, როგორც ბ. ჭ-ს. აღნიშნული კი ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული და ცალსახად მიუთითებს მიღება – ჩაბარების აქტების სიყალბეზე.

138. მსჯავრდებულების – ლ. ბ-ს, ბ. ჭ-ა და ნ. კ-ს წინასწარი შეთანხმებით დანაშაულის ჯგუფურად ჩადენაზე ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს 2010 წლის 6 სექტემბერს ნ. კ-ა და ბ. ბ-ს შორის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, რომელშიც ნ. კ-ე ამბობს „გაკეთებულია ყველაფერი, მე, ლ-ა და ე-ი ვიყავით და ვსიო, თ-ი რომ არ ყოფილიყო დღეს შეიძლებოდა მაგის წამოღება“. ლ. ბ-ს დანაშაულში მონაწილეობაზე ასევე ცალსახად მიუთითებს მონმე ვ. ქ-ს ჩვენება, რომელშიც მან აჩვენა, რომ ამავე საქმეზე გამოძიების დაწყების შემდგომ ხ-ს რაიონის სოფელ გ-ი, მისსავე საცხოვრებელ ბინაში შეხვდა ლ. ბ-ს, რომელიც დაჰპირდა, რომ დაეხმარებოდა. ასევე მიუთითა, რომ მოქალაქეები გაეფრთხილებინა, რომ გამოძიების პროცესში ეთქვათ ხე-ტყის მიღების თაობაზე. ბრალდების მხარის პოზიციით, აღნიშნული ქმედებით, ლ. ბ-ე შეეცადა, დაემალა მის მიერვე ჩადენილი დანაშაული. ვ. ქ-ა და ლ. ბ-ს შეხვედრები თავდაპირველად ხ-ი, ხოლო შემდგომ სოფელ გ-ი, ლ. ბ-ს საცხოვრებელ სახლში, ასევე ერთმნიშვნელოვნად დადასტურებულია როგორც ლ. ბ-ს, ისე ნ. კ-ს ჩვენებებით. მნიშვნელოვანია ამ მხრივ სატელეფონო სა-

უბრის კრებსები, რომლებითაც ირკვევა, რომ ბ. ჭ-ე და ნ. კ-ე ყველა ზომას იღებენ დანაშაულის კვალის დასაფარად და აფრთხილებენ მოქალაქეებს, რომ მათ კითხვის შემთხვევაში აღნიშნონ, რომ ხე-ტყე მიიღეს. 15.12.10 წელი, კრებსი – ნ-ი – „ხო ეგენი ყველა ნათქვამია, გაფრთხილებულია, ბო კაი კაი, ყოველ შემთხვევაში მზად უნდა ვიყოთ ყველანაირად“. ნ. კ-მ მონმის სახით დაკითხვისას არ უარყო მოქალაქეების გაფრთხილების ფაქტი, თუმცა მიუთითა, რომ აღნიშნული გამონვეული იყო მოქალაქეების შიშისა და დაბნეულობის გამო. საკასაციო პალატა ეთანხმება ბრალდების მხარის მოსაზრებას, რომ ხე-ტყის ნამდვილად მიღების შემთხვევაში არც ერთ მოქალაქეს არ დასჭირდებოდა რაიმე სპეციალური გაფრთხილება ამ საკითხთან დაკავშირებით და ისინი ყოველგვარი დამატებითი გაფრთხილების გარეშე შეძლებდნენ რეალურად მომხდარი ფაქტების გადმოცემას, მაგრამ ვინაიდან მოქალაქეების მონაცემები ფიქტიურად იყო გამოყენებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების მიერ, აუცილებელი იყო მათი გაფრთხილება დანაშაულის კვალის დასაფარად.

139. საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულების ერთობლიობაში სამართლებრივი ანალიზის შედეგად, უტყუარად და ერთმნიშვნელოვნად დასტურდება ის გარემოება, რომ მითითებულ გაჭირვებულ დაზარალებულებს ხე-ტყე არ მიუღიათ და დოკუმენტაცია ხე-ტყის მიღების თაობაზე შედგა ფიქტიურად. ყველა მიღება-ჩაბარების აქტი ხელმოწერილია ბ. ჭ-ს მიერ. აქტების მიხედვით, აქტში მითითებულ მოქალაქეს ჩაბარდა კონკრეტული მოცულობის ხე-ტყე. თითოეული აქტი დადასტურებულია როგორც მოქალაქის გრაფაში დასმული ხელმოწერით, ისე სამუშაო ჯგუფის ყველა წევრის ხელმოწერით. აღნიშნულს ნაწილობრივ ადასტურებს საკასაციო პალატის სხდომაზე თავად ბ. ჭ-ს მიერ მიცემული განმარტება, რომ მან დააშავა ის, რომ მიღება-ჩაბარების აქტები ისე გადასცა მოქალაქეებს, რომ მათ ჯერ არ ჰქონდათ მიღებული ხე-ტყე. აღნიშნული განმარტებაც, რომ მან გადასცა მიღება-ჩაბარების აქტები ხელზე დაზარალებულებს, ასევე არ დასტურდება საქმეზე დაკითხული არც ერთი დაზარალებულის ჩვენებით და საქმეზე შეკრებილი სხვა მტკიცებულებებით.

140. ამდენად, ზემოაღნიშნული აშკარა, დამაჯერებელი და უტყუარი მტკიცებულებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მთლიანად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას მსჯავრდებულების – ლ. ბ-ს, ბ. ჭ-ა და ნ. კ-ს მსჯავრდებისასთან დაკავშირებით.

141. რაც შეეხება მსჯავრდებულ ზ. ჯ-ა და მისი ადვოკატების მოსაზრებას, რომ ზ. ჯ-ს არ ჩაუდენია ის დანაშაული, რაშიც მას მსჯავრი დაედო გასაჩივრებული განაჩენით, საკასაციო პალატა იზიარებს და თვლის, რომ ამ მიმართებით განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება.

142. საქმეზე წარმოდგენილი, სახელმწიფო ბრალმდებლის საკასაციო საჩივრის მიხედვით, რასაც სახელმწიფო ბრალმდებელმა მთლიანად დაუჭირა მხარი საკასაციო პალატის სხდომაზე, ზ. ჯ-ს დანაშაულში ჩართულობაზე პირდაპირ მიუთითებს როგორც ამ უკანასკნელის სატელეფონო საუბრები ლ. ბ-ნ, ასევე მის მიერ უკანონოდ გაცემული ცნობები სოფლის რწმუნებულებთან – თ. კ-ა და ე. კ-ნ, რასაც ბრალების მხარე განიხილავს საქმეში არსებულ წერილობით მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. კერძოდ, ზ. ჯ-ს 2010 წლის 3 სექტემბრის №... ბრძანების მე-3 პუნქტით, გამგეობის ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებს, მათ შორის ე. კ-ს, უშუალოდ დაევალა აქტიური დახმარება კომისიისათვის სამასალე და საშეშე მერქნის უსასყიდლოდ გადაცემის პროცესში. აქედან გამომდინარე, ე. კ-ე ინტერესდება აღნიშნული საკითხით და ზ. ჯ-ს ეკითხება მასალის ოდენობისა და გაცემის საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლის 9 სექტემბრის მდგომარეობით ჩატარებული იყო კომისიის მხოლოდ ერთი სხდომა და გამგეობის ბალანსზე რიცხული 2133-დან განკარგული იყო მხოლოდ 41 მ³ მასალა (შემდგომი სხდომები ჩატარდა 23.09.2010 და 12.10.2010 წ), რის თაობაზეც ზ. ჯ-ა კარგად იყო ინფორმირებული, ვინაიდან რვავე განცხადება სწორედ მის მიერ იყო განხილული და რეზოლუცია დადებული, ზ. ჯ-მ დამალა გამგეობის ბალანსზე ხე-ტყის მასალის არსებობის ფაქტი და ამ უკანასკნელს პირდაპირ მიუგო, რომ მასალა უკვე განაწილებულია და დარჩენილი აღარ არისო. ანალოგიური საუბარი გაიმართა 2010 წლის 7 სექტემბერს ზ. ჯ-ა და რწმუნებულ თ. კ-ს შორის. ზ. ჯ-ს სიტყვები „დანებე თავი, სხვა სიტუაციაა, შეეშვი“. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია გამგებელ ზ. ჯ-ნ საუბრის შემდგომ ე. კ-ს საუბარი კომისიის მდივან გ. კ-ნ, რომელშიც ეს უკანასკნელი ცალსახად ადასტურებს ზემოხსენებული ხე-ტყის არამიზნობრივად განკარგვას (მაგი ისე გაკეთდა, შენ არ იცი). გარდა ზემოაღნიშნულისა, ზ. ჯ-ს დანაშაულში მონაწილეობაზე ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს სისხლის სამართლის საქმეში მოთავსებული ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 6 თებერვლით დათარიღებული წერილი, რომლითაც ირკვევა, რომ 2014 წლის მაისის მდგომარეობით ანუ იმ დროისათვის, როცა მუნიციპალიტეტის გამგეობი-

დან გაიგზავნა შუამდგომლობა სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა დასახმარებლად ხე-ტყის გამგეობის ბალანსზე გადმოცემის შესახებ, გამგეობაში დარეგისტრირებული იყო გრიგალის შედეგად დაზარალებული 13 მოქალაქის განცხადება. ზ. ჯ-ს, რომელსაც პირადად ევალუბოდა სამასალე ხე-ტყის გაცემის პროცესის კონტროლი, საერთოდ არც კი მოუკითხავს არც ერთი რეალურად სტიქიის შედეგად დაზარალებული პირის განცხადება და სამასალე ხე-ტყე განკარგა არადანიშნულებისამებრ, დანაშაულის თანამონაწილე ნ. კ-ს მატერიალური გამოჩენის მისაღებად. აღნიშნული გარემოება სრულად შეესაბამება მოწმე ვ. ქ-ს ჩვენების იმ ნაწილს, რომელშიც ამ უკანასკნელმა მიუთითა, რომ ლ. ბ-მ მას უთხრა „ეს მასალა ჩვენია, მას სხვა ვერავინ ვერ წაიღებს, ნ. კ-ე მოგიტანს და შენ ფულს გადაიხდი“.

143. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სახელმწიფო ბრალმდებლის მოტივაციას იმის თაობაზე, რომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არის დადასტურებული ზ. ჯ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება, რაშიც მას ნაწილობრივ დაედო მსჯავრი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული განაჩენით.

144. განაჩენის თანახმად, დანაშაულის მონაწილე ზ. ჯ-მ იცოდა რა, რომ მოქალაქეებს რეალურად არ ჰქონდათ მიღებული მერქანი და წინასწარი შეთანხმების შესაბამისად, ვერც მიიღებდნენ, ნ. კ-ს უკანონოდ გადაცემული მერქნის სახერხ საამქროში ჩაბარების პროცესის გასაადვილებლად, ხელი მოაწერა 29 მოქალაქის სახელზე შედგენილ, არასწორი მონაცემების შემცველ, ოფიციალურ დოკუმენტებს – ცნობებს, რომლებიც მოქალაქეების ნაცვლად გადაეცა ნ. კ-ს. სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხული არც ერთი მოწმე და მტკიცებულება არ მიუთითებს იმაზე, რომ განცხადებების დაწერა ხის მერქნის მიღებაზე შეთანხმებული იყო ზ. ჯ-ს. განცხადებების დაკმაყოფილებაზე და კონკრეტული მოქალაქეებისთვის მერქნის გაცემის შესახებ გადანყვეტილებებს იღებდა შესაბამისი კოლეგიური ორგანო – კომისია. ზ. ჯ-ს ბრძანებებს საფუძვლად ედო შესაბამისი კომისიის გადანყვეტილებები. გამგებელ ზ. ჯ-ს №... ბრძანებაში კომისიის შექმნის შესახებ ჩანს, რომ ის ერთ კომისიას ავალებს ხე-ტყის უსასყიდლოდ გადანაწილების თაობაზე შემოსული განცხადებების განხილვას, შესწავლასა და გადანყვეტილებების მიღებას, ხოლო მეორე კომისიას კი ავალებს პირველი კომისიის გადანყვეტილების შედეგად ხე-ტყის გაცემის ორგანიზებასა და ზუსტ აღრიცხვას. გამგებელი არც ერთი ამ

კომისიის საქმიანობასა და გადაწყვეტილებების მიღებაში უშუალოდ არ მონაწილეობდა, მას მხოლოდ პერიოდული კონტროლი ჰქონდა დავალებული. მსჯავრდებულმა ზ. ჯ-მ სასამართლოში დაკითხვის დროს განმარტა, რომ ის კომისიისგან განცალკევებულად მუშაობდა, კომისიის საქმიანობაში არ ერეოდა, კომისიის თავმჯდომარე და წევრები მისი მეგობრები იყვნენ, რომლებსაც ის ბოლომდე ენდობოდა, აქედან გამომდინარე ისინი არ გაუკონტროლებია. მსჯავრდებულმა ბ. ჭ-ც სასამართლოში დაკითხვის დროს ზემოაღნიშნული დაადასტურა და აჩვენა, რომ არ არსებობდა მიზეზი, რომ ზ. ჯ-ს ეჭვი შეეტანა კომისიის მუშაობის კანონიერებაში. სასამართლოში დაკითხული არც ერთი მონმე არ ადასტურებს, რომ განცხადებები დაანერინა ზ. ჯ-მ. ისინი უარყოფენ ყველა სახის კავშირს ზ. ჯ-ნ. ასევე, საქმეში წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება უტყუარად, რომ ზ. ჯ-ა წინასწარ შეუთანხმდა ბ. ჭ-ა და ლ. ბ-ს დანაშაულის ჩასადენად და სწორედ ამის გამო მოაწერა ხელი ცნობებს. მონმე ლ. კ-ა სასამართლოში დაკითხვის დროს აჩვენა, რომ ზ. ჯ-ს პირადად ჰქონდა დავალებული, ზედამხედველობა გაენია კომისიისთვის. არ იცის, ზ. ჯ-ა იყო თუ არა ინფორმირებული იმის შესახებ, რომ მოსახლეობის ნაწილი ვერ მიიღებდა აღნიშნულ მასალას. ბრალდების მხარის მონმე ლ. მ-ს ჩვენების თანახმად, არც ლ. ბ-ს მხრიდან ზ. ჯ-ს მიმართ და არც ზ. ჯ-ს მხრიდან მოადგილე ბ. ჭ-ს მიმართ არანაირი დირექტივების მიღების ფაქტი არ ყოფილა. ასევე, სახერხის დირექტორი ლ. ქ-ე, ისევე, როგორც ბ. ბ-ე, სრულიად უარყოფს ზ. ჯ-ნ რაიმე სახის კავშირს. ერთადერთი, რაც ნამდვილად დასტურდება რამდენიმე მათგანის (ლ. კ-ი, ს. ჯ-ა) სასამართლოში მიცემული ჩვენებებით, არის ის, რომ ზ. ჯ-ს დავალებული ჰქონდა კომისიის საქმიანობის კონტროლი, აღნიშნულს კი არც თავად ზ. ჯ-ა უარყოფს.

145. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არც სატელეფონო ჩანაწერებით დგინდება უტყუარად დანაშაულებრივი კავშირი ამ პირებსა და ზ. ჯ-ს შორის.

146. გასაჩივრებულ განაჩენში მითითებულია ზ. ჯ-ს სამი სატელეფონო საუბარი. გამგებელ ზ. ჯ-ა და თ. კ-ს შორის 2010 წლის 7 სექტემბრის სატელეფონო საუბრის მიხედვით, თ. კ-ე ურეკავს ზ. ჯ-ს და სთხოვს თავისი მეზობლების დახმარებას. ზ. ჯ-ა კი ეუბნება: „დაანებე, ბიჭო თავი, თვითონ სხვა სიტუაციაა, შეეშვი. არ ვიცი მერე შეეშვი, უთხარი ამ კოსისიის თავმჯდომარეს“. იქვე ეუბნება: „კომისიის თავმჯდომარესთან განცხადება გააკეთეთ და იმასქენით რა“. აქ ჩანს, რომ ზ. ჯ-მ თ. კ-

ს უარი კი არ უთხრა დახმარებაზე, არამედ უთხრა, მიემართა კომისიისათვის, რომელსაც უნდა მიეღო გადაწყვეტილება თ. კ-ს მეზობლების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. ასევე, ზ. ჯ-ა და ლ. ბ-ს სატელეფონო საუბრიდან ცალსახად არ ჩანს, რომ ზ. ჯ-ა რაიმე უკანონო დავალებას იღებს ლ. ბ-ნ. აქ საუბარია საბუთზე, რომელიც უნდა ყოფილიყო თემისა და სოფლის რწმუნებულის მიერ გაცემული და რომელიც დაადასტურებდა, რომ მოქალაქე ნამდვილად იყო გაჭირვებული. გამგებელი ფიქრობდა, რომ კომისია ამ დოკუმენტს აუცილებლად მოითხოვდა, რადგან, როგორც ზ. ჯ-მ და გამგეობის თანამშრომლებმა აღნიშნეს, სოციალური პაკეტის გაცემის დროს ყოველთვის იყო ანალოგიური მოთხოვნა – აღნიშნული პაკეტის გაცემა ხდებოდა სწორედ თემისა და სოფლის რწმუნებულის მიერ გაცემული შუამდგომლობის საფუძველზე. ზ. ჯ-ს განმარტებით, ის სწორედ ამიტომ ეუბნება, რომ შუამდგომლობებია საჭირო. რაც შეეხება ზ. ჯ-ა და სოფელ კ-ს რწმუნებულ ე. კ-ს შორის 2010 წლის 7 სექტემბრის სატელეფონო საუბრის კრებლს: აღნიშნულ სატელეფონო საუბარში ე. კ-ე ურეკავს ზ-ს და ეკითხება: „ზ-ა იმაზე, ამ საშეშე და სამასალე იმაზე, რომ მოგვცენ ისინი, შევსებულია ეგი თუ არის დარჩენილი რამე?“. ზ-ი ეკითხება, თუ რას გულისხმობს და შემდეგ ე-ა უკონკრეტებს. ამის შემდეგ ზ-ი ეუბნება, რომ ამონურულია, მაგრამ როდესაც ე-ა ეკითხება ფურცლების შესახებ, ჩანს, რომ ზ-მ არ იცის, თუ რა ფურცლებზე ესაუბრება ე-ა და როდესაც ე-ა უხსნის, ზ-ი ეუბნება: „არ ვიცი, ნახე შენ, კომისიას კითხე, შეიძლება კია“. აქ ნათლად ჩანს, რომ ზ-ი ე-ს კომისიასთან ამისამართებს. ამის შემდეგ ე-ა ეუბნება: „ი-ს ვუთხარი და არ ვიციო და რა ვიცი, აბა ვინ იცის“. „ზ-ი ეუბნება: „ხო, მერე კომისიის თავმდომარე ქეა, გითხრენ არაო და“. აღნიშნულის თაობაზე ზ. ჯ-მ განმარტა, რომ ამ სატელეფონო საუბრის დროს პირველი კომისიის მუშაობის პირველი ეტაპი 2 დღის ამონურული იყო და გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდათ (კომისია შეიკრიბა 2010 წლის 7 სექტემბერს, ხოლო აღნიშნული საუბარი შედგა 2010 წლის 9 სექტემბერს). ვინაიდან თავად არ მონაწილეობდა კომისიის სხდომებში, მას არ ჰქონდა დაზუსტებული ინფორმაცია და ჩათვალა, რომ პირველივე სხდომის შემდეგ აღნიშნული ხე-ტყის მარაგი ამონურული იყო.

147. ზემოაღნიშნული სატელეფონო საუბრებიდან, გასაჩივრებულ განაჩენში მითითებული ჩანაწერები, რომ „დაანებე ბიჭო თავი“, „ამ კაცის არის, ნკიპზე შევინარჩუნეთ“, „არ ვიცი, ნახე, შეიძლება კია დარჩენილი“, „ბ-მ თქვა – ყველაფერი გაკეთებული აქვს და კანცელარიაში აქვს მიტანილი“; რაზედაც ბ. ჭ-

ე განუმარტავს, რომ „აღნიშნული შეევა ზ-ნ, ზ-ო დაანერდა ი-ს, ი-ნ შემდეგ მან უნდა გააკეთოს, როდესაც მასთან მივა, ის უცებ შემოვივლის ყველას, აღნიშნულის შესახებ ის ზ-ნ ნალაპარაკები არის“, გარდა იმისა, რომ ბოლო ჩანაწერი არის ირიბი ინფორმაციის შემცველი მტკიცებულება, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არც დანარჩენი მითითებული ჩანაწერები არ არის საკმარისი უტყუარობის თვალსაზრისით ზ. ჯ-ს ბრალეულობის დასადასტურებლად.

148. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულმა ზ. ჯ-მ ბრძანებით პირად კონტროლზე აიყვანა რა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბ. ქ-ე, სწორედ მისი დაუდევრობით, მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებით ისარგებლა ბ. ქ-მ და ლ. ბ-ა და ნ. კ-ნ ერთად ჩაიდინა დანაშაულებრივი ქმედება, რითაც დაზარალდა ის 21 ადამიანი, რომელმაც ვერ მიიღო მათთვის განკუთვნილი ხე-ტყე და, შესაბამისად, შეილახა როგორც ამ ფიზიკური პირების, ისე სახელმწიფოს კანონიერი ინტერესები, ვერ განხორციელდა მნიშვნელოვანი ჰუმანური ღონისძიება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ ზ. ჯ-მ სათანადოდ არ შეასრულა რა მასზე დაკისრებული ვალდებულება სამუშაო ჯგუფზე კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით, მის ქმედებაში არის საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, კერძოდ, სამსახურებრივი გულგრილობა, ესე იგი მოხელის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც ფიზიკური პირის უფლების, სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია და რაშიც მას მსჯავრი უნდა დაედოს.

149. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სახელმწიფო ბრალმდებლის საკასაციო საჩივრის მოსაზრებას, რომ ზ. ჯ-ს ქმედებაში არის საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ელი ნაწილითა და 25,341-ე მუხლით (მოხელის ნაქეზება ყალბი დოკუმენტის შესადგენად ჩადენილი პირადი მოტივით) გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, საქმის მასალებით ვერ დგინდება უტყუარად ზ. ჯ-ს მიერ ბრალად შერაცხული დანაშაულის განზრახ ჩადენა, რაშიც მას სააპელაციო სასამართლოს განაჩენით დაედო მსჯავრი.

150. საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს სახელმწიფო ბრალმდებლის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას ბ. ქ-ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ხოლო ლ. ბ-ს ქმედების სსკ-ის 25,332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაკვა-

ლიფიცირების თაობაზე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განმარტებებით (იხ. გადაწყვეტილებები №1630აპ, 27.03.08; №1818აპ, 25.07.08), თუ პირის ქმედებაში სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობასთან ერთად არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სპეციალური ნორმით გათვალისწინებული შემადგენლობაც, რომლითაც დაწესებულია პასუხისმგებლობა იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელსაც ასევე მოიცავს ზოგადი ნორმის შემადგენლობა, მაშინ აღნიშნული ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სპეციალური ნორმით. მოცემულ შემთხვევაში საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი მკვალიფიცირებელ გარემოებად ითვალისწინებს აღნიშნული დანაშაულის ჩადენას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და იგი დამატებით ზოგადი ნორმით, სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კვალიფიკაციას აღარ საჭიროებდა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლომ სწორად მოუხსნა მსჯავრდებულებს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი.

151. საკასაციო პალატა ასევე ეთანხმება გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას ნ. კ-ს საქართველოს სსკ-ის 25,332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ჩასადენად წაქეზება და ის, რომ ნ. კ-მ დაიყოლია კ-ს რწმუნებული – ი. ჯ-ი და გ-ს თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული – დ. ბ-ე) და ლ. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 25,341-ე მუხლით (სამსახურებრივი სიყალბის ორგანიზება) გამართლების თაობაზე, ვინაიდან საქმეში არ არსებობს უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც დადასტურდებოდა ზემოაღნიშნული გარემოებები.

152. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და თვლის, რომ მართებულად არ იქნა გაზიარებული დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი, ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის 2014 წლის 31 მარტის №... და ქუთაისის რეგიონალური სავაჭრო – სამრეწველო პალატის ექსპერტიზის ბიუროს 2014 წლის 1 აპრილის №... დასკვნები (რომლებიც სადავოდ იყო გამხდარი ბრალდების მხარის მიერ) იმ მოტივით, რომ დაცვის მხარეს სასამართლო სხდომაზე ექსპერტიზის ჩამტარებელი ექსპერტები მოწმის სახით არ დაუკითხავს მათ მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირე-

ბით. საქართველოს სსსკ-ის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარის მოთხოვნის შემთხვევაში დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს, თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტიკურია. დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა/შექმნა იგი ან/და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე.

153. საკასაციო პალატამ გააანალიზა რა ზემოაღნიშნული მტკიცებულებები, მთლიანად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და არ იზიარებს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორის – დავით ლეპერტის საკასაციო საჩივრის მოტივაციას იმის თაობაზე, რომ სასამართლომ (ხე-ტყის გაფლანგვის ეპიზოდი) უკანონოდ გადააკვალიფიცირა მსჯავრდებულთა ქმედება ორგანიზებული ჯგუფიდან წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

154. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის მიზანია პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება. ორგანიზებული ჯგუფი არის მყარი, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფი, რომელიც შექმნილია წინასწარ ერთი და რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად და მისთვის დამახასიათებელია როგორც სიმყარე, ასევე წინასწარი შეთანხმებაც.

155. საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება გასაჩივრებული განაჩენის დებულებას და მიაჩნია, რომ საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ლ. ბ-მ შექმნა მყარი ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას, ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან თუნდაც მონაწილეობდა ორგანიზებული ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენაში, მით უფრო, რომ საკასაციო პალატამ დადასტურებულად არ მიიჩნია ლ. ბ-ს, ბ. ჭ-ა და ნ. კ-ს დანაშაულებრივი კავშირი ზ. ჯ-ნ.

156. საკასაციო პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის არგუმენტაციას და მთლიანად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე არსებული მერქანი წარმოადგენდა საშემეს და რომ შესაბამისად მისი ღირებულება უნდა შეფასებულიყო რო-

გორც საშეშე მერქანი. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაპყრობს ბრალდების მხარის მონმეების ჩვენებებს და საქმეში წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებებს, რომლებითაც დგინდება, რომ ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე აღებული მერქანი წარმოადგენდა სამასალეს, რაც დადასტურებულია ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი ბრძანებებით, ცნობებით, თვით მსჯავრდებულ ბ. ჭ-ს მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტებით; სასაქონლო-ექსპერტიზის დასკვნებით, რომლებითაც განისაზღვრა ნიფლის ჯიშის სამასალე 1 მ³ მერქნის საბაზრო ღირებულება 140 ლარით და სოჭის ჯიშის სამასალე 1 მ³ მერქნის საბაზრო ღირებულება 110 ლარით. პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხულმა ექსპერტებმა დაადასტურეს მათ მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნები, მათ დეტალურად განმარტეს, თუ რა მასალებით იხელმძღვანელეს და რა გარემოებებზე დაყრდნობით გასცეს ზემოაღნიშნული დასკვნები.

157. რაც შეეხება დაცვის მხარის მოსაზრებას, რომ სატელეფონო მოსმენების საფუძველზე მიღებული კრებსები არ უნდა იქნეს გაზიარებული, ვინაიდან დარღვეულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მოთხოვნა, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება და აღნიშნული დოკუმენტის სარწმუნოობას ვერ გახდის საექსპოდ, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსამართლეების ბრძანებების საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკურმა დეპარტამენტმა განახორციელა ფარული სატელეფონო საუბრები. შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ ტექნიკურად მიღებული მასალა, საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან შესახებობის თვალსაზრისით, დამუშავდა საქმის მწარმოებელი პირის – გამომძიებლის მიერ და დოკუმენტის სახით დაერთო ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, რაც კანონით დადგენილი წესით გადაეცა დაცვის მხარეს. ეს დოკუმენტი გამოკვლეულ იქნა საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, ხოლო ამ დოკუმენტის წარმომავლობის, ასევე საქმეში არსებული სახით წარმოდგენასთან დაკავშირებით სასამართლო პროცესზე დაიკითხა გამომძიებელი. ამასთან, საქმის მასალებით დადგენილია ტელეფონის ნომრების კუთვნილების საკითხი იმ მსჯავრდებულების მიმართ, ვისგანაც განხორციელდა სატელეფონო საუბრები და არც დაცვის მხარემ უარყო ის გარემოება, რომ განხორციელებული საუბრები ეკუთვნოდათ მსჯავრდებულებს.

158. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა

ასევე არ იზიარებს საკასაციო საჩივრების მოტივაციებს და მოთხოვნებს მსჯავრდებულების უდანაშაულობის თაობაზე, რომ ხე-ტყე ბ. ქ-მ განკარგა კანონიერად და მისი მხრიდან არ მომხდარა გაფლანგვა, რომ ნ. კ-ე მოტყუებით არ დაუფლებია ქონებას, ლ. ბ-ს რაიმე ქმედება ხე-ტყესთან დაკავშირებით არ განუხორციელებია, არავინ ნაუქეზებია და არანაირი დახმარება არ გაუწევია ნ. კ-ს. აღნიშნულს პალატა არ იზიარებს და თვლის, რომ იგი მოგონილია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან თავის არიდების მიზნით და დაცვის მხარის არგუმენტები არსებითად ეწინააღმდეგება სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ, ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა, დამაჯერებელ და უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

159. ამდენად, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაპყრობს რა საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის დისპოზიციას, რომლის თანახმად, დასჯად ქმედებად ითვლება სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვა, თუ ეს ნივთი იმყოფებოდა გამფლანგველის მართლზომიერ გამგებლობაში, ხოლო სსკ-ის 180-ე მუხლი დასჯად ქმედებად მიიჩნევს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლებას მოტყუებით, საბოლოოდ დადგენილად მიაჩნია, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული სამასალე და სამეშე მერქანი იმყოფებოდა როგორც ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის – ზ. ჯ-ს, ისე ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის – ბ. ქ-ს მართლზომიერ გამგებლობაში და ზ. ჯ-ს სამსახურებრივი გულგრილობით, ლ. ბ-ს ნაქეზებითა და ბ. ქ-ს მართლსაწინააღმდეგო ქმედებებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, წინასწარი შეთანხმებით განხორციელდა დიდი ოდენობით ქონების არამიზნობრივად განკარგვა, რაც გამოიხატა იმაში, რომ წინასწარი შეთანხმებისამებრ, მათ განახორციელეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული – ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული და უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქეებისათვის განკუთვნილი დიდი ოდენობით სამასალე მერქნის ფიქტიურად განერა იმ მოქალაქეების სახელზე, რომლებიც თავიანთი სოციალური სტატუსით მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდნენ მერქნის უსასყიდლოდ გაცემისათვის დადგენილ კრიტერიუმებს და ზემოაღნიშნული მერქანი, ნაცვლად მოქალაქეებისა, რეალურად გადაეცა ნ. კ-ს, ხოლო ეს უკანასკნელი ლ. ბ-ს დახმარებით, ყალბი ცნობებისა და მიღება-ჩაბარების აქტების გამოყენებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით, მოტყუებით დაეუფლა ზე-

მოაღნიშნულ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხულ და უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქეებისათვის განკუთვნილ დიდი ოდენობით სამასალე მერქანს, რითაც არსებითად შეილახა სახელმწიფოსა და ცალკეულ პირთა კანონიერი ინტერესი.

160. საკასაციო პალატა ასევე ეთანხმება გასაჩივრებული განაჩენს ლ. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (თანხების აკრეფის ეპიზოდი) გამართლების თაობაზე.

161. საქმეში არ მოიპოვება ერთმანეთთან შეთანხმებულ, ამკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურებდა, რომ ლ. ბ-მ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედება, კერძოდ – თაღლითობა, ე.ი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ. საკასაციო პალატა ეთანხმება 1-ლი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მოსაზრებებს, რომ მსჯავრდებულ ლ. ბ-ს მიერ ბრალად შეჩვენებული ქმედების კვალიფიკაცია მის მიმართ წარდგენილი ბრალდების ფორმულირებიდანაც არ გამომდინარეობს, ვინაიდან იმ შემთხვევაშიც, თუ დადასტურდებოდა ბრალდების მხარის მიერ მითითებული გარემოება, რომ „2006 წელს ლ. ბ-მ ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობაში შეხვედრა მოაწყო ამავე მუნიციპალიტეტში დასაქმებულ საჯარო მოხელეებთან და განუცხადა, რომ ყველა საჯარო მოხელეს ყოველთვიურად აღებული ხელფასიდან უნდა დაედო გარკვეული რაოდენობის თანხა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სანწევროს სახით, ხოლო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მოხელე დატოვებდა საჯარო სამსახურს“, – მითითებული გარემოება, რაზედაც ბრალდების მხარე ამყარებს თავის მოსაზრებას, ვერ გახდებოდა მის მიმართ წარდგენილი ბრალდების დადასტურების საფუძველი და აღნიშნული თავისთავად გამორიცხავს ლ. ბ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების კვალიფიკაციას.

162. თაღლითობის დროს ქონების გადაცემა დამნაშავეისათვის ხდება ნებაყოფლობით, თვით მესაკუთრის მიერ, ხოლო აღნიშნული ბრალდების ფორმულირების მიხედვით, ადგილი აქვს იძულებას, რაც ასევე არ დასტურდება ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით.

მხოლოდ დაზარალებულად ცნობილი ნ. ა-ს ჩვენება, რომ 2006 წლის დასაწყისში, დაახლოებით იანვრის თვეში, მათ ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის დარბაზში ჰქონდათ თათბირი, რომელსაც ესწრებოდა თანამშრომელთა უმრავლესობა, მათ შორის გამგებელი დ. ქ-ე, მოადგილეები ზ. ჯ-ა და ი. ბ-ე და სადაც ლ. ბ-მ მათ სიტყვიერად განუცხადა, რომ პარტიის მიზნებისათვის საჭირო იყო თანხის დადება და ხელფასიდან უნდა დაედოთ გარკვეული თანხა, ნება-სურვილის მიხედვით – 10-დან 15%-მდე, ეს იყო სიტყვიერი თხოვნა, თუ არა და ექნებოდათ პრობლემები, სხვა რამე ზედმეტი არავის არ უთქვამს“; არ არის საკმარისი ამ გარემოების დასადასტურებლად, რადგან ნ. ა-ს მიერ თათბირთან დაკავშირებით მითითებული გარემოება არ დასტურდება არც ერთი დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებით, რის გამოც ვერ იქნება გაზიარებული.

163. ასევე ვერ იქნება გაზიარებული დაზარალებულების მიერ მითითებული გარემოება იმასთან დაკავშირებით, რომ თანხების დადება ხდებოდა ლ. ბ-ს დავალებით, რაც მათ გადმოცემით იცინან; აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა რაიმე პირდაპირი მტკიცებულება და ის არ დასტურდება როგორც ბრალდების მხარის მოწმეების, ასევე დაცვის მხარის მოწმეების ჩვენებებით.

164. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების, ანუ თაღლითობის, როგორც სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ობიექტია საკუთრებითი ურთიერთობები, ხოლო საგანს წარმოადგენს სხვისი უძრავი ან მოძრავი ქონება, ასევე სხვის ქონებაზე უფლება, როგორც იურიდიული კატეგორია. ობიექტური მხრივ, თაღლითობის თავისებურება მისი ჩადენის ხერხში მდგომარეობს, ქონების დაუფლება ან ქონებაზე უფლების მიღების საშუალებაა მოტყუება, რაც თავისთავად არ გულისხმობს სხვისი ქონების დაუფლებას, მაგრამ მისი დახმარებით ხდება ძირითადი მოქმედების შესრულების უზრუნველყოფა. ამიტომაცაა, რომ მოტყუება, როგორც დანაშაულის ჩადენის ხერხი, შედის თაღლითობის დანაშაულის შემადგენლობაში და სწორედ ეს ზემოაღნიშნული ურთიერთდაკავშირებული აქტები შეადგენს თაღლითობის ობიექტური მხარის ნიშნებს. თაღლითობის დროს გარეგნულად ქონების გადაცემა დამნაშავისათვის ხდება ნებაყოფლობით, თვით მესაკუთრის მიერ, რომელიც შეცდომაშია შეყვანილი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თაღლითობა ჩადენილად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ პირის მხრიდან ადგილი აქვს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის მოტყუებით და-

უფლებას. ამ დროს აუცილებელია დადგინდეს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი და სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლება, ასევე აუცილებელია დადგინდეს ბრალდებულის მხრიდან მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა აღნიშნული ქმედების განხორციელებაში. თაღლითობის, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ობიექტური შემადგენლობის სავალდებულო ნიშანი – მოტყუება გულისხმობს ჭეშმარიტების განზრახ დამახინჯებას ან გარკვეულ გარემოებათა განზრახ დაფარვას ქონების მესაკუთრის შეცდომაში შეყვანის მიზნით, კონტრაგენტის დეზინფორმაციას, მის წინასწარი შეცნობით შეცდომაში შეყვანას, ხოლო მისი შეცდომაში შეყვანა შეიძლება განხორციელდეს წინასწარი შეცნობით ცრუ მონაცემების შეტყობინების საფუძველზე, ან იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დაფარვაში, რომლის შეტყობინება სავალდებულო იყო დაზარალებულისათვის.

165. მოცემულ შემთხვევაში ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც დადასტურდებოდა ზემოაღნიშნული გარემოება. თვით დაზარალებულებად ცნობილი პირების ჩვენებების თანახმად დგინდება, რომ ისინი ხელფასიდან დებდნენ გარკვეულ თანხას იმის გამო, რომ მათ სამსახურის უფროსებმა უთხრეს, რომ უნდა დაედოთ ხელფასიდან გარკვეული თანხები და ისინიც დებდნენ, რადგან სავალდებულოდ მიაჩნდათ ეს და რადგან ყველა თანამშრომელი დებდა აღნიშნულ თანხებს, მათ რაიმე წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვამთ ვინმესთან. მათთვის არც ლ. ბ-ს პირადად და არც სხვა პირებს არ უთქვამთ, კონკრეტულად თუ რისთვის ხდებოდა აღნიშნული თანხების დადება და რას უნდა მოხმარებოდა მათ მიერ დადებული თანხები. არც დაინტერესებულან აღნიშნული საკითხით, უბრალოდ, ზოგიერთმა გადმოცემით იცის, რომ ეს თანხები ხმარდებოდა გაჭირვებულ ადამიანებს, ხოლო ზოგიერთმა ასევე გადმოცემით იცის, რომ თანხები იკრიბებოდა პარტიის მიზნებისათვის. აღნიშნული გარემოება კი გამორიცხავს მათთვის ჭეშმარიტების განზრახ დამახინჯებას ან გარკვეულ გარემოებათა განზრახ დაფარვას ქონების მესაკუთრის შეცდომაში შეყვანის მიზნით, მათ დეზინფორმაციას, წინასწარი შეცნობით შეცდომაში შეყვანას ცრუ მონაცემების შეტყობინების საფუძველზე, ან იურიდიული მნიშვნელობის ისეთი ფაქტების დაფარვას, რომელთა შეტყობინება სავალდებულო იყო დაზარალებულისათვის.

166. თაღლითობის, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მი-

მართული დანაშაულის, ობიექტური შემადგენლობის სავალდებულო ნიშანს წარმოადგენს სხვისი ქონების დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთების მიზნით. მართლსაწინააღმდეგობა გულისხმობს, რომ პირი არ არის მესაკუთრე ან მისი კანონიერი მფლობელი და მის მიერ ქონების დაუფლება ხდება უკანონოდ, ამიტომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ვერ დაკვალიფიცირდება ისეთი ქმედება, როდესაც პირს ამოღებულ ქონებაზე კანონიერი საფუძველი გააჩნია, მაგრამ მან დაარღვია ამ ქონების მიღების წესი. ნივთის დაუფლება ტიპურია ისეთი დანაშაულისათვის, როგორცაა თაღლითობა, როდესაც მისი დამთავრება დაკავშირებულია ხელყოფის საგნის ფაქტობრივ დაუფლებასთან და დანაშაულბრივი შედეგი გულისხმობს მესაკუთრისათვის რეალური მატერიალური ზიანის მიყენებას. სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით დამთავრებულია მისი დაუფლების მომენტიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ დამნაშავეს ეძლევა შესაძლებლობა ფლობდეს და განკარგოს სხვისი ქონება, როგორც საკუთარი. თაღლითობის სუბიექტური შემადგენლობა კი პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება, რა დროსაც დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი თაღლითობით მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება სხვის ქონებას, რითაც ზიანს აყენებს მის მესაკუთრეს და სურს ამ შედეგის დადგომა. ამასთან, ქმედების განხორციელებისას დამნაშავეს უნდა ამოძრავებდეს ანგარების მოტივი და მიზანი.

167. ზემოაღნიშნული გარემოებებიც არ დასტურდება ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ: როგორც ბრალდების მხარის მოწმეების, ასევე დაცვის მხარის მოწმეების ჩვენებებით დასტურდება ის გარემოება, რომ თანხების დადება ხდებოდა 2004-2006 წლებში გარკვეული პირების მიერ, ხოლო 2006-2007 წლებში, როდესაც ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მოვიდა ხელისუფლებაში, დადგა საკითხი, რომ შტატების შემცირების გამო, ყველა ვერ დასაქმდებოდა, რის გამოც პარტიის აქტივისტები შეიკრიბნენ და ერთობლივად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ იმ პირებს, ვინც დასაქმდებოდნენ, გარკვეული თანხები დაედოთ იმ მიზნით, რომ დახმარებოდნენ უმუშევრად დარჩენილ ადამიანებს, რომლებსაც სჭირდებოდა დახმარება, კერძოდ, ერთობლივად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ხ-ს მუნიციპალიტეტში დასაქმებულ საჯარო მოხელეებს, ვისაც მაღალი ხელფასები ჰქონდა და არა ყველას, ხელფასიდან დაედოთ გარკვეული ოდენობის თანხები, თუნდაც ხელფასის

10-15 პროცენტი ნება-სურვილის მიხედვით და აღნიშნული თანხებით დაეხმარებოდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც შემცირებების გამო, დაუსაქმებელი დარჩნენ და მათი ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე, სჭირდებოდათ დახმარება. თანხების დადება ხდებოდა არა მხოლოდ დაზარალებულად ცნობილი პირების მხრიდან, არამედ გარკვეულ საჯარო მოხელეთა მხრიდანაც, ვისაც 200 ლარზე მეტი ხელფასი ჰქონდა, თუმცა შესაძლებელია მათაც გარკვეული თვეები არ დაედოთ ხელფასიდან თანხები, მათი ოჯახური პრობლემებიდან გამომდინარე, მაგრამ აღნიშნულის გამო არავინ გათავისუფლებულა სამსახურიდან, რაც დასტურდება როგორც დაზარალებულების, ასევე მოწმეების ჩვენებებითაც. ისინი თანხებს დებდნენ ყოველთვიურად. ხელფასის აღების შემდეგ მოლარეებთან და სამსახურის უფროსებთან, მათ შორის – მოლარე ე. რ-ნ. ასევე, როგორც ბრალდების მხარის მოწმეების, ისე დაცვის მხარის მოწმეების ჩვენებებით დგინდება ის ფაქტიც, რომ თვეში იკრიბებოდა დაახლოებით 3000 ლარამდე, რაც იმავე თვეში გაიცემოდა დაუსაქმებელ და გაჭირვებულ ადამიანებზე, ასევე ხმარდებოდა გაჭირვებული ოჯახების მკურნალობის და დასაფლავების ხარჯებს, რასაც ადასტურებენ ბრალდების და დაცვის მხარის მოწმეები; აღნიშნული ასევე დადასტურებულია დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი ე.ნ. „უნყისებით“, სადაც დაფიქსირებულია იმ პირთა ვინაობა, რომლებზედაც ფიქსირდება თანხების გაცემა, ხოლო თუ რა მიზეზით ხდებოდა აღნიშნულ პირებზე აკრეფილი თანხებიდან დახმარება, აღნიშნულზე განმარტეს დაცვის მხარის მოწმეებმა, რომლებმაც თავიანთ ჩვენებებში მიუთითეს კონკრეტული ფაქტები, ვისაც ეხმარებოდნენ და რის გამოც აღნიშნული ჩვენებების გაუზიარებლობის, ან მის სანდოობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან აღნიშნულის სანინაალმდეგო და დამაჯერებელი არგუმენტაცია სხდომაზე ჩვენების ან მტკიცებულების სახით ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია. ის ფაქტი, რომ საჯარო მოხელეების მიერ აკრეფილი თანხები ხმარდებოდა უმუშევარ და გაჭირვებულ ადამიანებს, თავად ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილ არც დაზარალებულად ცნობილ პირებს არ უარუყვიათ, რომელთა ჩვენებების თანახმად, მათთვის გადმოცემით არის ცნობილი, რომ მათ მიერ დადებული თანხები ხმარდებოდა გაჭირვებულებს, რაც ასევე დადასტურებულია თვით ბრალდების მხარის მოწმეების ჩვენებებითაც.

168. ზემოაღნიშნული გარემოებებიც, რაც დადგენილია როგორც ბრალდების მხარის მოწმეების, ასევე დაცვის მხარის მონ-

მეების ჩვენებებით, სრულიად გამორიცხავს მოცემულ შემთხვევაში თაღლითობის, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანს „სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით“ და ასევე თაღლითობის სუბიექტურ მხარეს – განზრახვას, რომ პირს გათვითცნობიერებული აქვს, რომ იგი თაღლითობით მართლსაწინააღმდეგოდ ეუფლება სხვის ქონებას, რითაც ზიანს აყენებს მის მესაკუთრეს და სურს ამ შედეგის დადგომა, ასევე გამორიცხავს ანგარების მოტივის და მიზნის არსებობას.

169. საქმეში არ მოაპოვება ერთმანეთთან შეთანხმებულ, ამკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც დადასტურდებოდა ლ. ბ-ს მხრიდან მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების განხორციელება, კერძოდ თაღლითობა „სამსახურებრივი მდგომარეობის“ გამოყენებით, „ორგანიზებული ჯგუფის მიერ“.

170. თაღლითობის მკვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს თაღლითობა, ჩადენილი „სამსახურებრივი მდგომარეობის“ გამოყენებით; აქ დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს სახელმწიფო მოხელე ან კომერციული სტრუქტურის წარმომადგენელი, რომელიც სხვის ნივთს მოტყუებით დაეუფლა. გაურკვეველია, თუ რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით ამყარებს ბრალდების მხარე თავის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ლ. ბ-მ თაღლითობა ჩაიდინა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მაშინ, როდესაც არანაირი მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი იმის შესახებ, რომ ლ. ბ-ე დასაქმებული იყო სახელმწიფო ან კერძო სტრუქტურაში და მან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩაიდინა ზემოაღნიშნული ქმედება. დაზარალებულების ჩვენებების თანახმად, მათ მხოლოდ გადმოცემით იციან და მიაჩნიათ, რომ ლ. ბ-ე არის 2006 წლიდან ხ-ს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რაიონული ორგანიზაციის“ თავმჯდომარე, რაც ვერ გახდება სასამართლოს მხრიდან მათი ჩვენებების გაზიარების საფუძველი, ვინაიდან, როგორც ბრალდების მხარის მოწმეების, ასევე დაცვის მხარის მოწმეების ჩვენებების თანახმად დგინდება, რომ ლ. ბ-ე 2005 წლიდან 2006 წლამდე იყო არჩეული ხ-ს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის რაიონული ორგანიზაციის“ თავმჯდომარე; ასევე დადგენილია, რომ ის 2010 წლის მაისის თვიდან იქნა არჩეული ხ-ს საკრებულოს წევრად; ხოლო სხვა გარემოება როგორც ბრალდების მხარის, ისე დაცვის მხარის მტკიცებულებებით არ დგინდება.

171. ასევე თაღლითობის მაკვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს თაღლითობა, ჩადენილი „ორგანიზებული ჯგუფის მიერ“, რაც ბრალად აქვს შერაცხული ლ. ბ-ს. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლიდან გამომდინარე, „ორგანიზებული ჯგუფი“, რაც ბრალად აქვთ შერაცხული ბრალდებულებს, არის მყარი, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფი, რომელიც შექმნილია წინასწარ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად და მისთვის დამახასიათებელია როგორც სიმყარე, ასევე წინასწარი შეთანხმებაც. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმას, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას და ის ასევე პასუხს აგებს აგრეთვე ამ ჯგუფის წევრის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, თუ ეს დანაშაული მოცული იყო მისი განზრახვით, ხოლო ჯგუფის წევრი პასუხს აგებს მხოლოდ იმ დანაშაულისათვის, რომლის ჩადენაშიც ის მონაწილეობდა და ჯგუფის ყველა წევრის ქმედება დაკვალიფიცირდება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის ნიშნით, თუკი მან იცოდა, რომ ის ასეთი დანაშაულის ჯგუფის წევრი იყო; ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე დანაშაულის ჩამდენი არ ყოფილა ორგანიზებული ჯგუფის წევრი, მაშინ მისი ქმედება ამ ნიშნით არ დაკვალიფიცირდება.

172. ბრალდების მხარეს ასევე არ წარმოუდგენია და არ დასტურდება რაიმე მტკიცებულებით, რომ ლ. ბ-მ წინასწარი შეთანხმებით შექმნა მყარი ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას, ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან თუნდაც მონაწილეობდა ორგანიზებული ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენაში. აღნიშნული არ დასტურდება ასევე სასამართლოს მიერ როგორც ბრალდების მხარის მოწმეების, ასევე დაცვის მხარის მოწმეების ჩვენებების თანახმად დადგენილი გარემოებების გათვალისწინებითაც.

173. სასამართლოში წარმოდგენილ მტკიცებულებათა გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული გარემოებები საერთოდ გამოირიცხავს მსჯავრდებულ ლ. ბ-ს მხრიდან მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენას და ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება მის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების ნაწილში მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენა, რის

გამოც სასამართლო იზიარებს ბრალდებულ ლ. ბ-ს განმარტებას მისი უდანაშაულობის შესახებ თაღლითობის ნაწილში, ე.ი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლების ნაწილში, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ვინაიდან ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი არ არის ზემოაღნიშნული მუხლით წარდგენილი ბრალდებით პირის დამნაშავედ ცნობისათვის. სასამართლოს ეს მტკიცებულებები არ მიაჩნია უტყუარად და საკმარისად იმისათვის, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურდეს ლ. ბ-ს ბრალეულობა თაღლითობაში და რაც ლ. ბ-ს ჩვენების გაუზიარებლობის, ან მის სანდოობაში ეჭვის შეტანის საფუძველი გახდებოდა. აღნიშნულის საწინააღმდეგო და დამაჯერებელი არგუმენტაციაც სხდომაზე ჩვენების, ან მტკიცებულების სახით არ წარმოდგენილა.

174. ზემოაღნიშნული საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია თვით ბრალდების მხარის მოწმეების, მათ შორის – დაზარალებულების ჩვენებებისა და საქმეში არსებული, მხარეების მონაწილეობით სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული წერილობითი მტკიცებულებების ერთობლიობაში განხილვისა და ანალიზის საფუძველზე, რაც ასევე დადასტურებულია და სრულად შეესაბამება თვით ლ. ბ-ს ჩვენებასა და ასევე, დაცვის მხარის მოწმეების ჩვენებებს.

175. რაც შეეხება ბრალდების მხარის მოწმის – მ. ლ-ს ჩვენებას, რომლის თანახმადაც, მან განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის იყო მრავალშვილიანი და უკიდურესად გაჭირვებული, მას არავინ დახმარებია; საკასაციო პალატა ეთანხმება გასაჩივრებული განაჩენის მოტივაციას და თვლის, რომ აღნიშნული ვერ გახდება სასამართლოს მხრიდან იმ გარემოების დასადგენად საკმარისი მტკიცებულება, რომ საჯარო მოხელეების მიერ დადებული თანხებით არ ხდებოდა გაჭირვებული ადამიანების დახმარება, მით უფრო, მისივე ჩვენების თანახმად, ის დაიბარეს გამგეობაში და მას ლ. ბ-მ შესთავაზა დახმარება 200 ლარის ოდენობით, თუმცა მან პირადი მოტივით უარი განაცხადა აღნიშნულ თანხაზე. ასევე სასამართლო ვერ გაიზიარებს ბრალდების მხარის მოწმის – ლ. კ-ს ჩვენებას, რომ „მან მისი მეგობრების გადმოცემით იცის, რომ ლ. ბ-მ დაიბარა სამსახურის უფროსები და უთხრა, რომ უნდა შეკრებილიყო თანხები ყველა სამსახურიდან, ვისაც უნდოდა სამსახურში ყოფნა და დარჩენა. თუ არ გადაიხდიდნენ, ისინი დათხოვნილი იქნებოდნენ სამსახურებიდან, რის გამოც იძულებული იყვნენ თანამშრომლები, რომ

ეხადათ „ხარკი“ და რომ „თანხების დადება ხდებოდა ყოველ-
თვიურად, დაახლოებით 3000 ლარის ოდენობით, გამგეობაში –
მოლარესთან და საკრებულოში – ლ. მ-ს, რომლებიც შემდეგ გა-
დაეცემოდა ლ. ბ-ს და ის ხელფასის სახით უზდიდა სხვებს, რომ-
ლებზეც სიაც იყო შედგენილი, მაგრამ მას არ ახსოვს, რომ ეს
იყო გაჭირვებულებისათვის“, ვინაიდან აღნიშნული გარემოე-
ბები არ დადასტურებულა სასამართლო სხდომაზე გამოკვლე-
ული არც ერთი დაზარალებულის და მოწმის ჩვენებით, არც მის
მიერ მითითებული პირების ჩვენებებით, ასევე აღნიშნული ენი-
ნაალმდეგება თვით მოწმის მიერ მიცემულ განმარტებას, რომ,
მან არ იცის კონკრეტული შემთხვევა, რომ თანხის დაუდებლო-
ბის გამო ვინმე გაეთავისუფლებინათ სამსახურიდან“ და რომ
„მისი მხრიდან რაიმე თანხის დადება არ ხდებოდა, ლ. ბ-ე მას არ
შეხებია პირადად“.

176. სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდებულ ლ. ბ-ს მიერ მ.
ი-ს სატელეფონო კავშირი თანხების აკრეფასთან დაკავშირე-
ბით, რაც განხორციელდა 2010 წლის ნოემბრისა და დეკემბრის
თვეებში და რაზედაც აპელირებს ბრალდების მხარე, ასევე არ
წარმოადგენს ლ. ბ-ს მხრიდან თაღლითობის ჩადენის დამადას-
ტურებელ უტყუარ მტკიცებულებას და ვერ გახდება ბრალდე-
ბულის მიმართ წარდგენილი ბრალდების დადასტურების სა-
ფუძველი.

177. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასა-
ციო პალატა ვერ გაიზიარებს სახელმწიფო ბრალმდებლის პო-
ზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ „2006 წელს ლ. ბ-მ ხ-ს მუ-
ნიციპალიტეტის გამგეობაში შეხვედრა მოაწყო ამავე მუნიცი-
პალიტეტში დასაქმებულ საჯარო მოხელეებთან და განუცხა-
და, რომ ყველა საჯარო მოხელეს ყოველთვიურად აღებული
ხელფასიდან უნდა დაედო გარკვეული რაოდენობის თანხა პარ-
ტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სანევროს სახით, ხო-
ლო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მოხელე დატოვებ-
და საჯარო სამსახურს. აღნიშნული დავალების შესაბამისად,
2006 წლიდან 2012 წლის შემოდგომამდე, ხ-ს მუნიციპალიტეტ-
ში მომუშავე ყველა საჯარო მოხელე ხელფასიდან დებდა სა-
ხელფასო განაკვეთის დაახლოებით 10%-ს მოლარე ე. რ-ს, თა-
ვის მხრივ, ე. რ-ე აკრეფილ თანხას ლ. ბ-ს მისაცემად ხელზე
გადასცემდა ამავე მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის
სპეციალისტს – მ. ი-ს, რომელთანაც ასევე თავს იყრიდა ხ-ს
მუნიციპალიტეტის გამგეობის გარდა, სხვა საჯარო სამსახურ-
ის თანამშრომელთაგან აკრეფილი თანხები და რომ ლ. ბ-ე მოქ-
მედებდა მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა სახელფასო თან-

ხების თაღლითურად დასაუფლებლად და ის თაღლითურად, ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით, დაეუფლა ხ-ს მუნიციპალიტეტის 10 საჯარო მოხელის, კერძოდ: რ. დ-ს, ნ. ა-ს, მ. ქ-ს, მ. ჯ-ს, მ. ბ-ს, ს. ქ-ს, მ. გ-ს, ჯ. კ-ს, კ. უ-ა და ს. ნ-ს კუთვნილ დიდი ოდენობით – 23 524 ლარს და ზემოაღნიშნული ქმედებით ლ. ბ-მ ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის მოტყუებით დაუფლება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ“.

178. საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული არსებითად ეწინააღმდეგება სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ როგორც ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ასევე დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

179. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და ასევე, საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა შეფასებისა და ურთიერთმიჯვერების შედეგად, საკასაციო პალატას გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულად მიაჩნია, რომ მსჯავრდებულმა ლ. ბ-მ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 25,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, 25,182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით; მსჯავრდებულმა ბ. ქ-მ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებითა და 341-ე მუხლით; მსჯავრდებულმა ნ. კ-მ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, 25,341-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები, ხოლო მსჯავრდებულმა ზ. ჯ-მ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

180. რაც შეეხება სასჯელებს, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს რა მსჯავრდებულების – ლ. ბ-ს, ნ. კ-ა და ბ. ქ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მათი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, მიაჩნია, რომ მათ მიმართ დანიშნული სასჯელები სამართლიანია და უნდა დარჩეს უცვლელად; ხოლო მსჯავრდებულ ზ. ჯ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით მას სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორის – დავით ლეპერტის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. მსჯავრდებულ ბ. ჭ-ა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. დ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

3. მსჯავრდებულების – ლ. ბ-ს, ნ. კ-ს, ბ. ჭ-ა და მათი ინტერესების დამცველის, ადვოკატ რ. ხ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

4. მსჯავრდებულ ნ. კ-ა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. კ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

5. მსჯავრდებულ ზ. ჯ-ა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების – ტ. კ-ა და რ. ხ-ს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 27 აპრილის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

7. ზ. ჯ-ა ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 25,341-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში.

8. ზ. ჯ-ს საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება ამოერიცხოს, როგორც ზედმეტად წარდგენილი.

9. ზ. ჯ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე.

10. ზ. ჯ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით. იგი პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან მთლიანად.

11. ბ. ჭ-ს საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება ამოერიცხოს, როგორც ზედმეტად წარდგენილი.

12. ბ. ჭ-ს მიმართ 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნ-

ქვით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

13. ბ. ჭ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე 2 წლის ვადით ჩამოერთვას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშნვითი თანამდებობის დაკავების უფლება, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-12, მე-18 და 21-ე მუხლების საფუძველზე გაუნახევრდეს დანიშნული სასჯელები და მიესაჯოს 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და 1 წლის ვადით ჩამოერთვას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშნვითი თანამდებობის დაკავების უფლება, 341-ე მუხლით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 და 21-ე მუხლების საფუძველზე ერთი მეოთხედით შეუმცირდეს და მიესაჯოს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვროს 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და 1 წლის ვადით ჩამოერთვას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშნვითი თანამდებობის დაკავების უფლება. ბ. ჭ-ს სასჯელის მოხდა დაეწყოს 2014 წლის 10 თებერვლიდან.

14. ნ. კ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 25,332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

15. ნ. კ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

16. ნ. კ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 და 21-ე მუხლების საფუძველზე ერთი მეოთხედით შეუმცირდეს და მიესაჯოს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 25,341-ე მუხლით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-16 და 21-ე მუხლების საფუძველზე ერთი მეოთხედით შეუმცირდეს და მიესაჯოს 1 წლითა და 6 თვით

თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვროს 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. ნ. კ-ს სასჯელის მოხდა დაენციოს 2014 წლის 8 ნოემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2014 წლის 30 მარტიდან იმავე წლის 10 აპრილამდე.

17. ცნობად იქნეს მიღებული, რომ აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია. განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 24 აპრილის განჩინებით ნ. კ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების – გირაოს – 10000 ლარის უზრუნველსაყოფად, რ. ა-ს (პ/ნ), ნ. შ-ს (პ/ნ) და უ. შ-ს (პ/ნ) თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების – მდებარე ვ-ს რაიონის სოფელ დ-ი (საკადასტრო კოდით) – 10000 ლარის ღირებულების წილზე დადებული ყადაღა მოიხსნას.

18. ნ. კ-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად გაუქმდეს ბრალდებულის მიმართ გამოყენებული პასპორტისა და პირადობის მოწმობის საგამოძიებო ორგანოში ჩაბარების ვალდებულება.

19. ლ. ბ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

20. ლ. ბ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 25,341-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში.

21. ლ. ბ-ს საქართველოს სსკ-ის 25,332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება ამოერიცხოს, როგორც ზედმეტად წარდგენილი.

22. ლ. ბ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 25,182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და 25,180-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდებები გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 25,182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და 25,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

23. ლ. ბ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 25,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, 25,182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯოს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე 2 წლის ვადით ჩამოერთვას ად-

გილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება. „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-12, მე-18 და 21-ე მუხლების საფუძველზე მასვე გაუნახვერდეს სსკ-ის 25,182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელები და საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვროს 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და 1 წლის ვადით ჩამოერთვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება. ლ. ბ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2014 წლის 8 ნოემბრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2014 წლის 28 მარტიდან იმავე წლის 2 აპრილამდე.

24. ცნობად იქნეს მიღებული, რომ აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია. განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 1 აპრილის განჩინებით ლ. ბ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების – გირაოს – 50000 ლარის უზრუნველსაყოფად, ა. ბ-ს (პ/ნ....) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების – მდებარე თ-ი, დ-ს მ-ი, მე-.... კვარტალი, კორპუსი №..., ბინა №... (საკადასტრო კოდით) – 50000 ლარის ღირებულების ნიღზე დადებული ყადაღა მოიხსნას.

25. ლ. ბ-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად გაუქმდეს ბრალდებულის მიმართ გამოყენებული პასპორტისა და პირადობის მოწმობის საგამოძიებო ორგანოში ჩაბარების ვალდებულება.

26. განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის შემდეგ, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 3 აპრილის განჩინებით ლ. ბ-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – კერძოდ: ხ-ს რაიონის სოფელ გ-ი მდებარე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მქონე 600 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი); ხ-ს რაიონის სოფელ გ-ი მდებარე სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მქონე 1000 კვ/მ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი) და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2014 წლის 10 აპრილის განჩინებით ლ. ბ-ს საკუთრებაში არსებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე: „ვაზ 2121“, სახ. №..., „ნისან ტერანო“ სახ. №..., „უაზ 31514“ სახ. №..., „ოპელ ასტრა“ სახ. №... – დადებული ყადაღა მოიხსნას. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სისხლის სამართლის საქმეზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მოპოვებული მასალები (14 ცალი CD დისკი) დალუქულ

მდგომარეობაში, ერთად მოთავსებული 1 ცალ დალუქულ კონვერტიში; 2013 წლის 11 დეკემბერს ხ-ს მუნიციპალიტეტის გამგეობიდან ამოღებული მასალების დედნები – მოთავსებული ერთ დალუქულ მუყაოს ყუთში; მოწმე ა. გ-ს მიერ წარმოდგენილი ხე-ტყის რეგისტრაციის ჟურნალი (დედანი) – მოთავსებული 1 დალუქულ პაკეტში; ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ამსახველი – გრიფით „საიდუმლო“ მასალები და მასალების გაცნობის ოქმები, მოთავსებული 1 დალუქულ პაკეტში; ხ-ს მუნიციპალიტეტში არსებულ ააიპ-ებიდან თანხების აკრეფის ეპიზოდთან დაკავშირებით გადმოგზავნილი სახელფასო ცხრილები, ჩანერილი CD დისკებზე – სულ 3 CD დისკი, რომლებიც მოთავსებულია დალუქულ კონვერტებში და ჩაკრულია საქმეში, შესაბამის მომართვის წერილებთან ერთად დაერთოს აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეს და შენახული იქნეს საქმის შენახვის ვადით.

27. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მსჯავრდებულების – ლ. ბ-ს, ზ. ჯ-ს, ბ. ჭ-ა და ნ. კ-ს მიმართ გამოცემულია საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების აქტები შეწყალების თაობაზე.

28. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქონებრივი დაზიანება მოტყუებით

განაჩენი საქართველოს სახელით

№328აპ-15

26 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

პ. სილაგაძე,

ზ. მეიშვილი

განიხილა მსჯავრდებულ თ. ხ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. ბ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 26 დეკემ-

ბრის განაჩენით თ. ხ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 4500 ლარის ოდენობით, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-4 მუხლის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მესამედით და საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარის ოდენობით.

2. მსჯავრდებულ თ. ხ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2013 წლის იანვარში ს-ს რაიონის სოფელ ვ-ი მცხოვრებმა თ. ხ-ა გადაწყვიტა ამავე სოფელში მდებარე თავისი საცხოვრებელი სახლის გაყიდვა, რის შესახებაც მოელაპარაკა ბ. ს-ს. შეთანხმდნენ, რომ ბ. ს-ი თ. ხ-ს საცხოვრებელ სახლს შეიძენდა 4 000 აშშ დოლარად, საიდანაც ბეს სახით მან თ. ხ-ს გადაუხადა 100 აშშ დოლარი. ვინაიდან თ. ხ-ს კუთვნილი ზემოხსენებული საცხოვრებელი სახლი ამ უკანასკნელის სახელზე არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში და მოსაწესრიგებელი იყო შესაბამისი საბუთები, ურომლისოდაც მხარეებს შორის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ვერ გაფორმდებოდა, 2013 წლის 9 იანვარს თ. ხ-ა ბ. ს-ე გაცა ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა ერთი თვის ვადით, რომლის მიხედვით, თ. ხ-ი ბ. ს-ს უფლებამოსილებას ანიჭებდა, თ. ხ-ს კუთვნილი საცხოვრებელი სახლი, მდებარე ს-ს რაიონის სოფელ ვ-ი, დაერეგისტრირებინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურში, მიეღო ამონაწერი ხელზე საჯარო რეესტრიდან, შემდეგ გაეყიდა სახლი და ა.შ. იმავე დღეს, 2013 წლის 9 იანვარს, მინდობილობის გაფორმების შემდეგ, ბ. ს-ა თ. ხ-ს გადაუხადა საცხოვრებელი სახლის ღირებულების დანარჩენი თანხა – 3900 აშშ დოლარი. 2013 წლის 17 იანვარს ბ. ს-ა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურში თ. ხ-ე საკუთრების უფლებით დაარეგისტრირა სახლი, თუმცა პირადი და ოჯახური პრობლემების გამო, ველარ მოახერხა თ. ხ-ს შეძენილი ზემოხსენებული საცხოვრებელი სახლის გადმოფორმება. თ. ხ-ა ისარგებლა აღნიშნული გარემოებით და განიზრახა თაღლითურად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა ბ. ს-ს მიღებულ 4000 აშშ დოლარს. ამ მიზნით მოაწყუა ბ. ს-ი, არ გააფორმა მასთან ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება საცხოვრებელ სახლზე და აღარ დაუბრუნა ზემოხსენებული თანხა, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა დაზარალებულს და 2013 წლის აპრილში ზემოხსენებული საცხოვრებელი სახლი, ბ. ს-ს მალე-

ლად, 2 000 ლარად მიჰყიდა თავის ნათესავს – ნ. ნ-ს.

3. აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 აპრილის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ: თ. ხ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარის ოდენობით.

4. მსჯავრდებულ თ. ხ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი თ. ბ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 აპრილის განაჩენის გაუქმებასა და თ. ხ-ს გამართლებას.

14. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ თ. ხ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. ბ-ა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები. მან მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

15. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ი. მ-ა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 აპრილის განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოუსმინა მხარეებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, კერძოდ:

3. მონმის სახით დაკითხული, დაზარალებულ ბ. ს-ს ჩვენებით დადგენილია შემდეგი: როდესაც მან გაიგო, რომ სოფელ ვ-ი იყიდებოდა თ. ხ-ს სახლი, გადაწყვიტა შეეძინა შვილიშვილი-სათვის. თვითონ თ. ხ-ი მოხუცი ქალია, ამიტომ სახლის შეძენაზე მოლაპარაკება ჰქონდა ძირითადად მის ქალიშვილთან – ე. ხ-ს, რომელსაც სახლის ღირებულებაზე – 4000 აშშ დოლარზე მოურიგდა ამ უკანასკნელის ბიძის თანდასწრებით. ბეს სახით მისცა 100 აშშ დოლარი. აღნიშნულ საცხოვრებელ სახლს არ ჰქონდა არანაირი საბუთი, ყველა დოკუმენტი გააკეთა თვითონ დაჩქარებული წესით, შესაბამისი თანხების გადახდით. თ-ი არქივი-

დან გამოითხოვა საბუთები, საჯარო რეესტრიდან წამოიყვანა მინათმზომელი და ა.შ. აღნიშნული მოქმედებების შესასრულებლად თ. ხ-ა მისცა მინდობილობა, რომელიც წ-ი, ნოტარიუსთან დაამოწმეს. მინდობილობა არ წაუკითხავს, ე. ეუბნებოდა, რომ ყველაფერი იყო რიგზე და როცა მოესურვებოდა, მაშინ გადაიფორმებდა სახლს. ამის შემდეგ თ. და ე. ხ-ს მიუთვალა დანარჩენი – 3900 აშშ დოლარი. დაახლოებით ერთ კვირაში დაცალეს ხ-ა სახლი, თვითონაც ეხმარებოდა მის დაცლაში. სახლის რემონტზე დახარჯეს 7000 აშშ დოლარი. ის ფაქტი, მინდობილობა ვადიანი რომ იყო, მაშინ გახდა მისთვის ცნობილი, როდესაც სახლი უკვე სხვაზე, ნ. ნ-ე იყო გადაფორმებული და პოლიცია აპირებდა სახლიდან მათ გამოსახლებას. უთხრეს, რომ სახლი უნდა დაეტოვებინა, რადგან იყო ნ. ნ-ს კუთვნილება. ნ. ნ-ს, რომელიც თ. ხ-ს ნათესავია, თურმე 2000 ლარად ჰქონდა ნაყიდი თ. ხ-ნ ეს სახლი. ნ. ნ-ე სახლის გაყიდვამდე მასთან არ მისულან არც თ. ხ-ი, არც ე. ხ-ი და არც სხვა ვინმე და არ უთქვამთ, რომ ბინის გაყიდვა მასზე გადაიფიქრეს, არც 4000 აშშ დოლარის უკან დაბრუნება შეუთავაზებიათ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნ. ნ-ა იყიდა თ. ხ-ნ სახლი, ეს უკანასკნელი იყო მოსული და შესთავაზა, უკან აეღო 4000 აშშ დოლარი, თორემ ამ თანხასაც დაკარგავო, დაინახე, რას გიზამო, დაემუქრა იგი. მისი განმარტებით, სახლზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება დროზე ვერ მოახერხა პრობლემების გამო – დაკბინა მეზობლის ძაღლმა, რის გამოც მკურნალობდა, გარდაეცვალა დედა, ვერც იფიქრებდა, რომ მინდობილობას ვადა გაუვიდოდა. ამის შემდეგ დაურეკა ე. ხ-ს და სთხოვა, ჩამოსულიყო წ-ი ნოტარიუსთან, სახლის გასაფორმებლად. თ. და ე. ხ-ი მართლაც ჩავიდნენ წ-ი ნოტარიუსთან, თუმცა აქვე გაჩნდა ადვოკატი თ. ბ-ი, რომელმაც მოსთხოვა ე-ს არაფერზე არ მოენერა ხელი, ამასთან, უთხრა, თქვი, რომ ფული – 4000 დოლარი, არ მოუციათ თქვენთვისო, რაზეც ე-მ უარი განუცხადა თ. ბ-ს და დაადასტურა, რომ 4000 აშშ დოლარი ნამდვილად მიღებული ჰქონდათ.

4. მოწმე ა. რ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ის არის ბ. ს-ს ერთ-ერთი შვილიშვილის ნათლია და მოცემულ საქმეზე იცავდა ბ. ს-ს ინტერესებს. 2013 წლის იანვრის ბოლოს მისთვის ცნობილი გახდა, რომ ს-ა სოფელ ვ-ი, თ. ხ-ნ 4000 აშშ დოლარად შეიძინეს საცხოვრებელი სახლი, რომელსაც არემონტებდნენ. ბ-ა აუხსნა, რომ აღნიშნული სახლი საჯარო რეესტრში არ იყო რეგისტრირებული, რის გამოც თ. ხ-ს მისთვის მიცემული ჰქონდა რწმუნებულობა, რომლის მიხედვითაც, ბ-ს ენდობოდა, რათა საჯარო რეესტრში სახლი აღერიცხა. ბ. ს-ა თქვა, რომ, როგორც

კი დაამთავრებდა სახლის რეგისტრაციას საჯარო რეესტრში, გადმოუფორმებდნენ სახლს, ფულიც უკვე მიცემული მაქვსო. ბ-ს მობილური ტელეფონიდან დაურეკა თ. ხ-ს მობილურზე, უპასუხა თ-ს შვილმა ე-მ, რომელმაც უთხრა, რომ დედამისი შეუძლოდ იყო, ამასთან, ე-მ დაუდასტურა, რომ, როგორც კი სახლის რეგისტრაცია დასრულდებოდა, არ შეიქმნებოდა არანაირი პრობლემა, ბ. ს-ს სახლს გადაუფორმებდნენ. აპრილის თვეში გაიგო, რომ ვ-ი პოლიციიდან მიიტანეს გაფრთხილება ბ. ს-ს გამოსახლების თაობაზე. აღნიშნულზე შს სამინისტროში შეიტანეს საჩივარი, რომელიც არ დაკმაყოფილდა. შემდეგ სიღნაღის სასამართლოშიც ჰქონდათ შეტანილი სარჩელი მოთხოვნით, თ. ხ-ს დაეკისრებინათ ვალდებულება, რათა ბ. ს-ს სახელზე დაერეგისტრირებინა სახლი, მაგრამ სასამართლოში სარჩელის მიღებაზე უარი უთხრეს, ვინაიდან სახლი უკვე გადაფორმებული იყო ნ. ნ-ე. შემდეგ ჩავიდნენ ხ-ნ დ-ი, სადაც ე-მ არ შეუშვა ისინი სალაპარაკოდ დედამისთან, ვინაიდან თ. იყო ცუდად და იწვა. ე. ხ-ა განუცხადა, რომ არაფერი იცოდა, ყველაფერი ნ. ნ-ს ხელშიაო, მე არაფერი მეკითხებაო. ე. ხ-ა აქვე დაადასტურა, რომ სახლის გაყიდვის ფული მართლაც აიღეს ბ. ს-ნ, ამას ყველგან დაუდასტურებო, თქვა ე-მ. ამის შემდეგ შეხვდნენ ნ. ნ-ს, რომელმაც დაადასტურა, რომ სახლი ნამდვილად იყიდა თ. ხ-ნ 2000 ლარად. ნ. ნ-ს შესთავაზეს საკითხის მშვიდობიანად მოგვარება, თუმცა ერთი კვირის შემდეგ ნ-ა განუცხადა, რომ მათ შორის არანაირი შეთანხმება არ შედგებოდა და სახლი იყო მისი, მე ვიყიდეო. აღნიშნულის შემდეგ ბ. ს-ა დაურეკა მობილურზე და აცნობა, რომ თ. და ე. ხ-ნ ერთად იმყოფებოდა ნ-ი ნოტარიუსთან. ხ-ი თანახმა არიან, სახლი გადმომიფორმონო, თქვა ბ-ა, რაზეც უპასუხა, რომ ეს შეუძლებელი იყო, ვინაიდან სახლი უკვე იყო ნ. ნ-ს კუთვნილება. ცოტა ხანში ისევ დაურეკა ბ-ა ნ-ნ და უთხრა, აქ ერთი ამბავი ატყდაო, მოვიდნენ თ. ბ-ი და ნ. ნ-ი და ძალით გამოიყვანეს ე. ხ-ი ნოტარიუსისგანო. მონმემ დაადასტურა ბ. ს-ს ჩვენება, რომ ამ უკანასკნელს მინდობილობის შინაარსი წაკითხული არ ჰქონდა და არ იყო ცნობილი ერთთვის ვადის შესახებ. ბ. ჯერ სახლს არემონტებდა, შემდეგ დაკბინა მეზობლის ძაღლმა და მკურნალობდა, შემდეგ კი გარდაეცვალა დედა. აღნიშნულის გამო ვერ მოახერხა სახლის გადმოფორმება. არ ეგონა ბ. ს-ს, რომ ხ-ი მოატყუებდნენ. ბ. ს-ა სახლის დასარეგისტრირებლად ყველა საჭირო დოკუმენტი გამოითხოვა დაჩქარებული წესით, ორმაგი და სამმაგი თანხების გადახდით, რათა დროზე დაემთავრებინა ეს ყველაფერი. სახლში გადახდილი 4000 აშშ დოლარიდან ხ-ს ბ. ს-ს არაფერი არ დაუბრუნებიათ.

მას შემდეგ, რაც ბ-მ რემონტი ფაქტობრივად დაამთავრა, ერთხელ იყო ნ. ნ-ი მასთან მისული და შესთავაზა, უკან აეღო თავისი 4000 აშშ დოლარი. მანამდე ამ შეთავაზებით ბ-ნ არავინ მისულა.

5. დაზარალებულის და მონმის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დადასტურებულია მონმების – ი. ს-ა და გ. ს-ს ჩვენებებით, ასევე აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები დადასტურებულია საქმეში არსებული, მხარეთა მიერ უდავოდ მიჩნეული მტკიცებულებებით, კერძოდ, მონმების – შ. ხ-ს, ო. ი-ს, ნ. ს-ს, ნ. ხ-ს, ე. ხ-ს, ნ. ნ-ს ჩვენებებით, 2013 წლის 9 იანვრის ნოტარიულად დამონმებული მინდობილობით, რომელიც გაცემულია თ. ხ-ს მიერ ბ. ს-ე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურში განცხადების მიღების ბარათით (განცხადების რეგისტრაციის №....., დაინტერესებული პირი – ბ. ს-ი), 2013 წლის 17 იანვრის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, საქართველოს შს სამინისტროს 2013 წლის 6 ივნისის №... ბრძანებით მოქ. ბ. ს-ს 2013 წლის 10 მაისის №... ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, 2013 წლის 16 აპრილის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სიღნაღის სარეგისტრაციო სამსახურის 2013 წლის 22 აგვისტოს წერილით, მარტივი წერილობითი ხელშეკრულებით უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ (გამყიდველი – თ. ხ-ი, მინდობილი პირი – თ. ბ-ი, მყიდველი – ნ. ნ-ი), სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 30 აგვისტოს №... წერილით.

6. ამავე დროს საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ, მართალია, სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ მათ მისცა სამართლებრივად აშკარად არასწორი შეფასება, როდესაც თ. ხ-ს ქმედება დააკვალიფიცირა როგორც თაღლითობა, ვინაიდან თაღლითობის შემადგენლობის ერთ-ერთ აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ დამნაშავე მოტყუების გზით ეუფლება სხვის კუთვნილ მოძრავ ნივთს, რომელსაც მოტყუებული პირი თავისი ნებით გადასცემს დამნაშავეს ან თავისი ნებით უთმობს უფლებას ნივთზე. მოცემულ შემთხვევაში, ბ. ს-ა და თ. ხ-ს შორის ბინის ყიდვა-გაყიდვის საკითხთან დაკავშირებით შეთანხმების მომენტი-სათვის თ. ხ-ს განზრახვა – მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით დაუფლებოდა დაზარალებულ ბ. ს-ს კუთვნილ ფულს – 4000 აშშ დოლარს, რომელიც მან მიიღო ბ. ს-ს მინდობილობის გადაცემის შემდეგ, საქმის მასალებით არ დასტურ-

დება.

7. საქმეში წარმოდგენილი მინდობილობის მიხედვით, თ. ხ-ა მისცა ბ. ს-ს არამარტო მის სახელზე ბინის საკუთრების უფლებით დარეგისტრირების, არამედ ბინის განკარგვის უფლებაც. თავისთავად შეუძლებელი იყო თ. ხ-ს თავიდან სცოდნოდა, რომ ბ. ს-ი მის სახელზე საკუთრების უფლების აღრიცხვის შემდეგ დაუყოვნებლივ არ მოახდენდა ბინის განკარგვას მინდობილობაში მითითებული 1 თვის ვადაში.

8. ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ თ. ხ-ს ქმედებაში არის საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები – ქონებრივი დაზიანება მოტყუებით, ე.ი. ქონების მესაკუთრის ან მფლობელის ქონებრივი დაზიანება მოტყუებით, როდესაც არ არსებობს თაღლითობის ნიშნები, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ამ დანაშაულის ობიექტია საკუთრებითი ურთიერთობები. ობიექტური მხრივ, ეს დანაშაული გამოიხატება მოტყუებაში, რის შედეგადაც მესაკუთრეს ან ქონების სხვა მფლობელს ქონებრივი ზიანი ადგება. ამასთან, დამნაშავის ქმედებაში არ უნდა იყოს თაღლითობის მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები; ქონებრივი ზიანის გამოწვევის დროს მოტყუება გამორიცხავს მესაკუთრისათვის სათანადო ქონების მიღებას, რაც ნესით მას უნდა მიეღო. ამასთან, დამნაშავე ან უკანონოდ იყენებს მისთვის მინდობილ ქონებას, ითვისებს იმ შემოსავალს, რომელიც მესაკუთრისათვის უნდა გადაეცა, ან თავს არიდებს მის გადაცემას.

9. როგორც აღვნიშნეთ, თ. ხ-ს მიერ ბ. ს-ს მიცემული მინდობილობით მათ შორის მოხდა შეთანხმება, რომლითაც თ. ხ-ა დაავალა ბ. ს-ს უძრავ ქონებასთან დაკავშირებით შეესრულებინა ყველა სამართლებრივი მოქმედება, რათა ეს ქონება აღერიცხა მის სახელზე საკუთრების უფლებით და შემდეგ მოეხდინა მისი განკარგვა. მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ამ შეთანხმების წინაპირობა იყო მხარეთა ორმხრივი ნება, რომ აღნიშნული უძრავი ქონების თ. ხ-ს სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შემდეგ მომხდარიყო მხარეებს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება, რომლის საფუძველზეც უძრავი ქონება აღირიცხებოდა ბ. ს-ს საკუთრებაში. მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ უძრავი ქონების ღირებულება იქნებოდა 4000 აშშ დოლარი, რომელიც მინდობილობის გაცემის შემდეგ და ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებამდე იქნებოდა გადახდილი, ხოლო სანაცვლოდ თ. ხ-ი დატოვდა ბინას და ბ. ს-ს ფაქტობრივ მფლობელობაში გადასცემდა სახლს, რაც შესრულდა. ბ. ს-ა თანხა ნამდვილად გადასცა თ. ხ-

ს, რასაც მხარეები არ ხდიან სადავოდ, ხოლო ბინა გადაეცა ფაქტობრივ მართლზომიერ მფლობელობაში ბ. ს-ს, რომელმაც აღნიშნულ პერიოდში განახორციელა მასზე გაუმჯობესებანი. ბ. ს-ა შეასრულა მინდობილობით მასზე დაკისრებული დავალება და თ. ხ-ს სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვა სახლი, თუმცა შექმნილი ობიექტური მიზეზების გამო, მან ვერ მოახერხა ქონების თავის ან შვილიშვილის სახელზე საკუთრების უფლებით გადაფორმება. ბ. ს-ს მძიმე ოჯახური მდგომარეობით ისარგებლა თ. ხ-ა, რომელიც უკვე რეგისტრირებული იყო აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრედ და მისგან მალულად გაასხვისა ბინა მნიშვნელოვნად ნაკლებ ფასად – 2000 ლარად თავის ნათესავზე – ნ. ნ-ე. ნაცვლად იმისა, რომ ბ. ს-ს მოთხოვნის თანახმად, თ. ხ-ს მასზე გადაეფორმებინა სახლი საკუთრების უფლებით, რაშიც მას სახლის ღირებულების თანხა – 4000 აშშ დოლარი მთლიანად მიღებული ჰქონდა, მან აღნიშნული მოქმედებით შექმნა იმის წინაპირობა მოტყუებით, რომ სათანადო ქონება არ მიეღო სახლის მართლზომიერ მფლობელს – ბ. ს-ს, რაც წესით მას უნდა მიეღო, რადგან გადახდილი ჰქონდა სახლის მთლიანი თანხა და თუ შეთანხმების რაიმე პირობას არ ეთანხმებოდა თ. ხ-ი, ის ამის შესახებ უნდა დალაპარაკებოდა ბ. ს-ს და მისგან მალულად არ უნდა მოეხდინა სახლის გაყიდვა, როგორც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვნად დაბალ ფასად – 2000 ლარად, რითაც თ. ხ-ა მოტყუებით მიაყენა ქონებრივი ზიანი – 4000 აშშ დოლარის ოდენობით.

10. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მსჯავრდებულ თ. ხ-ს მიერ ჩადენილი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, უნდა დაკვალიფიცირდეს 185-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე და უნდა შეფასდეს როგორც ქონებრივი დაზიანება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; რაც შეეხება სასჯელს, სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის განსახორციელებად, აგრეთვე დანაშაულის მოტივისა და მიზნის, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მოვალეობათა დარღვევის ხასიათისა და ზომის, ქმედების განხორციელების სახის, ხერხისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის, დამნაშავის წარსული ცხოვრების, ქმედების შემდეგ ყოფაქცევის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ თ. ხ-ს სასჯელის სახედ და ზომად უნდა შეეფარდოს ჯარიმა – 2500 ლარის ოდენობით.

11. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი პირის ბრალდების შესახებ დადგენილებასა და სილნალის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 26 დეკემბრის განაჩენში დანაშაულის ჩადენის თარიღად 2012 წლის იანვრის მითითება არის ტექნიკური ხასიათის შეცდომა, ვინაიდან როგორც დადგენილებაში, ასევე 1-ლი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში მითითებული 2013 წლის 9 იანვრის სანოტარო აქტის ამონაწერით უტყუარად დადასტურებულია, რომ მათ შორის სახლის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით შეთანხმება შედგა 2013 წლის დასაწყისში, კერძოდ – 9 იანვარს, რაც გამოასწორა სააპელაციო სასამართლომ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ თ. ხ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. ბ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 აპრილის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

3. თ. ხ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე და სასჯელის სახედ და ზომად შეეფარდოს ჯარიმა – 2500 ლარის ოდენობით.

4. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დანაშაული უფლად-საკრედიტო სისტემაში
ყალბი საანგარიშსწორებო გარათის გამოყენების
მიზნით დამზადება და გამოყენება**

**განაჩენი
საქართველოს სახელმწიფო**

№345აპ-15

24 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ზ. მეიშვილი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
მ. ოშხარელი**

განიხილა მსჯავრდებულების - ს. გ-ას, ი. კ-სა და მათი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. კ-ას საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების არსი:

1.1. 2009 წლის 10 ივნისს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და შპს „ს-ს“ შორის დაიდო №... ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, ...-ის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე ახალი სამმართველოს შენობაში, საერთო საცხოვრებელ „ე-ის“ №1 და №2 კორპუსებში, სოფელ მ-ს საკრებულოს შენობაში და სოფელ ჭ-ს სამშენებლო უბან „პ-ს“ ტერიტორიაზე განთავსებულ, იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოების ჩატარების თაობაზე. ხელშეკრულების საბოლოო ღირებულებამ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით, შეადგინა 1 239 540. 85 ლარი.

შპს „ს-ის“ დირექტორმა ს. გ-ამ და დირექტორის მოადგილე ი. კ-ამ წინასწარი შეთანხმებით განიზრახეს, მართლსაწინააღმდეგოდ მიეთვისებინათ ზემოაღნიშნული სამუშაოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ნაწილი, რისი მიღწევაც შესაძლებელი იყო შესრულებულ სამუშაოთა აქტებში შესრულებული სამუშაოების მოცულობების ხელოვნურად გაზრდილი მონაცემების შეტანით.

განიზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ი. კ-ამ სამუშაო-

ები არ შეასრულა სრულყოფილად. მან 2009 წლის განმავლობაში შეადგინა და ხელი მოაწერა შესრულებულ სამუშაოთა შუალედურ აქტებს, სადაც ყალბად უჩვენა, რომ შესრულებული სამუშაოები შეესაბამებოდა შესრულებულ სამუშაოთა აქტებში ნაჩვენებ მონაცემებს. აღნიშნული აქტები პერიოდულად ნარედგინა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს, რის შემდეგაც საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მოხდა შესაბამისი თანხების გადმორიცხვა შპს „სის“ ანგარიშზე. საბოლოოდ შპს „ს-იმ“ სრულად მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა – 1 239 540. 85 ლარის ოდენობით.

ჩატარებული საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით, სხვაობამ ნაკლებობით, ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოსა და შესრულებული სამუშაოების აქტებში მოცემულ მონაცემებს შორის ჯამში შეადგინა 29 457. 87 ლარი, რაც მიითვისეს ს. გ-ამ და ი. კ-ამ.

ტენდერში გამარჯვების შემდეგ, ქ.-ში, საცხოვრებელ უბანში „ა“ და „ბ“ ტიპის შენობების სამშენებლო სამუშაოებზე 2009 წლის 7 დეკემბერს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და თურქულ კომპანია „თ-ის“ შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შემდეგი ხელშეკრულებები: №-ხელშეკრულება (A2-12 და A1-4) შენობების მშენებლობაზე, ხელშეკრულების საბოლოო ღირებულებამ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით, შეადგინა 2 138 501. 56 ლარი; №... ხელშეკრულება (B2-26 და B1-18) შენობების მშენებლობაზე, ხელშეკრულების საბოლოო ღირებულებამ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით, შეადგინა 1 541 408. 39 ლარი; №... ხელშეკრულება (B2-29 და B1-23) შენობების მშენებლობაზე, ხელშეკრულების საბოლოო ღირებულებამ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით, შეადგინა 1 535 295. 86 ლარი; №... ხელშეკრულება (A2-13 და A1-5) შენობების მშენებლობაზე, ხელშეკრულების საბოლოო ღირებულებამ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით, შეადგინა 2 264 490. 31 ლარი; №... ხელშეკრულება (B2-25 და B1-17) შენობების მშენებლობაზე, ხელშეკრულების საბოლოო ღირებულებამ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით, შეადგინა 1 596 495. 20 ლარი; №... ხელშეკრულება (A2-16 და A1-8) შენობების მშენებლობაზე, ხელშეკრულების საბოლოო ღირებულებამ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით,

შეადგინა 2 207 637. 81 ლარი; №... ხელშეკრულება (A2-9 და A1-1) შენობების მშენებლობაზე, ხელშეკრულების საბოლოო ღირებულებამ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით, შეადგინა 2 144 329. 35 ლარი; №... ხელშეკრულება (A2-10 და A1-2) შენობების მშენებლობაზე, ხელშეკრულების საბოლოო ღირებულებამ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით, შეადგინა 2 262 052. 4 ლარი.

2009 წლის 25 დეკემბერს შპს „ს-ის“ წარმომადგენელ ტ. თისა და შპს „ს-ის“ დირექტორ ს. გ-ას შორის გაფორმდა ხელშეკრულება ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებაზე, რომლის მიხედვით, სუბკონტრაქტორ შპს „ს-ის“ უნდა უზრუნველყო სამუშაოების ხარისხიანი შესრულება, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა ხელშეკრულებასა და მოქმედ სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნასთან. შპს „ს-ის“ დირექტორ ს. გ-ას 2010 წლის 20 იანვრის ბრძანებით, დირექტორის მოადგილე ი. კ-ა მიმაგრებულ იქნა ქ. ...-ში დევნილთა სახლების მშენებლობაზე, რომელსაც დაევალა მოემზადებინა და ჩაებარებინა ყოველთვიური შესრულებები და მოენერა ხელი მიღება-ჩაბარების აქტებზე.

შპს „ს-ის“ დირექტორმა ს. გ-ამ და დირექტორის მოადგილე ი. კ-ამ წინასწარი შეთანხმებით, განიზრახეს მართლსაწინააღმდეგოდ მიეთვისებინათ ზემოაღნიშნული სამუშაოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ნაწილი, შესრულებულ სამუშაოთა აქტებში შესრულებული სამუშაოების მოცულობების ხელოვნურად გაზრდილი მონაცემების შეტანით.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ი. კ-ამ 2010-2011 წლების პერიოდში შეადგინა შესრულებულ სამუშაოთა შუალედური აქტები, სადაც ყალბად უჩვენა, რომ შესრულებული სამუშაოების დროს 300 მარკიანი ბეტონის ხარჯვა შეესაბამებოდა შესრულებულ სამუშაოთა აქტებში ნაჩვენებ მონაცემებს, რის შემდეგაც ხელს აწერინებდა თურქული კომპანიის წარმომადგენელს და ხელმოწერილი აქტები პერიოდულად წარედგინებოდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს. წარდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტების საფუძველზე, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მოხდა შესაბამისი თანხების გადმორიცხვა თურქულ კომპანიაზე და შემდეგ ამ კომპანიიდან – შპს „ს-ის“ ანგარიშზე. საბოლოოდ შპს „ს-იმ“ სრულად მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა – 15 690 210. 88 ლარის ოდენობით.

ჩატარებული კომპლექსური, საინჟინრო-ტექნიკური საბუ-

ლალტრო ექსპერტიზის დასკვნით, სხვაობამ ნაკლებობით, ბეტონის ფაქტობრივ დანახარჯსა და შესრულებული სამუშაოების აქტებში მოცემულ მონაცემებს შორის ჯამში შეადგინა 97 926 ლარი, რაც მიითვისეს ს. გვამ და ი. კ-ამ.

ამრიგად, შესრულებული სამუშაოების ხელოვნურად გაზრდის შედეგად ს. გ-ამ და ი. კ-ამ ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას 2010-2011 წლებში მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფულადი თანხის ნაწილი, ჯამში - 127 383 ლარის ოდენობით.

ს. გ-ას და ი. კ-ას ქმედებები დაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „დ“ პუნქტებითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით.

1.2. 2009 წლის 10 ივნისს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და შპს „ს-ის“ შორის დაიდო №... ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, დაბა ... №... ბაგაბაღში, დაბა ...-ს ბაგაბაღში სოფელ ზ-ს კოლმეურნეობის შენობაში, მ-ს ყოფილ ბაგაბაღში, სოფელ ლ-ს მეურნეობის ბაგაბაღის შენობასა და ჩაის მეურნეობის შენობაში განთავსებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ბინების სარემონტო სამუშაოების ჩატარების თაობაზე. ხელშეკრულების საბოლოო ღირებულებამ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით, შეადგინა 1 484 920. 72 ლარი.

შპს „ს-ის“ დირექტორმა ს. გ-ამ განიზრახა მართლსაწინააღმდეგოდ მიეთვისებინა ზემოაღნიშნული სამუშაოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ნაწილი, რისი მიღწევაც შესაძლებელი იყო შესრულებულ სამუშაოთა აქტებში შესრულებული სამუშაოების მოცულობების ხელოვნურად გაზრდილი მონაცემების შეტანით.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ს. გ-ამ სამუშაოები არ შეასრულა სრულყოფილად. მან 2009 წლის განმავლობაში შეადგინა და ხელი მოაწერა შესრულებულ სამუშაოთა შუალედურ აქტებს, სადაც ყალბად უჩვენა, რომ შესრულებული სამუშაოები შესაბამისობაში იყო შესრულებულ სამუშაოთა აქტებში ნაჩვენებ მონაცემებთან. აღნიშნული აქტები პერიოდულად წარედგინა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს, რის შემდეგაც საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მოხდა შესაბამისი თანხების გადმორიცხვა შპს „ს-ის“ ანგარიშზე. საბოლოოდ შპს „ს-მ“ სრულად მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა - 1 484 920. 72 ლარის

ოდენობით.

ჩატარებული საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით, სხვაობამ ნაკლებობით, ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოსა და შესრულებული სამუშაოების აქტებში მოცემულ მონაცემებს შორის ჯამში შეადგინა 89 920 ლარი, რაც მიითვისა ს. გ-ამ.

ტენდერში გამარჯვების შემდეგ, 2009 წლის 8 დეკემბერს, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და შპს „ს-ის“ შორის დაიდო №... ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, ქ. ...-ში, საცხოვრებელ უბანში „ბ“ ტიპის (B1-21 და B1-22) შენობების სამშენებლო სამუშაოების ჩატარების თაობაზე. ხელშეკრულების საბოლოო ღირებულებამ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით, შეადგინა 1 549 146. 8 ლარი.

შპს „ს-ის“ დირექტორმა ს. გ-ამ განიზრახა მართლსაწინააღმდეგოდ მიეთვისებინა ზემოაღნიშნული სამუშაოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ნაწილი, რისი მიღწევაც შესაძლებელი იყო შესრულებულ სამუშაოთა აქტებში შესრულებული სამუშაოების მოცულობების ხელოვნურად გაზრდილი მონაცემების შეტანით.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ს. გ-ამ 2010-2011 წლების პერიოდში შეადგინა და ხელი მოაწერა შესრულებულ სამუშაოთა შუალედურ აქტებს, სადაც ყალბად უჩვენა, რომ შესრულებული სამუშაოების დროს 300 მარკიანი ბეტონის ხარჯვა შეესაბამებოდა შესრულებულ სამუშაოთა აქტებში ნაჩვენებ მონაცემებს. აღნიშნული აქტები პერიოდულად წარედგინა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს, რის შემდეგაც საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მოხდა შესაბამისი თანხების გადმორიცხვა შპს „ს-ის“ ანგარიშზე. საბოლოოდ შპს „ს-იმ“ სრულად მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა – 1 549 146. 8 ლარის ოდენობით.

ჩატარებული კომპლექსური, საინჟინრო-ტექნიკური და საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნით, სხვაობამ ნაკლებობით, 300 მარკიანი ბეტონის ფაქტობრივ დანახარჯსა და შესრულებული სამუშაოების აქტებში მოცემულ მონაცემებს შორის ჯამში შეადგინა 8 350. 5 ლარი, რაც მიითვისა ს. გ-ამ.

ამრიგად, შესრულებული სამუშაოების ხელოვნურად გაზრდის შედეგად შპს „ს-ის“ დირექტორმა ს. გ-ამ ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას 2009-2011 წლებში მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფულადი თანხის ნაწილი, ჯამში – 98 270.2 ლარის ოდენო-

ბით.

ს. გ-ას ქმედებები დაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ პუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით.

1.3. შპს „ს-ის“ დირექტორმა ს. გ-ამ განიზრახა ჯგუფურად ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის – სალაროს გასავლის ორდერის გასაღების მიზნით დამზადება და მისი გასაღება, რათა საზოგადოების სალაროდან ფულადი თანხები გაეტანა და აღნიშნული კანონიერ ჩარჩოში მოექცია – მოენესრიგებინა ბუღალტრული აღრიცხვიანობა.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, შპს „ს-ის“ დირექტორმა ს. გ-ამ 2007 წლიდან 2011 წლის ჩათვლით საზოგადოების მთავარ ბუღალტერ ე. ჯ-ს და მოლარე-ბუღალტერ ე. გ-ას დაავალა, დაემზადებინათ 178 ცალი ყალბი სალაროს გასავლის ორდერი, რომელთა თანახმადაც, თითქოს, ფულადი თანხები სამეურნეო ხარჯებისთვის გატანილი ჰქონდათ მომარაგების უფროსს – მ. ყ-ს ან თ. ც-ას.

შპს „ს-ის“ დირექტორ ს. გ-ას დავალებით, საზოგადოების მთავარმა ბუღალტერმა ე. ჯ-მ და მოლარე-ბუღალტერმა ე. გ-ამ 2007 წლის 7 აგვისტოდან 2011 წლის 19 დეკემბრამდე პერიოდში დაამზადეს 178 ცალი ყალბი სალაროს გასავლის ორდერი, რომელთა თანახმად, თითქოს ორდერებში მითითებული ფულადი თანხები სამეურნეო ხარჯებისთვის გატანილი ჰქონდა ზოგ შემთხვევაში – მომარაგების უფროსს მ. ყ-ს, ხოლო ზოგ შემთხვევაში – თ. ც-ას. რეალურად აღნიშნული თანხები გაჰქონდა შპს „ს-ის“ დირექტორს – ს. გ-ას.

გასაღების მიზნით დამზადებული ზემოხსენებული ყალბი სალაროს გასავლის ორდერები ს. გ-ამ, ე. ჯ-მ და ე. გ-ამ მოათავსეს საზოგადოების ბუღალტერიაში, რითაც სცადეს კანონიერ ჩარჩოში მოექციათ შპს „ს-ის“ სალაროდან 7 254 929 ლარის გატანა და მოენესრიგებინათ ბუღალტრული აღრიცხვიანობა.

ს. გ-ას, ე. ჯ-ას და ეკ. გ-ას ქმედებები დაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით.

2. პირველი და სააპელაციო სასამართლოების გადანაკვეთილებები:

2.1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 25 დეკემბრის განაჩენით ს. გ-ა, ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებითა და სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგე-

ნილ ბრალდებაში. ს. გ-ას ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 25,204¹-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით, რაც სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, 2012 წლის 7 დეკემბრიდან იმავე წლის 14 დეკემბრის ჩათვლით პატიმრობაში ყოფნის პერიოდის გათვალისწინებით, შეუმცირდა და საბოლოო სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარი. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის თანახმად, ს. გ-ა გათავისუფლდა დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

2.2. ამავე განაჩენით ი. კ-ა, ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

2.3. ე. ჯ-ს ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 204¹-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 4000 ლარის ოდენობით. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის თანახმად, ე. ჯ-ა გათავისუფლდა დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

2.4. ე. გ-ას ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 25,204¹-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 3000 ლარის ოდენობით. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის თანახმად, ე. გ-ა გათავისუფლდა დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

2.5. გაუქმდა ე. ჯ-ას მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო და გირაოს სახით გადახდილი ფულადი თანხა – 1000 ლარი სრულად უნდა დაუბრუნდეს მის შემტანს – ე. ჯ-ას განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში.

2.6. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 19 დეკემბრის განჩინებით (№...) და 2013 წლის 4 სექტემბრის (...) საოქმო განჩინებით ს. გ-ას და შპს „ს-ის“ უძრავ ქონებაზე დადებული ყადაღა უნდა გაუქმდეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

2.7. საინჟინრო-საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნა CD დისკზე, ასევე ...-ს და ...-ის რაიონებში შპს „ს-ის“ მიერ გარემონტებული საცხოვრებელი სახლების სამშენებლო პროექტები შენა-

ხულ უნდა იქნეს საქმესთან ერთად.

2.8. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 25 დეკემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა პროკურორმა, რომელმაც ითხოვა ს. გ-სა და ი. კ-ას მიმართ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 25 დეკემბრის გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა. ს. გ-ას დამნაშავედ ცნობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით, ხოლო ი. კ-ას დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. ამასთან, ცვლილების შეტანა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს ამავე განაჩენში იმ მიმართებით, რომ მსჯავრდებულების – ს. გ-ას, ე. გ-სა და ე. ჯ-ას ქმედებები გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე და აღნიშნულ დანაშაულში იქნენ ცნობილი დამნაშავედ.

2.9. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 25 დეკემბრის განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მაისის განაჩენით შეიცვალა: ს. გ-ას ქმედება სსკ-ის 25,204¹-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე. ს. გ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე გაუნახევრდა და განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 1 წლის ვადით. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-12, მე-18 მუხლების საფუძველზე ს. გ-ას გაუნახევრდა დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 6 თვის ვადით;

სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 1 წლის ვადით. „ამ-

ნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-12, მე-18 მუხლების საფუძველზე ს. გ-ას გაუნახვერდა დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 6 თვის ვადით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ს. გ-ას მიმართ სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით დანიშნული თანაბარი სასჯელებიდან ერთ-ერთმა შთანთქა მეორე თანაბარი სასჯელი და სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი და ს. გ-ას დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 6 თვის ვადით. ს. გ-ა დაკავებულ იქნა სასამართლო სხდომის დარბაზში და სასჯელის ათვლა დაეწყო განაჩენის გამოტანის დღიდან – 2015 წლის 13 მაისიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა დაკავებასა და პატიმრობაში ყოფნის დრო – 2012 წლის 7 დეკემბრიდან იმავე წლის 14 დეკემბრის ჩათვლით.

ს. გ-ას მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში უნდა მოეხსნას გირაოს თანხის ნაცვლად შეტანილ მ. ყ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – ქ. ...-ში, ბ-ის ქ. №...-ში მდებარე საკარმიდამო მიწის ნაკვეთსა და საცხოვრებელ სახლზე (ზონა ..., კოდი ..., სექტორი ქ. ..., კოდი ..., კვარტალი №..., ნაკვეთი ..., ფართობი ... კვ.მ, განაშენიანების ფართი ... კვ.მ) ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 31 დეკემბრის განჩინებით დადებული ყადაღა.

2.10. ამავე განაჩენით ი. კ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 1 წლის ვადით. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-12, მე-18 მუხლების საფუძველზე ი. კ-ას გაუნახვერდა დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 6 თვის ვადით. ი. კ-ა დაკავებულ იქნა სასამართლო სხდომის დარბაზში და სასჯელის ათვლა დაეწყო განაჩენის გამოტანის დღიდან – 2015 წლის 13 მაისიდან.

გაუქმდა ი. კ-ას მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძი-

ება – გირაო.

2.11. ე. ჯ-ას ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 204¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-12 მუხლის თანახმად, ე. ჯ-ას გაუნახევრდა დანიშნული სასჯელი და საბოლოო სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 2500 ლარი.

მსჯავრდებულ ე. ჯ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში მას სრულად უნდა დაუბრუნდეს გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა – 1000 ლარის ოდენობით.

2.12. ე. გ-ას ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 25,204¹-ე მუხლის პირველი ნაწილით, გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 5000 ლარის ოდენობით. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-12 მუხლის თანახმად, ე. გ-ას გაუნახევრდა დანიშნული სასჯელი და საბოლოო სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 2500 ლარი.

მსჯავრდებულ ე. გ-ას მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა.

2.13. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში უნდა გაუქმდეს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 19 დეკემბრის განჩინებითა და ამავე სასამართლოს 2013 წლის 4 სექტემბრის საოქმო განჩინებით ს. გ-სა და შპს „ს-ის“ საკუთრებაში არსებულ ქონებაზე დადებული ყადაღა.

2.14. საინჟინრო-საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნა CD დისკზე, ასევე ...-სა და ...-ის რაიონებში შპს „ს-ის“ მიერ გასარემონტებელი საცხოვრებელი სახლების სამშენებლო პროექტები, რომლებიც თან ერთვის საქმეს, შენახული უნდა იქნეს მოცემულ სისხლის სამართლის საქმესთან ერთად, მისი შენახვის ვადით.

3. საკასაციო საჩივრის არსი:

3.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 13 მაისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულებმა – ს. გ-ამ, ი. კ-ამ და

მათმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. კ-ამ.

3.2. მსჯავრდებულები – ს. გ-ა, ი. კ-ა და მათი ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. კ-ა საკასაციო საჩივრებით ითხოვენ ს. გ-ას მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას სსკ-ის 210-ე მუხლითა და სსკ-ის 182-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებებში, ხოლო ი. კ-ას უდანაშაულოდ ცნობას 182-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლოს შეფასება ს. გ-ას ქმედების სსკ-ის 210-ე მუხლით დაკვალიფიცირების თაობაზე არამართებულია; სალაროს გასავლის ორდერი, რომლის გაყალბებაშიც დაედოთ მსჯავრი ს. გ-ას, ე. ჯ-ს და ე. გ-ას არ არის პირველადი საგადასახადო დოკუმენტი და არც რაიმე შედეგის დადგომა დასტურდება ამ დოკუმენტების გამოყენებით. მისი აღნიშნულება იყო შპს „ს-ის“ ბუღალტერიის აღრიცხვიანობის მოწესრიგება. მის კანონით დადგენილი წესის დარღვევით შედგენას შეიძლება გამოენდია პასუხისმგებლობა საგადასახადო ორგანოს წინაშე, საგადასახადო კოდექსის შესაბამისად და არა – სისხლის სამართლის წესით; იმისათვის, რომ ქმედება სსკ-ის 210-ე მუხლით დაკვალიფიცირდეს, გასავლის ორდერი უნდა იყოს აღნიშნული მუხლის განხილვის საგანი, უნდა დასტურდებოდეს დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით, გასაღება ან გამოყენება და ს. გ-ას ჩართულობა აღნიშნული დოკუმენტის შედგენაში. მოცემულ შემთხვევაში არც ერთი აღნიშნული კომპონენტის არსებობა არ დასტურდება, რის გამოც ქმედების დაკვალიფიცირება სსკ-ის 210-ე მუხლით არის მცდარი; პროკურატურის სააპელაციო საჩივარში არასწორად არის მითითებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება, რომლითაც სალაროს შემოსავლის ორდერი მიჩნეულა საგადასახადო ან ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტად; ხსენებული გასავლის ორდერის შექმნით არ დამალულა გადასახადები, იგი ემსახურებოდა „ბუღალტრული აღრიცხვიანობის მოწესრიგებას“, რაც სსკ-ის 204¹-ე მუხლის განხილვის საგანია და არა – სსკ-ის 210-ე მუხლისა. ამასთან, ვინაიდან გამოკვლეული მტკიცებულებებით არ დადასტურდა ს. გ-ას კავშირი აღნიშნული დოკუმენტების შექმნასთან, არ უნდა დადგეს მისი პასუხისმგებლობის საკითხი არც 204¹-ე და არც 210-ე მუხლით; დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემა კიდევ უფრო გამოკვეთილია სსკ-ის 182-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით; ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე შპს „ს-ი“ პასუხისმგებელი იყო თურქული კომპანიის წინაშე, რომელიც თავის მხრივ იღებდა ვალდებულებას, შპს

„ს-სათვის“ აენაზღაურებინა შესრულებული სამუშაოს ღირებულება. „...-ს“ წინაშე პასუხისმგებლობა სრულად აღებული ჰქონდა თურქულ კომპანიას; შესრულებული სამუშაოების კონტროლი და მათ შორის – ფორმა №2-ების შედგენა წარმოადგენდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პრეზოგატივას, რასაც ფაქტობრივად ახორციელებდა აღნიშნული ფონდის მიერ დანიშნული ზედამხედველი. ს. გ-ა და ი. კ-ა მხოლოდ ფონდის მიერ წარდგენილ ფორმა №2-ებს ადასტურებდნენ ხელმოწერით; შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ერიცხებოდა თურქულ კომპანიას – „თ-ს“, რაც სრულად არ ირიცხებოდა შპს „ს-ის“ ანგარიშზე, ვინაიდან ამ ორ კომპანიას შორის დადებული სუბკონტრაქტის ხელშეკრულება უფრო ნაკლები ღირებულების იყო; არასწორია სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ რადგან ფაქტობრივად შპს „ს-ი“ ახორციელებდა „სუბკონტრაქტის“ მიხედვით სამუშაოებს, მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე პასუხისმგებელი იყო შპს „ს-ი“. „სუბკონტრაქტი“ არ ათავისუფლებდა გენერალურ კონტრაქტორს – თურქულ კომპანიას დამკვეთის მიმართ პასუხისმგებლობისაგან; შპს „ს-მა“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულა სრულად და დამკვეთს ჩააბარა იმ ხარისხის და მოცულობის შესრულება, რაც ხელშეკრულების პირობებით იყო ათავალისწინებული; გარდა იმისა, რომ ფორმა №2-ებს ადგენდა ფონდის მიერ დანიშნული ზედამხედველი, რომელსაც ადასტურებდნენ ხელმოწერით, აღნიშნული კიდევ ერთხელ გადიოდა კონტროლს ფონდის მხრიდან, მხოლოდ ამის შემდეგ დგებოდა „გადახდის სერტიფიკატი“, ხოლო აღნიშნულის საფუძველზე შპს „ს-ი“ წარადგენდა სათანადო ანგარიშ-ფაქტურას ანაზღაურების მოთხოვნით; ს. გ-ას ზედამხედველის მიერ შედგენილი აქტები არ გადაუმოწმებია, ვინაიდან არ გასჩენია ეჭვი, რომ მასში შეტანილი ინფორმაცია შეიძლებოდა არასწორი ყოფილიყო; ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 225 653,20 ლარის ქონებრივი ზიანი გამოწვეულია 11 ხელშეკრულებაზე, ხოლო აქედან მხოლოდ 3 პროექტზე გააჩნდა მუნიციპალური განვითარების ფონდთან პირდაპირი ხელშეკრულება შპს „ს-ს“, დანარჩენ 8 ხელშეკრულებაზე პასუხისმგებელ პირს დამკვეთის წინაშე წარმოადგენდა თურქული კომპანია, შესაბამისად არასწორია, როდესაც „სუბკონტრაქტის“ 8 ხელშეკრულებაზე დამზარალებლად შპს „...“ მითითებული; იმისათვის, რომ ს. გ-ას ქმედება დაკვალიფიცირებულიყო მითვისებად, სავალდებულო იყო დადგენილიყო, რომ ს. გ-ას გააჩნდა მითვისების წინასწარი განზრახვა, მან სამუშაოები არ შეასრულა სრულყოფილად, შეად-

გინა ფორმა №2-ები და მასში განზრახ შეიტანა ყალბი მონაცემები, თუმცა არცერთი აღნიშნული გარემოება არ დასტურდება გამოკვლევული მტკიცებულებებით; შპს „ს-ს“ ფონდისთვის წარდგენილი ჰქონდა საბანკო გარანტია, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ დამკვეთს მიადგებოდა რაიმე სახის ზიანი, იგი სწორედ ამ თანხებიდან აინაზღაურებდა ზიანს; სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ ს. გ-ამ და ი. კ-ამ სამუშაოები არ შეასრულეს სრულყოფილად, არასწორია. ექსპერტიზის წინაშე შეგნებულად არ იქნა დასმული შეკითხვა – შპს „ს-მა“ შეასრულა თუ არა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სრულყოფილად; ის ფაქტი, რომ ფორმა №2-ებს ადგენდნენ ს. გ-ა ან ი. კ-ა და მასში შეჰქონდათ არასწორი მონაცემები, წარმოადგენს პროკურატურისა და სასამართლოს ვარაუდს; აღნიშნული დავა არის სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათის; ს. გ-ას და ი. კ-ას ქმედებები არ წარმოადგენს სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს; სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ავანსის სახით წინასწარ ჩარიცხულ თანხებთან მიმართებით მცდარია, ვინაიდან ყველა ეს ავანსი დამკვეთის მიერ გაქვითულ იქნა ხელშეკრულებით დადგენილი წესით; მითვისების დროს დანაშაული დამთავრებულია იმ მომენტიდან, როდესაც დამნაშავისათვის კანონიერად მიწოდებული ქონება მისმა მოქმედებამ უკანონოდ გადააქცია, ანუ როდესაც სხვის ქონებას დამნაშავე საკუთარ ქონებას უერთებს. აღნიშნული არც ერთი გამოკვლევული მტკიცებულებით არ დასტურდება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ამასთან, ცვლილება უნდა შევიდეს გასაჩივრებულ განაჩენში, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია და სადავო არ არის, რომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და შპს „ს-ს“ შორის, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და თურქულ კომპანია „ს-ის“, ასევე შპს „ს-სა“ და თურქულ კომპანია „თ-ის“ შორის დაიდო ხელშეკრულებები სხვადასხვა სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების შესახებ.

3. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ხელშეკრულებებით შემსრულებლის მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე, შესრულებული სამუშაოს დამკვეთისათვის ჩაბარებისა და ანგარიშ-

სწორების პირობების თაობაზე, კერძოდ:

სახელშეკრულებო ობიექტზე მიმწოდებელი აწარმოებს სამუშაოთა წარმოების ყურნალს ორ ეგზემპლარად, სადაც ყოველდღიურად იწერება შესრულებული სამუშაოების მოცულობა;

ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული ფორმითა და ვადებში მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე;

ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება ერთიანად შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის სათანადოდ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

წინასწარი (საავანსო გადახდა) შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების 20 პროცენტს. წინასწარი გადახდის თანხები ანაზღაურებული უნდა იქნეს მიმწოდებლისათვის განკუთვნილი გადახდებიდან პროპორციული თანხის დაკავებით, შესრულებულ სამუშაოებზე გადახდის გრაფიკის თანახმად;

თვეში ერთხელ მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს მის მიერ შესრულებულ სამუშაოთა უწყისს სამუშაოების ღირებულების ჩვენებით, ადრე შესრულებულ სამუშაოებზე გადახდილი თანხის გამოკლებით. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ უწყისში შეტანილ სამუშაოთა მოცულობას და ღირებულებას;

4. შპს „ს-ის“ დირექტორის – ს. გ-ას 2010 წლის 20 იანვრის ბრძანებით აღნიშნული დღიდან შპს „ს-ის“ დირექტორის მოადგილე ი. კ-ა მიმაგრებულ იქნა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტზე (ქ.-ში – საცხოვრებელი უბნის მშენებლობაზე), რომელსაც დაევალა უზრუნველყო სამუშაოთა წარმოება, კოორდინაცია, მოემზადებინა და ჩაებარებინა ყოველთვიურად შესრულება, ხელი მოეწერა მიღება-ჩაბარების აქტებზე, აღნიშნულ ობიექტზე სამშენებლო მასალების მოსამარაგებლად გაეფორმებინა ხელშეკრულებები, შეთანხმებები და ამ დავალებების შესასრულებლად განეხორციელებინა საბანკო ოპერაციები, უზრუნველყო ობიექტის ჩაბარება კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადებში.

5. შპს „თ-ის“ დირექტორის – თ. თ-ის მიერ 2010 წლის 25 იანვარს გაცემული მინდობილობით დასტურდება, რომ 2010 წლის 25 იანვრიდან შპს „ს-ის“ დირექტორის მოადგილე ი. კ-ზე მინდობილ იქნა, განეხორციელებინა სამუშაოთა კოორდინაცია ქ. ...-ში, ლტოლვილთა 18-სახლიანი საცხოვრებელი უბნის მშენებლობის პროექტზე, ხელი მოეწერა შესრულებული სამუშაოების

აქტებზე, მიღება-ჩაბარების აქტებზე, მოემზადებინა ყველა სახის დოკუმენტაცია აღნიშნულ ობიექტზე, ყოფილიყო პასუხისმგებელი მათ სისწორეზე და უზრუნველყო ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების დროული დამთავრება გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

6. პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე ს. გ-ამ და ი. კ-ამ დაადასტურეს, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოები შეასრულა შპს „ც-მა“.

7. ს. გ-ას მოწმის სახით მიცემული ჩვენების თანახმად, ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ობიექტებზე ყოველ თვეში დგებოდა შესრულებულ სამუშაოთა აქტები. თითოეულ ობიექტზე დამკვეთის მიერ მიმაგრებული იყო ზედამხედველი, რომელიც თვითონ ადგენდა ამ დოკუმენტებს შპს „ს-ის“ წარმომადგენლის თანდასწრებით. შპს „ს-ის“ ანგარიშების განკარგვა შეეძლო პირადად მას, როგორც დირექტორს. იგი აძლევდა შესაბამის დავალებებს ბუღალტრებს. თანხების განკარგვა ასევე შეეძლო ი. კ-ას, როგორც მის მოადგილეს. კომპანიის ანგარიშზე ირიცხებოდა შესრულებული სამუშაოების ღირებულება. კონტროლს ახორციელებდა დამკვეთის წარმომადგენელი, რომელიც წარმოუდგენდა ფორმა №2-ს და იგი აწერდა ხელს. ფორმა №2-ს მხოლოდ ის დანიშნულება ჰქონდა, რომ თანხა ჩარიცხულიყო. მის სისწორეს ამოწმებდა მუნიციპალური განვითარების ფონდის ზედამხედველი, ვინაიდან ეს მათ ინტერესებში შედიოდა. თვითონ კონტროლს იმის თაობაზე, თუ როგორ ზომავდა სამუშაოებს ფონდის წარმომადგენელი, არ ახორციელებდა, ვინაიდან ეს არ ევალებოდა. ს. გ-ამ ასევე განმარტა, რომ შუალედურ აქტებს არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, ფორმა №2-ის შედგენა აუცილებელი არ იყო, მთავარი იყო საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტები. ბეტონთან მიმართებით აქტებში 5 ეწერა თუ 15, მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინაიდან 22-მილიონიან სამუშაოს ასრულებდა 15 მილიონად, ხოლო 5 ლარი იქნებოდა ბეტონში მეტი თუ ქვიშაში ნაკლები, არ ჰქონდა მნიშვნელობა. ფორმა №2-ებში იქნებოდა თუ არა ზუსტი მონაცემები, ამას მისთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარი იყო, რომ ჩამჯდარიყო მთლიან ღირებულებაში და დაკვეთა შეესრულებინა. ჩარიცხული თანხები შპს „ს-ის“ ეკუთვნოდა, ეს იყო შესრულებული სამუშაოების ღირებულება და მოგებაც, რომელშიც შედიოდა გადასახადები, ასევე ხელფასებისა და მასალების ღირებულება.

8. ი. კ-ას მოწმის სახით მიცემული ჩვენების თანახმად, შპს „ს-ის“ კვალიფიკაცია ვერ აკმაყოფილებდა ქ.-ში, იძულებით გა-

დაადგილებული პირებისათვის საცხოვრებელი უბნის ასაშენებლად საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ტენდერში მონაწილეობისათვის დადგენილ პირობებს, რის გამოც მათ თავად მოიწვიეს თურქული ფირმა – შპს „თ-ი“, რათა აღნიშნული ფირმის ტენდერში გამარჯვების შემდეგ, ქვეკონტრაქტის საფუძველზე, შპს „ს-ის“ შესრულებინა ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოები. თურქული კომპანიის ჩართვა ტენდერში ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ აეშენებინათ ქალაქი ლტოლვილებისათვის, გაზრდილიყვნენ ეკონომიკურად და მეტი გაეკეთებინათ. როცა ამ ხელშეკრულებას აფორმებდნენ, რა თქმა უნდა, ჰქონდათ მატერიალური დაინტერესება. შპს „ს-ის“ ანაგარიშზე თანხების ჩამორიცხვა ხდებოდა შესრულებული სამუშაოების შუალედური აქტის საფუძველზე, რომელსაც ამზადებდა დამკვეთის საზედამხედველო სამსახური. ამ პროცესში მონაწილეობდა თვითონაც და ჩამოდიოდა შპს „თ-ის“ წარმომადგენელიც, რომელიც მათი რეკომენდაციით ანერდა ხელს აქტებს. შესრულებული სამუშაოების შემოწმებასა და აზომვებს ანარმოებდა დამკვეთის საზედამხედველო სამსახური, ხოლო თვითონ ფორმალურად ესწრებოდა. შესრულებული სამუშაოების შუალედურ აქტებს ხელს ანერდნენ საზედამხედველო სამსახურისა და შპს „თ-ის“ წარმომადგენლები. შპს „ს-ის“ ანგარიშზე თანხების ჩამორიცხვა ხდებოდა შუალედური აქტების საფუძველზე. ეს თანხები ჯერ ერიცხებოდა შპს „თ-ს“, ხოლო შემდეგ შპს „თ-ისგან“ ერიცხებოდა შპს „ს-ის“, როგორც ქვეკონტრაქტორ ფირმას.

9. ს. გ-ამ და ი. კ-ამ დაადასტურეს, რომ ქ-ის ობიექტებზე განხორციელებულ სამუშაოებს, ს. გ-ასთან შეთანხმებით, ხელმძღვანელობდა ი. კ-ა, რომელიც მასთან ათანხმებდა შპს „ს-ის“ ანგარიშზე არსებული თანხების განკარგვას.

10. ამდენად, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ ხელშეკრულებების თანახმად, შესრულებულ სამუშაოთა აქტების შედგენა და დამკვეთისათვის წარდგენა ევალებოდა მიმწოდებელს – შპს „ს-ის“, ხოლო როდესაც ს. გ-ა და ი. კ-ა ხელმოწერით ადასტურებდნენ შესრულებული სამუშაოების თაობაზე შუალედურ აქტებს – ფორმა №2-ებს, აღნიშნულით პასუხისმგებლობას იღებდნენ მათში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე. ის გარემოება, რომ ფორმა №2-ებს ადგენდნენ არა ს. გ-ა და ი. კ-ა, არამედ, ფონდის წარმომადგენელი – ზედამხედველი, ამაზე მიუთითებენ მხოლოდ მსჯავრდებულები, თუმცა მონწილეს სახით დაკითხვისას ნეიტრალურმა პირმა – მ. ა-ამ ერთმნიშვნელოვნად განმარტა, რომ დოკუმენტებს ადგენდა შპს

„ს-ი“, ზედამხედველი კი დეტალურად ამონმებდა შესრულებულ სამუშაოებს და დოკუმენტებს ადასტურებდა ხელმოწერით. მონმე ლ. ჯ-ამ განმარტა, რომ ფორმა №2-ები მასთან ხელმოსაწერად მიჰქონდა ი. კ-ას. ფონდის წარმომადგენელმა – ა. ჯ-მა მონმის სახით დაკითხვისას მიუთითა, რომ ფორმა №2-ებს თავად უდასტურებდა შემსრულებელს, თუმცა იმის თაობაზე, რომ შუალედურ აქტებს შპს „ს-ი“ არ ადგენდა, განმარტება არ გაუკეთებია. ს. გ-ამ მონმის სახით დაკითხვისას აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა შუალედურ აქტებს, მისთვის ფაქტობრივად მნიშვნელობა არ ჰქონდა ამ დოკუმენტებში რა მოცულობის სამუშაო ჩაინერებოდა. ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კასატორების მითითება, რომ ს. გ-ამ და ი. კ-ამ რეალურად არ იცოდნენ ფორმა №2-ებში შეტანილი ინფორმაციის სიზუსტე და მასზე პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდათ, არამართებულია.

11. საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნებით დასტურდება, რომ შესრულებულ სამუშაოთა აქტებში შესრულებულად ნაჩვენები სამუშაოთა მოცულობები და ღირებულებები არ შეესაბამება ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობებსა და ღირებულებებს, კერძოდ:

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის 2013 წლის ... ივნისის №... საინჟინრო-საბუღალტრო ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება, რომ შპს „ს-ის“ მიერ რიგ ობიექტებზე შესრულებული სამუშაოების ღირებულება არ არის შესაბამისობაში საწარმოს მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვებთან და შესრულებული სამუშაოების აქტებთან. სხვაობა შეადგენს 204094,16 ლარს ნაკლებობით. სხვაობები შესრულებული სამუშაოების მოცულობებსა და ღირებულებებში ობიექტების მიხედვით ასახულია დასკვნის დანართებში.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის 2013 წლის ... ივლისის №... საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად:

შპს „ს-ის“ მიერ 2009-2011 წლებში იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ...-სა და ...-ს რაიონებში შესრულებული სამუშაოების ღირებულება არ არის შესაბამისობაში შესრულებული სამუშაოების აქტებთან.

2009 წლის 10 ივნისის დადებული №... ხელშეკრულების საფუძველზე, ...-ის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე ახალი სამმარ-

თველოს შენობაში, საერთო საცხოვრებელ „ე-ს“ №1 და №2 კორპუსებში, სოფელ მ-ს საკრებულოს შენობაში, სოფელ ქ-ს სამშენებლო უბან „პ-ის“ ტერიტორიაზე განთავსებულ, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საცხოვრებელი ბინების რემონტზე სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 1 210 082. 97 ლარი. სხვაობამ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებსა და შესრულებული სამუშაოების აქტებში მოცემულ მონაცემებს შორის შეადგინა 29 457. 87 ლარი ნაკლებობით.

2009 წლის ... ოვნისს დადებული №... ხელშეკრულების საფუძველზე ...-ს №... ბაგა-ბაღში, ...-ს ბაგა-ბაღში, სოფელ ზ-ის კოლმეურნეობის შენობაში, მ-ს ყოფილ ბაგა-ბაღში, სოფელ ლ-ს მეურნეობის ბაგა-ბაღის შენობაში განთავსებულ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საცხოვრებელი ბინების რემონტზე შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 1 395 000. 01 ლარი. სხვაობამ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებსა და შესრულებული სამუშაოების აქტებში მოცემულ მონაცემებს შორის შეადგინა 89 920. 01 ლარი ნაკლებობით.

12. მონმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა ი. ბ-მ სრულად დაადასტურა მის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნების სისწორე და განმარტა, რომ სხვაობები აღმოჩნდა ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებსა და ფორმა №2-ში შესრულებულად ნაჩვენებ სამუშაოების მოცულობებსა და მათ ღირებულებებს შორის.

13. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს კასატორის მითითებაზე ექსპერტიზის დასკვნის უტყუარობასთან მიმართებით და უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე შეუძლებელი იყო ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენა სათანადო დარგის ექსპერტის მონაწილეობის გარეშე, რის გამოც ჩატარდა შესაბამისი ექსპერტიზა. განმსაზღვრელია, რომ ექსპერტმა მონმის სახით დაკითხვისას დაადასტურა მის მიერ გაცემული დასკვნის სისწორე და არგუმენტირებულად განმარტა ექსპერტიზის დასკვნიდან გამომდინარე სადავო საკითხებზე წარმომოხილელი შეკითხვები. პალატას მიაჩნია, რომ არსებითი დარღვევა, რაც ექსპერტიზის დასკვნის სანდობას ეჭვქვეშ დააყენებდა, მისი შინაარსიდან არ დასტურდება, ხოლო ამ საკითხზე კასატორის მხოლოდ მითითება ვერ გახდება სასამართლოს მიერ მის გაზიარებაზე უარის თქმის საფუძველი.

14. საკასაციო პალატა საკასაციო საჩივარში მითითებულ გარემოებებზე – რომ შპს „ს-მა“ სრულყოფილად შეასრულა დამკვეთის წინაშე ნაკისრი ვალდებულებები, რის გამოც გამოირიც-

ხება ს. გ-ას და ი. კ-ას ბრალეულობა სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებში – აღნიშნავს, რომ მათ ბრალდება არ ედავება ზოგადად სამუშაოთა შეუსრულებლობას, არამედ შესრულებულ სამუშაოთა აქტებში (ფორმა №2-ებში) სამუშაოთა იმაზე მეტი მოცულობის მითითებასა და, შესაბამისად, ანაზღაურების გაზრდას, ვიდრე შპს „ს-მა“ რეალურად შეასრულა, რითაც მიიღო ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოზე მეტი ანაზღაურება, რომელთა ოდენობა დადგენილია ექსპერტიზის დასკვნებით.

15. პალატა აღნიშნავს, რომ ს. გ-ას და ი. კ-ას ქმედებები წარმოადგენს სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, ვინაიდან სახეზეა ამ დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი, კერძოდ: საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო პალატის პოზიციას, რომ ხელშეკრულებების თანახმად, გათვალისწინებული წინასწარი (საავანსო) გადახდით, რაც შეადგენდა ხელშეკრულებების ღირებულების 20 პროცენტს, ასევე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ (სუბკონტრაქტის შემთხვევაში თურქული კომპანიის – „თ-ის“ გავლით) შპს „ს-ისათვის“ ყოველთვიურად თანხების ჩარიცხვით აღნიშნული თანხები ექცეოდა შპს „ს-ის“ მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში, თუმცა, ექსპერტიზის დასკვნებით დადასტურდა, რომ შპს „ს-მა“ შუალედურ აქტებში არასწორი მონაცემების შეტანით მიიღო იმაზე მეტი ანაზღაურება, ვიდრე ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოდან გამომდინარე ეკუთვნოდა და გამოიყენა (განკარგა) საკუთარი შეხედულებისამებრ, რითაც შპს „ს-ის“ ხელმძღვანელმა პირებმა – ს. გ-ამ და ი. კ-ამ მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისეს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი) დიდი ოდენობით თანხები.

16. ამდენად, გასაჩივრებული განაჩენი ს. გ-სა და ი. კ-ას მიმართ სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებში მსჯავრდების ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

17. რაც შეეხება ს. გ-ას მსჯავრდებას სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული კვალიფიკაცია სწორია, თუმცა ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება გასაღების მიზნით და გასაღება, არ დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით, რის გამოც აღნიშნული უნდა გადაკვალიფიცირდეს – ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის გამოყენების მიზნით დამზადებასა და გამოყენებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

18. საქმეში წარმოდგენილია 2007 წლის 7 აგვისტოდან 2011

წლის 19 დეკემბრამდე პერიოდით დათარიღებული 178 ცალი სალაროს გასავლის ორდერი, რომლებიც ხელმოწერილია შპს „ს-ის“ მოლარის – ე. გ-ას მიერ, ხოლო ნაწილი ასევე მთავარი ბუღალტრის – ე. ჯ-ას მიერ. აღნიშნული სალაროს გასავლის ორდერების თანახმად, მათში მითითებული ფულადი თანხები სამეურნეო ხარჯებისთვის გატანილი ჰქონდათ ზოგ შემთხვევაში შპს „ს-ის“ მომარაგების უფროსს მ. ყ-ს, ხოლო ზოგ შემთხვევაში – თ. ც-ას, რომელთა ხელმოწერები სალაროს გასავლის ორდერებზე არ არსებობს.

19. მონმის სახით დაკითხულმა ე. ჯ-ამ აჩვენა, რომ 2004 წლიდან 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით მუშაობდა შპს „ს-ის“ მთავარ ბუღალტრად და მისი ფუნქცია იყო ბუღალტრული აღრიცხვის მონესრიგება, საგადასახადო კოდექსის შესაბამისად წლიური დეკლარაციების შედგენა და სხვა. თანხების განკარგვის უფლება პირადად არ გააჩნდა, მაგრამ დირექტორის დავალებით იყო მეორე ხელმოწერი პირი. მომსახურე ბანკებში ყველგან ჰქონდა ფაქსიმილე დატოვებული და დირექტორის თანხმობით შეეძლო თანხების გატანა. შპს „ს-ის“ თანხებს განკარგავდნენ დირექტორის მოადგილე და დირექტორი, რომელთაგანაც იღებდა დავალებებს. თანხების განკარგვა ძირითადად ხდებოდა უნაღდო ანგარისნორებით, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ნაღდი ანგარიშსწორებითაც სჭირდებოდა ფირმას თანხის გატანა, ხელფასებისა და კერძო პირებისგან შესყიდვების განსახორციელებლად. ნაღდი ფულის გაცემის დროს ის და მოლარე ე. გ-ა მიდიოდნენ ბანკში და გამოჰქონდათ თანხები, რომელსაც აბარებდა ე. გ-ას. იგი იღებდა დავალებას უფროსებისგან – ს. გ-ასა და ი. კ-ასგან და შესაბამისად, ხდებოდა ამ თანხების გაცემა. ბანკიდან თანხის გატანისას კეთდებოდა ამონაწერი, ბანკის დოკუმენტაცია ცალკე მუშავდებოდა და შემოსულ თანხაზე დგებოდა სალაროს შემოსავლის ორდერი, ხოლო როცა სალაროდან გადიოდა თანხა, ივსებოდა სალაროს გასავლის ორდერი. ე. ჯ-ას ჩვენების თანახმად, იგი თავად ავალებდა ე. გ-ას და სალაროს გასავლის ორდერებში თანხებს აწერდნენ მომარაგების უფროსს. სალაროს გასავლის ორდერებში მითითებული თანხები ფირმამ გახარჯა ხელფასებზე, მაგრამ ხელფასის სახით რომ გამოეტანათ თანხა, ბიუჯეტში უნდა ჩაერიცხათ შესაბამისი პროცენტი, რისი შესაძლებლობაც იმ მომენტისთვის შპს „ს-ის“ არ გააჩნდა, რის გამოც გასავლის ორდერებში თანხის დანიშნულებად მიეთითა სამეურნეო ხარჯები. ე. ჯ-ას განმარტებით, ბანკიდან თანხის გამოტანაზე განკარგულებას იღებდა ხელმძღვანელობისგან, ძირითადად, ს. გ-ასგან, რომელიც საქმის კურსში იყო, რომ

თანხა გამოჰქონდათ სამეურნეო ხარჯად და გასცემდნენ ხელფასის სახით. პირადად მას ასეთი გადანყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლება არ ჰქონდა. ხელფასის უწყისებს ხელს აწერდნენ მუშები, ასევე დირექტორი, ბუღალტერი და მოლარე. ე. ჯ-ამ დაადასტურა, რომ მან და მისი დავალებით ე. გ-ამ არასწორად შეადგინეს სალაროს გასავლის ორდერები. კერძოდ, ხელფასად გასაცემი თანხა გამოტანილი იყო სამეურნეო ხარჯად და თანხის მიმღებად მითითებული იყვნენ მ. ყ-ი და თ. ც-ა, რაც არასწორი იყო. მ. ყ-ი და თ. ც-ა სალაროს გასავლის ორდერებს ხელს არ აწერდნენ, რადგან თანხა მათთვის არ მიუციათ. რეალურად სამეურნეო ხარჯის სახით გაწერილი თანხის ნაწილი ხელფასებზე გაიცემოდა, ხოლო ნაწილი ხელზე მიჰქონდა ს. გ-ას.

20. ანალოგიური ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა შპს „ს-ის“ მოლარემ ე. გ-ამ მოწმის სახით დაკითხვისას.

21. საქმეზე მოწმის სახით დაკითხული მ. ყ-ის ჩვენებით დადგენილია, რომ 2007-2008 წლებში მუშაობდა შპს „ს-ის“ მომმარაგებლად და მის მოვალეობაში შედიოდა შესყიდვების განხორციელება. ამისათვის ბუღალტერიიდან იღებდა თანხას, რასაც ადასტურებდა ხელმოწერით. თანხის გატანის შემდეგ შესყიდვის აქტებს აბრუნებდა უკან. საქმეში წარმოდგენილი სალაროს გასავლის ორდერები, რომელთა თანახმად, სხვადასხვა რაოდენობის თანხები მოლარისგან სამეურნეო ხარჯებისთვის მიღებული აქვს შპს „ს-ის“ მომარაგების უფროსს – მ. ყ-ს, მის მიერ არ არის ხელმოწერილი და აღნიშნულ ორდერებში მითითებული თანხები მას არ გაუტანია.

22. საქმეზე მოწმის სახით დაკითხული თ. ც-ას ჩვენებით დადგენილია, რომ 2010 წლის 19 იანვრიდან მუშაობდა შპს „ს-ში“. მის მოვალეობაში შედიოდა კომპანიის მომარაგება სამშენებლო და ტექნიკური მასალებით, საბაჟო ოპერაციების განხორციელება, ასევე შემოსული ტვირთების განბაჟება სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში. შპს „ს-ის“ თანხებთან შეხება ჰქონდა ისეთ შემთხვევებში, როდესაც ფიზიკური პირებისგან ხელზე შესყიდვა უწევდა. შპს „ს-ის“ ბუღალტერიიდან ნაღდი ფულის სახით მაქსიმუმ 5000 ლარი აქვს მიღებული და თანხის მიღება მისი მხრიდან დასტურდებოდა გასავლის ორდერებზე ხელმოწერით. საქმეში წარმოდგენილი სალაროს გასავლის ორდერები, რომელთა თანახმად, მომარაგების უფროსს – თ. ც-ას გატანილი აქვს თანხები სამეურნეო საჭიროებისათვის, მის მიერ არ არის ხელმოწერილი და ეს თანხები მასზე რომ იყო გაწერილი, არ იცოდა.

23. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ აღნიშნული გასავლის ორდერები შედგენილია ფიქტიურ, არარსებულ სალაროს ოპერაციაზე, ვინაიდან შპს „ს-ის“ სალაროდან თ. ც-ასა და მ. ყ-ზე მათში მითითებული თანხები არ გაცემულა და ასეთი სამეურნეო ოპერაცია საერთოდ არ განხორციელებულა, რაც ადასტურებს ამ დოკუმენტების სიყალბეს და აღნიშნული ვერ ჩაითვლება ბუღალტრული წესის დარღვევად. ასევე პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარში კასატორის მიერ მითითებული საფუძვლები სსკ-ის 210-ე მუხლიდან 204¹-ე მუხლზე გადაკვალიფიცირების თაობაზე, არ წარმოადგენს საკმარის წინაპირობას, რათა ს. გ-ას ქმედება გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 204¹-ე მუხლზე – ბუღალტრული აღრიცხვის წესების დარღვევაზე.

24. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში ყალბი დოკუმენტები დაამზადეს მსჯავრდებულებმა შპს „ს-ის“ ბუღალტრული აღრიცხვიანობის მონესრიგების მიზნით, ანუ ეს დოკუმენტები მათ საკუთარი კომპანიის მიზნებისათვის გამოიყენეს. პალატა განმარტავს, რომ ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის ან სხვა საგადასახადო დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით და გასაღება გულისხმობს ამ დოკუმენტის იმ მიზნით დამზადებას, რომ იგი გადაეცეს სხვა, მესამე პირს და არ გულისხმობს ამ დანაშაულის ამსრულებლების მიერ ყალბი დოკუმენტების დამზადებას იმ მიზნით, რომ მოანესრიგონ თავისი კომპანიის ბუღალტრული საკითხები და, შესაბამისად, დოკუმენტის ამ მიზნით გამოყენებას. ამდენად, პალატას მიაჩნია, რომ ს. გ-ას ქმედება წარმოადგენს ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის დამზადებას გამოყენების მიზნით და გამოყენებას. აღსანიშნავია, რომ ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის ან სხვა საგადასახადო დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით კანონმდებლის მიერ კრიმინალიზებულ იქნა 2010 წლის ივლისში, ხოლო ეს ცვლილება ამოქმედდა ამავე წლის აგვისტოდან, რის გამოც ს. გ-ას ქმედება – აღნიშნული ყალბი დოკუმენტების გამოყენების მიზნით დამზადება სწორედ ამ ცვლილების ამოქმედების დღიდან დაკვალიფიცირდება სსკ-ის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ხოლო ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის გამოყენება – მის მიერ ჩადენილ ყველა ქმედებასთან მიმართებით.

25. ამასთან, საქართველოს სსსკ-ის 309-ე მუხლის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო მსჯავრდებულის საჩივრის საფუძველზე მის სასარგებლოდ აუქმებს ან ცვლის განაჩენს იმ საფუძველით, რომ სისხლის სამართლის კანონის გამოყენები-

სას დაირღვა კანონი და ეს სამართლებრივი შეცდომა განაჩენით ამ საქმეში მსჯავრდებულ სხვა პირსაც ეხება, რომელსაც საკასაციო საჩივარი არ შეუტანია, საკასაციო სასამართლო ვალდებულია, იმსჯელოს ამ მსჯავრდებულის მიმართაც.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ს. გ-ას მიმართ გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს სსკ-ის 210-ე მუხლით – ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის დამზადებაში გასალების მიზნით და გასალების ნაწილში და უნდა გადაკვალიფიცირდეს ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის დამზადებაზე გამოყენების მიზნით და გამოყენებაზე და ეს ცვლილება ეხება ამ საქმეში მსჯავრდებულ სხვა პირებსაც – ე. ჯ-სა და ე. გ-ას, მათი ქმედებებიც, დაკვალიფიცირებული – ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის დამზადებად გასალების მიზნით და გასალებად იმავე საფუძვლით, რაც ს. გ-ას შემთხვევაშია სახეზე, უნდა გადაკვალიფიცირდეს – ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის დამზადებაზე გამოყენების მიზნით და გამოყენებაზე.

26. ამდენად, ცვლილება უნდა შევიდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 13 მაისის განაჩენში: ს. გ-ას, ე. ჯ-სა და ე. გ-ას ქმედებები, დაკვალიფიცირებული ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება გასალების მიზნით და გასალება, გადაკვალიფიცირდეს – გამოყენების მიზნით დამზადებასა და გამოყენებზე. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის – ს. გ-ას, ი. კ-ას, ე. ჯ-ასა და ე. გ-ას მიმართ დანიშნული სასჯელები უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულების – ს. გ-ას, ი. კ-ასა და მათი ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. კ-ას საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

2. ცვლილება შევიდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 13 მაისის განაჩენში:

ს. გ-ას, ე. ჯ-ასა და ე. გ-ას ქმედებები, დაკვალიფიცირებული ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება გასალების მიზნით და გასალება, გადაკვალიფიცირდეს – გამოყენების მიზნით დამზადებასა და გამოყენებზე.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 13 მაისის განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის – ს. გ-ას, ი. კ-ას, ე. ჯ-ასა და ე. გ-ას მიმართ დანიშნული სასჯელები დარჩეს უცვლელად.
4. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და
წესრიგის წინააღმდეგ**

ქურდული სამყაროს წევრობა

**ბანაჩენი
საქართველოს სახელით**

№324აპ-15

18 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ზ. მეიშვილი,
მ. ოშხარელი**

განიხილა ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ შ. ხ-ს, მსჯავრდებულების – გ. დ-სა და ო. ძ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ნ-ს, მსჯავრდებულების – რ. დ-სა და თ. ც-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ჯ-ს, ასევე – მსჯავრდებულ მ. თ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ პ. ბ-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 7 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილებით, ო. ძ-ს, – ნასამართლევს; გ. დ-ს, – ნასამართლევს; მ. თ-ს, – ნასამართლობის არმქონეს; რ. დ-ს, – ნასამართლევს და თ. ც-ს, – ნასამართლევს, – ბრალი დაედოთ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 223¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – გამოძალვისათვის, ე.ი. სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნისათვის, რასაც ერთვის დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან მათი ნივთის განადგურების ან დაზიანების, ანდა მათთვის სახელის გამტეხი ცნობის გახმაურების

ან სხვა ისეთი ცნობის გავრცელების მუქარა, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მათი უფლებები, ჩადენილი ჯგუფურად; ასევე – ქურდული სამყაროს წევრობისათვის.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 დეკემბრის განაჩენით ო. ძ-ი, გ. დ-ე, მ. თ-ე, რ. დ-ე და თ. ც-ე ცნობილ იქნენ უდანაშაულოებად და გამართლდნენ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში; ისინი ცნობილ იქნენ დამნაშავეებად სსკ-ის 223¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და განესაზღვრათ 6-6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

3. მსჯავრდებულ მ. თ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2014 წლის 21 მარტიდან, ხოლო მსჯავრდებულებს – ო. ძ-ს, გ. დ-ს, რ. დ-სა და თ. ც-ს – იმავე წლის 20 მარტიდან.

4. განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5. ო. ძ-ი, გ. დ-ე, მ. თ-ე, რ. დ-ე და თ. ც-ე, რომლებიც აღიარებდნენ ქურდულ სამყაროს, აქტიურად მოქმედებდნენ ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად და ხელს უწყობდნენ ქურდული სამყაროს ფუნქციონირებას; ისინი, როგორც ქურდული სამყაროს წევრები, ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად, ნებისმიერი ფორმით, აქტიურად მონაწილეობდნენ ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად ქურდულ გარჩევებში, ჰქონდათ კრიმინალური კავშირები კანონიერ ქურდებსა და ქურდული სამყაროს სხვა წევრებთან; ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად პირთა გარკვეულ ჯგუფს აძლევდნენ დავალებებს დაშინების, იძულებისა და სხვა არამართლზომიერი მოქმედებების ჩასატარებლად.

6. ო. ძ-მა, გ. დ-მ, მ. თ-მ, რ. დ-მ და თ. ც-მ 2014 წლის 17 მარტს ქურდული გარჩევის გზით, მუქარით, იძულებით, დაშინებითა და ფიზიკური ძალადობით გადაწყვიტეს, ერთის მხრივ – ჯ. ბ-ს, ხ. შ-სა და მეორეს მხრივ – სხვა პირს შორის არსებული ფინანსური დავა და ჯ. ბ-სა და ხ. შ-ს დააკისრეს სხვა პირისათვის 1700 აშშ დოლარის, ხოლო ე.წ. „ქურდულ საერთოში“ – 600 აშშ დოლარის გადახდა და განუსაზღვრეს გადახდის ვადა.

7. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა შ. ხ-მ, მსჯავრდებულ მ. თ-ს ადვოკატმა პ. ბ-მ, მსჯავრდებულების – ო. ძ-სა და გ. დ-ს ადვოკატებმა – გ. ნ-მა და კ. ჯ-მ, ასევე მსჯავრდებულების – თ. ც-სა და რ. დ-ს ადვოკატმა კ. ჯ-მ.

8. პროკურორი შ. ხ-ა სააპელაციო საჩივრით ითხოვდა მსჯავრდებულების დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 181-ე

მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 223¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მათთვის სასჯელის განსაზღვრას სასჯელთა შეკრების წესით.

9. ადვოკატები – პ. ბ-ე, გ. ნ-ი და კ. ჯ-ა სააპელაციო საჩივრებით ითხოვდნენ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 დეკემბრის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და მსჯავრდებულების – ო. ძ-ს, გ. დ-ს, მ. თ-ს, რ. დ-სა და თ. ც-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 7 მაისის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 დეკემბრის განაჩენი შეიცვალა: ო. ძ-ი, გ. დ-ე, მ. თ-ე, რ. დ-ე და თ. ც-ე ცნობილ იქნენ დამნაშავეებად და განესაზღვრათ: საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 5-5 წლით, ხოლო 223¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 6-6 წლით თავისუფლების აღკვეთა; შთანთქმის პრინციპის გამოყენებით თითოეულ მსჯავრდებულს საბოლოოდ მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა; განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

11. ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორი შ. ხ-ა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში დასაშვებად ცნობილი მტკიცებულებებით, დაზარალებულებისა და მოწმეების ჩვენებებით, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შედეგად მოპოვებული მასალებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურებულია მსჯავრდებულებისათვის წარდგენილი ბრალდებების სისწორე და უტყუარობა, თუმცა მათ მიმართ გამოყენებული სასჯელები უსამართლო, ზედმეტად მსუბუქია და არ შეესაბამება მსჯავრდებულთა პიროვნებებს და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების ხასიათს; მათ მიმართ სასჯელთა მთლიანი შთანთქმის წესის გამოყენება ეწინააღმდეგება ანალოგიურ საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას.

12. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, საქართველოს სსკ-ის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, პროკურორი შ. ხ-ა ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 7 მაისის განაჩენის შეცვლას, მსჯავრდებულების – ო. ძ-ს, გ. დ-ს, მ. თ-ს, რ. დ-სა და თ. ც-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 223¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ამ მუხლების სანქციებით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელის განსაზღვრას, ხოლო დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის საბოლოო ზომად – სასჯელების სრულად შეკრებას.

13. მსჯავრდებულების – ო. ძ-სა და გ. დ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ნ-ი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

14. მსჯავრდებულებისათვის ბრალდების დასადასტურებლად განაჩენში მითითებულია პოლიციელების მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული ირიბი ჩვენებები, რომლებიც, როგორც ბრალდება, ზოგადი ხასიათისაა და არანაირი, თუნდაც ერთი კონკრეტული მტკიცებულება არ ახლავს, რაც დისონანსშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებასთან ირიბ მტკიცებულებებთან მიმართებით.

15. პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოები არ დაინტერესდნენ, თუ რატომ არ ჩაატარა ფირის წარმომდგენმა მხარემ ექსპერტიზა იმის გასარკვევად, იყო თუ არა ფირზე არსებული ჩანაწერი მონტაჟი; არ მომხდარა მასზე დაფიქსირებული მონაწილეების ხმების იდენტიფიცირება და ფაქტობრივად, საექვო წარმოშობის, შეუსწავლელ ვიდეოფირზე დაყრდნობით დაადგინეს, რომ მსჯავრდებულებმა „ქურდული გარჩევის გზით, მუქარით, იძულებით, დაშინებითა და ფიზიკური ძალადობით გადაწყვიტეს, ერთის მხრივ – ჯ. ბ-ს, ხ. შ-სა და მეორეს მხრივ – სხვა პირს შორის არსებული ფინანსური დავა და ჯ. ბ-სა და ხ. შ-ს დააკისრეს სხვა პირისათვის 1700 აშშ დოლარის, ხოლო ე.ნ. „ქურდულ საერთოში“ – 600 აშშ დოლარის გადახდა და განუსაზღვრეს გადახდის ვადა“, თუმცა ამის დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება საქმეში არ არსებობს.

16. კასატორის აზრით, განაჩენში დაფიქსირებული ფარული ვიდეოჩანაწერიდან ამოღებული ციტატები კონტექსტიდან არის ამოგლეჯილი და ვერ ასახავს 2014 წლის 17 მარტის შეკრებისა და ე.ნ. „საქმის გარჩევის“ რეალურ არსს; 2014 წლის 17 მარტს გ. დ-ე აწერდა ხელს და ნამდვილად მივიდა ო. ძ-თან სახლში მეჯვარედ მისი წაყვანის მიზნით, თუმცა ჩქარობდა და არ უნდოდა, ხ. შ-ს მოსვლას დალოდებოდა; გ. დ-ს არ სურდა ამ საქმეში ჩარევა და ჯ. ბ-სა და ხ. შ-ს სატელეფონო ზარებს აღარც პასუხობდა, ხოლო შ. მ-სათვის თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით ერთხელაც არ დაურეკავს მათთვის.

17. ქურდული სამყაროს წევრობის აღიარება თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ პიროვნება ქურდული სამყაროს წევრია, თუ სახეზე არ არის ქურდული სამყაროს ინტერესებისათვის აქტიური მოქმედების განხორციელების ფაქტები; გ. დ-სა და ო. ძ-

ს ქმედებაში არ დაფიქსირებულა არც ერთი ამგვარი კონკრეტული ფაქტი; „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ 2005 წლის 20 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, ქურდული სამყაროს წევრობა გამოიხატება შემდეგში: 1. პირმა უნდა აღიაროს ქურდული სამყარო; 2. პირმა აქტიურად უნდა იმოქმედოს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად; საქმეში არსებული მასალების მიხედვით, არც ერთი მტკიცებულება არ მოიპოვება იმის დასადასტურებლად, რომ ვინმე „...“ კანონიერი ქურდია და ო. ძ-სა და გ. დ-ს მასთან ჰქონდათ რაიმე სახის კავშირი; თუ ფარულ აუდიო-ვიდეოჩანაწერში არავინ ახსენებს რომელიმე კრიმინალური ავტორიტეტის სახელს, ქურდულ სამყაროს ან ქურდულ სალაროს, შეუძლებელია 2014 წლის 17 მარტის შეხვედრა ჩაითვალოს ქურდულ გარჩევად ან ქურდული სალაროსათვის თანხის შეგროვების მცდელობად.

18. ადვოკატის აზრით, თეორიული მსჯელობით, ქურდული სამყაროს წევრების ქმედება მოიცავს გამოძალვასაც; ნებისმიერ შემთხვევაში საქართველოს სსკ-ის 223¹-ე მუხლით მსჯავრდებული ნებისმიერი პირი ავტომატურად მსჯავრდებული უნდა იყოს სსკ-ის 181-ე მუხლითაც, ანუ დანაშაულთა ერთობლიობით; სასამართლო პრაქტიკა უნივერსალურია, თუ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სსკ-ის 223¹-ე მუხლით მსჯავრდებული ყოველთვის არ სამართლებიან დანაშაულთა ერთობლიობით და ეს ყოველ კონკრეტულ საქმეში არსებულ კონკრეტულ გარემოებებზეა დამოკიდებული.

19. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი გ. ნ-ი ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 7 მაისის განაჩენის გაუქმებას და ო. ძ-სა და გ. დ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

20. მსჯავრდებულების – რ. დ-სა და თ. ც-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი კ. ჯ-ა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დაუსაბუთებელია, უკანონოა და არ ემყარება საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ერთობლიობას; სასამართლო სრულად დაეყრდნო ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, რომლებითაც არ დგინდება მსჯავრდებულთა მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტები.

21. ადვოკატის აზრით, ვიდეოფირები გამოძიების მიერაა დამონტაჟებული და მათზე არ ჩატარებულა ექსპერტიზა შემდგომი იდენტიფიკაციისათვის; „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ 2005 წლის 20 დეკემბრის საქართველოს კანონის თანახმად, ქურდული სამყაროს წევრობა გამოიხატება

შემდეგში: 1. პირმა უნდა აღიაროს ქურდული სამყარო; 2. პირმა აქტიურად უნდა იმოქმედოს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად; ამ დანაშაულის მაკვალიფიცირებელი არც ერთი ნიშანი არ იკვეთება თ. ც-სა და რ. დ-ს ქმედებებში.

22. რაც შეეხება გამოძალვის ნაწილს, რ. დ-ე თავად დაზარალებულის თხოვნით გაჰყვა მას ო. ძ-სა და სხვა პირებთან შესახვედრად, რომლებსაც, როგორც საქმის განხილვისას დადგინდა, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ მათთან, რაც სავსებით გამორიცხავს რ. დ-სა და თ. ც-ს მხრიდან რაიმე სახის ფულადი თანხის გამოძალვას და სარგებლის მიღების ფაქტს; ვიდეოჩანაწერიდანაც ნათლად ჩანს, რომ არანაირ ქურდულ გარჩევას და თანხის გამოძალვას მსჯავრდებულთა მხრიდან ადგილი არ ჰქონია; დაზარალებულებმა მიმართეს მსჯავრდებულებს თხოვნით, დაეცვათ მათი ინტერესები, რათა ჩეჩენი მოქალაქე მათ სიცოცხლის მოსპობით არ გასწორებოდა.

23. გამომდინარე ზემოთქმულიდან, ადვოკატი კ. ჯ-ა ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 7 მაისის გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და რ. დ-სა და თ. ც-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

24. მსჯავრდებულ მ. თ-ს ადვოკატი პ. ბ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

25. სასამართლოს განაჩენი არ ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას; სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიღო ბრალდების მხარის მტკიცებულებები და ეჭვი არ გადაწყვიტა ბრალდებულთა სასარგებლოდ; ბრალდების მხარის მოწმეების – პოლიციელების ჩვენებები, რომ, თითქოს მ. თ-ე იყო ქურდული სამყაროს წევრი, არის მხოლოდ ვარაუდი და არ დასტურდება სხვა მტკიცებულებებით; დაცვის მხარის მოწმეთა ჩვენებებით კი დადასტურდა ბრალდებულთა უდანაშაულობა.

26. ადვოკატ პ. ბ-ს აზრით, გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარდა ცალმხრივად, არაობიექტურად და განაჩენი დაეყრდნო სავარაუდო და საეჭვო მტკიცებულებებს, ამიტომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 7 მაისის გამამტყუნებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს და მ. თ-ს მიმართ უნდა დადგინდეს გამამართლებელი განაჩენი.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამ-

დე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს ო. დ-ს, გ. დ-ს, რ. დ-ს, თ. ც-სა და მ. თ-ს ბრალეულობის თაობაზე და მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, უტყუარ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მათ მიერ ქურდული სამყაროს წევრობისა და გამოძალვის ჩადენა, კერძოდ:

3. დაზარალებულმა ჯ. ბ-მ აჩვენა, რომ გარკვეული თანხის სანაცვლოდ, რ. შ-სთან ერთად ეწეოდა ... საბაჟო გამშვებ პუნქტზე დეპორტირებული პირების გადაყვანას, საიდანაც ე.წ. „ქურდულ სალაროში“ იხდიდა გარკვეულ თანხას, რასაც ზედამხედველობას უწევდნენ ქურდული სამყაროს წარმომადგენლები. ერთხელ მათ დაუკავშირდა პანკისელი შ. მ-ი და შესთავაზა თავისი ახლობელი გოგონასა და ორი არასრულწლოვანი ბავშვის გადაყვანა, რაზეც ისინი დათანხმდნენ და სანაცვლოდ მოითხოვეს 2500 აშშ დოლარი. მან და რ. შ-მ ვერ მოახერხეს ამ ხალხის გადაყვანა, ხოლო აღებული თანხა დაეხარჯათ, რის გამოც შეექმნათ პრობლემები. კერძოდ, მას და მის მეგობარს დაუკავშირდნენ ე.წ. „კანონიერი ქურდები“ – მ. გ-ე (...) და თ. ხ-ა და უთხრეს, რომ დაინტერესებულები იყვნენ ამ საქმით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 2014 წლის 17 მარტს მას და ხ. შ-ს ქურდული სამყაროს წევრებმა – ო. დ-მა, გ. დ-მ და მ. თ-მ მოუწყვეს „ქურდული გარჩევა“, რომელშიც ხ. შ-ის თხოვნით მონაწილეობდნენ ე.წ. „ძველი ბიჭები“ – თ. ც-ე და რ. დ-ე. ქურდული გარჩევის შედეგად მას და ხ-ს ერთად დააკისრეს მ. გ-ს (...) სასარგებლოდ 600 აშშ დოლარის, ასევე მოქალაქის საზღვარზე გადაყვანაში აღებული 1700 დოლარის გადახდა და განუსაზღვრეს ვადაც. ასევე მოსთხოვეს „ქურდული საერთოს“ ფული – 100 ლარი, რაც 21 მარტს გადასცა კიდეც მ. თ-ს. მოწმის განმარტებით, საქმის გარჩევას თან ახლდა მუქარა და ძალადობა ქურდების „იგნორის“ გამო. მანვე განმარტა, რომ ხ. შ-ს სცემეს, ხოლო თვითონ ცემას გადაურჩა მხოლოდ იმის გამო, რომ 24 მარტს სასამართლოში უნდა გამოცხადებულიყო. მოწმემ დაადასტურა, რომ ხსენებული ქურდული გარჩევის დროს იგი აღჭურვილი იყო ვიდეო-აუდიოჩანწერის სპეციალური მოწყობილობით და მან განახორციელა ფარული აუდიო-ვიდეოჩანწერა.

4. დაზარალებულ ხ. შ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ გარ-

კვეული თანხის სანაცვლოდ ... საზღვარზე ჯ. ბ-თან ერთად გადაჰყავდა დეპორტირებული პირები. 2013 წლის თებერვალში მას დაუკავშირდა შ. მ-ი, რომელმაც სთხოვა 2 მცირეწლოვანი ბავშვისა და ერთი ქალის გადაყვანა თურქეთში. ამ საქმეს თუ გააკეთებდა, 2300 დოლარს მისცემდა. მან უარი უთხრა, რის შემდეგაც შ. მ-მა სთხოვა ისეთი პიროვნების ტელეფონის ნომერი, ვინც ამ საქმეს გააკეთებდა. მან მისცა ჯ. ბ-ს ნომერი, რომელიც მასთან ცხოვრობდა ბინაში. იგი დათანხმდა ამ საქმის გაკეთებას. საზღვარზე გადაყვანა ვერ მოხერხდა და მათ მოითხოვეს თანხის უკან დაბრუნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდნენ სიცოცხლის მოსპობით. მოწმის განმარტებით, ამ საქმით დაინტერესდნენ კანონიერი ქურდები, მათ შორის – მ. გ-ე (...). 2014 წლის 17 მარტს მას და ხ. შ-ს ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქურდული სამყაროს წევრებმა – ო. ძ-მა, გ. დ-მ და მ. თ-მ მოუწვევეს ქურდული გარჩევა, რომელშიც მისი თხოვნით, „პატივისცემის სანაცვლოდ“, მონაწილეობდნენ ე.წ. „ძველი ბიჭები“ – თ. ც-ე და რ. დ-ე. გარჩევის შედეგად იგი გაამტყუნეს და ჯ. ბ-სთან ერთად დააკისრეს 2300 აშშ დოლარის, მათ შორის – მ. გ-ს სასარგებლოდ 600 აშშ დოლარის გადახდა და განუსაზღვრეს გადახდის ვადაც. მოწმემ აღნიშნა, რომ ო. ძ-მა და იქ მყოფმა სხვა პირებმა – გ. დ-მ, რ. დ-მ და თ. ც-მ მას სცემეს და აგინეს, ასევე დემუქრნენ, რომ, თუ დაკისრებულ თანხას დროულად არ მიიტანდა, დადგებოდა მძიმე შედეგი.

5. 2014 წლის 17 მარტს სასამართლოს ბრძანების საფუძველზე ჯ. ბ-ს მიერ განხორციელებული ფარული ვიდეო-აუდიოჩანაწერით დასტურდება, რომ ო. ძ-ი, გ. დ-ე, მ. თ-ე, რ. დ-ე და თ. ც-ე მონაწილეობენ ხ. შ-სა და ჯ. ბ-სათვის მონყობილ „საქმის გარჩევაში“. კერძოდ, ისინი ესაუბრებიან ჯ. ბ-ს, რომ „ფულთან დაკავშირებით პრობლემები გქონია მ. გ-სთან... ეს პრობლემა არის პირველ რიგში მოსაგვარებელი... ამდენი ხანი ქურდებს რომ იგნორი გაუკეთე, დასაღწი ხარ, მაგრამ რადგან სასამართლო გაქვს ამ დღეებში დაფინგალებული და გიბსებით რომ მიხვიდე, ტეხავს... ისე არ მოიქცე, რომ ბათუმში, სადაც კარგი ბიჭი გნახავთ, ყველამ გცემოთ... მ-ს ფული 600 აშშ დოლარი უნდა მოიტანო... როცა ფულს მოიტან, დავურეკავ მ-ს და ავუხსნი, რომ აქამდე პრობლემების გამო ფულის მოტანა ვერ შეძელი... რაც საერთო საქმეს ეხება, მონაწილეობა მიიღეთ კეთილსინდისიერად... დვიჟენიები არ გააფუჭოთ ... არ დავინახო, დაზარალებულმა ინივლოს-იკივლოს და დვიჟენიები გააფუჭოს ... 24-მდე 100 ლარი გაქ დასადები...“. ამავე ჩანაწერით დასტურდება, რომ

ბ. შ-ს მიმართ განხორციელდა ფიზიკური ძალადობა, მუქარა და მას ჯ. ბ-სთან ერთად დაეკისრა 1700 დოლარის მესამე პირისათვის გადახდა. ამას გარდა, კანონიერი ქურდის, მ. გ-ს სასარგებლოდ 600 აშშ დოლარის, ქურდული სალაროს შესავსებად კი – 100 ლარის გადახდა. განესაზღვრათ აგრეთვე გადახდის ვადაც.

6. 2014 წლის 17 მარტს ო. ძ-ს მიერ გ. დ-სთან განხორციელებული სატელეფონო საუბრის ჩანაწერით დადასტურებულია, რომ გ. დ-ს ელოდნენ საქმის გარჩევაში მონაწილეობის მისაღებად და ო. ძ-ი სთხოვდა დროულად მისვლას.

7. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების ანალიზის შედეგად, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ 2014 წლის 17 მარტს ო. ძ-ს სახლში გაიმართა „ქურდული გარჩევა“, რომელშიც მონაწილეობდნენ ო. ძ-ი, მ. თ-ე, გ. დ-ე, რ. დ-ე და თ. ც-ე. გარჩევის შედეგად ჯ. ბ-სა და ბ. შ-ს დაეკისრათ კანონიერ ქურდ მ. გ-სთვის (...სათვის) 600 აშშ დოლარის, შ. მ-სათვის – 1700 აშშ დოლარის, ხოლო „ქურდული სალაროს“ შესავსებად კი – 100 ლარის გადახდა.

8. „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, ქურდული სამყაროს წევრია ნებისმიერი პირი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად; ამავე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად კი, ქურდული გარჩევა გულისხმობს ქურდული სამყაროს წევრის მიერ ორ ან მეტ პირს შორის არსებული დავის გადაწყვეტას, რომელსაც ახლავს მუქარა, იძულება, დაშინება ან სხვა უკანონო მოქმედება.

9. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ქურდული სამყაროს წევრობა არ გულისხმობს მხოლოდ სიტყვიერი ფორმით მის აღიარებას. მეტიც, პირის ქურდული სამყაროს წევრად მიჩნევისთვის საერთოდ არ არის აუცილებელი, პირი ზეპირსიტყვიერად აცხადებდეს, რომ იგი აღიარებს ქურდულ სამყაროს. გადამწყვეტი პირის ქურდული სამყაროს წევრად მიჩნევისთვის არის ის ფაქტი, რომ პირი თავისი ქმედებებით გამოხატავდეს პატივისცემას ქურდული ტრადიციების მიმართ და ხელს უწყობდეს ამ სამყაროს ფუნქციონირებასა და გაძლიერებას.

10. საქმეში არსებული და სასამართლო სხდომაზე კანონით დადგენილი წესით გამოკვლეული მტკიცებულებებით, მათ შორის – დაზარალებულების თანმიმდევრული, ურთიერთმეთავესებადი ჩვენებებითა და ფარული აუდიო-ვიდეოჩანაწერით უტყუარადაა დადასტურებული, რომ სწორედ ქურდული გარჩევა

შედგა ო. ძ-ს სახლში, რომელშიც ო. ძ-თან ერთად მონაწილეობდნენ მ. თ-ე, გ. დ-ე, რ. დ-ე და თ. ც-ე; ამავე ჩანაწერიდან ცხადია, რომ სხენებული პირები აღიარებენ ქურდულ სამყაროს და როგორც ორგანიზებული დანაშაულებრივი სტრუქტურის წევრები, ქურდული სამყაროს გაძლიერებისათვის ცდილობენ ქურდული სამყაროს მიზნების განხორციელებას და მუქარისა და დაშინების გზით მატერიალური ფასეულობების შეგროვებას, რასაც მოწმობს საქმის გარჩევის დროს მათ მიერ გაკეთებული განცხადებები, მათ შორის იმის შესახებ, რომ „ვინც ქურდებს პატივს არ სცემს, დასაღვნია... კანონიერი ქურდისთვის ფულია გადასახდელი.... შესავსებია ქურდული საერთო და ა.შ.“ პალატა მიუთითებს, რომ 2014 წლის 17 მარტს ჯ. ბ-ს მიერ განხორციელებული ფარული აუდიო-ვიდეოჩანაწერიდან მკაფიოდ ირკვევა, თუ როგორ მიმდინარეობდა ქურდული გარჩევა და რამდენი პირი მონაწილეობდა მასში, რომ ყველა მათგანი ეთანხმებოდა თანხების დაკისრებას დაზარალებულებზე, ქურდული სამყაროს დადგენილი წესების შესაბამისად.

11. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს ასევე სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას ო. ძ-ს, მ. თ-ს, გ. დ-ს, რ. დ-სა და თ. ც-ს მსჯავრდების შესახებ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და მიუთითებს, რომ ქურდული სამყაროს წევრობა არ მოიცავს გამოძალვის დანაშაულის შემადგენლობას, ვინაიდან გამოძალვა, ესე იგი სხვისი ნივთის ან ქონების გადაცემის მოთხოვნა, რასაც თან ერთვის დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარა, სცილდება ქურდული სამყაროს წევრის ამავე სამყაროს მიზნების განსახორციელებლად ჩადენილ აქტიურ მოქმედებას, როგორც შეიძლება იყოს იძულება, მუქარა და სხვა. ამის დასტურია ის გარემოებაც, რომ გამოძალვის მე-3 ნაწილის სანქცია უფრო მკაცრია, ვიდრე 223¹-ე მუხლის პირველი ნაწილი.

12. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დაზარალებულების – ჯ. ბ-სა და ხ. შ-ს ჩვენებებითა და ფარული აუდიო-ვიდეოჩანაწერით დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულებმა ჯგუფურად ჩაიდინეს გამოძალვა, ესე იგი სხვისი ნივთის ან ქონების გადაცემის მოთხოვნა, რასაც თან ერთვის დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენების მუქარა, კერძოდ, ისინი დაემუქრნენ დაზარალებულებს, რომ დაკისრებული თანხების დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში დადგებოდა მძიმე შედეგი.

13. საკასაციო პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას იმის შესახებ, რომ პირველი და სააპელაციო ინსტანციების

სასამართლოები უნდა დაინტერესებულიყვნენ, თუ რატომ არ ჩაატარა ფირის წარმომდგენმა მხარემ ექსპერტიზა იმის გასარკვევად, იყო თუ არა ფირზე არსებული ჩანაწერი მონტაჟი და მიუთითებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მტკიცებულებების მოპოვება მხარეთა პრეროგატივაა. ისინი, თავიანთი შეხედულებისამებრ, მოიპოვებენ და წარადგენენ მტკიცებულებებს. შესაბამისად, დაცვის მხარე უფლებამოსილი იყო, თავად მოეპოვებინა და წარედგინა სასამართლოსთვის ექსპერტიზის დასკვნა ზემოხსენებულ საკითხზე.

14. რაც შეეხება პროკურორის მოთხოვნას სასჯელის გამკაცრების შესახებ, პალატა მიუთითებს, რომ მსჯავრდებულთა პიროვნებების, მათ მიერ ჩადენილი ქმედებების ხასიათისა და სიმძიმის გათვალისწინებით, მათთვის განსაზღვრული სასჯელები სამართლიანია.

15. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორ შ. ხ-ს, მსჯავრდებულების – გ. დ-სა და ო. ძ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ნ-ს, მსჯავრდებულების – რ. დ-სა და თ. ც-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ჯ-ს, ასევე – მსჯავრდებულ მ. თ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ პ. ბ-ს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 7 მაისის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო
შეპენისა და შენახვის ცალ-ცალკე დანაშაულებად
განსილვის პრაქტიკა**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№153აპ-15

14 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი**

განიხილა მსჯავრდებულ რ. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ე. გ-ასა და ბოლნისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ბ. პ-ას საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 20 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 1 დეკემბრის განაჩენით რ. მ-ს ნასამართლევს შერაცხული ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, როგორც ზედმეტად წარდგენილი.

რ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სადგომში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ორი ეპიზოდი) და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სადგომში უკანონო შეღწევით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ), ასევე – 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება) წარდგენილ ბრალდებებში.

2. რ. მ-ისათვის ბრალად შერაცხული დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2014 წლის მაისში, გამოძიებით დაუდგენელ დღეს, რ. მ-მა და ჯ. ყ-მა წინასწარი შეთანხმებით, უკანონოდ შეაღწიეს ქ. ბოლ-

ნისში, ა-ის ქუჩაზე მდებარე გ. ჟ-ის ხის საამქროში, სადაც ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლნენ ოთხ სამფაზიან ჩამრთველს, ე.წ. „სტარტერს“, ხის სიმალლის საზომ მოწყობილობას და ქვის საჭრელ ელექტროხერხს, რითაც დაზარალებულს მიაყენეს 950 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2014 წლის 27 მაისს, დაახლოებით 2.00 საათზე, რ. მ-მა და ჯ. ყ-მა წინასწარი შეთანხმებით, უკანონოდ შეაღწიეს ქ. ბოლნისში, ნ. ნ-ის ქ. №...-ში მდებარე ლ. ნ-ის სახლის სარდაფსა და საქონლის სადგომში, სადაც ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლნენ ათ თავ ყველსა და ერთ გოჭს, რითაც დაზარალებულს მიაყენეს 220 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2014 წლის 27 მაისს, დაახლოებით 3.00 საათზე, რ. მ-მა და ჯ. ყ-მა წინასწარი შეთანხმებით, უკანონოდ შეაღწიეს ქ. ბოლნისში, ა-ის ქუჩაზე მდებარე ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიაში, სადაც ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლნენ ლახვარსა და ფულად თანხას – 15 ლარს, რითაც დაზარალებულს მიაყენეს 115 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2014 წლის 4 ივნისს, დაახლოებით 3.00 საათზე, რ. მ-ი ბ-ში, №... საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა კუსტარული წესით დამზადებულ ცეცხლსასროლ იარაღს – 4,5 მმ კალიბრიან „იჟ-40“ მოდელის პისტოლეტს, რომელიც პოლიციის თანამშრომლებმა ამოიღეს მისი პირადი ჩხრეკისას.

3. აღნიშნული ქმედებისათვის:

რ. მ-ს შერაცხული ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, როგორც ზედმეტად წარდგენილი.

რ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (გ. ჟ-ის ეპიზოდი) – 5 წლითა და 6 თვით; 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (ლ. ნ-ის ეპიზოდი) - 5 წლითა და 3 თვით; 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით – 5 წლითა და 9 თვით, ხოლო 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილით, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, რ. მ-ს დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 5 წლითა და 9 თვით თავი-

სუფლები ალკვეთა, რომლის ათვლაც დაეწყო დაკავების დღიდან – 2014 წლის 4 ივნისიდან.

4. იმავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება ბოლნისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ბ. პ-სა და ბრალდებულ ჯ. ყ-ს შორის.

5. ნივთმტკიცებები:

რომლებიც ინახება ბოლნისის შს რაიონულ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მათ კანონიერ მფლობელებს: საეკლესიო ნივთი – ლახვრის მჭრელი პირი – ნ. გ-ს; გოჭის თავი – ლ. ნ-ს; ქვის საჭრელი ხერხი, ე.წ. „ბალგარკა“ და ხის სიმაღლის საზომი მონყობილობა – გ. უ-ს; 4,5 მმ კალიბრიანი „იუ-40“ მოდელის №... პისტოლეთი, რომელიც ინახება მარნეულის რაიონულ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაეცეს საქართველოს შსს-ს შეიარაღების სამსახურს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბოლნისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ბ. პ-ამ და მსჯავრდებულ რ. მ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ე. გ-ამ.

პროკურორმა ბ. პ-ამ საჩივრით ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და მსჯავრდებულის ქმედების სწორად დაკვალიფიცირება, რადგან მიაჩნია, რომ მსჯავრდებულს შერაცხული ბრალებიდან არასწორად ამოერიცხა სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება, ხოლო ადვოკატმა ე. გ-ამ კი ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის შემცირების გზით.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 20 თებერვლის განაჩენით ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 1 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

8. საკასაციო საჩივრის არსი:

სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 20 თებერვლის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ რ. მ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ე. გ-ამ და ბოლნისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ბ. პ-ამ საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

ადვოკატმა ე. გ-ამ ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის შემცირების გზით შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: მან აღნიშნა, რომ სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას არ გაითვალისწინა დამნაშავეის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები. მართალია, რ. მ-

მა ჩაიდინა მძიმე კატეგორიის დანაშაული და ქურდობის არც ერთ ეპიზოდში თავს არ ცნობდა დამნაშავედ, მაგრამ საქმის არსებითი განხილვის დროს შეცვალა პოზიცია, აღიარა დანაშაული, რითაც ხელი შეუწყო მართლმსაჯულების სწრაფ და ეფექტურ განხორციელებას. რაც შეეხება მის პიროვნებას, მას ჰყავს მცირეწლოვანი შვილები, პენსიონერი დედა, ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა მონაცემების ერთიან ბაზაში დაბალი სარეიტინგო ქულით და არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი.

ბოლნისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ბ. პ-ამ საკასაციო საჩივრით ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა მსჯავრდებულის ქმედების სწორად დაკვალიფიცირების გზით, კერძოდ, მან ითხოვა: რ. მ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (გ. ჟ-ისა და ლ. ნ-ის ეპიზოდები), ასევე 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით და ამ მუხლების საფუძველზე შესაბამისი სასჯელის განსაზღვრა.

სამოტივაციო ნაწილი:

1. გასაჩივრებული განაჩენის შეცვლის დასაბუთება:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ რ. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ე. გ-ასა და ბოლნისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ბ. პ-ას მოთხოვნები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ რ. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას სასჯელის შემსუბუქების თაობაზე, უსაფუძვლობის გამო, რასთან დაკავშირებითაც აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სასჯელის დანიშნისას გაითვალისწინა საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მოთხოვნები, კერძოდ: ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი, მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის პიროვნება, მისი წარსული ცხოვრება, პირადი და ეკონომიკური პირობები და მისი ქცევა დანაშაულის

ჩადენის შემდეგ. საქმის მასალებით ცნობილია, რომ რ. მ-ი არის ნასამართლევი, მას ჩადენილი აქვს მძიმე კატეგორიის დანაშაული და ზიანი არ არის ანაზღაურებული, შესაბამისად, სახეზეა დანაშაულის რეციდივის შემთხვევა. ამასთან, პალატა აღნიშნავს, რომ ბრალდებულმა დანაშაული აღიარა მხოლოდ სასამართლოში საქმის განხილვის დროს, ხოლო დაცვის მხარემ სადავოდ არ გახადა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რის გამოც სასამართლომ ისინი საქართველოს სსკ-ის 73-ე მუხლის საფუძველზე, გამოკვლევის გარეშე მიიღო მტკიცებულებად.

3. სასამართლომ შეისწავლა მსჯავრდებულის, დაზარალებულთა და მონშეთა ჩვენებები, გამოიკვლია წერილობითი მტკიცებულებები და თითოეული მათგანი შეაფასა სისხლის სამართლის საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობის, უტყუარობის, ამასთან, რ. მ-ის დამნაშავედ ცნობისათვის საკმარისობის თვალსაზრისით და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, უტყუარად არის დადასტურებული მსჯავრდებულის მიერ ქურდობების ჩადენის ფაქტები.

4. რაც შეეხება რ. მ-ის მიერ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ჩადენილ დანაშაულს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არ იზიარებს რაიონული და სააპელაციო სასამართლოების მოტივაციას მსჯავრდებულისათვის წარდგენილი ბრალდებებიდან საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ბრალდების, როგორც ზედმეტად წარდგენილის, ამორიცხვის თაობაზე.

5. საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ როგორც საგამოძიებო, ისე სასამართლო პრაქტიკაში ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნისა და შენახვის ფაქტი კვალიფიცირდებოდა სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ხოლო ტარება – 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

აღნიშნული საკითხის დღემდე არსებული როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული გადაწყვეტა არის ცალსახა, შენახვა და ტარება განიხილება ცალკე დანაშაულად. თითოეული კვალიფიცირდება შესაბამისი ნაწილით და სასჯელიც განისაზღვრება შესაბამისი ნაწილებით, ცალ-ცალკე. ამასთან, საქართველოს უზენაეს სასამართლოში დღემდე არსებული პრაქტიკის მიხედვით, სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები განიხილებოდა როგორც დანაშაულთა ერთობლიობა, რა დროსაც სასამართლო დამნაშავედ ცნობდა პირს თითოეული ნაწილით გათვა-

ლისწინებული ცალკე დანაშაულისათვის და, შესაბამისად, ცალ-
ცალკე უნიშნავდა სასჯელს, თითოეული ნაწილით გათვალის-
წინებული სანქციის ფარგლებში.

6. რ. მ-ის ბრალდების შესახებ დადგენილებით ირკვევა, რომ
იარაღის სამართალდამცავი ორგანოებისათვის ჩაბარების ნაც-
ვლად, იგი 2012 წლიდან საკუთარი სახლის სარდაფში უკანონო
დ ინახავდა გარდაცვლილი მამის – თ. მ-ის მიერ დანატოვარ,
გადაკეთებულ ცეცხლსასროლ იარაღს.

7. 2014 წლის 4 ივნისს რ. მ-ი ასევე მართლსაწინააღმდეგოდ
ატარებდა კუსტარული წესით დამზადებულ ცეცხლსასროლ ია-
რალს – 4,5 მმ კალიბრიან „იუ-40“ მოდელის პისტოლეტს. კერ-
ძოდ, იგი დაახლოებით 3.30 საათზე ბ-ის №... საჯარო სკოლის
მიმდებარე ტერიტორიაზე ქამარში გაყრილი იარაღით გადაად-
გილდებოდა, რა დროსაც დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა
და იარაღიც ამოიღეს. იმის გამო, რომ რ. მ-ს არ ჰქონდა იარაღით
გადაადგილების კანონიერი უფლება (ხოლო იარაღის მოთავსება
შარვლის საქმრეში ცეცხლსასროლი იარაღის შენახვად ვერ შე-
ფასდება, რადგან მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში პირმა ად-
გილსამყოფელი კი არ მიუჩინა პისტოლეტს მისი შენახვის მიზ-
ნით, არამედ მიიმარაგა სხეულზე და ამ გზით ატარებდა მას), მისი
ქმედება ასევე კანონიერად დაკვალიფიცირდა სსკ-ის 236-ე მუხ-
ლის მე-2 ნაწილით (იარაღის უკანონოდ ტარება).

8. მართალია, პირის ბრალდების შესახებ დადგენილებიდან
ირკვევა, რომ რ. მ-მა ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსა-
წინააღმდეგო შენახვა, მაგრამ ეს ფაქტი, გარდა მსჯავრდებუ-
ლის თვითღიარებითი ჩვენებისა, არაფრით არ დასტურდება.

9. საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თა-
ნახმად, „გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხო-
ლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ
მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს
მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“. ანალოგიური შინა-
არსის შემცველია ამავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი,
რომლის თანახმადაც, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამ-
ნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსე-
ბულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“. სსსკ-ის
259-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს განაჩე-
ნი კანონიერია, თუ იგი გამოტანილია საქართველოს კონსტი-
ტუციის, ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა კანონების მოთ-
ხოვნათა დაცვით, რომელთა ნორმებიც გამოყენებული იყო სის-
ხლის სამართლის პროცესში“. ამდენად, საკასაციო პალატა მი-
უთითებს, რომ:

10. რ. მ-ის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა არ დასტურდება გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, შეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობით.

11. ამდენად, როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლოებმა მიიღეს უკანონო გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც მსჯავრდებულ რ. მ-ის ქმედებას მიეცა არასწორი შეფასება კვალიფიკაციის ნაწილში.

12. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ ცვლილება უნდა შევიდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 20 თებერვლის განაჩენში შემდეგი მიმართებით:

13. რ. მ-ი ცნობილ უნდა იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა) წარდგენილ ბრალდებაში, მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო.

14. რ. მ-ი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება) – 4 წლით; 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (გ. ჟ-ის ეპიზოდი) – 5 წლითა და 6 თვით; 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (ლ. ნ-ის ეპიზოდი) – 5 წლითა და 3 თვით, ხოლო 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (ეკლესიის გაქურდვის ეპიზოდი) – 5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილით, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, რ. მ-ს დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლაც უნდა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2014 წლის 4 ივნისიდან.

15. განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის მე-300 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 301-ე, 303-ე მუხლებით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, იმავე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ რ. მ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის – ე. გ-ასა და ბოლნისის რაიონული პროკურატურის პროკუ-

რორ ბ. პ-ას საკასაციო საჩივრების მოთხოვნები არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 20 თებერვლის განაჩენი შეიცვალოს შემდეგი მიმართებით:

3. რ. მ-ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა) წარდგენილ ბრალდებაში.

4. რ. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება) – 4 წლით; 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (გ. ყ-ის ეპიზოდი) – 5 წლითა და 6 თვით; 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (ლ. ნ-ის ეპიზოდი) – 5 წლითა და 3 თვით, ხოლო 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით (ეკლესიის გაქურდვის ეპიზოდი) – 5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილით, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით, რ. მ-ს დანაშაულთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 5 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლაც დაეწყო დაკავების დღიდან – 2014 წლის 4 ივნისიდან.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 20 თებერვლის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნარკოტიკული დანაშაული

ადმინისტრაციულსახელმწიფარდებულებული პირის მიერ, ადმინისტრაციული სახელმწიფოს მოქმედების ვადის ფარგლებში, ნარკოტიკული საშუალების განმეორებით არაერთხელ მოხმარების სამართლებრივი შედეგები

განაჩენი საქართველოს სახელით

№67აპ-14

12 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
მ. ოშხარელი,
გ. შავლიაშვილი

განიხილა პროკურორ თ. მ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 10 თებერვლის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების არსი:

1.1. 2012 წლის 26 დეკემბერს ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახელმწიფარდებულმა ბ. ა-მა კვლავ უკანონოდ ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, რაც დაუდგინდა 2013 წლის 8 სექტემბერს ნარკოლოგიური შემონემების შედეგად.

1.2. ბ. ა-ის ზემოაღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირდა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებად, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახელმწიფარდებულებული პირის მიერ – საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით.

2. პირველი და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები:

2.1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 2 დეკემბრის განაჩენით ბ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2013 წლის 2 დეკემბრიდან. მას-

ვე 3 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები.

2.2. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ბ. ა-მა და მისმა ადვოკატმა. დაცვის მხარე ითხოვდა სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ჯარიმით შეცვლას, ასევე განაჩენთა ერთობლიობისას სასჯელთა შთანთქმის პრინციპის გამოყენებას.

2.3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 10 თებერვლის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 2 დეკემბრის განაჩენი გაუქმდა, კერძოდ: ბ. ა-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა სსკ-ის 273-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში. მასვე აღუდგა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით ჩამორთმეული უფლებები.

3. საკასაციო საჩივრის არსი:

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განაჩენი გაასაჩივრა პროკურორმა და მოითხოვა ბ. ა-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა; სასჯელის დანიშვნა სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების შესაბამისად, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით და მსჯავრდებულისათვის საბოლოო სასჯელის ვადაში პირველი განაჩენით მოხდილი სასჯელის ჩათვლა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ბ. ა-ის მიმართ გამოტანილ ორ გამამტყუნებელ განაჩენს (2013 წლის 5 ნოემბრისა და 2 დეკემბრის) საფუძვლად დაედო ერთი – ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ 2012 წლის 26 დეკემბრის დადგენილება, რაც წარმოადგენს პირის ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ მსჯავრდებას; არამართებულია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ სამართლებრივი საფუძველი, რომელმაც ერთხელ უკვე გამოიწვია პირის მსჯავრდება, შემდგომში ველარ გამოიწვევს იმავე პირის მიმართ მეორედ მსჯავრდებას. ამ ლოგიკით სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის პირის მსჯავრდებისათვის აუცილებელია, მაგალითად: სუბიექტის ასაკი (14 წელი) და ნასამართლობა, ხოლო მსჯელობის იმგვარად განვითარება, რომ თუ ერთხელ უკვე დადგა განაჩენი 14 წლის ასაკს მიღწეული ან ნასამართლობის მქონე პირის მიმართ, ეს ნიშნები ველარ გამოიწვევს იმავე პირის დანაშაულის შემადგენლობის ამ ნიშნების საფუძველზე მეორედ მსჯავრდებას, რაც არასწო-

რია; ერთი დანაშაულისთვის რომ მსჯავრი განმეორებით ვერავის დაედება, ცალსახაა, თუმცა მოცემულ ვითარებაში, როცა დანაშაულის ჩადენის დრო ერთ შემთხვევაშია – 2013 წლის 8 სექტემბერი, ხოლო მეორე შემთხვევაში – 2013 წლის 3 ნოემბერი, ისინი წარმოადგენენ დამოუკიდებელ ქმედებებს; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ამ კატეგორიის საქმეებზე მანამდე დადგენილ სასამართლო პრაქტიკას; ბ. ა-ს სასჯელი უნდა დაენიშნოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3, მე-4 ნაწილების შესაბამისად, შთანთქმის პრინციპის გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ წინა განაჩენი კანონით დადგენილი წესით არ ყოფილა წარდგენილი სასამართლოში, სსკ-ის 73-ე მუხლის თანახმად, განაჩენი ნასამართლობაზე მიიღება პრეიუდიციად, ხოლო მის შინაარსს სრულად ეთანხმებიან მხარეებიც და სადავოდ არ გაუხდიათ

4. საკასაციო საჩივრის დასაშვებობა და საქმისწარმოების შეჩერება:

4.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 10 სექტემბრის განჩინებით პროკურორ თ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა განსახილველად.

4.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 15 სექტემბრის განჩინებით შეჩერდა საქმისწარმოება პროკურორ თ. მ-ის საკასაციო საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით და წარდგინებით მიემართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე იმ ნორმატიული შინაარსით, რომელიც უგულებელყოფს სასამართლოს შესაძლებლობას, გასცდეს სააპელაციო საჩივრის ფარგლებს იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ერთი და იმავე დანაშაულისათვის განმეორებით მსჯავრდება.

4.3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ №609 კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას, გასცდეს სააპელაციო საჩივრის ფარგლებს იმ შემ-

თხვევაში, როდესაც სახეზეა ერთი და იმავე დანაშაულისთვის პირის განმეორებით მსჯავრდება.

სამოტივაციო ნაწილი:

გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების დასაბუთება:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბ. ა-ის მიერ ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 273-ე მუხლით, გარდა თავად ბ. ა-ის აღიარებითი ჩვენებისა, დასტურდება საქმეზე არსებული მტკიცებულებების ერთობლიობით – ადმინისტრაციული დაკავების ოქმით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 26 დეკემბრის დადგენილებითა და ნარკოლოგიური შემოწმების №... დასკვნით, რომლებიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ.

3. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტთან მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ №609 კონსტიტუციურ წარდგინებაში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამოორიცხავს სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას, გასცდეს სააპელაციო საჩივრის ფარგლებს იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ერთი და იმავე დანაშაულისთვის პირის განმეორებით მსჯავრდება. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო, გასცდენოდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს იმ საფუძლით, რომ სახეზე იყო პირის ერთი და იმავე დანაშაულისათვის განმეორებით მსჯავრდება, შესაბამისად, პროცედურული თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება მართებულია, თუმცა საკასაციო პალატამ უნდა შეაფასოს, წარმოადგენდა თუ არა ბ. ა-ის ქმედებები მოცემულ შემთხვევაში ერთსა და იმავე დანაშაულს და რამდენად დაირღვა ერთი და იმავე დანაშაულისათვის პირის განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპი.

4. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სადავოა და სათანადო

სამართლებრივ შეფასებას მოითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ბ. ა-ის სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში გამართლების თაობაზე იმ საფუძვლით, რომ თითქოსდა სახეზე იყო ერთი და იმავე დანაშაულისათვის პირის განმეორებით მსჯავრდება.

5. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 28 ივლისის №134აპ-14 განაჩენით ამ კატეგორიის საქმეებზე დადგენილია პრაქტიკა, რომელსაც ენიშნა აღმდგეგბა სააპელაციო სასამართლოს მიერ ბ. ა-ის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, კერძოდ:

6. საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარების გამო, ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარებული პირის მიერ ან ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის ამ დანაშაულისათვის ნა-სამართლევი პირის მიერ. ამდენად, სსკ-ის 273-ე მუხლის გამოყენებას წინ უნდა უსწრებდეს ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის ადმინისტრაციული სახდელი, ან პირის ნასამართლობა სსკ-ის 273-ე მუხლით.

7. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 39-ე მუხლისა და ამავე მუხლის შენიშვნის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულსახდელდადებულ პირს სახდელის მოხდის დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ ჩაუდენია ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, იგი ჩაითვლება ადმინისტრაციულსახდელდაუდებლად; სახდელის სახით ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში პირი სახდელდაუდებლად ჩაითვლება, თუ იგი ჯარიმის დაკისრების დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ ჩაიდენს ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

8. ამავე კოდექსის მე-10 მუხლის მეორე ნაწილით ამ კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ ეს დარღვევები თავიანთი ხასიათით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

9. ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზემოხსენებული მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, პირი ადმინისტრაციულსახდელდადებულად ითვლება სახდელის მოხდის დღიდან ან სახდელის სახით ჯარიმის დაკისრებიდან 1 წლის განმავლობაში და ამ კოდექსით სხვა

საგამონაკლისო სამართლებრივი საფუძველი არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის ამ სამართლებრივი რეჟიმის გაუქმების, მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ან ნასამართლობის მოხსნის გამო.

10. საკასაციო პალატა თვლის, რომ ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების განმეორებით მოხმარებისათვის პირის მიმართ გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი არ წყვეტს პირის, როგორც ადმინისტრაციულსახდელდადებულად ყოფნის სამართლებრივ რეჟიმს. ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების განმეორებით მოხმარება (თუნდაც რამდენჯერმე) 1 წლის განმავლობაში, თუ არც ერთ ფაქტზე არ არის მიღებული სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის გამამტყუნებელი განაჩენი, გვაძლევს მოცემულ თითოეულ შემთხვევაში სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას – ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას, ე.ი. სახეზე გვექნება დანაშაულთა ერთობლიობა.

11. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ბ. ა-ის, როგორც ადმინისტრაციულსახდელშეფარდებულ პირად ყოფნის სამართლებრივი რეჟიმი რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ არ არის შეწყვეტილი და ის გრძელდება 2013 წლის 26 დეკემბრამდე. შესაბამისად, ბ. ა-ის მიერ 2013 წლის 8 სექტემბერს ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი გვაძლევს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას, რადგან სახდელის დადებიდან – 2012 წლის 26 დეკემბრიდან არ არის გასული 1 წელი და შესაბამისად, გრძელდება მისი ადმინისტრაციულსახდელდადებულად ყოფნის სამართლებრივი რეჟიმი.

12. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ სახეზეა ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ მსჯავრდება და, შესაბამისად, დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციით/საერთაშორისო ნორმებით გარანტირებული ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ მსჯავრდების აკრძალვის სტანდარტი, საკასაციო პალატა არ იზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო:

13. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნ-

ქტის შესაბამისად, არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

14. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის თანახმად, დაუშვებელია სისხლის სამართლის წესით პირის ხელმეორედ გასამართლება ან დასჯა ერთი და იმავე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც ის ერთხელ უკვე საბოლოოდ იქნა გამართლებული ან მსჯავრდებული ამ სახელმწიფოს კანონმდებლობისა და სისხლის სამართლის პროცესის შესაბამისად.

15. აღნიშნული პრინციპი ასევე განმტკიცებულია საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც, არ შეიძლება პირს წაეყენოს ბრალი ან/და დაედოს მსჯავრი იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც იგი ერთხელ უკვე გამართლებულ ან მსჯავრდებულ იქნა.

16. ამდენად, სისხლის სამართლის პრინციპის – ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვა (*ne bis in idem*) წარმოადგენს კონსტიტუციურ და საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტს, რომლის მიზანია ერთი და იმავე დანაშაულისათვის პირის გასამართლების ან დასჯის თავიდან აცილება. საქმეზე ოსტერლუნდი ფინეთის წინააღმდეგ (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Osterlund v. Finland*, §35-52) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გამოყოფს კრიტერიუმებს, რომლებიც უნდა შეფასდეს, ერთი და იმავე დანაშაულისათვის განმეორებით მსჯავრდების საკითხის გადაწყვეტისას, კერძოდ: 1. იყო თუ არა სანქცია/პროცედურები სისხლისსამართლებრივი ხასიათის; 2. იყო თუ არა ერთი და იგივე ის ქმედებები, რომლისთვისაც დაიწყო მომჩივნის სისხლისსამართლებრივი დევნა; 3. არსებობდა თუ არა საბოლოო გადაწყვეტილება; 4. არსებობდა თუ არა სამართალწარმოების გამეორება (*bis*). მეორე კრიტერიუმთან (იყო თუ არა ერთი და იგივე ის ქმედებები, რომლისთვისაც დაიწყო მომჩივნის სისხლისსამართლებრივი დევნა) მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი კრძალავს სისხლისსამართლებრივ დევნას ან გასამართლებას ისეთი „მეორე დანაშაულისთვის“, რომელიც გამომდინარეობდა იდენტური ან არსებითად მსგავსი ფაქტებიდან.

17. მოცემულ შემთხვევაში სადავოა და უნდა შეფასდეს, იყო თუ არა ბ. ა-ის ქმედებები ორივე მსჯავრდებასთან მიმართებით ერთი და იგივე, ე.ი. მსჯავრდება გამომდინარეობდა თუ არა

იდენტური ან არსებითად მსგავსი ფაქტებიდან.

18. საქმეში არსებული მტკიცებულებების თანახმად, ბ. ა-ს ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარებისათვის ადმინისტრაციული სახდელი დაეკისრა 2012 წლის 26 დეკემბრის დადგენილებით. აღნიშნულის შემდეგ მან ექიმის დანიშნულების გარეშე, განმეორებით უკანონოდ ორჯერ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, რაც დაუდგინდა 2013 წლის 8 სექტემბერსა და 2013 წლის 3 ნოემბერს ნარკოლოგიური შემონმების შედეგად. მართალია, ამ ორი ქმედებისათვის (2013 წლის 8 სექტემბრისა და 3 ნოემბრის ეპიზოდები) ბ. ა-ის მსჯავრდებას საფუძვლად დაედო ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების თაობაზე 2012 წლის 26 დეკემბრის ერთი დადგენილება, მაგრამ მისი ქმედება გამოიხატა ორ დამოუკიდებელ მოქმედებაში – ორჯერ, დროის გარკვეული ინტერვალით სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაში, რაც არ წარმოადგენს ერთსა და იმავე დანაშაულს ან ქმედებას. აღნიშნული ქმედებები (ორჯერ ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარება) ქმნის დანაშაულის ორ დამოუკიდებელ ეპიზოდს, ხოლო ადმინისტრაციულსახდელდადებულობა წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის დამოუკიდებელ ნიშანს, რომელიც ვერ შეფასდება ერთი და იმავე დანაშაულისათვის პირის ორჯერ მსჯავრდებად. ბ. ა-ის მსჯავრდება სსკ-ის 273-ე მუხლით (ორი ეპიზოდ) არ გამომდინარეობს იდენტური ან არსებითად მსგავსი ფაქტებიდან, ვინაიდან მათ საფუძვლად უდევს ორი, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული (მათ შორის დროში), დამოუკიდებელი ქმედება – სხვადასხვა დროს ნარკოტიკული საშუალების ორჯერ მოხმარება. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ სახეზეა ბ. ა-ის ერთი და იმავე დანაშაულისათვის განმეორებით მსჯავრდება, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

19. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბ. ა-ის მიმართ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 10 თებერვლის გამამართლებელი განაჩენი და იგი დამნაშავედ უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით.

20. ამასთან, სასჯელის დანიშვნის დროს საკასაციო პალატა ითვალისწინებს ბ. ა-ის პიროვნებას, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს, მოხმარებული ნარკოტიკული საშუალების სახეობას (ტეტრაჰიდროკანაბინოლი) და მიაჩნია, რომ მას სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 2000 ლარი. ბ. ა-ს დანიშნული სასჯელი ჯარიმა – 2000

ლარი, სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მოხდილი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის გათვალისწინებით (2013 წლის 2 დეკემბრიდან 2014 წლის 10 თებერვლის ჩათვლით), უნდა შეუმსუბუქდეს და მას საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით. მასვე 3 წლის ვადით უნდა ჩამოერთვას „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. პროკურორის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 10 თებერვლის გამამართლებელი განაჩენი.
3. ბ. ა-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 2000 ლარი, რაც სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, შეუმცირდეს და საბოლოო სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა – 1000 ლარი.
4. ბ. ა-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 3 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექენის, შენახვისა და ტარების უფლებები.
5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოსჯილო დანაშაული
სამსახურებრივი გულბრილობა

განაჩენი
საქართველოს სახელით

№258აპ-15

19 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
ზ. მენიშვილი**

განიხილა ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორ
პ. მ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 3 აპრილის
განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 დეკემ-
ბრის განაჩენით ბ. ბ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს
სსკ-ის 341-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზ-
ღვრა ჯარიმა – 3000 ლარის ოდენობით.

2. ბ. ბ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გი-
რად გაუქმდა. განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში ყა-
დალა უნდა მოეხსნას ზ. ბ-ს (პირადი №...) საკუთრებაში არსე-
ბულ, 5000 ლარის ღირებულების უძრავ ქონებას, კერძოდ: სა-
სოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთს,
მდებარეს ა-ს რაიონის სოფელ ნ-ი, „ს-ნ“, სარეგისტრაციო ზონა
– ა-ე, კოდი – .., სექტორი – კლდე, კოდი – .., კვარტალი №..,
ნაკვეთის №.., ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საკუთრება, და-
ზუსტებული ფართობი – 1500.00 კვ.მ. 4 000 ლარის ფარგლებში.

3. მსჯავრდებულ ბ. ბ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი
ქმედება გამოიხატა შემდეგში: ა-ს მუნიციპალიტეტის გამგებ-
ლის დროებითი მოვალეობის შემსრულებელმა ბ. ბ-მ 2013 წლის
2 აგვისტოს გამოსცა ბრძანება №... მ. მ-ს ა-ს მუნიციპალიტე-
ტის მ-ს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის დროებითი მო-
ვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ
2013 წლის 2 აგვისტოდან სამი თვის ვადით. 2013 წლის 19 აგვის-
ტოს მანვე გამოსცა ბრძანება №... მ. გ-ს ა-ს მუნიციპალიტეტის

გამგეობის მთავარი სპეციალისტის საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში დროებითი მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ 2013 წლის 2 აგვისტოდან სამი თვის ვადით, ხოლო 2013 წლის 2 სექტემბერს გამოსცა №... და №... ბრძანებები, შესაბამისად, მ. ბ-ს ა-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსის დროებითი მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ 2013 წლის 2 სექტემბრიდან სამი თვის ვადით და ქ. ი-ს – ა-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის შესყიდვების განყოფილების წამყვანი სპეციალისტის დროებითი მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ 2013 წლის 2 სექტემბრიდან სამი თვის ვადით.

4. 2013 წლის ნოემბერში ბ. ბ-მ იმავე პირების მიმართ, მათ მიერ საჯარო სამსახურში საქმიანობის გაგრძელების მოტივით, დაამზადა 2013 წლის 2 აგვისტოს, 19 აგვისტოსა და 2 სექტემბრით დათარიღებული – მ. მ-ს, მ. გ-ს, მ. ბ-ა და ქ. ი-ს თანამდებობაზე დანიშვნის ოთხი ყალბი ბრძანება, რომელთა მიხედვით ზემოთ ჩამოთვლილი პირები თანამდებობაზე გამწესებულნი იქნენ თანამდებობის კონკურსის წესით შევსებამდე.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 3 აპრილის განაჩენით გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 დეკემბრის გამამტყუნებელი განაჩენი ბ. ბ-ს მიმართ.

6. ბ. ბ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ საქართველოს სსკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და გამართლდა.

7. ცნობად იქნა მიღებული, რომ ბ. ბ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია და განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში ყადაღა უნდა მოეხსნას ზ. ბ-ს (პირადი №...) საკუთრებაში არსებულ, 5000 ლარის ღირებულების უძრავ ქონებას, კერძოდ: სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთს, მდებარეს ა-ს რაიონის სოფელ ნ-ი, „ს-ნ“, სარეგისტრაციო ზონა – ა-ე, კოდი – .., სექტორი – კლდე, კოდი – .., კვარტალი №.., ნაკვეთის №.., ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საკუთრება, დაზუსტებული ფართობი – 1500.00 კვ.მ. 4 000 ლარის ფარგლებში.

8. ბ. ბ-ს უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

9. ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორი პ. მ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 3 აპრილის განაჩენის გაუქმებასა და ბ. ბ-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას საქართველოს სსკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და მისთვის კანონიერი, უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდებას.

14. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა პ. მ-ა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები. მან მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

15. საკასაციო პალატის სხდომაზე გამართლებულ ბ. ბ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. გ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 3 აპრილის განაჩენის უცვლელად დატოვება, რასაც დაეთანხმა გამართლებული ბ. ბ-ე.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოუსმინა მხარეებს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 დეკემბრის გამამტყუნებელი განაჩენის მიხედვით, ბ. ბ-ს მსჯავრი დაედო სამსახურებრივი სიყალბის ჩადენაში, ესე იგი მოხელის მიერ ყალბი დოკუმენტის შედგენაში, პირადი მოტივით, რაც გამოიხატა იმაში, რომ ა-ს მუნიციპალიტეტის გამგებლის დროებითი მოვალეობის შემსრულებელმა ბ. ბ-მ 2013 წლის 2 აგვისტოს გამოსცა ბრძანება №... მ. მ-ს ა-ს მუნიციპალიტეტის მ-ს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის დროებითი მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ 2013 წლის 2 აგვისტოდან სამი თვის ვადით. 2013 წლის 19 აგვისტოს მანვე გამოსცა ბრძანება №... მ. გ-ს ა-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტის საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში დროებითი მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ 2013 წლის 2 აგვისტოდან სამი თვის ვადით, ხოლო 2013 წლის 2 სექტემბერს გამოსცა №... და №... ბრძანებები, შესაბამისად, მ. ბ-ს ა-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსის დროებითი

მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ 2013 წლის 2 სექტემბრიდან სამი თვის ვადით და ქ. ი-ს – ა-ს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის შესყიდვების განყოფილების წამყვანი სპეციალისტის დროებითი მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ 2013 წლის 2 სექტემბრიდან სამი თვის ვადით. 2013 წლის ნოემბერში ბ. ბ-მ იმავე პირების მიმართ, მათ მიერ საჯარო სამსახურში საქმიანობის გაგრძელების მოტივით, დაამზადა 2013 წლის 2 აგვისტოს, 19 აგვისტოსა და 2 სექტემბრით დათარიღებული მ. მ-ს, მ. გ-ს, მ. ბ-ა და ქ. ი-ს თანამდებობაზე დანიშვნის ოთხი ყალბი ბრძანება, რომელთა მიხედვით, ზემოთ ჩამოთვლილი პირები თანამდებობაზე გამწესებულნი იქნენ თანამდებობის კონკურსის წესით შევსებამდე.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 3 აპრილის გამამართლებელი განაჩენის თანახმად, სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა 1-ლი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის მოტივაციას იმასთან დაკავშირებით, რომ ბ. ბ-მ დანაშაული ჩაიდინა პირადი მოტივით.

4. საკასაციო პალატა თვლის, რომ როგორც 1-ლი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოები არ იყვნენ უფლებამოსილი, ემსჯელათ პირად მოტივთან დაკავშირებით, ვინაიდან ბრალდების შესახებ დადგენილება გამოტანილია საქართველოს სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნების დარღვევით. საქმის მასალებში წარმოდგენილი ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, ბრალდების ფორმულირებაში არ არის მითითებული სამსახურებრივი სიყალბის ჩადენის პირადი მოტივი, რაც ამ დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია.

5. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე სახელმწიფო ბრალმდებელმა დასკვნით სიტყვაში პირად მოტივად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ბ. ბ-ს სურდა გამოეხსნა მის მიერვე დაშვებული შეცდომა, რომ თავის დროზე არასწორად, კანონის დარღვევით დანიშნა თანამდებობებზე მითითებული პირები და ამ გადაწყვეტილებით ცდილობდა, დაეფარა თავისი უკანონო მოქმედებები.

6. საკასაციო პალატა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ საქმის არსებითი განხილვა მიმდინარეობს იმ ბრალდების ფორმულირების ფარგლებში, რაც სახელმწიფო ბრალმდებელმა გამოძიების ეტაპზე დადგენილად მიიჩნია. ბრალდე-

ბის შესახებ დადგენილებაში კი საერთოდ არ არის მითითებული, თუ რა მიიჩნია სახელმწიფო ბრალდება ბ. ბ-ს მიერ სამსახურებრივი სიყალბის ჩადენის პირად მოტივად.

7. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს პროკურორის საკასაციო საჩივარში მითითებულ პირად მოტივთან დაკავშირებით და თვლის, რომ ბ. ბ-ს ქმედებაში არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება – სამსახურებრივი სიყალბე, ესე იგი მოხელის მიერ ყალბი დოკუმენტის შედგენა, ჩადენილი პირადი მოტივით, რადგან მის მიმართ შერაცხული ბრალდების ერთ-ერთ შემადგენელ, აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს პირად მოტივზე მითითება.

8. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, 1-ლი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ბ. ბ-ს ქმედებაში არის საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები – სამსახურებრივი გულგრილობა, ესე იგი მოხელის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

9. 1-ლი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების განჩენებით დადგენილია, რომ ბ. ბ-ს თანხმობით დამზადდა ყალბი დოკუმენტები, რომლებითაც ზემოთ ჩამოთვლილი პირები თანამდებობაზე გამწესებულნი იქნენ თანამდებობის კონკურსის წესით შევსებამდე.

10. საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმის მასალების მიხედვით, უდავოა, რაც 1-ლი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების განჩენებით იქნა დადგენილი, რომ მოხდა ბრძანების გაყალბება – გამოიცა 2013 წლის 2 აგვისტოს, 19 აგვისტოსა და 2 სექტემბრით დათარიღებული მ. მ-ს, მ. გ-ს, მ. ბ-ა და ქ. ი-ს თანამდებობაზე დანიშვნის ოთხი ყალბი ბრძანება, რომლებშიც ზემოთ ჩამოთვლილი პირები თანამდებობაზე გამწესებულნი იქნენ თანამდებობის კონკურსის წესით შევსებამდე, რაც ასევე აღიარა დაცვის მხარემ.

11. დაცვის მხარისა და თავად ბ. ბ-ს განმარტებით, მან გადახედა დოკუმენტებს, მაგრამ ბოლომდე არ წაუკითხავს სრულად, თუ რაზე აწერდა ხელს. მან იცოდა, რომ უნდა შემდგარიყო დოკუმენტები მ. მ-ს, მ. გ-ს, მ. ბ-ა და ქ. ი-ს თანამდებობებზე ყოფნის ვადის გაგრძელების შესახებ კონკურსის წესით შერჩე-

ვამდე, მაგრამ ეს თუ დოკუმენტების გაყალბებით უნდა მომხდარიყო, მან ამის შესახებ არ იცოდა, რადგან სამსახურში გადატვირთულობის გამო, ისინი ბოლომდე არ წაუკითხავს და ისე მოაწერა ხელი.

12. სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი, 2013 წლის 2 აგვისტოს, 19 აგვისტოსა და 2 სექტემბრით დათარიღებული მ. მ-ს, მ. გ-ს, მ. ბ-ა და ქ. ი-ს თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანებების მიხედვით ამ პირების მოვალეობის შემსრულებლად ყოფნის ვადის ათვლა იწყებოდა 2 აგვისტოდან, 19 აგვისტოდან და 2 სექტემბრიდან – ნოემბერ-დეკემბრამდე. ამ სიყალბეს ბრძანების სათანადოდ წაკითხვის შემთხვევაში ბ. ბ-ე შეამჩნევდა.

13. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბ. ბ-ს მოქმედებაში არის სამსახურებრივი გულგრილობის ნიშნები, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლით. აღნიშნული დანაშაულის ობიექტია ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ნორმალურ საქმიანობას, ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება სახელმწიფო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობასა ან არაჯეროვნად შესრულებაში მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო; ხოლო ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, რომლებიც იმყოფებიან საჯარო სამსახურში, ანუ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ასრულებენ საჯარო მოსამსახურის ფუნქციას.

14. ბ. ბ-ე, იყო რა მოხელე, ვალდებული იყო საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, ჯეროვნად შეესრულებინა მასზე დაკისრებული მოვალეობა, რათა არ მომხდარიყო სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების, მისი ავტორიტეტისა და ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა. იყო რა ა-ს მუნიციპალიტეტის გამგებელი (დროებითი მოვალეობის შემსრულებელი), თავისი სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, გაყალბებული ბრძანებებით დაინიშნენ არაუფლებამოსილი პირები შესაბამის თანამდებობებზე კონკურსის ნესით შერჩევამდე, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია. სამსახურებრივმა გულგრილობამ შედეგად გამოიწვია ის, რომ გაყალბებული დოკუმენტებით, საჯარო მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, დაინიშნენ არაუფლებამოსილი პირები აღნიშნულ თანამდებობებზე, რამაც ხელყო სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველოს ორგანოების პრესტიჟი და ავტორიტეტი და

ხელი შეუშალა მმართველობის ორგანოების ნორმალურ საქმიანობას კანონით დადგენილი წესით შესაბამის თანამდებობებზე მოხელეთა დანიშვნასთან დაკავშირებით.

15. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გამამართლებელი განაჩენი უნდა გაუქმდეს; ბ. ბ-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, მოვალეობათა დარღვევის ხასიათისა და ზომის, ქმედების განხორციელების სახისა და მართლსაწინააღმდეგო შედეგის გათვალისწინებით, მას სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 2000 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორ პ. მ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 3 აპრილის გამამართლებელი განაჩენი ბ. ბ-ს მიმართ.

3. ბ. ბ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად შეეფარდოს ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით.

4. ცნობად იქნეს მიღებული, რომ აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია. განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში ყადაღა მოეხსნას ზ. ბ-ს (პირადი №...) საკუთრებაში არსებულ, 5000 ლარის ღირებულების უძრავ ქონებას, კერძოდ: სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთს, მდებარეს ა-ს რაიონის სოფელ ნ-ი, „ს-ნ“, სარეგისტრაციო ზონა – ა-ე, კოდი – .., სექტორი – კლდე, კოდი – .., კვარტალი №.., ნაკვეთის №.., ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საკუთრება, დაზუსტებული ფართობი – 1500.00 კვ.მ. 4000 ლარის ფარგლებში.

5. სისხლის სამართლის საქმეზე დართული ერთი ჩD დისკი შენახულ იქნეს ბ. ბ-ს მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმესთან ერთად საქმის შენახვის ვადით.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დანაშაული მტკიცებულების მოპოვების
საპროცესო წესის წინააღმდეგ**

**მომხის ან დაზარალებულის მიერ არსებითად
ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა**

**ბანაჩინი
საქართველოს სახელით**

№445აპ-15

24 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

ზ. მეიშვილი

განიხილა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკუ-
რორ გ. ჯავარაშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელა-
ციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015
წლის 19 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 2 აპრილის
განაჩენით ა. მ-ა, ნასამართლობის არმქონე, ცნობილ იქნა უდა-
ნაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 371¹-ე მუხ-
ლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

გაუქმდა ა. მ-ას მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება –
გირაო და გირაოს თანხა – 2000 ლარი განაჩენის აღსრულები-
დან ერთი თვის ვადაში უნდა დაუბრუნდეს მის შემტან პირს – ა.
მ-ს.

2. ა. მ-ასათვის ბრალად შერაცხული დანაშაული გამოიხატა
შემდეგში: 2014 წლის 19 ნოემბერს მარნეულის შს რაიონულ სამ-
მართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №... საქ-
მეზე, ა. მ-ას თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ფაქტზე, და-
ნაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხ-
ლით. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე 2014 წლის 27
ნოემბერს მოწმის სახით დაიკითხა ა. მ-ა, რის შემდეგაც, 2014
წლის 19 დეკემბერს, ამ უკანასკნელმა მიუხედავად იმისა, რომ
გამომძიებელმა გააფრთხილა არსებითად ურთიერთსაწინააღ-
მდეგო ჩვენების მიცემის შემთხვევაში საქართველოს სსკ-ის
371¹-ე მუხლით მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუ-

ხისმგებლობის შესახებ, გამოძიებას მისცა არსებითად ურთიერთსანიანალმდეგო ჩვენება, რითაც შეგნებულად შეუშალა ხელი მართლმსაჯულებას.

3. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გ. ჯ-მა, რომელმაც ითხოვა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 2 აპრილის განაჩენის გაუქმება, ა. მ-ას დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 371¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში და შესაბამისი სასჯელის განსაზღვრა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 19 ივნისის განაჩენით ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 2 აპრილის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 19 ივნისის განაჩენის თაობაზე მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა გ. ჯავარაშვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. პროკურორი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 19 ივნისის განაჩენის გაუქმებას, გამართლებულ ა. მ-ას დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 371¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში და შესაბამისი სასჯელის განსაზღვრას.

6. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა გ. ჯ-მა ითხოვა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება მასში მითითებული მოტივებით.

7. ადვოკატი მ. თ-ი არ დაეთანხმა კასატორის პოზიციას და ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ივნისის განაჩენის უცვლელად დატოვება.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია ა. მ-ას ქმედებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის არსებობა, კერძოდ:

გამომძიებელმა ა. მ-ას როგორც მოწმის, ისე დაზარალებულის სტატუსით დაკითხვის წინ კანონის სრული დაცვით განუ-

მარტა მისი უფლება-მოვალეობები და გააფრთხილა არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემის შემთხვევაში მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. სწორედ ამ მომენტიდან ა. მ-ა ითვლება მოცემული დანაშაულის სუბიექტად. მიუხედავად იმისა, რომ ა. მ-ამ კარგად იცოდა მოსალოდნელი შედეგების შესახებ, მან შეგნებულად, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების განზრახ დამახინჯებისა და მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესების ხელყოფის მიზნით, გამოძიებას მისცა არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება. ამდენად, საკასაციო პალატა არ იზიარებს ორივე ინსტანციის სასამართლოების შეფასებას, რომ მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა უნდა მოხდეს მხოლოდ მართლმსაჯულების განხორციელებისას, ანუ სასამართლო განხილვის ეტაპზე. მართალია, საქართველოს სსკ-ის 371¹-ე მუხლის დისპოზიციაში პირდაპირ მითითებულია მართლმსაჯულებისათვის შეგნებულად ხელის შეშლაზე, ხოლო სსსკ-ის მე-19 მუხლის თანახმად კი სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, მაგრამ ქმედების აღნიშნული მუხლით დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელი არ არის, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა მოხდეს მხოლოდ სასამართლო განხილვისას, ვინაიდან მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლის მიზანი პირს შეიძლება ჰქონდეს როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის ეტაპზე.

2. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, უტყუარ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: ა. მ-ას 2014 წლის 27 ნოემბრისა და იმავე წლის 18 დეკემბრის მოწმისა და დაზარალებულის სახით დაკითხვის ოქმებით, მასთან ჩატარებული ამოცნობის ოქმებით, მისი განცხადებებით, პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტებითა და სხვა მასალებით, რომლებიც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება ა. მ-ას მიერ მართლმსაჯულებისათვის შეგნებულად ხელის შეშლის მიზნით არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა.

3. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა. მ-ას ქმედებაში სახეზეა საქართველოს სსკ-ის 371¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა, რაც საქართველოს სსსკ-ის 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნ-

ქტის შესაბამისად, არის გასაჩივრებული გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის სამართლებრივი საფუძველი.

4. საკასაციო პალატა, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შემსაბამისად, ივალისწინებს ა. მ-ას პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულისათვის მიზანშეწონილია ისეთი სასჯელის დანიშვნა, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ გ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ივნისის გამამართლებელი განაჩენი ა. მ-ას მიმართ.

3. ა. მ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 371¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა – 1000 ლარის ოდენობით.

4. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მონღის იძულება ჩვენების შეცვლისათვის, რასაც
თან ერთის კალადობა და კალადობის მუქარა**

**განაჩენი
საქართველოს სახელით**

№227აპ-15

23 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ზ. მეიშვილი (თავმჯდომარე),
პ. სილაგაძე,
გ. შავლიაშვილი**

განიხილა მსჯავრდებულ ვ. ბ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 25 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 სექტემბრის განაჩენით ვ. ბ-ი, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 372-ე მუხლის მე-2 ნაწილით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 372-ე მუხლის მე-3 ნაწილით – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილების შენაბამისად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ ვ. ბ-ს სასჯელად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2013 წლის 12 დეკემბრიდან.

2. განაჩენის მიხედვით, ვ. ბ-ს მსჯავრი დაედო ჩვენების შეცვლისათვის მონღის იძულებაში, რასაც ერთვის მოკვლისა და ძალადობის მუქარა (დაზარალებულ გ. ნ. ო-სა და ე. თ-ის ეპიზოდი) და ჩვენების შეცვლისათვის მონღის იძულებაში, ჩადენილი ძალადობით (დაზარალებულ გ. გ-ის ეპიზოდი), რაც გამოიხატა შემდეგში:

ვ. ბ-მა იცოდა, რომ გ. ნ. ო-ის, ე. თ-სა და გ. გ-ს გამოძიებაში ჩვენება მიცემული ჰქონდათ მისი ახლობლების – ნ. ბ-ისა და გ. ბ-ის წინააღმდეგ, რომლებიც საპატიმროში იმყოფებოდნენ ნ. მ-ის მკვლელობის ბრალდების გამო. 2013 წლის 11 დეკემბერს, დაახლოებით 01:00 საათზე, ვ. ბ-მა – რაიონის სოფელ – მიაკითხა გ. ნ. ო-ის, ე. თ-სა და გ. გ-ს, ისინი გამოიყვანა სახლიდან და მოკვლისა და ძალადობის მუქარით იძულება განახორციელა მონმეებზე – გ. ნ. ო-ისა და ე. თ-ზე, რათა მათ შეეცვალათ ჩვე-

ნება სისხლის სამართლის საქმეზე ნ. მ-ის მკვლელობის ფაქტზე და სასამართლოში არ მიეცათ მისი ახლობლის მამხილებელი ჩვენება. ამავე დროს ვ. ბ-მა მოწმეზე – გ. გ-ზე განახორციელა იძულება ჩვენების შეცვლისათვის, რაც ჩაიდინა ძალადობით – მას სახის არეში მუშტი გაარტყა და ტუჩი გაუხეთქა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 25 მარტის განაჩენით სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 5 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 25 მარტის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ვ. ბ-მა და ითხოვა გამართლებელი განაჩენის გამოტანა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სათანადოდ არ შეაფასეს მოწმეთა ჩვენებები. განაჩენი ემყარება მხოლოდ დაზარალებულთა ჩვენებებს, ხოლო ორი ნეიტრალური მოწმის ჩვენება ჯეროვნად არ არის შეფასებული; საქმეში წარმოდგენილია ნ. და გ. ბ-ის გამამართლებელი განაჩენი, რის გამოც ფაქტობრივად პროკურატურამ მასზე „იყარა ჯავრი“ და სასამართლომაც უკანონოდ დასდო მსჯავრი იმ დანაშაულისათვის, რაც არ ჩაუდენია; სასჯელი უკანონოდ დაენიშნა სსკ-ის 372-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, თითოეულისათვის – ცალ-ცალკე, მიუხედავად იმისა, რომ მე-3 ნაწილი სრულად მოიცავს მე-2 ნაწილს.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ვ. ბ-ის მიერ მოწმის იძულება ჩვენების შეცვლისათვის, რასაც ერთვის მოკვლისა და ძალადობის მუქარა და მოწმის იძულება ჩვენების შეცვლისათვის, ჩადენილი ძალადობით, დანაშაული, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 372-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, დასტურდება გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, საკმარისი, უტყუარი და შეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა ვ. ბ-ის მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ

ვ. ბ-ის განმარტებას თავისი უდანაშაულობის თაობაზე.

3. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო არ არის შემთხვევის ადგილზე ვ. ბ-ის ყოფნის ფაქტი, რასაც არ უარყოფს არც მსჯავრდებული. კასატორი სადავოდ ხდის და, შესაბამისად, საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით უნდა დადგინდეს ის ფაქტები, თუ რა მოხდა შემთხვევის ადგილზე და განახორციელა თუ არა მუქარა და ძალადობა ვ. ბ-მა დაზარალებულებზე – გ. ნ. ო-ზე, ე. თ-სა და გ. გ-ზე ჩვენების შეცვლის მიზნით.

4. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაზარალებულები – გ. ნ. ო-ი, ე. თ-ი და გ. გ-ი თავიანთ ჩვენებებში ერთმნიშვნელოვნად და თანმიმდევრულად მიუთითებენ ვ. ბ-ის მიერ განხორციელებულ ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიშ მუქარასა და ძალადობაზე, ჩვენებების შეცვლის მიზნით, ხოლო აღნიშნული ჩვენებები თავის მხრივ თანხვედრილია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 16.12.2013 წლის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნასთან, რომელშიც აღნიშნულია, რომ გ. გ-ს სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანება – ნაჭდევი ქვედა ტუჩის არეში. მოწმე ნ. ზ-სა და დ. ნ. ო-ის ჩვენებებით დასტურდება, რომ დაზარალებულები – გ. ნ. ო-ი და გ. გ-ი შემთხვევის შემდეგ, ღამე, სახლში არ დაბრუნებულან, ვინაიდან იყვნენ შეშინებული. ამდენად, მტკიცებულებების – მოწმეების (დაზარალებულის) ჩვენებებისა და ექსპერტიზის დასკვნის სანდობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

5. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს კასატორის მითითებაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა მოწმეების – გ. ჯ-ისა და დ. ჯ-ის ჩვენებები, რომლებიც მის უდანაშაულობაზე მიუთითებენ. აღსანიშნავია, რომ გ. ჯ-ის ჩვენების მიხედვით, იგი შემთხვევის ადგილზე განვითარებული მთლიანი მოვლენების შემსწრე არ არის და არ იცის, რა მოხდა დაზარალებულებისა და ვ. ბ-ის ავტომანქანიდან გადასვლის შემდეგ, თუმცა დაადასტურა ის გარემოება, რომ ავტომანქანაში ვ. ბ-მა უთხრა დაზარალებულებს, რომ მათ ჩვენება ჰქონდათ მიცემული და რაც დააშავეს, როგორც უნდოდათ, ისე გამოეხსნორებინათ. ამდენად, გ. ჯ-ის ჩვენებით არ დასტურდება, რომ ვ. ბ-ი დაზარალებულებს სთხოვდა სიმართლის თქმას, პირიქით, ვინაიდან მათ მიცემული ჰქონდათ ჩვენება (რაც დააშავეს), როგორც უნდოდათ, ისე უნდა გამოეხსნორებინათ. რაც შეეხება დ. ჯ-ის ჩვენებას, იგი ფაქტობრივად ეწინააღმდეგება არა მხოლოდ მოწმეების (დაზარალებულების) ჩვენებებსა და

ექსპერტიზის დასკვნას, არამედ – ნაწილობრივ, მონმე გ. ჯ-ის ჩვენებასაც. ამდენად, ამ წინააღმდეგობების, ვ. ბ-სა და დ. ჯ-ს შორის არსებული პირადი ურთიერთობის გათვალისწინებით, მონმე დ. ჯ-ის ჩვენება არ აკმაყოფილებს უტყუარობის სტანდარტს, რის გამოც პალატა მოკლებულია მისი ჩვენების გაზიარების შესაძლებლობას.

6. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ვ. ბ-ს სსკ-ის 372-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით სასჯელი არასწორად დაენიშნა თითოეული ნაწილისათვის – დამოუკიდებლად შემდეგ გარემოებათა გამო: დადგენილია, რომ ვ. ბ-მა სამივე დაზარალებულის მიმართ ერთობლივად (დროის ერთ მონაკვეთში) განახორციელა მუქარა და ძალადობა ჩვენების შეცვლის მიზნით; მას ამოძრავებდა ერთი მიზანი და საერთო განზრახვა, რომ არა მხოლოდ ერთი რომელიმე დაზარალებულისაგან, არამედ სამივესაგან ერთად, მუქარისა და ძალადობის გზით მიეღო ისეთი ჩვენებები, რომლებიც სასარგებლო იქნებოდა ერთ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული მისი ახლობლების – ნ. და გ. ბ-ისათვის; ვ. ბ-მა ჩაიდინა სსკ-ის 372-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – ჩვენების შეცვლის მიზნით მონმეების იძულება, გ. გ-ის მიმართ ძალადობით, ხოლო გ. ნ. ო-ისა და ე. თ-ის მიმართ – მუქარით. ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ვ. ბ-ს სასჯელი უნდა დაენიშნოს სსკ-ის 372-ე მუხლის უფრო მძიმე – მე-3 ნაწილით და ამ მიმართებით ცვლილება უნდა შევიდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 25 მარტის განაჩენში. რაც შეეხება სასჯელის ზომას, ვ. ბ-ის პიროვნების, დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების, დაზარალებულთა რაოდენობისა და ასაკის (ორი მათგანი არასრულწლოვანია), დანაშაულის ჩადენის მიზნის (მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელებისათვის ხელის შეშლა) გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ მისთვის სსკ-ის 372-ე მუხლის მე-3 ნაწილით დანიშნული სასჯელი – 6 წლით თავისუფლების აღკვეთა – უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მსჯავრდებულ ვ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილ-

დეს ნაწილობრივ.

2. ცვლილება შევიდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 25 მარტის განაჩენში: ვ. ბ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 372-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით და სასჯელად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

3. ვ. ბ-ს სასჯელის ვადა აეთვალოს 2013 წლის 12 დეკემბრიდან.

4. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკიეპელი

ზოგადი ნაწილი

დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნისას დამატებით სასჯელებზე შთანთქმის პრინციპით დანიშვნის წესის გავრცელების დაუშვებლობა	3
სასჯელის საკითხის გადანეწყვისას გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობის მხედველობაში მიღების დაუშვებლობა	7
ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის სასჯელის სახით დანიშნული ვადიანი თავისუფლების აღკვეთის შეცვლა ჯარიმით	12

პირაქო ნაწილი

დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ	
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით	18
ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება	25
დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ	
ადამიანის დევნა აზრის, მის საზოგადოებრივ და პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი ძალადობითა და ძალადობის მუქარით	36
დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ	
ქმედების გადაკვალიფიცირება სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისებაზე	41
დიდი ოდენობით სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისება ან გაფლანგვა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და თაღლითობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით	51
ქონებრივი დაზიანება მოტყუებით	167
დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში	
ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის გამოყენების მიზნით დამზადება და გამოყენება	176
დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ	
ქურდული სამყაროს წევრობა	199

ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო
შეძენისა და შენახვის ცალ-ცალკე დანაშაულებად
განხილვის პრაქტიკა210

ნარკოტიკული დანაშაული

ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ,
ადმინისტრაციული სახდელის მოქმედების ვადის
ფარგლებში, ნარკოტიკული საშუალების განმეორებით
არაერთხელ მოხმარების სამართლებრივი შედეგები218

სამოსხელო დანაშაული

სამსახურებრივი გულგრილობა227

დანაშაული მტკიცებულების მოპოვების

საპროცესო წესის წინააღმდეგ

მონმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად
ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა234
მონმის იძულება ჩვენების შეცვლისათვის,
რასაც თან ერთვის ძალადობა და ძალადობის მუქარა238